




გიორგი გომოლაშვილი
თამაზ სხალაძე


ვერსტანაქს სასედი აეგვიენიქს





გიორგი გოგოლაშვილი
თამაზ ხმალაძე

ვერსტენაჟს სასეჟი აგუგენეჟს



თბილისი
2024

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

დიზაინი და ტექნიკური რედაქცია
ირაკლი ავალიანისა
კომპიუტერული უზრუნველყოფა
რუსუდან გრიგოლიასი

ჩვენი ბედისწერა!...

(ორთაბიოგრაფიული წინათქმა)

ქალბატონ ანა კალანდაძეს აქვს ასეთი ჩანაწერი: „მე რომ იმთავითვე ჩემდა უნებურად ენის, გრამატიკის „ცივ“ სამეფოში აღმოვჩნდი, ამას ბედისწერად ვთვლი, ჩემს ბედისწერად, — ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ და მხოლოდ ასე! კავკასიური ენების განყოფილებისაკენ ჩემი პოეტური ბუნება მენწოდა; უპირველეს ყოვლისა მენწოდა კავკასიის ეგზოტიკა. (...) მაშ არ იყო ეს ბედისწერა?“

ჩვენც, **თამაზ ხმალაძემ** და **გიორგი გოგოლაშვილმა**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა განყოფილებას მივაშურეთ... რა გვეწოდა აქეთ? — მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ეს იყო ჩვენი არჩევანი — არავის ჩარევა, არავის შეგონება, არავის მიბაძვა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი არჩევანი.

და დღეს შეიძლება ვთქვათ, **ჩვენი ბედისწერა!...**

1966 წლის პირველ სექტემბერს, დილის ცხრა საათზე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე, 85-ე აუდიტორიის წინ, შევეფეთეთ ერთმანეთს; ეტყობოდა, ერთსა და იმავე ლექციაზე მივიჩქაროდით... გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, გავეცანით...

პირველი კურსი... პირველი ლექცია... პირველი შეხვედრა...





ასე დაიწყო „ისტორია“ ჩვენი — თამაზ ხმალაძისა და გიორგი გოგოლაშვილის — ურთიერთობისა...

მერე? — ერთხელ ღიმილით გავიხსენეთ ილია ზურაბიშვილის ეს მოგონება:

„ვთქვათ, რომ სალამო იყო გამართული საქველმოქმედო მიზნით, თუ ვინმე იტყოდა — ილიამ ეს ლექსი წაიკითხაო, მსმენელი უეჭველად შეეკითხებოდა — აკაკიმ რაღა წაიკითხაო? იმისდა მიუხედავად, იღებდა აკაკი იმ სალამოში მონაწილეობას თუ არა. მას ვერც წარმოედგინა, რომ იქ, სადაც ილია იყო, შეიძლება აკაკი არ ყოფილიყო...“

დიახ, ღიმილით გავიხსენეთ ეს ამბავი და, აი, რატომ:

ასე იყო მერე, თითქმის ამ 60 წლის განმავლობაში: იქ, სადაც თამაზ ხმალაძე იყო, სხვათა წარმოდგენით, გიორგი გოგოლაშვილიც უნდა ყოფილიყო...

კარგა ხნის უნახავი მეგობრები როცა ხვდებოდნენ ხმალაძეს, გოგოლაშვილსაც მოიკითხავდნენ უეჭველად

და პირიქით — თუ გოგოლაშვილს ხვდებოდნენ, ხმალადის ამბავს იკითხავდნენ აუცილებლად... ასეა დღემდე...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თითქოსდა გაიყო ჩვენი გზები: თამაზ ხმალადე მწერლობის აღმართს შეუყვავა, გიორგი გოგოლაშვილი ქართული ენის შესწავლასწავლების საქმეს შეეჭიდა... თუმცა არ ეთქმოდა ამას გზების გაყოფა — ქართული ენის მსახურების ორი გზა იყო ეს; ქართული ენა იყო ჩვენი ფიქრის საგანი... გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თამაზ ხმალადის საქმიანობას ჟურნალისტობაც დაემატა და საქართველოს რადიოს ლიტერატურულ გადაცემებში (ძირითადად რადიოპროგრამაში „დროება“) მისი ინიციატივით ვინყებთ დიალოგებს ქართული ენისა და მწერლობის აქტუალურ თემებზე...

წინასწარ შევარჩევდით თემას, გავინანილებდით საქმეს, ვიჩხრიკებოდით, ვეძიებდით, მოვიპოვებდით მასალას და მივუსხდებოდით მიკროფონს...

90-იანი წლებიდან თამაზ ხმალადის საავტორო რადიოპროგრამაში



„ენაღ შემკული და კურთხეული“ სისტემური ხასიათი მიიღო ჩვენმა დიალოგებმა...

ვცდილობდით, ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოვხმაურებოდით. და... XXI საუკუნის დასაწყისში ეს რადიოპროგრამები დაიხურა...

ადრე გადაცემულ დიალოგთაგან გამოვარჩიეთ ათიოდე და 2000 წელს გამოვეცით პირველი ერთობლივი კრებული „ერთხელ საქართველოში“...

იმჟამად რამდენიმე თემა გვქონდა ჩაფიქრებული სადიალოგოდ... გაჩერდა ეს საქმე, გადაიდო გაურკვეველი დროით...

მერე იყო და, გიორგი გოგოლაშვილმა წამოიწყო პროექტი „ენა და მწერალი“... ამ სერიის მე-9 ნიგანი („ენა — ულმობელი მსაჯული“) მეგობარ მწერლებთან თანამშრომლობით შეიქმნა: მთარგმნელი **პაატა ჩხეიძე**, კრიტიკოსი **ლევან ბრეგაძე**, პოეტი **დავით შემოქმედელი** და პროზაიკოსი **თამაზ სმალაძე** შეარჩია მედიალოგებად. საუბრები იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და გამოვეცით ცალკე ნიგნად 2022 წელს („ენა — ულმობელი მსაჯული“).

მაშინ გავიხსენეთ თითქმის მივიწყებული, მიტოვებული სადიალოგო თემები (ვთქვათ: ვაჟა-ფშაველა და შირაქი, ნიკო ნიკოლაძე და ფოთი), მაგრამ... მაგრამ ამ ოციოდე წლის განმავლობაში იმდენჯერ გვისაუბრია ამ საკითხებზე, იმდენჯერ გაგვხსენებია ეს ამბები და გვიმსჯელია, „ავგერია“, რომელმაც ჩვენგანმა რა



ვთქვით... წაიშალა ზღვარი თამაზ ხმა-
ლაძისა და გიორგი გოგოლაშვილის აზ-
რებს შორის და გადავწყვიტეთ: დიალო-
გად ჩაფიქრებულ თემაზე მონოლოგი
დაგვეწერა...

ასე გაჩნდა წიგნი „**რატომ კარგი აგი-
გია?!** (გამონოლოგებული დიალოგი)“...
საყურნალე ვარიანტი დაიბეჭდა
„განთიადში“; წიგნად გამოვეცით 2023
წელს...


და ველარ გავჩერდით:

2024 წელს გაზეთ „ლიტერატურულ
საქართველოში“ გამოქვეყნდა ჩვენი დია-
ლოგი „ავტორი და მისი პერსონაჟები“,
ამ თემაზე („ენა და მწერალი“) დაწერი-
ლი დიალოგები ერთ პატარა კრებულად
შევკარით და ესეც ერთობლივი მეოთხე
წიგნი („ენა და... მწერალი და... პერსო-
ნაჟი...“)...

და მოვედით წინამდებარე წიგნა-
მდე...

ეს წიგნი („პერსონაჟს სახელი ამშვე-
ნებს“) არ არის იმ ტიპის დიალოგი, ჩვენი
ერთობლივი წინა წიგნები რომ იყო...

ეს არის ფაქტობრივ **საუბარი მწერა-
ლსა და მის ერთგულ მკითხველს შორის...**
მკითხველს (გ. გოგოლაშვილს) მწერლის
(თ. ხმალაძის) შემოქმედებამ კითხვები
გაუჩინა; მკითხველს მწერლის პასუხი
აინტერესებს... აქ წამოჭრილი ყოველი
თემა სათავეს თამაზ ხმალაძის შემოქმე-
დებიდან იღებს... თითოეულ თემატურ
საუბარს „**ნოველა**“ დავარქვით. ეს პირ-
ობითია. ამით ვცადეთ ეს საუბრები




განგვესხვავებინა იმ საუბრებისაგან, „დილოგებს“ რომ ვუწოდებთ... თითოეულ ნოველაში საუბარს ვინცებთ თამაზ ხმალადის შემოქმედებიდან გაჩენილი შეკითხვით და მერე მივყვებით, საითაც ეს საკითხი წაგვიყვანს...

ამგვარი წიგნის შედგენის მიზანს **გიორგი გოგოლაშვილი** ასე განმარტავს:

— მწერალ თამაზ ხმალადის შემოქმედებას თუკი ვინმე იცნობს, მეც ვიცნობ, ალბათ სხვაზე უკეთაც (დანერვილსა თუ დაუნერვლ მოთხრობებსა და რომანებს)... ზოგჯერ გული მწყდებოდა, რომ ეს მწერალი ისე არ ჩანდა, როგორც იმსახურებდა (თავისი მოკრძალებული ბუნების გამო)... მაინც ვერ გავბედე მის შემოქმედებაზე ისეთი ნაშრომის დანერვა, ჩემი აზრით, მის პროზას რომ ეკადრება (ცხადია, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში) ერთი უბრალო მიზეზის გამო: ჩვენი პიროვნული ურთიერთდამოკიდებულება არ მომცემდა საშუალებას, მიუკერძოებელი ვყოფილიყავი... მეორეც — ამ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების მცნობი მკითხველი ირწმუნებდა კი ჩემს გულწრფელობას? რა ვიცი...

ამიტომ ასე ვამჯობინე: მესაუბრა მეგობართან მისი შემოქმედებიდან აღძრული კითხვებისა თუ თემების ირგვლივ... ამ საუბრიდან წამოჭრილ საკითხებზე... მწერალი დაეთანხმა



მკითხველის თხოვნას...

და ეს თანხმობა **თამაზ ხმალაძემ** ასე განმარტა:

— ჩემს შემოქმედებას თუ ვინმე იცნობს, ერთ-ერთი საუკეთესო მცნობელთაგანი, მიზეზთა ერთობლიობის გამო, გიორგი გოგოლაშვილი გახლავთ. ამიტომაც ღირს იმაზე დაფიქრება, რომ ჩემი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ მას თუ გაუჩნდა შეკითხვების წყება, სავარაუდოა, მის მდგომარეობაში აღმოჩენილიყო მკითხველთა უმეტესობა (თუმცა სად არის ეს უმეტესობა, მაგრამ მიანიც...).

საერთოდაც, სიტყვა „მკითხველის“ შინაარსის ჩასაწვდომად დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ დავინახოთ: სიტყვა „მკითხველი“ თავის თავში გულისხმობს როგორც „ნამკითხველს“, ასევე „შემკითხველს“ — მკითხველია ნამკითხველიც და შემკითხველიც. ნამკითხველს წაკითხვის შემდეგ აუცილებლად უნდა გაუჩნდეს სურვილი და ცნობისწადილი შეკითხვებისა. და ეს გიორგი გოგოლაშვილის ინიციატივით შექმნილი ჩვენი ოპუსი მკითხველებს თუ შეძლებისდაგვარად დაეხმარება აღძრული ინტერესის დაკმაყოფილებაში, მეც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დაგირჩებით...

და ასე შეიქმნა ეს წიგნი: „**პერსონაჟს სახელი ამშვენებს (დიალოგური ნოველები)**“...

თხრობის სტილი, თხრობის მანერა

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ ხმალადის მხატვრული ენის გასააზრებლად, შესაფასებლად ორ პროფესიონალს დავიმონებ: მწერალ ჭაბუა ამირეჯიბსა და ენათმეცნიერ ბესარიონ ჯორბენაძეს.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავისი შვიდტომეული აჩუქა თამაზს ასეთი მიძღვნით: „თამაზ ხმალადეს, მშვენიერ მწერალს, ბრწყინვალე მამულიშვილს და **ქართული სიტყვიერების ხმალამოღებულ რაინდს**“ (ხაზგასმა ჩემია — გ. გ.)...

ბესარიონ ჯორბენაძის ერთ ფრაზას მოვიხმობ — მისი აზრით, თამაზის შემოქმედება ეს არის ჭეშმარიტად **„ბაჯალლო ოქროდ დაუნჯებული“** „**მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა**“ (მცირე ფრაგმენტი ვრცელი წერილიდან).

ჭაბუა ამირეჯიბთან სადღეგრძელოს ტიპის ზოგადი შეფასებაა... ბესარიონ ჯორბენაძის განხილვის თემა ძირითადად მწერლის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაა. ამ საკითხს ჩვენ სხვა ნოველაში დავუბრუნდებით. აქ ზოგადი შთაბეჭდილება შე-ვიქმენათ მწერალზე და განვაგრძოთ საუბარი სტილზე...

თემა: **თხრობის სტილი, თხრობის ვარიაციები...** როგორია ამ თვალსაზრისით თამაზ ხმალადის პროზა, მისი პოზიცია...

თამაზ ხმალაძე — ჯერ მადლობა მათქმევინე, გიორგი. გულწრფელად ვიტყვი: ღირდა ცხოვრება და მწერლური საქმიანობა თუნდაც ამ ორი დიდი პიროვნების ამგვარ შეფასებად.

გ. გ. — გეთანხმები, თამაზ... სანამ უშუალოდ შენს შემოქმედებაზე დავიწყებთ საუბარს, კერძოდ — რა არის სტილი ზოგადად, კერძოდ ენობრივი სტილი.

თ. ხ. — ბუფონს უთქვამს, „სტილი ადამიანიაო“. დაეთანხმება ბუფონს ოთარ ჩხეიძე და დააზუსტებს: „სტილი თვისებაა

ადამიანური, სტილი რო ადამიანური მთლიანობაა და სამწერლო სტილიც, თუ ადამიანი მწერლობას მოეკიდება, უფრო აქედან მომდინარეობს“...

- გ. გ. — სტილთან დაკავშირებით საგულისხმოდ მიმაჩნია მიხეილ ჯავახიშვილის ეს ჩანაწერი: „ამბობენ, რობაქიძე დიდი სტილისტიანო, და ამავე დროს სტენდალის ნათქვამსაც იზიარებენ: „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევთ.“ რობაქიძის სტილი კი მკითხველს თევზის ძვალი-ვით აქვს სულში გახიჩვებული“...
- თ. ხ. — სხვათაშორის გრიგოლ რობაქიძის სტილი გაუკრიტიკებია იოსებ გრიშაშვილსაც: „მე ვამტკიცებ, რომ გრიგოლ რობაქიძემ ქართული ენა და ქართული ენის ბუნება სრულიად არ იცისო“... უპასუხია რობაქიძეს: „რა გაეგება მას (გრიშაშვილს)... ჩემი რიტმული ქართულის, რომლითაც გავშალე ეს ჯადოსნური ქმნილებაო!“- საინტერესო თემაა სტილი...
- გ. გ. — ვაჟა-ფშაველა შეგვაგონებს, მწერლის ნიჭიერება მისი გარეგანი ნიჭიერების, ენობრივი სტილის გამოვლენააო...
- თ. ხ. — და დავაგვირგვინოთ მიხეილ ჯავახიშვილის სიბრძნით: ენა მწერლის ბალავარია...
- გ. გ. — აი, ამ ზოგადი პოზიციიდან ვინცებთ საუბარს!... მწერლის ენობრივი სტილი მრავალგვარი ასპექტით გამოვლინდება. ჩვენ ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას...

* * *

- გ. გ. — გავიმეორებ: მე, როგორც მკითხველს, მაქვს პრეტენზია, რომ სხვაზე უკეთ ვიცნობ თამაზ ხმალადის შემოქმედებას, ამიტომ გავკადნიერდები და ვუმეგზურებ სხვა მკითხველს შენს მხატვრულ სამყაროში... ალაგ-ალაგ ზოგი რაიმეს გამეორება მოგვინევს... მოგვიტევოს ჩვენმა მკითხველმა...

პირველი „ნოველის“ თემად თხრობის სტილი, თხრობის მანერა შევარჩიეთ. თამაზ, საინტერესო ფაქტია, შენი ნაწარმოების პერსონაჟები საუბრობენ თვითონ ერთმანეთის „თხრობის

მანერაზე“, „თხრობის სტილზე“... ნიშნავს ეს იმას, რომ მეტყველების ეს მხარე სხვაზე მეტად ფასეულია შენთვის?

თ. ხ. — სხვაზე მეტადო რა გითხრა, მაგრამ დიდად ფა-სეული რომ არის, უეჭველია.

გ. გ. — რადგან ასეა, ორიოდე მაგალითს დავიმონებ:

კიაზო საუბრობს შიოს შესახებ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“):

„თხრობის მშვენიერი მანერა ჰქონდა — ხატოვანი, ცოცხალი — გეგონებოდა, გარდასულები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავს. ჩავრთავდი მაგნიტაფონს, მეც იქვე ჩამოვჯდებოდი და სიამოვნებით ვუგდებდი ყურს...“ შინაარსობრივად არ ეთანხმება რალაც-რალაცებში კიაზო შიოს, მაგრამ ეს არააო მთავარი: „თავის მონაკვეთს“ ასე ამთავრებს კიაზო:

„ხოლო თხრობის მანერას, რაც შეეხება, მართლაც მშვენიერი ჰქონდა — ხატოვანი, ცოცხალი. გეგონებოდა, გარდასულები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავსო. ჩემთვის ამ მომენტში ეს იყო მთავარი“...

ფრაგმენტი რომანიდან („დროის მკვლელები“): „მომსიბლავი მეტყველება, დახვეწილი მოძრაობები, შესანიშნავი მიმოხვრა“ — აღტაცებული შეჰყურებდა დემნა მეგობარს...“

თ. ხ. — ეს მინდოდა ხაზგასმით მეტეკვა კიაზოს რეპლიკაზე: იმდენად დამაჯერებელი სტილი აქვს საუბრისა შიოს, თითქოს „გარდაცვლილები თვითონ გვიყვებიან თავიანთ ამბავსო“. თუ გვექნება შესაძლებლობა „დროის“ შესახებ საუბრისა, გავიხსენებ ამასაც... ამის მეშვეობით შემოდინ ისინი (გარდაცვლილები) და შიო თავისი თხრობის სტილით ახერხებს ამ შთაბეჭდილების შექმნას...

გ. გ. — ფაქტობრივ ამით ერთი პერსონაჟი (კიაზო) გეხმარება მეორის (შიოს) დახასიათებაში. მკითხველისათვის ეს დამატებითი არგუმენტია — მწერალი პოზიციას განიმტკიცებს, მარტო მე კი არ ვფიქრობ ასეო... ის პერსონაჟიც ჩემი აზრისააო...

თ. ხ. — როცა ერთი პერსონაჟი ახასიათებს მეორის თხრობის სტილს,

მე რთული ამოცანის წინაშე ვდგები: უნდა ვაჩვენო, რომ ის მართლა განსხვავებულად, გამორჩეულად ლაპარაკობს; მე მას სხვასავით ჩვეულებრივად ველარ ვასაუბრებ... ველარ ვამეტყველებ ისე, როგორც სხვას. იმის მეტყველება უნდა შეეფარდებოდეს იმ შეფასებას, პერსონაჟმა რომ წარმოადგინა... ასე რომ, ამგვარი ჩარევით...

- გ. გ. — შენ ამბობ, რომ ამგვარი სურათის შემოტანით მწერალი ირთულებს ამოცანას...
- თ. ბ. — ამას თუ გართულებას ვუნოდებთ, მაშინ ეს აუცილებელი გართულებაა. ისე, როცა იმაზე ვფიქრობ, პერსონაჟმა კარგი ქართულით ისაუბროს, ესეც დედაენის მსახურება მგონია...
- გ. გ. — მე კი არ მგონია, მჯერა, რომ ეს დედაენის ღირსეული მსახურებაა...
- თ. ბ. — დამახინჯებული ქართულით თუ ასაუბრებ პერსონაჟს, ესეც დახასიათებაა მისი... თუ მხატვრული საჭიროება მოითხოვს, ასეც უნდა გააკეთო...
- გ. გ. — შენ ჯაყოსნაირ ქართულზე ამბობ? აქ გამიზნულად ხდება დამახინჯება... ჩვენ მოგვიწევს პერსონაჟთა მეტყველების პრინციპებზე საუბარი... ისე კი, თუ მწერალი წერის დროს იმაზე ფიქრობს, როგორ მეტყველებენ მისი პერსონაჟები, როგორ ამეტყველოს ისინი, უკვე ღირსეული მწერალია (ასე ვფიქრობ მე...)...
- თ. ბ. — მეც ასე ვფიქრობ... მაგრამ მარტო ფიქრი არ შველის... თუ ცოტათი მაინც ვახერხებ, უკვე დიდი საქმეა...

ამის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი მეჩვენება, აი, რატომ: ადამიანისა და ცხოველის მთავარი განმასხვავებელი ის არის, რომ ადამიანი მეტყველია, ცხოველი — პირუტყვი, მეტყველება ყველას შეგვიძლია, მაგრამ თვითონ ადამიანებს ის განგვასხვავებს ერთმანეთისაგან, როგორ ვმეტყველებთ, როგორი ქართული ვიცით თითოეულმა ჩვენგანმა, მართლმეტყველება როგორი გვაქვს, მხატვრული მეტყველება — ეს გამოგვარჩევს ერთმანეთისაგან...

- გ. გ. — ყოფილა შემთხვევა. გვითქვამს, ისეთი ლაპარაკი იცის,

დამსვი და მასმენინეო...

- თ. ბ. — პერსონაჟებიც, რა თქმა უნდა, ამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან,... ე. ი. ერთ-ერთი მახასიათებელი პერსონაჟისა უნდა იყოს მისი საუბარი, თხრობის მანერა, თხრობის კულტურა...

* * *

- გ. გ. — თხრობის მანერა, თხრობის სტილი — მწერლის სტილის მთავარი ასპექტი მგონია...

როცა ბასილ მელიქიშვილის ენობრივი სტილის საკითხებზე ვმუშაობდი, ვიფიქრე რომ რალაცას მივაგენი-მეთქი... ვცდილობდი ამომეხსნა მწერლის სტილის ის თავისებურება, რასაც თხრობის სტილს უწოდებენ; ბასილ მელიქიშვილის სტილის მთავარ მახასიათებლად სწორედ ეს მივიჩნიე, რასაც პირობითად „მთხრობელის სივრციდან სივრცეში მიმოსვლა და გრამატიკულ პირთა მონაცვლეობა ვუწოდეთ...“ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებიდან მახსოვდა მსგავსი ფაქტები... შენ ვაჟა-ფშაველაზე მიმითითე. ვაჟას პოემებიდან („სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“) ის ეპიზოდები გამახსენე, მთხრობელი (მწერალი) რომ შედის სამოქმედო სივრცეში, იქცევა პერსონაჟად (I პირად) და დიალოგს უმართავს ჯერ ჯოყოლას (XI თავი) და მერე ალაზას (XIII თავი)... ასევე „ბახტრიონის“ XVI თავში — გამარჯვებული ლაშქრისა და მთხრობელის (მწერლის) დიალოგი... არადა თითქოს კარგად ვიცნობ-დი ამ პოემებს...

- თ. ბ. — ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ კაცი...
- გ. გ. — შენ რომ ეს ფაქტები შეამჩნიე და გახსოვდა, არც ეს მგონია შემთხვევითი. ეტყობა, ის პრობლემა შინაგანად შენც გაფიქრებდა...
- თ. ბ. — შემთხვევითი არაა, რა თქმა უნდა; ასეთი რამ შემთხვევით არა ხდება...
- გ. გ. — მე მგონია, ამ ფაქტს რომ ყურადღება მიაქციე, შენ თხრობის სტილის ძიების პროცესში იყავი მაშინ...
- თ. ბ. — ჩემი ყურადღება იცით რამ მიიქცია? რთულ სიტუაციაში

ჩავარდნილმა მწერალმა როგორ მოძებნა გამოსავალი. გავიხსენოთ: ჯოყოლა და ალაზა თემიდან მოკვეთეს; მათთან ურთიერთობა ყველას ეკრძალება. ხევესურებმა გამოილაშქრეს ქისტეთში ზვიადაურის ძვლების ნასაღებად... შემოესივნენ ჯარეგას. ვილაცამ უნდა აცნობოს ჯოყოლას და მოუწოდოს, შეებას ხევესურებს. ჯოყოლას მხოლოდ ორი გულშემატკივარი ჰყავს შერჩენილი — ალაზა და ავტორი...

ვთქვათ და ალაზამ მოუწოდა ჯოყოლას (დავანებოთ თავი „პრინციპს“ — „ქალი ომსა რაგვარ მანვევს“...); მერე მარტო დარჩენილ ალაზას ვინ თანაუგრძნობს? და გენიოსი ვაჟა აქ იპოვის დიდოსტატურ გამოსავალს: თავად „შეაბიჯებს“ სამოქმედო სივრცეში — ჯერ ჯოყოლას გამოაფხიზლებს („კარში გამოდი, ჯოყოლაჲ“) და მერე ალაზას მიმართავს („უცხო კაცისა მოზარევ“...)... მსგავსი ვითარებაა „ბახტრიონშიაც“... ავტორ-მთხრობელი ფშავის კართან ეგებება გამარჯვებულ ჯარს და გაუმართავს დიალოგს...

- გ. გ. — ამგვარ სტილურ ხერხს საინტერესოდ იყენებდა მიხეილ ჯავახიშვილიც, რომ აღარა ვთქვა ბასილ მელიქიშვილზე...
- თ. ხ. — ამ სტილური ხერხის შემჩნევა და შემდეგ გამოყენება ღვთის ნყალობა იყო...
- გ. გ. — ამ კუთხით გადავხედე შენს მოთხრობებსა და რომანს და საინტერესო სურათი დაიხატა. მე ფაქტს მივანიშნებ: მწერალი თამაზ ხმალაძე თხრობის სხვადასხვა ვარიაციას გამოიყენებს. ჩვეულებრივია ტრადიციული „მესამე პირში დაწერილი“ ნაწარმოებები („მოლოდინი“, „დაცლილი ჭურჭელი“...) ასევე „პირველ პირში დაწერილი ნაწარმოებები“ („უკანასკნელი აღმართისკენ“, „სადღეგრძელო“...)... და გვაქვს ასე ვთქვათ, „არატრადიციული“ მანერით დაწერილი ნაწარმოებები. თუნდაც მოთხრობა „სისხლი“...
- თ. ხ. — ეს ახალგაზრდობისდროინდელი მოთხრობაა...
- გ. გ. — ალბათ სიახლის სურვილი, თხრობის ვარიაციების ძიება — ე. წ. შერეული ვარიანტი...
- თ. ხ. — აქ თავისებური ის არის, რომ იცვლება მთხრობელი. ავტორ-მთხრობელი და ორი პერსონაჟი — „მე და ჩემი მასწავლებელი“

ლი“, რომ იტყვის ბიჭი...

გ. გ. — რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან მოთხრობიდან, რომ ვნახოთ, როგორია მწერლის სურვილი ორიგინალური თხრობის სტილის შექმნისა:

თხრობას იწყებს ავტორ-მოთხრობელი და ჩვეულებრივ შეუძინევლად ყოველგვარი პირობითი ნიშნების გარეშე (ტირე, ბრჭყალები) საუბარს აგრძელებს ბიჭი... პირველი აბზაცი ავტორ-მოთხრობელისაა, მეორე აბზაცი — ბიჭისა:

„გაზაფხული იდგა ოთხსავეკუთხივ, იმისი სუნთქვა იგრძნობოდა ყველგან, იმისი ხელი ეტყობოდა ატალახებული საურმე გზის დაბლა აყეფებულ, ქეჩოაშლილ მდინარეს, პირდაპირ აყუდებულ ნაბლით შემოსილ ქედებსაც და ქედებქვეშ თითო ნაბდის გაშლაზე დამუშავებულ საყანებსაც. გრძელი ზამთრისაგან თავგაბებრებული პატარა სოფელი რაღაც ახლისა და შეუცნობის მომლოდინე ქალიშვილივით ილამაზებდა თავს, ყვავილებით ირთებოდა, ყვავილებში მალავდა ხინჯსა და ზადს. მზე მზეობდა, ბუნება კეკლუცობდა, ღმერთი კიდევ ერთხელ გვიჩვენებდა ედემის იმიტაციას დედამინაზე და გვახსენებდა, რა განძი დავკარგეთ ჩვენი და-უფიქრებელი წინაპრის მეოხებით, მაგრამ იმას არ ითვალისწინებდა, რომ ამ სიმშვენიერეში არავის ეცლებოდა წარსულზე საფიქრალ-სადარდელად, უკან საყურებლად.

იმ დღეს მე და ჩემი ქიმიის მასწავლებელი ერთად ვბრუნდებოდით მეზობელი სოფლის სკოლიდან. გული წინ გამიბოდა, ფეხებს ვერ ვიოკებდი — მიჭირდა მოხუცი კაცის ნაბიჯით მევლო მეცხრეკლასელ ბიჭს. ისიც ჩემს ჯიბრზე იქცეოდა, ხვნეშა-ხვნეშით, სვენებ-სვენებით მომდევდა გვერდით, გაჩერდებოდა, ისეთი ინტერესით ჩააცქერდებოდა ალაფებულ შარას, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გზაზე სიარულში არ გაელიოს. სოფლის კართან ერთხელ კიდევ შედგა, ერთხელ კიდევ ჩააკვირდა საკუთარ ფეხებს და როცა იმედი გადამინყდა, გათავდა, ეხლა კი აღარ დააყენებს-მეთქი წამოსვლას საშველს, მომიბრუნდა და ამდენი ხნის მანძილზე პირველად ამოიღო ხმა.“

და ასე ბუნებრივად, თითქოსდა შეუმჩნევლად, გადაეცემა მთხრობელის „ესტაფეტა“ ერთიდან მეორეს და მორიგეობით თხრობენ ავტორი, ბიჭი, მასწავლებელი... მერე „მოქმედ პირად“ (მეორე პირად) შემოდის „წარმოსახვითი“ პერსონაჟი — „თორღვა“ და ა. შ. ...

სწორად წარმოვადგინე სქემა?

თ. ხ. — ჰო, ასეა...

გ. გ. — თამაზ, რაიმე კომენტარს ხომ არ გააკეთებ? დღეს რომ წერდე ამ მოთხრობას, დღესაც ასე დაწერდი? რამ განსაზღვრა თხრობის ასეთი სტილი.

თ. ხ. — სათქმელმა, ჩემო გიორგი, სათქმელმა; იმან, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“ (ა. კალანდაძე); „ის“ გეხმარება, რომელი ნაწარმოები როგორ უნდა დაინეროს, როგორ აიგოს, თხრობის რა ვარიაცია უნდა შეესაბამოს...

მერე ისევ ავტორ-მთხრობელი, რომელიც არ არის პერსონაჟი... ისევ ბიჭი... ისევ ავტორ-მთხრობელი და ბოლოს, როგორც ითქვა, მეორე პირი „თორღვა“...

გ. გ. — თხრობის ვარიაციის თვალსაზრისით, კომპოზიციური თუ სტილური თავისებურებები ძალზე საინტერესო მეჩვენება (ორიგინალურად!) მოთხრობაში „ამბავი ჩალამ-ბარასი და კიდევ სხვისა“...

თ. ხ. — გეთანხმები, განსხვავებულობა აშკარად ჩანს სტილისა ამ მოთხრობაში.

გ. გ. — ყველა მოთხრობასა და ყველა ვარიანტზე, ცხადია, ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ცოტა ხანი ამ მოთხრობას დავუთმობ... ეს სხვათაგან საინტერესოდ სხვაობს...

— მოთხრობა დაწერილია პირველ პირში. მაგრამ ეს პირველი პირი არის სხვადასხვა... არა დიალოგის მონაწილე პირები (დიალოგში გაიცვლება პირველ-მეორე პირები), არამედ მთხრობელი იცვლება. თითოეული მთხრობელი ქვესათაურადაა გამოტანილი და თანმიმდევრულად თხრობენ ამბებს (არა ერთსა და იმავეს, არამედ სხვადასხვას. — კიაზო, შიო, ანუსია (შიო, ანუსია, შიო, კიაზო) გაიანე, გიგა, ვანო ჯა-

ნიაშვილი (გაიანე), ანუსია, გაიანე), მ..., (კიაზო)...

თითოეული მონათხრობი თითქოსდა დამოუკიდებელი ამბავია, თითქოსდა არაა ერთმანეთთან დაკავშირებული, (თუმცა თუ ჩავუფიქრდებით, არ აღმოჩნდება ეგრე...)... თა-მაზ, აი, ეს სქემა, აი, ეს ვარიაცია თხრობისა რა არის, ნაფიქრი გაქვს, საგანგებოდ შემუშავებული თუ სპონტანურად მოსუ-ლი?... ესეც იმისგან, „რაიცი შთაგონებით გწყალობს?“...

თ. ბ. — არა, სპონტანურად არა, ზემოთაც ვთქვი: სათქმელი მოითხოვს ფორმას... სათქმელმა მოითხოვა, რომ პერსონაჟებს თვითონ ესაუბრათ თავს გადახდენილ ამბებზე. აქ ასე გამოდის... აი, მაგალითად, აკუტაგავას „უსიერ ტყეში“ დაახლოებით ასეა აღწერილი: ჰყვებიან ერთ ამბავს პერსონაჟები, ოღონდ ყველა სხვადასხვანაირად ჰყვება.

გ. გ. — ამბავი ერთია...

თ. ბ. — ამბავი ერთია... აქ ჩემთან წინააღმდეგობა არ არის პერსონაჟებს შორის. დანახული კი არის თითოეული მთხრობელის საკუთარი გადასახედიდან, ამბავი რომ იცვლებოდეს და რალაც ამდაგვარი, ასე არ არის...

გ. გ. — ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა ამ მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ, რომ არის გარკვეულად კონსპექტი ვრცელი ტილოსი, ვთქვათ რომანისა: თვითონ იმ ანუსიას ამბავი, თვითონ იმ გაიანეს და გიგას ამბავი, შიოსა თუ კიაზოსი; თუნდაც იმ ვანო ჯანიშვილისა... დიდი ტილოა, ეს...

თ. ბ. — კონსპექტივით არის არა?

გ. გ. — ჰო, კონსპექტივითაა...

თ. ბ. — მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს?

რა კარგი იქნებოდა, ეს რომ გაშლილიყო, ამას ამბობ შენ...

გ. გ. — ჰო, ამას ვამბობ და, აი, რატომ: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **შენ ზედმეტად ენდობი მკითხველს...** თუმცა, მოდი, ამ თემაზე სხვაგან (შემდეგ ნოველაში) ვისაუბროთ;

აქ იმას დავამატებდი, რომ ეს მხარე თამაზ ხმალაძის მხატვრული სტილისა ბევრ საფიქრალს აღძრავს მკითხველში. გარ-

და ზემოხსენებული მოთხრობებისა, მსჯელობაში აქ სხვა ნაწარმოებებიც უნდა შემოვიდეს (თუნდაც მოთხრობები: „გზა“, „ღრჯუ“... და რომანიც — „დროის მკვლევლები“)... მიზანი რა შეიძლება იყოს ამგვარი კვლევისა? — თუკი იქნება შესაძლებელი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა: **რა განსაზღვრავს თხრობის სტილის არჩევანს...** ვთქვათ, „ამბავი ჩალამბარასი“ შეიძლებაოდა თუ არა იმგვარად დაწერილიყო, „ნასყიდას ვატერლოო“ რომ არის... წინასწარ ვიტყვით არაო, მაგრამ რატომ არა? — ამგვარი კითხვების დასმაც უკვე გარკვეული შედეგია... ალბათ დადგება ამისი დროც...

ნდობა მკითხველისა

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, როცა თხრობის სტილზე ვსაუბრობდით და შენს საინტერესო, ორიგინალურ გადაწყვეტაზე თხრობის ვარიაციის არჩევისა, მაშინ გაჩნდა ეს კითხვა: **ზედმეტად ხომ არ ენდობი მკითხველს?** შეძლებს მკითხველი მწერლის რთული ჩანაფიქრის წვდომას?

თამაზ ხმალაძე — გიორგი, კითხვა ასე ხომ არ უნდა დავსვათ: ზედმეტ თავსატეხს ხომ არ ვუჩენ მკითხველს, ამოსაცნობსა და მისაგნებელს ბევრს ხომ არ ვუტოვებ? — არა მგონია. მჯერა, მიმხვედრი მისახვედრს აუცილებლად მიხვდება. ახალგაზრდობიდანვე მომწონდა ალბერ კამიუ: მწერლისათვის უმჯობესია, რაღაცა სრულად არა თქვას, ვიდრე ზედმეტი თქვასო.

ჩემს მკითხველს ვერაფრით შევადარებ მორბენალს — ვერც სპრინტერსა და ვერც მარათონელს — რომლის ერთადერთი საფიქრალი ფინიშისაკენ სწრაფვაა. ჩემი მკითხველი მოგზაურია, სხვა სამყაროში რომ შემოვიდა მის შესაცნობად, მოსახილველად. მიდის და მშვიდი ცნობისნადილით ათვალეერებს ყველაფერს, ტკებუბა. ზოგჯერ ჩერდება (რამე ხომ არ გამომჩრაო) და უკანაც ბრუნდება საინტერესო ადგილის ხელახლა მოსაჩხრეკად (ფიქრში მაინც).

გ. გ. — მაშინ საკითხი ასე დავსვათ: ვინ არის მკითხველი? ვის გულისხმობ მკითხველად?

თ. ხ. — მკითხველი ჩემი თანაავტორია, გიორგი, თანამოაზრეა, რომლის გარეშე ჩემი ნაწარმოები ვერ შეიქმნება. ყოველი ნაწარმოები იქმნება მკითხველთან ერთად, მოთხრობაა თუ რომანი; იქმნება მკითხველის თანაავტორობით და სანამ ეყოლება მკითხველი, მანამ იცოცხლებს ეს ნაწარმოები... როცა ის

მკითხველი აღარ იქნება, რომელსაც მე ვგულისხმობ, აღარც ეს ნაწარმოები იარსებებს...

გ. გ. — მწერალი ქმნის ნაწარმოებს მკითხველთან ერთად და შემდეგ ამ ნაწარმოების სიცოცხლე მკითხველზეა დამოკიდებული... საინტერესოა ჯაჭვი იქმნება: ნაწარმოების სიცოცხლე მკითხველზეა დამოკიდებული; მწერლის სიცოცხლე — ნაწარმოებზე... სწორად გავიგე, თამაზ?...

თ. ბ. — დიას... მაგალითად, ჩემთვის მკითხველი უცხო ვინმე არ არის...

გ. გ. — შემოიძლია დაასახელო თუნდაც ერთი მაგალითი ამგვარი მკითხველისა?

თ. ბ. — ერთიც შეიძლება და მეტიც. საერთოდ, მკითხველი მხოლოდ ის ხომ არ არის, ვინც ამჟამად ახალგაშობილებს ლიტერატურულ პროდუქციას კითხულობს. გარდასულებიც ხომ ჩვენთან არიან და მათ მუდმივ ზეგავლენას განვიცდით. მუშაობისას ხომ მათ შენევენასაც ვგრძნობთ, მეოხად გვყვანან.

გ. გ. — კერძოდ?

თ. ბ. — ბატონი ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ბიბილური და გურამ დოჩანაშვილი, ნოდარ ნულისკირი და ნუგზარ შატაიძე, ჩვენი ავთო გაფრინდაშვილი და ლაშა გახარია... ცოტანი არ არიან. ჰო, წერისას აუცილებლად გაკრთება ხოლმე ფიქრი: რომ წაეკითხათ, რას მეტყობდნენ, რას დამინუნებდნენ, რას მომინონებდნენ, რას მირჩევდნენ... თუ დამიჯერებ, წერისას თქვენც ჩემთანა ხართ — ჩემი შემორჩენილი სამეგობრო და აი, ისინიც — ჩემი შვილიშვილების შვილებიც, თუკი წიგნი იმ დროსაც იქნება.

იმ მკითხველსაც შემოველოს ჩემი თავი, რომ პირადად არ მიცნობს და არ ვიცნობ. კარგ ნაწარმოებში სათავისო ყველანაირმა მკითხველმა უნდა ნახოს, ეგ არის ოცნება ყველა მწერლისა. სამწუხაროდ მგონია, რომ მე აქ ფეხი არ ჩამივა.

გ. გ. — ერთ-ერთ საუბარში ნუგზარ შატაიძე ახსენე, როგორი აღფრთოვანება გამოხატა, შენი ერთ-ერთი მოთხრობის დასაწყისი ფრაზა რომ წაიკითხა (მოთხრობა „დაცლილი ჭურჭელი“, პირველი წინადადება „ბუზმა შეანუხა“)...

თ. ბ. — მოდი ამ ადგილს ჩავიკითხავ იმ დიალოგიდან:

„მოთხრობა დასაბუქდად მიუტანე ნუგზარ შატაიძეს (იმხანად გამოდიოდა მართლაც შესანიშნავი, მსოფლიო დონის ჟურნალი „ომეგა“ როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით და ნუგზარი იქ პროზის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ასეთ ჟარნალში დაბუქდვა ნამდვილად დიდი პატივი იყო). დაიწყო თუ არა კითხვა ნუგზარმა, წამოხტა და გადამკოცნა; — „აი დასაწყისი!“ — დაიძახა. ამ ამბავს სხვებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: „ამისთანა რა ნახაო?!“...

გ. გ. — ასეთი მკითხველი (სწორად რომ შეაფასებს და მოერიდება თავისი აზრის ხმამაღლა გამოხატვას...) ბევრი გეგულება?

თ. ბ. — არა, არ არის ბევრი... რამდენიმე რომ იყოს და იმათთვის წერო, პატარა საქმეა?...

გ. გ. — დიდი საქმეა!...

თ. ბ. — საბედნიეროდ, არიან გარდასულებიც, დღევანდლებიც და მომავალშიც იქნებიან... დღეს ვინც კითხულობს ჰო, მაგრამ იმისი შვილი სხვანაირად წაიკითხავს...

გ. გ. — თამაზ, ის, რაც ნუგზარ შატაიძემ გააკეთა შენი მოთხრობის წაკითხვისას, რას ნიშნავს მწერლისთვის? სტიმული? ნახალისება?

თ. ბ. — რა თქმა უნდა, ერთმანეთის გვერდში დგომას, ერთმანეთის დაფასებას. ნუგზარი საუკეთესო ადამიანი და დიდებული პიროვნება იყო იმათ შორის, ვისაც შევხვედრივარ.

გ. გ. — თანამოკალმის დაფასებაზე რომ საუბრობ, რეზონანიშვილის ერთი ჩანაწერი გამახსენდა: ჩვენს საძმოშიო ნუთუ არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას და თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთოვანებთო?...

თ. ბ. — ნუგზარი იმ ჟურნალში პროზის განყოფილებას განაგებდა და ყველაფერს კითხულობდა. შემჩნეული მაქვს: თავისი შემოქმედების შესახებ მკითხველის აზრს „წინასწარ“ „მოსინჯავდა“... რამდენიმე ადამიანს („მკითხველს“) გვიყვებოდა, რის დაწერასაც აპირებდა; რეაქციას აკვირდებოდა და ითვალისწინებდა

კიდევ... — ისიც ვთქვათ: თავად ამბობდა, მე ვერა ვწერო, რაც ცხოვრებაში ხდება, იმას აღწერო... წერდა კი დიდებულად, როგორი ფაქიზი ფსიქოლოგიური მიგნებები ჰქონდა...

* * *

- გ. გ. — თამაზ, მკითხველის შესახებ გავიგე შენი აზრი. მოდი ისევ იმ კითხვას დავუბრუნდეთ: შენ ზედმეტად ხომ არ ენდობი მკითხველს (როგორც შენ იტყვი, თავსატეხს ხომ არ უჩენ მკითხველს)? მოდი, დავაკონკრეტებ სათქმელს.
- თ. ბ. — ვცადოთ...
- გ. გ. — წინა ნოველაში თხრობის სტილის თავისებურებაზე ვსაუბრობდით. მოთხრობა „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“ გავიხსენეთ. ამ მოთხრობის ძირითადი სტილური თავისებურება ისაა, რომ რამდენიმე მთხრობელი ჰყავს. ვთქვათ, ჰყვებიან მთხრობლები თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ამბებს... კიაზო, შიო, ანუსია, გაიანე, გიგა... და ვანო ჯანიაშვილი... ვანო ჯანიაშვილი თითქოსდა სხვა მთხრობელთა მსგავსად შემოგყავს, მაგრამ... მთხრობელი არ ამბობს არაფერს...
- თ. ბ. — თითქოსდა გვეუბნება, „მე რა უნდა ვთქვა“, „მე რა მეტქმის...“
- გ. გ. — და მკითხველი უკვე საგონებელშია: რას ნიშნავს უსიტყვო მთხრობელი?...
- თ. ბ. — ამ ხერხით მწერალი რაღაც მინიშნებას აკეთებს — ამის წინ მოთხრობილ ამბავთან მიმართებით (გიგას მონათხრობი). გიგასა და იმ „ყაჩაღის“ შეხვედრის შესახებ...
- გ. გ. — „შემოდის“ ჯანიაშვილი, უსიტყვოდ „გადის“ ჯანიაშვილი და მერე (მომდევნო თხრობაში ვიგებთ, რომ ის „ყაჩაღი“ ვანო ჯანიაშვილი ყოფილა (გიგამ რომ ნაართვა, იმ თოფის კონდახზე ეწერათ)...
- თ. ბ. — მოთმინება, მკითხველო, მოთმინება (გახსოვს „ხანუმა?“)...
- გ. გ. — მოვითმინე და გავიგე და ახლა ახალი საფიქრალი გამიჩინე — რა შუაშია გაიანე, გიგა და...
- თ. ბ. — ჰოდა უნდა გაიხსენო, რა ითქვა ადრე და რა ითქვა შემდეგ...
- გ. გ. — ჰოდა, ამას ვამბობ, მწერალო, მე მკითხველი: ნავედი წინ და

ვეძებ ახსნას ამისას... დავდივარ წინაუკმო და ვალაგებ ამბებს, აზრებს:...

გაიანეს ნათქვამი (ჯანიაშვილის შემოსვლამდე), „ხშირად არც კი ვიცნობდით, მიგვიყვანიან და დაგვაყენიან ერთმანეთის გვერდიგვერდსა...“

„არა, მე სხვა მიყვარს, მაგას როგორ ამოვუშვებდით პირიდანა...“

თუმცა დედამისს საყვედური მაინც უთხრა: „ზედაშიანში რო არ გაგეთხოვებინეთ, რაა, აქ ბიჭები დაილივნენ, აქაურების დასანახვი თვალები რამ დაგებრმავათმეთქი...“

მერე როგორ „შეიცხადა“ ჯანიაშვილი „ყაჩაღობის“ ამბავი? — „ლოცვაზე წასასვლელად ვემზადებოდი, წვრილად მოჰყვენენ: გუშინ გიგას ეგეთ-ეგეთი ამბავი შეემთხვაო. პირკატა მეცა, ვაი, შე ბედდამწვარო ჩემო თავო-მეთქი და იქვე ჩავიკეცე...“

„თხრობის ბოლოს: დაინანებს. ჰყვება გაიანე: გადაასახლეს და აღარც დაბრუნებულაო. რაო, რა ერქვაო, — ჩაეკითხა ვილაც. „რაც ერქვა ერქვა, ახლა უკვე სუ ერთი არ არი? თოფის კონდახს ეწერა-მეთქი. **ნეტა იქაც არ წერებულიყო“...**

და კიდევ ერთი საინტერესო ფრაზა: „ეგრე იყო, რო არც ქმარი შემარჩინა დიდხანს ღმერთმა...“ — ჯანიაშვილსაც გლოვობს ამ დანანებაში...

თ. ბ. — ესე იგი, თუ ცოტა მეტად მოინდომებს მკითხველი (როგორც შენ იტყვი, წინაუკმო მიმოიხედავს)... ამ დროს თუ გიგას მონათხრობსაც მიაქცევს ყურადღებას, გაიიოლებს საქმეს. გიგა გაიკვირვებს „ყაჩაღის“ დახვედრას აქ. „ამ უხვედრ ალაგას დღეში ერთი კაცი ან გაივლის ან არა, ამან ნაძარცვს რა ბარაქა უნდა მოჰკიდოს-მეთქი და კიდევ: „იმას ყაჩაღის ფხა და მარიფათი არ ემჩნეოდა“... ეჭვი და ინტერესი სწორედ „უსიტყვო მთხრობელის“ შემობრუნებამ გამოიწვია...

გ. გ. — ახლა რომ ვუკვირდები, უსიტყვო მთხრობელი ძალიან ორიგინალური მიგნებაა... ამ პასაჟების დალაგებით (წინაუკმო მიმოსვლით) გაირკვა ამბავი გაიანესა და ჯანიაშვილის „სიყვარულისა“...

- თ. ბ. — ჯანიაშვილიც ისეთივე პერსონაჟია, როგორც დანარჩენი, მაგრამ „პირი წყლითა აქვს სავსე“, „აბა რა ვთქვაო“, — ფიქრობს...
- გ. გ. — და მკითხველმა ეს ფიქრი უნდა ამოიკითხოს... როგორც ვთქვი, „უსიტყვო მთხრობელის“ შემოყვანა ძალიან საინტერესო სტილური ხერხია (ინტერესს ამძაფრებს...) და ორიგინალური... სხვა მსგავს შემთხვევას ვერ ვიხსენებ... შევნიშნავ: რომ არა თხრობის ეს ვარიანტი, „უსიტყვო პერსონაჟი“ არ გვეყოლებოდა!
- თ. ბ. — რა დაგიმალო და, როცა დამებადა ეს იდეა, მაშინვე მომეწონა... დღესაც მომწონს...
- გ. გ. — ერთ რამეში ალბათ მაინც დამეთანხმები: არაა ასე იოლი მწერლის ჩანაფიქრის ამოცნობა (ჩემი თქმით — „ზედმეტად ენდობი მკითხველს“, შენი თქმით, „ზედმეტად ტვირთავ?“)... ამგვარი ქვეტექსტი საკმაოდ ძნელი ამოსაცნობია...
- ეს არ არის ერთადერთი „გამოცანა“, რომელსაც მწერალი თამაზ ხმალიძე სთავაზობს მკითხველს. თამაზ ხმალიძის ფანტაზია სხვა საინტერესო გამოცანებსაც შემოსთავაზებს... ამ საკითხის დასმის უფლება რომ მაქვს, მე, მკითხველს, სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიშველიო...
- მოთხრობა „ორი ზოლი“:
- ლიზა ბაბო „დროში ჩაკარგული“ თავისი ოჯახის საიდუმლოს ჰყვება... ასე აეწყო ლიზას ცხოვრება: „მოვიდა ჩემი მაზლი ჩემს დასანიშნად და ჩემი საქმროსი წინდა მოიტანა“...
- თ. ბ. — ეს უკვე გამოცანაა, ნიშნობაზე არ მოიყვანს სასიძო... და მერე:
- „მამიყვანეს შინ. ქმარი იმ დღიდან წავიდა და წავიდა!“... წელიწადნახევრის შემდეგ, ბნელ ღამეში „თავზე ვილაცა დამადგა, გვერდზე მომიწვა და ჩამჩურჩულა, ხმა არ ამართლო. აეგრე მოხდა...“
- გ. გ. — ამ ყოველივეს ისიც დავუმატოთ, მეორე დღეს დედამთილი ქმარს რომ უქებს... სხვებსაც უთხარი, როგორი ქმარი გაყავსო...

ჰყვებიან ამბებს და ლიზა ბაბოს სევდიანი ისტორია უამრავ ეჭვს აჩენს...

ქმარი... მაზლი... დედამთილი... აქაც გაიმეტე მკითხველი სა-
ორჭოფოდ...

ისეთი ეჭვიც არის, ქმარი არც უნახავს, მაზლი არის „ავი მო-
კეთე“... თითქოსდა მიანიშნებს ამის თაობაზე; მერე ისევ უნდა
მოტრიალდე, ხელახლა გაიარო ეს გზა...

„ეჩვენება, რომ სხვებისათვის უკვე დავინწყებულ დროში ჩაკა-
რგულ თავიანთი ოჯახის საიდუმლოს უცხოებსაც უმხელს
ლიზა ბაბო“... არა **ოჯახის ამბავს**, არამედ **საიდუმლოს**...

თ. ბ. — ფიქრობ, რომ მკითხველს ვანვალებ?

გ. გ. — არა?

თ. ბ. — არა. მოგაბრუნე, კი ჩაგაფიქრე... სადღაც უნდა გაჩერდე, სად-
ღაც უნდა მიტრიალდე. მე ასე მგონია, კარგ ნაწარმოებს რომ
წაიკითხავ, ჩახვალ ბოლომდე, რამდენიმე დღის შემდეგ უკან
უნდა მოგატრიალოს. იმან რატომ თქვა ისაო... ეს ნვალეზა არ
არის მკითხველისა... იცი, რა ხდება? — ნაწარმოები (ტექსტი)
მაშინ კი არ მთავრდება, მწერალი ბოლო წერტილს რომ და-
სვამს; ნაწარმოები მთავრდება მაშინ, მკითხველი ბოლო
წინადადებას რომ წაიკითხავს...

გ. გ. — „ორი ზოლი“ შედარებით მარტივია... მკითხველი იფიქრებს
თუ არ იფიქრებს ქმარ-მაზლის ამბავს, საბოლოო ჯამში ამით არ
შეიცვლება... აი, ჩალამბარას ამბავში კი...

თ. ბ. — ორივე მოთხრობაში ასე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს შიოს
მოყოლილი ამბებია; თითქოს სხვა ჰყვება, მაგრამ ეს შიო
გამტარია...

გ. გ. — თამაზ, ამ მოთხრობის კითხვისას ასეთი განცდაც არის: თი-
თოეული მოთხრობელი ცალ-ცალკე ზის და ჰყვება, მაგრამ
შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ერთ სივრცეში და ერთ
დროში არიან და ყველა ყველას საუბარს ისმენს...

თ. ბ. — თუ ეს შთაბეჭდილება რჩება, კარგია... არადა მოთხრობაში
ასე არ არის რეალურად...

გ. გ. — აი, რატომ იქმნება ეს შთაბეჭდილება: ჰყვება გაიანე: „ნესად იყო დიდებული, დანიშნული ქალი უნდა ზიარებულყო... ეს თხრობა ამ წინადადებით მთავრდება: „მაშინ ჯერ კიდევ მეჯავრებოდა“ (გიგაზე ამბობს)... წესით, გიგა ამას არ ისმენს... არადა გიგა ასე იწყებს თავის თხრობას: „დანიშნული ვაჟიც უნდა ზიარებულყო“... ვაჟიცო... ე. ი. აგრძელებს გაიანეს თხრობას...

თ. ბ. — თითქოს უსმენენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, არც დროში და არც სივრცეში ისინი ერთად არ იყვნენ იმ დროს. მაგრამ თითქოს ესმით ერთმანეთის ყველაფერი...

გ. გ. — აი, ეს „შინაარსობრივი გამოცანები“, მკითხველის მიერ ამოსახსნელი ამბები ისე ოსტატურად გააზრებული, არ მოასვენებს მკითხველს... ცალკე თემაა ამ მხრივ რომანი „დროის მკვლელები“... ეს იმ რიგის კითხვაა, „მკითხველის ნდობა“ რომ დავარქვი: ვინ არიან დიმიტრი და ელენე და რა ინტერესი აქვთ მათ დემნას მიმართ? ერთ დიალოგში შეკითხვა დავისვი:

„თავისი სახელ-გვარის გამოცვლა თუ მოუთხოვია შენთვის პერსონაჟს?“... შენი პასუხი ასეთი იყო:

„ამ თვალსაზრისით, მე, ჩემდა თავად, ყველაზე მეტად „დროის მკვლელების“ პროტაგონისტმა გამანვალა — ძველი რევოლუციელივით ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოიცვალა სახელი. მერე, როცა ამ რომანის ბოლო ვარიანტს ვკითხულობდი, თითქოს სხვის ნაწარმოებში მიმეკვლიოს და აღმომეჩინოს, მის სავარაუდოდ პაპას დიმიტრი (დემეტრე) რომ ჰქვია და ამანაც სწორედ ამიტომ შეიშნოვა და დაიტოვა სახელი „დემნა“. არადა წერის დროს ამაზე არ დავფიქრებულვარ“.

თამაზ, ამ დიალოგიდან მე მივიღე პასუხი დასმულ კითხვაზე (რა ინტერესი აქვს დიმიტრის დემნას მიმართ), მაგრამ ეს ამ დიალოგიდან...

საკითხის დასმისთვის ვიკმაროთ ეს საუბარი... შეიძლება გამოდგეს გზამკვლევად...

თ. ბ. — ღმერთმა ქნას...

მწერალი, მოხრობელი, პერსონაჟი

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ჩვენ ასე შევთანხმდით: ვინცებთ საუბარს იმ შეკითხვით, რომელსაც შენი ნაწარმოები აჩენს და შემდეგ საჭიროებისამებრ გავდივართ „გარეთ“, ოღონდ იმავე თემის „ახლო-მახლო“... წინა ნოველებში თხრობის სტილზე, მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულებაზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი განსახილველი ნაწარმოები იყო „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“... ამ მოთხრობაში საინტერესო თავისებურება ისიც არის, რომ მოთხრობელთა რიგში (კიაზო, შიო, ანუსია, გაიანე, გიგა...) შემოდის მ...

თამაზ ხმალაძე — მწერალი... თქვას იმანაც სიტყვა, რა მოხდება!...

გ. გ. — მას არაფერი უთქვამს? ვინ ალაპარაკებდა იმ მოთხრობლებს?

თ. ხ. — როგორც ჩანს, ტერმინებისა და ცნებების დაზუსტება დაგვჭირდება. საუბარია ტერმინებზე — ავტორი, მწერალი, მოთხრობელი.

გ. გ. — ვთქვით წინა ნოველაში — ნაწარმოები შეიძლება იყოს დაწერილი მესამე პირში, შეიძლება — პირველ პირში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვინ არის მხატვრული ნაწარმოების პირველი პირი? აქ დავიმოწმებ რეზო ინანიშვილის მსჯელობას. მწერალი საუბრობს პირველ პირში დაწერილი თავისი ერთ-ერთი მინიატურის შესახებ. რეზო ინანიშვილი წერს: „ვინ არის ცხენიდან ჩამოვარდნილი, ნათრევი, დაჩეჩქვილი, ისიც თუშეთის მთებში? „მე“ პირველი პირი თითქმის არაფერს ნიშნავს, არ შეიძლება გაიგივდეს იგი არც ავტორთან, რადგან სიტყვა „ავტორი“ კონკრეტულს ვერაფერს წარმოადგენინებს განსაკუთრებით მკითხველთა ფართო წრეს; ამ წრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ ნაწარმოებიდან ამომავალ სახეს, მის სოციალურ სანცისს“...

თ. ბ. — არ მახსოვდა; საგულისხმო მსჯელობაა...

გ. გ. — „მე“ ყოველთვის ვერ იქნება „ავტორი“, „მწერალი“... ამიტომ იმ ნაშრომში ეს ორი ტერმინი ჩავანაცვლე პირობითად ზოგადი მნიშვნელობის მქონე (ნეიტრალური) ტერმინით „მთხრობელი“...

სხვადასხვა ნაწარმოებისდა მიხედვით, მთხრობელი შეიძლება გაიგივდეს ავტორთან, შეიძლება — არა. ამის მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მოთხრობაში „ამბავი ჩალამბარასი და კიდეც სხვისა“ მთხრობელზე ვსაუბრობდით და მათ რიგში შემოდის „მწერალი“.

თ. ბ. — მკითხველი ალბათ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ მოთხრობა დასაწყისიდანვე შიოს პერსონაჟს წამოსწევს წინ (კიაზოსა და შიოს „თხრობანი“ ამას მიანიშნებს)... მერე თითქოს შეტრიალდა მიმართულება და წინა პლანზე გაიანე წამოვიდა და მისი ამბავი... მართალია, როგორც ვთქვით, ყველა ამბის „გამტარი“ შიოა, მაგრამ ავტორი მიიჩნევს საჭიროდ კომენტარს და შემოჰყავს „მწერალი“ („დაშიფრული“ — მ...).

გ. გ. — მწერალი მთხრობელთა ტოლფასად თავისი საინტერესო რეპლიკით:

„მართლაც ეგრე ყოფილა: ბედისწერას ვერავინ წავსლია, ვერავინ დასძვრენია ხელიდან. ვერც მოთხრობაში. იოლად მიხვდებოდით. თავიდან ჩვენც სხვა მიზანი გვამოძრავებდა, სხვა მხარეს მიგვიწევდა გული — შიოზე გვინდოდა მოგვეთხრო. ღირსიც იყო და იმსახურებდა კიდეც. მაგრამ ამბავი ამბავს აება და პროტაგონისტად ნაგულისხმევი კაცი განზე დაგვრჩა. ჯერჯერობით მაინც.“

გ. გ. — ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, მწერალი რომ თხრობაში ჩაერევა და თავის კომენტარს აკეთებს.... ასეთი რამ სხვაგანაც ხდება — მოთხრობებშიც და რომანშიც. რამდენიმე ფრაგმენტს დავიმონუმებ:

„ორი ზოლიდან“: მთხრობელი თხრობს: „(...) ფიქრებში ეხმიანება დედაბერს შიო“ (ეს მთხრობელია)... მერე — შიოს ფიქრები: „შე დალოცვილო, ცოტა შორსაც გაიხედე... (...) ნუთისოფელი ანკი როდის არ იყო წამხდარი? მე თუ მკითხავთ (ვინ

ეკითხება?) სანუთრო თავიდანვე ბოროტებითა და სიავეკაცით იყო გავსებული“... ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზას ვინ ამბობს? ეს არ ჩანს მთხრობელი — ეს მწერალია..

თ. ხ. — ჰო, ასეა. ამას მწერალი ამბობს... იმ მთხრობელის გვერდით მწერალია...

გ. გ. — კიდევ უფრო საინტერესო შემოსვლა მწერლისა. მოთხრობაში „ტოპონიმოსი“ თხრობას იწყებს მთხრობელი; მერე საუბარში ერევანს პერსონაჟები და მთხრობელთან ერთად აგრძელებენ საუბარს ტოპონიმოსი და სოფსაბჭოს თავმჯდომარე: ეს ჩვეულებრივი ტრადიციული ვარიანტია, III პირში რომაა დაწერილი ნაწარმოები: მთხრობელი და პერსონაჟები. მთხრობელი გარე სივრცეშია და აღწერს შიდა სივრცეს.

„თავიდანვე ცუდი უგრძნო გულმა — საათი ხდებოდა, რაც საუბრობდნენ და ერთმანეთისათვის სათქმელი ვერ გაეგებინებინათ.

— ...არა, არა, ბატონო ლადო, ონომასტიკა ფართო ცნებაა და ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის, მე კი მხოლოდ ტოპონიმები უნდა ჩავინერო, ტოპონიმები და სხვა არაფერი, — კიდევ ერთხელ ცდილობდა დინჯად, გამონვლილვით აეხსნა საქმის არსი.

— ვიცი, კაცო, რად გინდა ამდენი ლაპარაკი, ვინც კი თქვენამდე ჩამოდიოდა, ყველა მაგას არ მიხსნიდა? — გაოფლილ თავკისერს ვეება ცხვირსახოცით იმშრალებდა ზედაშიანის სოფსაბჭოს თავმჯდომარე.“

და ტოპონიმოსის დაჟინებულმა მტკიცებამ ვერ „გატეხა“ თავმჯდომარე:

„— მინდა განგიმარტოთ, ბატონო ლადო, რომ ჩემი სპეციალობისა დღემდე აქეთ ვერავინ იქნებოდა, მე პირველი ვარ.

— ეგეც ვიცი, ეგეც ვიცი, შენს გახარებას, — სახიდან ღიმილი არ შორდებოდა თავმჯდომარეს, — ისინიც ზუსტად ეგრე ამბობდნენ“.

აქ კი მოთხრობა ასე გრძელდება:

„ვერა, ვერ იტყოდნენ!

აბა რანაირად იტყოდნენ, როცა ტოპონიმიკისა მაშინ საქართველოში ბევრს არაფერი გაეგებოდა, ჯერ ახალი ხილი გახლდათ და ფეხს იმხანადლა იკიდებდა ჩვენში. თუმცა სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპით მიიწვედა წინ და უკვე ეტყობოდა, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებდა სამამულო მეცნიერებაში.

მაშ!

მაგრამ არ გინდოდა, ამათთვის გაგეგებინებინა?“

— თამაზ, ეს ვინ ჩაერია საუბარში?

- თ. ბ. — მწერალი; მწერალი როგორც მთხრობელი, როგორც პერსონაჟი. ამ კამათს ისმენდა მწერალი და გადაწყვიტა, ჩარეულიყო მსჯელობაში; ტოპონიმოსის მხარე დაიჭირა...
- გ. გ. — საინტერესო ვარიანტია სტილისა. აი, ეს მეჩვენება საყურადღებოდ. ორიგინალური ვარიანტია, მთხრობელი და პერსონაჟები. ეს ვარიანტი რჩება და შემოდის მწერალი, რომელიც არაა პერსონაჟი და მთხრობელის გვერდით დადგება... მწერალი როგორც მედიატორი, ავტორიტეტი, გადამწყვეტი სიტყვის მთქმელი... მწერალი ამ მისიით შემოგყავს? გადამწყვეტი სიტყვა თქვას?
- თ. ბ. — ასეა: მთხრობელი აღწერს ვითარებას, ობიექტურად გადმოსცემს მომხდარს. ამის შემყურე მწერალი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში პოზიცია გაამჟღავნოს, „მომრიგებლის“ როლი შეასრულოს...
- გ. გ. — პერსონაჟია?
- თ. ბ. — არა — მოქმედი პირი არ არის; მოქმედებას აფასებს...
- გ. გ. — ამის საინტერესო მაგალითები არის რომანში. რამდენიმე მათგანს მოვიყვან და მერე განვაგრძობთ საუბარს. მთხრობელი გვიამბობს, რომ ახალგაზრდა ოცნებობს რომანის დაწერაზე, დასაწერი თემაც შერჩეული აქვს და აქ მწერალი „ჩაერევა“:
- „იმედოვნებდა... ეჰ, გაჩერდი, თუ ძმა ხარ, რომანი კი არა, დედასთან წერილის მიწერას ვერ ახერხებდა, აბა ეგ რა რომანის დამწერი იყო!“...

ეს უკვე გულშემატკივარი მწერალი შედის სამოქმედო სივრცეში და აფრთხილებს დემნას:

„მოერიდე, მოერიდე მეთქი ასეთ რამეებზე დაფიქრებას! თანაც არ იცი, ეგებ სცოდავ და ეგებ მკრეხელობ“.

აქ უკვე მოქმედი პირების გვერდით დადგა მწერალი:

„სად ეწერა ეს სტრიქონები, მხოლოდ დემნას კი არა, ეხლა უკვე მეც ველარ გამიხსენებია. იქნება ვინმე მომიყვავ, ფილმი ან სპექტაკლი ვნახე, ანდა სულაც დამესიზმრა. ის კი ნამდვილად მახსოვს, რომ ჩემი გონების ნაყოფი არ უნდა იყოს. რა ვუყოთ მერე, რაც არის, არის, წარმომავლობას ნუ გამოვეკიდებით, მთავარია, რომ ამჯერად ერთი ზღაპრის მაგივრობას ესეც გაგვინებს“.

და რამდენიმე ლირიკული გადახვევისმაგვარი მონოლოგი მწერლისა:

„მკითხველი შემატყობდა, დიდად მიყვარს იგავ-არაკებისა და ზღაპრების თხრობა, მითუმეტეს, ჩვენს რაციონალურ ეპოქაში ორიოდ მსმენელის შოვნა თუ მოვახერხებ, ნინ რალა დამიდგება? ჰოდა, ეხლა ავდგები და ერთის მოყოლას კიდევ ვცდი“.

„კაცმა რომ თქვას, დროც არის, საჭიროც არის და სურვილიცა მაქვს ერთი ბოლოკეთილი ზღაპრის მოყოლისა, მაგრამ ყურს აღარავინ მიგდებთ, ძმაო, აღარავის გეზღაპრებათ და გენარსულებათ. მეც იძულებული ვარ, სათქმელს დასასრულისაკენ მივალრეჯინო პირი და ჩვენი ძვლების მსგავსად დაგემშვიდობოთ: ...თუ რომ თავი შეგანყინეთ, ნურას უკაცრავადა“.

გ. გ. — მაგალითების მოყვანა შეიძლება გაგრძელდეს. ეს იმას მიაწინებებს, რომ მთხრობლისა და პერსონაჟების გვერდით მწერლის შემოსვლა არ არის შემთხვევითი; სიტუაციით შექმნილი შემთხვევა... ეს კანონზომიერია, უფრო სწორად, თამაზ ხმალადის მწერლური სტილის ერთი საინტერესო ასპექტი.

(თუ ვინმე მოისურვებს თამაზ ხმალადის შემოქმედების სტილისტურ ანალიზს, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ორიგინალურ ხერხს...)

თ. ბ. — საინტერესოდ კითხულობ ტექსტს, გიორგი. მართალი ხარ: შემოდის მწერალი — არა მოქმედი პირი და თავის სიტყვას იტყვის...

გ. გ. — შენ ერთი რომანის ავტორი ხარ...

თ. ბ. — ჰო, ერთი, ასე თუ ისე, დასრულებული და რამდენიმე დაუსრულებელი რომანისა... შენ ეს იცი... თუ ღმერთი მაცლის და გამოცემის იმედიც გაჩნდა, ზოგიერთი შეიძლება დასრულდეს კიდევ...

პირველი ოციოდე გვერდიანი რომანი „გზა“, ჩემი ჭკუით, ჯერ კიდევ ყმანვილკაცობაში, სტუდენტობისას დავწერე, თავისი „შესავლითა“ და „დასასრულით“. მაშინ მიმაჩნდა, რომ რომანისათვის ზომას მნიშვნელობა არა ჰქონდა — სათქმელი და შინაარსი განაპირობებდა მის არსს (აქვს ამ შეხედულებასაც არსებობის უფლება ალბათ). რაც შეეხება წერის სიძნელეს, აქ მარკესს ვეთანხმები: რომანი მოთხრობასთან შედარებით იოლი დასაწერია, რადგან ისიც დიდი შენობის მსგავსად მოზრდილი ბლოკებით შენდებაო.

გ. გ. — საინტერესო განმარტებაა, მაგრამ ნოველის თემას რომ არ გავცდეთ ისევ „მწერლის“ თემას დავუბრუნდეთ. შემოგყავს მწერალი — მოთხრობლისა და პერსონაჟების გვერდით სხვადასხვა სტილური დატვირთვით, სხვადასხვა დანიშნულებით... განმარტე, თამაზ, რა ხდება.

თ. ბ. — აი, რა ხდება:

უფალი ქმნის სამყაროს და იგი მის მიერ შექმნილ სამყაროში ყველგანაა. ყველა და ყველაფერი მისი თვალთახედვის არეშია. ესმის ყოველივე (ძილში ნათქვამიც კი) და ხედავს ყოველივეს, სხვა რომ ვერ ამჩნევს, სხვა რომ არ აქცევს ყურადღებას...

ასეა მწერალიც. ჩემ მიერ შექმნილი სამყარო მე რეალურად მიმაჩნია. იმ სამყაროში ყველაფერი ჩემი შემოქმედებაა... იქ მე ყველგან ვარ, ყველაფერს ვხედავ და ყველაფერს ვისმენ. და თუ ვთვლი საჭიროდ, ჩავერევი კიდევც... უფრო ხშირად ვამბობ იმას, რასაც არ (ან ვერ) იტყვის ვერც მოთხრობელი და ვერც პერსონაჟი... სხვაგვარად რომ ვთქვა, ვამბობ ისე, როგორც ვფიქრობ მე და არა ისე, როგორც ფიქრობს და იტყოდა

მთხრობელი ან პერსონაჟი.

ასე რომ, მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ზოგჯერ ჩემი ჩარევა, ჩემი კომენტარები...

გ. გ. — საინტერესო ახსნაა, საინტერესო ვერსია.

თ. ბ. — ვაზუსტებ: მე მოთხრობაში არა ვჩანვარ („მოფარებულში“ ვარ, თუ როგორცაა), მაგრამ ყველა ეპიზოდში, ყველა პასაჟში, ყველა შემთხვევაში „იქა“ ვარ, როგორც უფალი მის მიერ შექმნილ სამყაროში...

ყურადღებიანი მკითხველის გვერდით ვდგავარ და საჭიროების შემთხვევაში გამოვჩნდები კიდეც...

გ. გ. — თუ სწორად გავიგე, ყველა ჩარევა მწერლისა მიზნობრივია: აზუსტებს, არკვევს, მეტ სინათლეს სძენს სიტუაციას...

თ. ბ. — იმ შემთხვევაში, შიოს რომ მიმართავს (შენ ვინ გეკითხებაო), იმასაც მივანიშნებ, რომ მისი საუბარი აღარავის აინტერესებს; არადა თვითონ ვერ გრძნობს, სხვა არ ეტყვის...

გ. გ. — თამაზ, ჩვენ ვისაუბრეთ შენი მხატვრული სტილის ერთ საინტერესო ასპექტზე — მწერალი ნაწარმოებში მთხრობლისა და პერსონაჟის გვერდით... საინტერესო განმარტებაც მოგვეცი, რატომ მიმართავ ამ ხერხს. მე მომისმენია შენგან უფრო ღრმა და შთამბეჭდავი საუბარი — ვინ არის მწერალი, რა არის მწერლის სამყარო. გაუზიარე ეს აზრი ჩვენს მკითხველსაც:

თ. ბ. — გიორგი, ღმერთი მარადიულია. ის არც გაჩენილა და იქნება სამუდამოდ. მაგრამ კითხვა ასე შეიძლება დაისვას: სანამ სამყარო გაჩნდებოდა, ღმერთი იყო? — ვერ იქნებოდა!... სამყარო არის გამოვლენა ღმერთისა. სამყარო არის საშუალება, რომ გამოვლინდეს ღმერთი. სხვაგვარად: ღმერთი იმიტომ ქმნის სამყაროს, რომ საკუთარი თავი გამოამჟღავნოს... ღმერთი მანამდე ვერ იარსებებდა, წარმოჩნდება სამყაროსთან ერთად...

ეს პარადოქსივით ნათქვამია: სამყაროს ღმერთი კი ქმნის, მაგრამ ჯერ არარსებული ღმერთი...

* * *

მწერალი ვინ არის ან რა არის?

მწერალი სანამ არ შექმნის თავის სამყაროს, არაა მწერალი...
და იგი თავისივე შექმნილ სამყაროში ღმერთია...

დროდადიალექტი

გიორგი გოგოლაშვილი — ქართულ ენათმეცნიერებაში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო კამათი, რომელია სწორი გამოთქმა — „ორი წლის წინ (წინათ)“ თუ „ორი წლის უკან“. დავა-კამათი პირველის სასარგებლოდ გადაწყდა — ტრადიციული ქართული გამოთქმაა „ორი წლის წინ“, ხოლო მეორე რუსული გამოთქმის — *два года назад* — კალკიაო...

თამაზ ხმალაძე — მახსოვს ეს კამათიც და ოთარ ჩხეიძის ჩანაწერიც — აღშფოთებული რომ წერდა ამის თაობაზე... საცოდავი ქართული ენა ამათ ხელშიო...

გ. გ. — დავიმოწმეთ ეს ჩანაწერი:

„ახლა წერენ: **ორი კვირის უკანო!**“... და აღშფოთება მწერლისა: „ვერა ხვდებიან, რა უაზრობაა. **საცოდავი ქართული ენა!** წერენ და წარმოსთქვამენ ეს აკადემიკოსობის მაძიებლებიცა, აკადემიკოსებიცა, მინისტრებიცა, პარლამენტარებიცა, არ გაგიკვირდეთ რო მწერლებიცა. **საცოდავი ქართული... საცოდავი!**“

თ. ხ — მოდი, აქ ისიც გავიხსენოთ, ოთარ ჩხეიძის ძმის, ავთანდილ ჩხეიძის ჩანაწერები რომ გამოქვეყნდა, იქაც ერთ ჩანაწერში საგანგებოდაა ამაზე საუბარი; დაინანებს მოღვაწე: რომ „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **კაცი დროის შეგრძნებაში მაინც სწორად უნდა ერკვეოდეს, რომ მომავლის ორიენტაცია არ დაკარგოს**“... ამგვარმა შემობრუნებამ ამ ენობრივ ფაქტს ძალიან საგულისხმო გააზრება მისცა...

გ. გ. — როცა ოთარ ჩხეიძის ამ ჩანაწერის შესახებ ვწერდი, იქვე მიხეილ ქურდიანისეული ახსნა მოვიყვანე, რატომ არის სწორი, პირველი გამოთქმა (ქართული!) „ორი წლის წინ“ და რატომ არის რუსულის კალკი „ორი წლის უკან“...

სანამ ამ განმარტებას დავიმონმებ, მკითხველს იმას ვეტყვი, რატომ ვაქცევ საგანგებო ყურადღებას ამ ფაქტს: **დროის გააზრება, დროის გაგება თამაზ ხმალაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა** (ამის შესახებ თუნდაც რომანის სათაური მიაჩნებებს „დროის მკვლელები“)...

თ. ხ. — გეთანხმები და მეც ინტერესით გამოგყვები საუბარში.

გ. გ. — მოვიყვან ვრცელ ამონარიდს ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნიდან „მწერალი სტილია, სტილი არსებაა“ (2022):

„მიხეილ ქურდიანთან ვსაუბროდი ერთხელ ამ თემაზე (ყოველ შემთხვევაში მე ეს მისგან გავიგე...). მიხეილმა ამიხსნა — როგორ განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს რუსი და ქართველი...“

ჩვენ ვცხოვრობთ დროში.

ქართველის წარმოდგენით, ადამიანი მარადიულია, უცვლელია; დრო ცვალებადია, მოძრავია...

რუსის წარმოდგენით, დრო არის მარადიული, უძრავი; ადამიანი კი მოძრავია; ცვალებადია...

ამიტომ ჩვენს შემთხვევაში — „ქართულ შემთხვევაში“: ჩვენ „ვდგავართ“; დრო — მოძრაობს, წინ „მიდის“; სწორედ ამის გამო ორი წლის წინანდელი ამბავი დროსთან ერთად ჩვენ წინ აღმოჩნდება!...

ამიტომ ქართული ენობრივი აზროვნება ასე გამოხატავს ამ ამბავს: „ორი წლის წინ (წინათ)“ ...

„**რუსულ შემთხვევაში**“ დრო მარადიულია, უცვლელია, დგას... რუსი მოძრაობს, მიდის წინისაკენ... ამიტომაც ორი წლის ადრინდელი ამბავი რუსის „უკან“ მოექცა; რუსი აღმოჩნდა მის წინ... ამიტომ რუსისთვის ის ამბავი „ორი წლის უკან“ მოხდა (два года назад)...

როგორც ჩანს, მოვლენას ამგვარად გაიაზრებდა ოთარ ჩხეიძე:

„ორი წლის წინათ“ — **ქართული ენობრივი აზროვნებაა...**

„ორი წლის უკან“ — **რუსული ენობრივი აზროვნებაა...**

თუ ქართველი ამბობს „ორი წლის უკან“, რუსული ენობრივი აზროვნებით ჩაანაცვლა ქართული...

აი, ამან აღაშფოთა მწერალი! აი, ამიტომაა „საცოდავი ქართული“ იმათ ხელში, ვინც ამას ამბობს...

რეაქცია გამოხატა, მაგრამ არ ახსნა მოვლენა; არ განმარტა — რატომაა საცოდავი... გასაგებია: ჩანანერს რომ თავისთვის აკეთებს... არდასავინწყებლად... ემოციების „შესანახავად“... აი, მემუარებში თუ გადაიტანდა, გაიშლებოდა“.

თ. ბ. — ქართული ენობრივი აზროვნება... საინტერესო ახსნა... ასე ვგრძნობდით და ასე ვხედავდით...

გ. გ. — თამაზ, შენც და შენი პერსონაჟებიც დროს მხოლოდ ასე აღიქვამთ. რამდენიმე ფრაგმენტს დავიმონმებ სხვადასხვა ნაწარმოებიდან:

„რა საერთო მაქვს მე იმ დემნასთან, ამ **ათიოდე წლის წინ** აქ რომ სახლობდა“.

„ნულ პუნქტიდან გამოსული დრო თანაბარი ნაბიჯით გაუყვა უსასრულობისაკენ მიმავალ გზას“ („გზა“)....

— თამაზ, როგორ განმარტე, რა არის დრო?

თ. ბ. — დრო არის, ჩემო გიორგი, მატერიის არსებობის ძირითადი ფორმა სივრცესთან ერთად. იგი ობიექტურად არსებობს და განუყრელად არის დაკავშირებული მატერიის მოძრაობასთან...

გ. გ. — აჰ, აჰ, მოიცა, ეგრე არ გამოვა, წიგნებიდან ამოკითხული და დამახსოვრებული ახსნა არ მაკმაყოფილებს... მე მანტერესებს მწერალ თამაზ ხმალაძის მიერ დანახული დრო, მაგალითად ისე, როგორც ერთგან ამბობ: **„დღე და ღამე, დღე და ღამე — დროის ღმერთის თვალის ფახული“**.

თ. ბ. — ჰო, ოღონდ ეგ მხოლოდ დედამიწელი დროის ღმერთის თვისებაა — ახამხამებს წამწამებს — დახუჭავს თვალებს, დაღამდება, გაახელს — გათენდება. სამყაროს დროის ღმერთს სულ სხვა თვისებები ახასიათებს. თუმცა, ვშიშობ, რომ ძალიან საშიშ თემას მივაღექით, ხომ არა სჯობს, გავერიდოთ, გვერდი ავუაროთ? ნეტავი იმას, ვინც ამაზე ფიქრს არასოდეს შეუწუხებია. ალბათ გახსოვს, შიოს რომ ურჩევნ ექიმები: ეგეთ

რამეზე ფიქრს მოერიდეთ...

გ. გ. — შიო ხომ მაინც ფიქრობს...

თ. ბ. — ჰო, ფიქრობს.

გ. გ. — ჰოდა, ჩვენც ვიფიქროთ, ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ, ამით ვის რა ნაუხდება?

თ. ბ. — კარგი, მიდი, მოგყვები.

გ. გ. — ხელახლა გკითხო?

თ. ბ. — აღარ გინდა, ამიყოლიე და ეგ არის. დრო რა არისო, მეკითხები. **დრო სამყაროს გულის ძგერაა, ფართქალი, ამ გულს ფეთქებით ესინჯება პულსი სამყაროს...** დროსივრცესთან დაკავშირებით ერთი ავტორის დაბრუნების მოლოდინით განანვალებ მოთხრობაში ჩვენთვის კარგად ცნობილი შიო ამბობს: „სივრცე ჩვენთვის ადვილად აღსაქმელია, რადგან მხედველობის უნარი გვებოძა. ის კი არა, შეგვიძლია ხელითაც შევეხოთ, ბოლოს, კი ჩავეხუტოთ კიდევ. დროის აღქმის, ასე თუ ისე, სრულად აღქმის გრძნობა კი ძალიან ცოტას გააჩნია, თორემ აბა შინაგანი მხედველობით გავხედოთ ჩვენთვის განკუთვნილ დროს: განა ცოტა აღმართ-დაღმართი აგვივლ-ჩაგვივლია? განა ცოტა უღელტეხილი გვაქვს გადავლილი? განა ცოტა ჭაობსა და უდაბნოს გამოვალნიეთ?

აბა რით გინდა შეიცნო და რამე გაუგო ამ მრავალნახნაგოვან და მრავალფერად დროს, რა სანყაოთი, რა საზომით შეძლებ მისთვის ალღოს ართმევას? აი, თუნდაც ერთი თვალსაჩინო და უმარტივესი მაგალითი უმეტესობას რომ საკუთრივ გამოგვიცდია: სატრფოს მოლოდინში ძლივს გალოლებული ერთი საათი და მერე სატრფოსთან ერთად გატარებული თვალსა და ხელს შუა გამქრალი მომდევნო ერთი საათის ხანგრძლივობა თანაბრად როგორ გინდა მიიჩნიო? ერთმანეთის ტოლია? ერთმანეთის ფარდია? ისიც ერთი საათია და ესეც?“ — კითხულობს შიო და ჯერჯერობით პასუხის გამცემი არავინ არის. არადა ამ კაი კაცს ნამდვილად აქვს ასეთი შეკითხვის უფლება. საინტერესოა, შენ თუ უპასუხებდი რამეს, გოგი, თუ ამჯერად ამისი დრო არ არის?

გ. გ. — მე მოსმენა მირჩევნია...

თ. ხ. — დროის შესახებ ბევრიც წამიკითხავს და ბევრიც მიფიქრია, გარკვევით კი ცოტა რამე თუ გამირკვევია. შეიძლება ვინმემ (მათ შორის შენც) თქვას, რომ ეგ ჩემი პრობლემაა და არა დროისა, მაგრამ სხვები? სხვებიც რომ ჩემს მდგომარეობაში არიან?

ბოლო ხანებში რაც წამიკითხავს, ალბათ მათ შორის გამორჩეულად საინტერესო მართო ვარგას ლოსას ესეა — „წერილები ახალგაზრდა რომანისტს“ — კერძოდ კი, მისი მეექვსე თავი — „დრო“.

ერთ ფრაგმენტს მოვიყვან ამ ესედან:

„...ვეგულისხმობ რეალურ დროს (რომელსაც ჩვენ, პლეონაზმის შიშის გარეშე, ვუნოდებთ ქრონოლოგიურს და რომელშიც ყველანი ვცხოვრობთ — მკითხველიც, რომანების ავტორებიც) მიამიტურ გაიგივებას ნაწარმოების დროსთან, ანუ დროისა — ან მისი მდინარებისა — საკუთარი არსით რომ განსხვავდება რეალურისაგან, უფრო სწორად, იმგვარადვე გამოგონილისა, როგორებიც არის მას დაქვემდებარებული მთხრობელი და გმირი არიან. დროით პერსპექტივას, ისევე, როგორც სივრცითს, ვიპოვით ნებისმიერ რომანში, და ის ფანტაზიის ნაყოფს, თუნდაც ხშირ შემთხვევაში ეს მას გაცნობიერებული არა ჰქონდეს. მთხრობელისა და სივრცის დარად. რომანის მოქმედების დრო — ასევე გამოგონილია, ერთი იმ ხერხთაგანი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ავტორს, გაათავისუფლოს — ან გამოჰყოს — თავისი ავტონომიურობა (წარმოსახვით). რაზეც არის, გავიმეორებ, დამოკიდებული მხატვრული დამაჯერებლობის ხერხი.

თუმცა დროის თემამ, რომელსაც ასე ახვევდა თავბრუს მრავალ ფილოსოფოსსა თუ მწერალს (სხვათა შორის, ბორხესსაც, რომელმაც ამას უამრავი ფანტაზია მიუძღვნა), წარმოშვა არაერთი თეორია, სავსებით სხვადასხვა და ხშირად შეუთავსებელიც, ეხლა უნდა შევაჯეროთ და მივიღოთ უკიდურეს შემთხვევაში ერთი მარტივი დაყოფა: არის დრო ქრონოლოგიური და დრო ფსიქოლოგიური. პირველი არსებობს ობიექტურად,

ჩვენი სუბიექტური ნებისაგან დამოუკიდებლად, ის განისაზღვრება მნათობთა მოძრაობითა და პლანეტების ურთიერთმიმართებით. ეს დროს გვეჯიჯგნის დაბადების მომენტიდან სიკვდილამდე და გამოსახავს ჩვენი ცხოვრების საბედისწერო რკალს — ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი სულდგმულისას. მაგრამ ასევე არის ფსიქოლოგიური დროც — ჩვენ ამას აღვიქვამთ იმასთან მჭიდრო კავშირში, რასაც ვაკეთებთ ან რაც გავიკეთებთ, და ის სავსებით სხვაგვარად მოქმედებს ჩვენს ემოციებზე...” (თარგმანი სერგო წურწუმისას).

მოდით, გავჩერდები, თორემ, როგორც ატყობ, გოგო, ეს ტექსტი ისეთი საინტერესოა, მთლიანადაც რომ გადმოვიწერო, არ მომბეზრდება, მაგრამ რაა, ვთქვათ და გადმოვიწერე კიდევ. დიდ რასმე სარგებელს ვნახავთ? ვაი რომ, დროის ამ ცამცუმის კომპივით უკარფანჯრო ნაგებობაში ვერც ლიოსამ შეაღწია („უცხო მთაზე კომპი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი, მოუარეს გარემურგვლავ, ვერ იპოვეს კარი მისი“). ამირანის მსგავსი კი, სამწუხაროდ, ჯერაც არავინ გამოჩენილა („სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა — მუხლი მგლისი, კომპმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი“).

ჰოდა, რადგან ამ მიმართულებით ამირანის მსგავსი ვერავინა შვა კაცობრიობამ, ისევ ნაცად ხერხს მიმართა: „დაყავი და იბატონე!“ თავისი ჭკუით, დაანაკუნა, დაანანევრა, დაამსხვრია დრო წარსულად, ანმყოფ, მომავლად... ათასწლეულებად, საუკუნეებად, წლად, საათებად, წუთებად, წამებად... სინათლის წელიწადაც კი... დაატყვევა, ჩაამწყვდია სილის, მზის, მაჯის, ჯიბის, კედლის... საათებში, მაგრამ შეძლო რამე? ვერაფერი! კვლავაც დრონი მეფობენ. ჩვენც მეტი რა დავგრჩენია, უნდა დაველოდოთ,, („...დრო მოვალს, კარ გაიხსნება თავადა“).

- გ. გ. — ალბათ გვეყოფა ეს ზოგადი მსჯელობა, თორემ ძალიან ავცდებით ჩვენს ძირითად სათქმელს და დროზე მოგვიწევს ერთი მოზრდილი წიგნის დაწერა. არც ეგ იქნება უინტერესო, მაგრამ ჩვენი მიზანი ამჯერად სხვა არის. ნუ ვისარგებლებთ ბოროტად მკითხველის გულმონყალებით... მოდი, ისევ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ და შენს ნაწერებს მივაკითხოთ. ისევ ამონარიდები დროის თემაზე:

„დრო, დრო — ყველას ბატონ-პატრონი, არვისთვის ანგარიშის გამწვევი, უძლეველი, დაუმარცხებელი“;

„ჩემი წილი დრო მიდის, დრო მიდის, ჩემმა ბიჭობამაც აგერ უკვე ჩაიარა“;

„ქართველებს გვგონია, დროის მსვლელობას ავუნყვეთ ფეხი“;

„უამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა, როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი“;

„გადის და გადის და გადის დრო — მე რაა, მე კი ისევ წინდებსა ვქსოვ და ველოდები“;

„მოიხედავდი და გული გადაგიქანდებოდა: უკვე დამთავრებულყო, ჩამარცვლულიყო, ჩაცლილიყო წელიწადი, თვალსა და ხელს შუა გაგსხლტომოდა, გაუჩინარებულყო ეს მოუხელთებელი, შეუცნობელი და შეუღწეველი დრო, რომელსაც ვერასოდეს დაიბრუნებდი“.

თ. ხ. — ამ დროს იტყვიან, „და სხვა მრავალი“...

გ. გ. — რატომ ვამახვილებ ამ ფაქტზე ყურადღებას. ამის საფუძველზე თამაზ ხმალადის შემოქმედებაში ორიგინალურად გაიაზრება „**შეუცნობელი და შეუღწეველი**“ დროის რაობა... ზოგადად დრო... რაც, ჩემთვის, გრამატიკოსისათვის, არაა მთლად იოლი გასააზრებელი. მე ტრადიციულად დროის სამწევრიან სისტემაზე ვსაუბრობდი, ვსწავლობდი და ვასწავლიდი. შენ და შენი გმირები სხვას მიმტკიცებთ. მოდი, მკითხველთან ერთად მივყვეთ მსჯელობას... ოღონდ ასე ვქნათ: თამაზ შენი ნაწარმოებებიდან შემოვიყვან დიალოგში მოქმედ პირებს (ზოგჯერ შენი და ზოგჯერ შენი პერსონაჟების თვალსაზრისით); თუ არ დავეთანხმები შენს პერსონაჟს, მაშინ შენც ჩაერიე, — მედიალოგე თამაზ ხმალადე.

თ. ხ. — კეთილი. ოღონდ იქამდე ერთს ვიტყვი. ხომ ვთქვით, რომ დრო ერთიანია, მთლიანია, არა? მაგრამ ქართველი კაცისათვის, ამასთან ერთად, ის ერთი არ არის, დრო მრავალი და მრავალსახოვანია. მას თითქმის ყოველთვის მრავლობით რიცხვში იხსენებს: „დროთა ვითარება“, „დროთა განმავლობაში“, „დრონი

მეფობენ“, „ვაჰ, დრონი, დრონი“ და უამრავი სხვა... დროის წარმავლობას მივყვებით, ის გვაჩენს და გვსპობს. მარადიულობას რომ მივყვებოდეთ, ის გაგვაჩენდა და გაგვანადგურებდა. ერთ ჩემს ნაწარმოებში მაქვს: (მოკლედ ვიტყვი) — კაცობრიობამ მიაღწია იმ დონეს, რომ ადამიანები აღარც ბერდებოდნენ და აღარც იხოცებოდნენ, ამან, რა თქმა უნდა, გამრავლების შეწყვეტა გამოიწვია. რაღაცა ხანის გასვლის შემდეგ ხალხი აჯანყდა: აღარ გვინდა ასეთი ყოფა, ჩვენ ხომ ჩვენი შთამომავლების სიცოცხლის ხარჯზე ვცხოვრობთ...

ერთ ზაფხულს რაღაცა დროის განმავლობაში მე და ჩემს შვილიშვილს, გიორგის, მარტოდ მოგვინია ყოფნა სიღნაღში. ოთხ-ხუთ თვეში გიორგი თოთხმეტი წლისა უნდა გამხდარიყო. ერთ გოგონას დაუმეგობრდა და საღამოობით ბულვარში სეირნობდნენ ხოლმე. ერთხელაც ნაღვლიანი დაბრუნდა: თინიკო ხვალ თბილისში მიდისო. მერე რაა, ათიოდე დღეში შენც ხომ წახვალ-მეთქი, დავამშვიდე. შემომხედა და არაფერი მითხრა. რაა, ხომ არ შეგიყვარდა-მეთქი, გავეხუმრე. პაპა, ვერა ხვდები, რომ სიყვარული აქ არაფერ შუაშია? მე სიყვარულზე ვდარდობ? წყენა დაეტყო ხმაში. მე ისევ ჩემი გავაგრძელებ: გიორგი, ცხოვრება სიურპრიზებით არის სავსე, შენ თბილისი მართლა დიდი ქალაქი ხომ არა გგონია, ორივენი იქა ცხოვრობთ, აუცილებლად გადაეყრებით ერთმანეთს. შენ ისევ იმას იმეორებ, პაპა, ასჯერ რომ ვნახოთ მე და თინიკომ ერთმანეთი, ის ხომ აღარ იქნება, რაც აქ იყო. მე და შენი მარტოდ ყოფნა დღისით, მერე სიღნაღში ბინდის შემოსვლა, მერე მე და თინიკო, მერე ისევ მე და შენ. ეს ხომ აღარასოდეს განმეორდება, ასე ხომ აღარასოდეს იქნება! ნახავ შენ, უკეთესი დღეები მოვა-მეთქი, ეს რა არის, ჯერ სადა ხარ, ხელი მოვხვიე. ეჰ, ნეტავი შენ, პაპა, ეგეთი იმედიანი რომ ხარ, მითხრა და ნათქვამს ოხვრა ამოაყოლა.

გიორგი ბავშვობას ემშვიდობებოდა — დროის სვლას ტკივილად განიცდიდა.

იმ ღამეს ველარ დავიძინე. აი, ეს არის დროის ორი მთავარი თვისება: წარმავლობა და მარადიულობა — სცილა და ქარიზდა! ორი საშინელების შუაში ვართ მოქცეულები...

გ. გ. — კარგი, მოდი, ისევ მოთხრობებს დავუბრუნდეთ. შიოს ასე ალაპარაკებს ავტორი:

— „ჩვენ მხოლოდ სივრცეში კი არა ვცხოვრობთ სხვებთან ერთად, არამედ დროშიც, თანაც მხოლოდ ანმყო დროში კი არა, ანდა სათონის კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში. ეგ ძალიან დანვრილმანება იქნებოდა, — თავის თავს უხსნის შიო, — სივრცეც განფენილია და დროც. და შეიძლება ისიც ითქვას: სივრცე უფრო სხეულის საცხოვრებელია, დრო კი — სულისა. ეს დედამიწა ეგრე რომ გადაშლილა და ამ წუთში მე ზედაშიანში ვარ, მამაჩემი — სილნალში, ვილაც თბილისში, ვილაც სხვა (ბარბარა?) სეგეჟაში — ისინი იქ და მე აქ — სივრცეში. ასევე ერთნაირად განფენილ დროში ვცხოვრობთ მეკიდობნე ნოე, ალექსანდრე მაკედონელი, შოთა რუსთაველი, ჩემი პაპისპაპა და მეც — ისინი იქ და მე აქ — **დროში**“ („ორი ზოლი“).

გ. გ. — ტრადიციული, სამწევრიანი სისტემის გააზრებით გაიზარდნენ მწერალი და მისი გმირებიც, მაგრამ სრულად ამოაყირავეს ეს ტრადიციული გაგება. ავტორმა წელან შიოს გამოათქმევინა სერიოზული ვარაუდი ერთიანი დროის შესახებ...

ახლა დემნას მოვუსმინოთ („დროის მკვლევლები“):

თ. ხ. — „ამქვეყნად მდგრადი და ხელჩასაჭიდი აღარაფერი ეჩვენებოდა — განსაკუთრებით, ეს სამ არათანაბარ ნაწილად დაკუნწული, სამად დანანევრებული დრო:

ანმყო არ არსებობდა, რადგან დადგომისთანავე წარსულში გადადიოდა — მეყსეულად, დაუხანებლად სხლტებოდა ხელიდან.

წარსული? — უკვე ჩავლილი იყო, გადამქრალი, ველარასოდეს დაბრუნდებოდა და, რასაკვირველია, ოდენ მოგონებებში შემონახულზეც ვერ იტყოდი, არსებობსო.

მყოფადზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირდა. რაც ჯერ არ შობილა, არსებულად ვერც იმას ჩათვლი. მითუმეტეს, ხანა იდგა ისეთი, როცა თითქმის არაფერი იყო იმისი თავდები, რომ მომავალი უთუოდ დაიბადებოდა, როცა მთელი მსოფლიოს ყოფნა-არყოფნის ბედი ერთ ვინმე პიროვნებასა და ერთ პატარა ღილაკზე ეკიდა მხოლოდ“.

- გ. გ. — და იმართება შინაგანი კამათი — ავტორი და მისი პროტაგონისტი... წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, როდის მოხდა დროის დანაწევრება სამად... ათასწლეულების წინათ, მაგრამ ეს რა არგუმენტია?...
- თ. ბ. — „გაჩენის დღიდან დროის ამოცნობას ცდილობდა კაცობრიობის გონი, იმას ებრძოდა, იმისი დამორჩილება სურდა, მაგრამ ამოდ, აქამდე ვერაფერი დაეკლო, ვერაფერი მოეხერხებინა. დემნამდე დიდი ხნით ადრე ხომ დაეყოთ იგი წარსულად, აწმყოდ და მომავლად, ხომ დაენაკუნებინათ ათასწლეულებად, საუკუნეებად, ძველ და ახალ წელთაღრიცხვად, ვითომ ჩაემწყვდიათ საათებში, წუთებში, წამებში“...
- გ. გ. — არა, ვერ დააჯერეს ავტორი და მისი პერსონაჟები ვერც ათასწლეულებმა, ვერც ფილოსოფოსებმა და ვერც გრამატიკოსებმა...
- თ. ბ. — „არა, სისულელე იყო, მტკნარი სისულელე, დედამიწურ სამად დანაკუნებულ დროს დაყრდნობოდი და ნდობოდი, თუნდაც მარტო აქ, დედამიწაზე. რაც შეიძლება, უნდა გეგანა, გვერდზე გამდგარიყავი, მორიდებოდი. მაგრამ ბუნდოვანსა და შეუცნობელში რაიმე გარკვეულობის შეტანა არც დროის უარყოფით ხერხდებოდა, რადგან თუ ამას ირწმუნებდი, ისიც უნდა გელიარებინა: ამქვეყნად სულ არაფერი ბოგინობს და ჭაჭანებსო, თვით ეს ქვეყანაც ჩრდილია მხოლოდო. ბურუსის გასაფანტავ სიოდ კი არც ეს გამოდგებოდა, ვერც ამას დაიჯერებდი გადაწყვეტილად და დაბეჯითებულად, ვინაიდან ამის (ვინ იცის, როდისა და ვის მიერ მიგნებულის) კანონად დაგდება კიდევე უფრო დიდი სისულელე გამოდიოდა თუნდაც სულ მარტივი, მდაბიური შეკითხვის გამო: მაშ, აბა რა იყო ეს მაგიდა, სკამი, წიგნები, ბოლოს და ბოლოს, თვითონ დემნა? სხვისი ფანტაზია? ზმანება? ლანდი?
თუმცა“...
- გ. გ. — ასე ფიქრობენ, ერთიანია, დაუნაწევრებელი და დაუნდობელი; „ნთქავს თავიანთი ოჯახების საიდუმლოს“ („ორი ზოლი“); „დროის ფეხქვეშ მოექცევა ბავშვობის ნაფეხურები“ („ამბავი ჩალამბარასი...“);

თ. ბ. — „დრომ განირა და მახსოვრობის ჯურღმულეებში ჩატოვა ის, რაც უნდა გვახსოვდეს, არ უნდა დაგვევიწყებინა“ („დროის მკვლელები“)... და

— „რალა ბევრი გავაგრძელო, თავის ჭკუაზე გვაბზრიალებდა, რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა — თვალთმაქცობდა, მზაკვრობდა და გველაძუობდა, დამალაობს გვებურჭალებოდა — ხან სრულებით ვერა გრძნობდი, ვერ განიცდიდი, თითქოს სულაც არ არსებობსო, ხან კი ლოდივით დაგანვებოდა და გსრესდა, განადგურებდა. ვერ გაიგებდი, როდის რას იზამდა, როდის როგორ მოგექცეოდა“ („დროის მკვლელები“).

გ. გ. — ჩვენ, ჩვენ როგორ ვიქცეოდით?

თ. ბ. — „ჩვენ კი იმასთან შედარებით სრულიად მიმნდობნი და უზაკ-ველნი — უმეტესწილად თვალდახუჭულნი ვფიქრობდით: დროსა ვკლავთ, დრო გაგვყავსო, დროს ვატარებთო...“

(მაშ, მოდი, ისევ ღვინითაააა, დრო გავატაროთ ღვინითაააა...)

ჰა-ჰა-ჰა-ჰა, დრო გაგვყავსო, დროს ვატარებთო, დროსა ვკლავთო...

ჰოი, გულუბრყვილობავ! დროს რომელი ამბრი და ამირანი მოერეოდა, ვინ დაამარცხებდა, ვინ იყო ამქვეყნად დროის მომკვლელი და ხელის შემბრუნებელი?“

გ. გ. — აქ ძია კოლაც შემოგვანევს სიტყვას:

თ. ბ. — „დროის მოკვლას სხვანაირად თუ ვერ მოვახერხებთ, სხვანაირად თუ ვერ ვუტირებთ დედას, თითო ჭიქა ეს ნყალწყალა ღვინო მაინც დავლიოთ“ („დროის მკვლელები“).

გ. გ. — აი, ეს საფიქრალი კი თან სდევდა მუდამ.

თ. ბ. — „სად იყო, რა დროში, რა სივრცეში? („დროის მკვლელები“) და ცნობილი მხატვრის გამოხუნებული სურათის ასლიდან აკვიატებული სიტყვები:

— „საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?“

გ. გ. — აი, ეს უპასუხო კითხვები სდევს თან დემნას... ამ კითხვებს გვიტოვებს ჩვენ ავტორი საფიქრალად:

თ. ბ. — „ერთთავად კიბეზე იჯდა და ავტობუსის ავლას ელოდა.

გონებაში კი, სურდა თუ არა, კვლავინდებურად ის უპასუხო კითხვები უბრუნავდა:

საიდან მოვდივართ?

ვინა ვართ?

საით მივდივართ?

და კიდევ უფრო მწველი და მშანთავი, ყოველივე ამქვეყნიურის ფასის დამკარგავი:

რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?“

გ. გ. — თამაზ, ამ ჩვენს ნოველაში ჩემი მიზანი არ იყო დროის პრობლემებზე მსჯელობა. ფაქტობრივ, ამ მხრივ არც ჩავრეუღვარ საუბარში. შევეცადე შენი და შენი პერსონაჟების აზრი გამეცნო მკითხველისათვის ამ თვალსაზრისით. ჩემი მიზანი იყო, მკითხველი დამეფიქრებინა იმ პრობლემებზე, თამაზ ხმალადის პროზაში რომ იჩენს თავს... ჰოდა, დროს ვერ ავუვლიდი გვერდს.

შევთანხმდით: ჩვენ ვცხოვრობთ დროსა და სივრცეში; ერთიან სივრცესა და ერთიან დროში...

დრო ცვალებადია; **დრო მიდის, იცვლება და — იცვლება ენაც.** ერთი და იმავე დროის სხვადასხვა კუნჭულში მყოფნი ერთი ენით ვსაუბრობთ, მაგრამ განსხვავებული ფორმებით. **აი, ამ განსხვავებას ქმნის დროის მსვლელობა.**

სწორად გავიგე თქვენი მსჯელობა?

თ. ბ. — და აი, მწერალმა ეს განსხვავება უნდა დაინახო და შეძლო ასახო კიდევც...

გ. გ. — ვგულისხმობ მოთხრობას „ორი ზოლი“. საინტერესო მოთხრობაა, ორიგინალური. ენობრივი სტილის თვალსაზრისით საყურადღებო. ვითარება ასეთია:

„მზის სითბო დატკბა“ და „მყუდროებაზე ჯიბრიანად გამოლაგდნენ“. ლიზა (წინდასა ქსოვს) ბაბო და ნალფარიანთ

დედაბერი (ბუმბულს არჩევს), ნუნუ (ჩაძინებულ ბავშვს ანანავებს) და ელიკო (ახტაჯანას რომ ეძახიან)...

სათონის კედელთან მიდგმულ გრძელ ფიცარზე შიო წამონოლილა და მათ საუბარს ისმენს...

და აი, აქ ამბობს შიო მეტად საგულისხმო აზრს „**ეგენი ახლა ერთად სხედან, თორემ ისე სხვადასხვა დროში იმყოფებიან** და ერთმანეთისას რანაირად გაიგებენ“. „სხვადასხვა დროში“ იგულისხმება დროის სხვადასხვა წერტილში? არა?

თ. ბ. — კი, ერთი დროის სხვადასხვა წერტილში... მათ შორის მთელი თაობა (მშობლებისა)... ისევე, როგორც ერთიანი სივრცის სხვადასხვა კუთხეში...

გ. გ. — და, უგებენ ერთმანეთს, თუმცა ზოგჯერ დაზუსტება სჭირდება სათქმელს...

როცა პერსონაჟს ასეთი კითხვებს დაასმევენებს ავტორი, მძიმე მდგომარეობაში იგდებს თავს. მკითხველს უნდა აგრძნობინოს, რომ მათი საუბარი ენობრივად განსხვავებულია (მაშინ არ ათქმევენებდა, რანაირად უგებენო... თამაზ, იმთავითვე გრძნობდი ენობრივად ამ სირთულეს? თუ ასე „გეკარნახა“ (რ. ინანიშვილი).

თ. ბ. — შენგან მახსოვს, გიორგი: სერგო კლდიაშვილმა ჰკითხა დავითს, ეს გაიგონე თუ შენ მოიფიქრეო... გაჯავრებულა დავითი: არც გამიგონია და არც მიფიქრია მაგაზე. ისიც არ ვიცოდი, ასეთი რამ თუ მინერია, სანამ კიტა აბაშიძემ არ აღნიშნაო. ვერ ფიქრობს მწერალი ასეთ რალაცებზე წერის დროს...

გ. გ. — მე რომ ვაკვირდები, ენობრივად შესანიშნავად არის ეს გაკეთებული. გადავხედოთ ამ ამონარიდს და განვაგრძოთ მსჯელობა:

„— ეგრე უნდა, ელიკო? სად დაიკარგე, ამდენ ხანს რატო არსად გამოჩნდი? — ხმაზე ეტყობა, როგორ გაეხარდა თანატოლის მოსვლა ნუნუს. გასაკვირიც არ არის, ძველი ნათქვამია: თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.

— რას ამბობ, გო, რატო არ გამოვჩნდი კი არა, კინაღამ გაგეპარეთ, გრიბს ძლივს გამოვუძვერი.

— რანაირადაც შენ იქცევი, ან აქამდე როგორ არ გახდი ავად,
— ეუბნება ნალფარიანთ დედაბერი, — ამაიცმევმ პანანკინა
ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მი-
დიიი, ზევით და ქვევით! დაჰფრიალებ ეგრე შიშლიკანა.

— შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტავ რა იცი, რას ამოვიცვამ ხოლმე
და რას — არა? ერთი-ორი შენნაირი მოწმე და მეტი კი არ უნდ-
ათ ზედაშიანის ქორიკრიკეებსა. ...ან ვისი რა საქმეა, მე იქნება
არც ეგ პანანკინა უნდა ჩავიცვა?

— არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიცმევ, თავშიც ქვა გიხლია, ჩვენ რას
გვაგულისჭორებ, ქა! სიმართლე გითხრა, სუ რო ტატრაცუნებ-
მა ირბინოთ, არც ის გამიკვირდება მამიჩემის სულის ცხოვნე-
ბამა!...

— ინექი? დიდხანს ინექი? — ეკითხება ნუნუ, — მე რატო ვე-
რაფერი გავიგე, გნახავდი მაინც...

— იიიჰ, ვინექი კი არა, მთლად ატყარტყარებული ვეგდე,
გოგო, სიცხე ვერაფრით დამიგდეს, სულ ორი-სამი დღეა რაც
ავდექი. ეგე ბავშვთან მოსვლასაც იმიტომ მოვერიდე, ჯერ რა
ვიცი, მთლიანად გამიარა, თუ არა.

— შე სანაცილევ, დიდად მოყვარული ამხანაგით მაშ რაღა
მე მომიჯექი გვერდში? — იცინის ნალფარიანთ დედაბერი.

— შენა, ქა, ხო ატყობ, ველარც გრიპი გერევა და ველარც
მიქელ-გაბრიელი. დანჯად იყავი.“

გ. გ. — ეს ერთი ფრაგმენტი ავიღე. ამ ფრაგმენტის დიალოგში ოთხი
პირია ჩართული: ორი ბებიების თაობისა (ლიზა ბაბო და
ნალფარიანთ დედაბერი) და ორიც შვილიშვილების თაობისა:
ნუნუ და ელიკო. როცა ხაზგასმავა „სხვადასხვა დროში
ცხოვრობენო“, ყველაზე მარჯვე ხერხი ამ განსხვავების
ჩვენებისა მეტყველება იქნება. სიტყვიერი მინიშნება ამ
სხვაობისა არ იქნება საკმარისი.

თ. ბ. — გავითვალისწინოთ, ისინი ერთი დიალექტის წარმომადგე-
ნელი არიან და სხვაობა ერთი დიალექტის ფარგლებში უნდა
მოხდეს.

გ. გ. — ანუ: მკითხველმა უნდა იგრძნოს, რომ ენობრივად ისინი

ერთნი არიან, ერთი დიალექტის წარმომადგენლები, მაგრამ არსებობს სხვაობა მათ მეტყველებაში, რასაც თაობათა შორის სხვაობა განსაზღვრავს.

სხვათა შორის, შეიძლება ასეთი ვითარება, სიტუაცია სხვა მწერალთანაც ყოფილიყო და სხვა წაწარმოებებშიც, მაგრამ მწერალს რომ მიზანი დაესახოს — ეს სხვაობა ენობრივად გამოეხატა, ენობრივი საშუალებები მოეხმო ამის საჩვენებლად, მე არ მაგონდება:

თ. ბ. — ისევ გავიმეორებ: „ის რაიც შთაგონებით გვწყალობს“, განსაზღვრავს ყველაფერს; აქაც ასეა: დაიწყო ლაპარაკი მოხუცმა. იწყება წინადადება, მერე ეს წინადადება თვითონ წაგიყვანს თავის გზაზე... ამ გზაზე ჟარგონი არ არის, — ვერ გამოიყენებ. მიჰყვები და თვითონ განერინებს ყოველივეს. ნაღფარიანთ დედაბერი რომ მიმართავს „ახტაჯანა“ ელიკოს: „**ამაიცმევ** პანანკინა ნიფხავს, **ჩაიცმევ** მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მიდიიი! ქვევით და ზევით დაჰფრიალობ ეგრე შიშლიკანა“... გოგო თავისას ეტყვის, თავისებურად: „შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტა რა იცი, რას **ამოვიცვამ** ხოლმე და რას არა!... ვისი რა საქმეა, იქნება მე არც ეგ პანანკინა უნდა ჩავიცვა?!... — არ **ჩაიცმევ** და ნუ **ჩაიცმევ!** ჩვენ რას გვაგულისჭირებ, ქა! სიმართლე გითხრა, სულ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ეგ გამიკვირდება, მამიჩემის სულის ცხონებამა!“ აი, აქ, **მსგავსებაც არის სტილში და განსხვავებაც...** მე არაფერ შუაში ვარ, ამას თვითონ ის პერსონაჟები აგვარებენ, რა თქვან და როგორ...”

გ. გ. — რა თქმა უნდა, ვერ დაგეთანხმები იმაში, რომ შენ არაფერ შუაში ხარ!... ეს ისე, ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად: მინდა განვმარტო ის, რაც შენ თქვი, თამაზ:

არის ის, რასაც ორივე თაობა გამოიყენებს: — ეს უპირველესად ზეპირმეტყველების სინტაქსია ამ დიალექტისა; მიაქციეთ ყურადღება გრამატიკულ ფორმებს **ამაიცმ-ევ**, **ჩაცმ-ევ** (არალიტერატურული **ევ** სუფიქსიანი ფორმა), რომელსაც ხმარობს დედაბერი და **ჩავიცვამ** (სალიტერატურო ვარიანტი)... სხვაობა ესაა არსებითად, მაგრამ იოლად შესამჩნევი მკვეთრი მტრიხი ჩანს...

არის ისეთი დიალექტიზმი, რომელსაც ორივე თაობა გამოიყენებს: **ქა, გო, რო, ხო, რატო...**

ოლონდ ერთია, **ქა**-ს მიმართავს როგორც ერთი მეორეს, ისე მეორე პირველს (ზოგადია!)... **გო**-ს ბებიები შვილიშვილებს და შვილები ერთმანეთს... მთლიანობაში ისინი ერთი ენობრივი „კოლექტივის“ წევრები არიან ამ „ქრონოლოგიური“ განსხვავებით. ანუ: თან ლაპარაკობენ ერთნაირად და თან განსხვავებით...

თ. ბ. — მე არა ვარ მომხრე პროზაულ ტექსტებში დიალექტიზმების ჭარბად გამოყენებისა (არ უნდა იყვიროს, არ უნდა მოგჭრას ყური)... მაგრამ ამგვარ შემთხვევაში არც უმაგისობა ივარგებდა...

გ. გ — ცხადია, სათქმელი არსებითია, მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს სათქმელი ამ მხატვრული ხერხის მოშველიებით (დიალექტიზმებს ვგულისხმობ), გემოვნებიანი მკითხველი დამეთანხმება. ჩვენ სანიმუშოდ ეს ერთი პასაჟი მოვიყვანეთ. ეს მთელ ნაწარმოებში ასეა და არა მხოლოდ ამ ნაწარმოებში.

ამ ორი თაობის მეტყველების სხვაობა იმის დასტური არის, რომ დიალექტი იცვლება... ეს კარგად დაიჭირა მწერალმა....

საინტერესო არის II ხოლმეობითის ორგანული ფორმების გამოყენება მოთხრობაში „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“: „ხშირად არც კი ვიცნობდით, **მიგვიყვანიან და დაგვაყენიან** ერთმანეთის გვერდიგვერდსა“... „მოკლევებზე გადავიდი, ბარდებში **ვიძრომიალი** ხოლმე საქონლის ჩლიქით გაქნილ ბილიკებზე“ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“)...

ერთი საინტერესო შემთხვევაც შეიმჩნევა: **მო-** და **შე-** ზმინის-ნინთა დიალექტურ ვარიანტებს (მა-, შა-) პაპა-ბებიათა თაობა თითქმის სისტემურად მოიხმარს: **ამაიცვას, ამაიყვანს, ამაილებენ... შაჭამანდი, შამამხედა, შაგირთავო...** ეს ამ თაობის „მეტყველების მახასიათებელია“...

მოთხრობაში „რიკულებიან აივანზე“ ეს ფაქტი შესანიშნავად გაითამაშა ავტორმა ირონიულ, „ლიმილიან ეპიზოდში“ ისე „მის ენაზე“ დაელაპარაკა ნასყიდას: „ო, ეგ კი ვერ **მასვლიათ** კარგი საქმე“... ნასყიდა მიუხვდა ირონიას: „შენ მაიმუნობას

თავი დაანებე!“... გაბრაზებული ეტყვის...

ასეთივე მეორე შემთხვევაცაა კიდევ ერთ ეპიზოდში. განანწყუნებულ ნასყიდას შერიგებას სთხოვს იასე: „კარგი, **შავრიგდეთ**, ნათლი, —რამდენს მახვენებ, — ისევ სცადა თავისი საცდელი იასემ, **შავრიგდეთ** და ხვალე ერთად წავიდეთ ქალაქში, თქვენების ნახვა არ მოგენატრა?

ამ სიტყვებზე ნასყიდა ფიცხლად შემოტრიალდა...

ისევ მიუხვდა ირონიას“...

შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტიზმების სტილისტური დანიშნულებით გამოყენების ქრესტომათიული ნიმუში. ავტორი მშვენივრად ართმევს თავს ამოცანას...

თ. ბ. — ძალიან მანუხებს დიალექტის გაქრობის ტენდენცია — უდიალექტებოდ რა იქნება სალიტერატურო ენის ყოფნა... ვაი რომ, ეს საკითხიც დადგება; ეგ ჟამი მოახლოებული მგონია... წავიდნენ ჩემს ბავშვობაში მცხოვრები ადამიანები და ის დიალექტიც თან გაიყოლეს, რომელზეც საუბრობდნენ... თითქოს გუშინ იყო, ანბანს რომ ვსწავლობდი: ოცდაცამეტ ასობგერას ჩამოვთვლიდი და ბებო მისწორებდა: აკლებო და თვითონ კიდევ ხუთს ამატებდა. განსაკუთრებით მალიზიანებდა მისეული ანბანის დასასრული: ...ჰაე, ჰოე. ეს ჰოე რაღა ოხრობაა-მეთქი, ვბრაზობდი...

ვფიქრობ, ქიზიყში ბევრი აღარ დავრჩით ისეთები, ვისაც თავისუფლად შეუძლია ბგერა **ჭარის** წარმოთქმა და ამ იუმორისტული ფრაზის სწორად გამეორება: „**ჭიიი, ჭარო, ჭევში ბალაჭ რა უნდა, შე ოჭერო!**“ ანდა ის ერთ დროს ცნობილი ლექსი“ „**ირემმა ირემს აჭარა, ბაქრაძე ავად გამჭდარა, თუ ბაქრაძე ავად გაჭდა, თოფი ვინ ჩამოგვაჭალა?!**“ ასევე გაქრა, აღარავინ აღარ ხმარობს მესამე ობიექტური პირის მრავლობითობის მანარმოებლად -კე ბოლოსართს; გაქრა (მხოლოდ ანდაზებსღა შემორჩა) ძალიან საჭირო და ტევადი მწკრივი ძველი ხოლმეობითისა...

და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა და ხდება; ვგრძნობ,

რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვკარგავთ...

- გ. გ. — დიალექტების პერსპექტივა ძალიან მტკივნეული და რთული თემაა; მგონია, მწერალს განსაკუთრებული როლი აკისრია დიალექტის შენახვა-გადარჩენაში... ნუ გავყვებით ამჯერად ამ გზას... თუმცა ისევ დიალექტის თემაზე:
- ამგვარ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწერლის დამოკიდებულება ლექსიკისადმი. ჩვენ ამ თემაზე, თამაზ, ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ აქ უნდა შევნიშნო ის, რომ განსაკუთრებით ორ სხვადასხვა დროში მცხოვრებთა მეტყველებებაში განსხვავება ლექსიკაში ვლინდება...
- თ. ბ. — გასაგებია: ახალმა თაობამ ბევრი რამ დაივიწყა...
- გ. გ. — ერთი რამ არ მინდა გამომრჩეს: თამაზ, წელან შენ დაახლოებით ასეთი რამე თქვი: პერსონაჟი საუბარს რომ დაიწყებს, მე აღარ მეკითხება, წინადადება თავისით მიდისო...
- თ. ბ. — ჰო.
- გ. გ. — ჯემალ აჯიაშვილს, შუა საუკუნეების ებრაელ ავტორთა პოეზია რომ თარგმნა, შეხვედრა მოვუწყვეთ უნივერსიტეტში. ჯემალს ძალიან საინტერესო ენა აქვს; მდიდარი ლექსიკა, სიახლეები სიტყვანარმოებაში, ლექსიკური ინიციატივები. ვკითხე, რა იყო საიდუმლო ამ ლექსიკური ინიციატივებისა, როგორ იბადება ახალი სიტყვა, ფრაზა... ვერ გეტყვიო, მითხრა; ერთი სიტყვა რომ მოვა, იმას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგო. პირადად მე, ამ განმარტებიდან გამომდინარე, პროცესი ასე მესახება: მწერალი ელოდება სიტყვას, ფრაზას, წინადადებას... ხმა ესმის და, აი, გვირაბიდან გამოდის „მატარებელი“: გამოჩნდა ორთქლმავალი და მერე ჯერ ერთი ვაგონი, მერე — მეორე, მესამე და ა. შ.
- თ. ბ. — საინტერესო გააზრებაა... მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ენის შესაძლებლობებს; სწორედ ამ შესაძლებლობათა ცოდნა აძლევს იმის საშუალებას, „გაკეთოს“ ახალი ფორმა; „აღმოაჩინოს“ ახალი სიტყვა... თუმცა ეს „გაკეთებული“ ფორმაც და „აღმოჩენილი“ სიტყვაც ბუნებრივი ქართულია...
- გ. გ. — სწორედ ამის შესახებ წერს ბესიკ ჯორბენაძე: „მწერალი

პირველად მომჩინია და არა გამომგონებელიო“... მე ამ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის დასტურად, მკითხველს თამაზ ხმალადის წიგნებში ჩახედვას ვურჩევდი... მსჯელობამ შენი პერსონაჟების ენის შესახებ ერთი უცნაური კითხვაც გამიჩინა: თამაზ, ასეთი კარგი ქართული შენ ასწავლე შენს პერსონაჟებს, თუ იმათ გასწავლეს შენ?

თ. ხ. — ვითომ გვეტყობა რამე ნასწავლობისა ან მე ან ჩემს პერსონაჟებს? განა ბუნებრივი არ არის ჩვენთვის ასეთი ქართული?... ისე კი, არ დავმალავ და, ჩემ გარეშე ისინი ასე ვერ ისაუბრებდნენ და მეც სხვებს ასე ვერ ავალაპარაკებდი. ჩემს მოთხრობებში (და რომანშიც) თბილისელებიც ხომ არ არიან სანთლით საძებარნი და არა მგონია, საუბრისას მათაც რამე „იალღიში“ მოსდიოდეთ.

გ. გ. — ეს ნახევრად ხუმრობით...

როცა თამაზ ხმალადის სტილზე ვსაუბრობთ, საკითხი არ ეხება მხოლოდ დიალექტიზმებს. ბევრი რამ არის, რაც მწერალს გამოარჩევს სხვათაგან... შევეცდებით გზადაგზა აღვნიშნოთ ეს-ეც...

„ბაჯალლო ოქროდ დაუნჯებული...“

* * *

„მწერლის გამარჯვებაც და მარცხიც იმით განიზომება, თუ როგორ ფლობს იგი სიტყვას, როგორ ამოიცნობს და წარმოაჩინოს სიტყვაში დანაშრევ სხვათაგან მიუგნებელ საზრისს... არადა ბაჯალლო ოქროდ არის დაუნჯებული საქართველოს კუთხე-კუნჭულებში ნედლი, მუხლადი, მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა, ჯერაც გაუხუნარი და ჭკნობას გადარჩენილი. ვრცელი, მოსაწყენად მშრალი აღწერების ნაცვლად სხარტი ხატოვანობა, ათასგზის ნაცოხნი სიტყვამრავლობის ნაცვლად აზრობრივად ტევადი და გარეგნულად ლალი გამოხატვა სათქმელისა — აი, რა უნდა დაისესხოს მწერლობამ ცოცხალი მეტყველებიდან. „გული დამიცოტავდა“, „მარაგიანი დღე“, „გაუბზარავი სიჩუმე“, „ძილი გაიხშირა“ და სხვა მრავალი, რომელი ერთი დავასახელოთ კიდევ და რამდენი ჩამოვთვალთ! ჭაშნიკად ესეც კმარა. რომელი მწერლის სათქმელს არ დაამშვენებდა ეს გამოთქმები!“

გიორგი გოგოლაშვილი — ასე ფიქრობს აკადემიკოსი **ბესარიონ ჯორბენაძე** და ეს ფიქრი მას **თამაზ ხმალაძის** მოთხრობების გაცნობამ გაუჩინა („ორნი ღუმელთან“, 1990).

— თამაზ, სათაურად გამოტანილი ფრაზა ბესარიონ ჯორბენაძის იმ წერილიდანაა („სიტყვის მადლი“), რომელიც შენი მოთხრობების წიგნის გამო დაინერა. ფაქტობრივ, ეს არის შეფასება ახალგაზრდა პროზაიკოსის მხატვრული ენისა დიდი მეცნიერის მიერ. ამგვარი შეფასება ხაზგასმაა იმისა, რომ შენი მხატვრული ენის საფუძველი ცოცხალი სასაუბრო ქართულია...

ამ ნოველაში მინდა ვისაუბროთ, ერთი მხრივ, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება მწერლისა სალიტერატურო ენის მიმართ და,

მეორე მხრივ, მწერლის ენის ანალიზის დროს რამდენად ექცევა ყურადღება ამ ფაქტორებს.

ამ უკანასკნელიდან რომ დავიწყოთ, ვფიქრობთ, სასურველია გავიაზროთ, როგორია ტრადიცია ქართულ მწერლობაში მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ანალიზისა...

ამ ჩვენს ნოველას ორ ნაწილად გავყოფ: პირველ ნაწილში მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ანალიზის ისტორიას მინდა გადავავლოთ თვალი და მერე კონკრეტულად შენს შემოქმედებაზე ვისაუბროთ... ვითვალისწინებ იმას, რომ შენ ლინგვისტი ხარ საუნივერსიტეტო განათლებით და ამყვები საუბარში...

თამაზ ხმალადი — ვცადოთ...

- გ. გ. — კონსტანტინე გამსახურდია ერთგან წერს: „მე არ მახსოვს, ოდესმე წამეკითხოს გარჩევა რომელიმე მწერლისა, სადაც ჯეროვნად განხილული ყოფილიყო ენის თვალსაზრისითაც“. რა დაგიძალო და, ვერ დავეთანხმები ბატონ კონსტანტინეს.
- თ. ბ. — უყვარდა ბატონ კონსტანტინეს ზოგჯერ გადაჭარბება უფრო მეტი სიმძაფრე რომ მიეცა სათქმელისათვის...
- გ. გ. — მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ანალიზის კლასიკური მაგალითი არის ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედ“. გადავხედოთ კიდევ ერთხელ და გავიხსენოთ, თუ რამდენად ჯეროვნად არის განხილული თარგმანი ენობრივი თვალსაზრისით.
- თ. ბ. — „ჯეროვანი“ არ არის ის სიტყვა, ამ წერილის შესაფასებლად რომ შეიძლება გამოვიყენოთ...
- გ. გ. — ამ წერილში, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძემ დაგვანახა, თუ რა საუნჯეა ენა ერისთავის და როგორი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება ამ საუნჯისადმი და, მეორე მხრივ, როგორი უნდა იყოს მწერლის პასუხისმგებლობა სამწერლობო ენის მიმართ...
- თ. ბ. — ფაქტობრივ, ესაა დაუნდობელი, გამანადგურებელი კრიტიკა დედაენისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მქონე „კალმოსანისა“...

გ. გ. — რა პრინციპები ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ანალიზისა — ეს გვინდა ვაჩვენოთ.

დაბეჯითებით შემოიღია ვთქვა, ეს ის ზოგადი პრინციპებია, რომლებიც მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს, რომელსაც, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცევა...

თ. ბ. — მინდა ვთქვა, რომ სანამ ილია ჭავჭავაძე შეეცდებოდა ამ პრინციპების ჩამოყალიბებას მხატვრული ნაწარმოების ენობრივი თვალსაზრისით დახასიათებას, უფრო ადრე არჩილმა თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში რუსთაველსაც შეჰკადრა:

„ლაზოდა თქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე, ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე...“

არჩილი ენას უწუნებს რუსთაველს; მე სხვანაირად გეტყვი, უფრო დახვეწილად... ჩვენ არ ვსაუბრობთ იმის შესახებ, რამდენად მართებულია ეს კრიტიკა.

გ. გ. — ეგ მართალია, მაგრამ არჩილთან შეფასებაა მოცემული ორიოდ სიტყვით და არა ნაწარმოების ენის ანალიზი... და არა ანალიზი ნაწარმოებისა ამ თვალსაზრისის. ჩვენ გავხაზავთ მხოლოდ იმას, რომ ქართულ ლიტერატურაში ენობრივ მხარეს „ექცეოდა ჯეროვანი“ ყურადღება... ილია ჭავჭავაძესთან ეს დამოკიდებულება აყვანილია პროფესიონალიზმის დონეზე. ფაქტობრივ, პრინციპებს აყალიბებს, როგორი უნდა იყოს მიდგომა მწერლისა სამწერლობო ენის მიმართ...

თ. ბ. — ეს უკვე სხვა ამბავია...

გ. გ. — ვნახოთ ფრაგმენტები ილიას ამ კლასიკური წერილიდან და შემდეგ შევეცადოთ მათ საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა...

ჯერ ეს ვთქვათ: გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის ამ პოზიციამ დიდწილად განსაზღვრა XIX საუკუნის ქართული მწერლობის დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი, ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისადმი... შევეცდებით, ამ წერილიდან გამოვყოთ თეორიული ხასიათის შეგონებანი ილია ჭავჭავაძისა და ამის საფუძველზე

ჩამოვყალიბოთ ის პრინციპები, რომლებიც ილიამ შესთავაზა იმდროინდელ ქართულ მწერლობას და, საერთოდ, წიგნიერ საქართველოს...

ფრაგმენტები მსჯელობისათვის:

(ი. ჭავჭავაძის წერილიდან „ორიოდე სიტყვა“)...

* „თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს...

* „ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა...

* „გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედმამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვეყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას? დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე...

* „აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის? „ღრუბლიდგან ცეცხლი“! პირველი, რომ ქართული ენა ბრძანებს, რომ ღრუბლიდგან ცეცხლი უნდა იყოსო, მეორე — გონება გვეუბნება, რომ თუ ქვემდებარეა, ზმნაც აქვე უნდა იყოსო. „ღრუბლიდგან ცეცხლი“ სადაა ზმნა? თუ „ღელვიდა“ არის „ღრუბლიდგან ცეცხლის“ ზმნა, ნიშანი რაღად უზის განყოფისა? მაგრამ, თუ ნიშნებს გავყვებოძით ჩვენ, ათასი სხვა შეცდომებია ნიშნის ხმარების შესახები. ვინ ამოსწერს სუყველასა?...

* „თუ აქ გაიგება რამე, ხელს მოვიჭრით! აქ რომ აზრის გაგება უნდოდეს კაცს, უნდა თავთავის ალაგას დასვას გადარეული რითმის გულისათვის სიტყვები. აი, აქ როგორი სიტყვის მონყობილობაა, ანუ კონსტრუქცია: „ხელი გავიქნიე ფეხი“. იქნება ჩვენ „შეშლილის“ მთარგმნელს ჰგონია, რომ „ხელი და ფეხი გავიქნიე“ და „ხელი გავიქნიე ფეხი“ ერთი და იგივე იყოს? არა, ერთნი არ არიან. ამ ორ მაგალითში, მართალია, ერთი და იგივე სიტყვები, მაგრამ ის სიტყვები ერთგან თავის ალაგას არიან, მაგ. „ფეხი და ხელი გავიქნიე“ და მეორეში კი არა, იმისთვისაც „ფეხი და ხელი გავიქნიე“ მეც მესმის და თქვენც და „ხელი გავიქნიე ფეხი“ არც თქვენ გესმით, არც მე...

„კაზლოვის „შეშლილი“ სრულად შეშლილა ქართულს ენაზედ; ერთი ბენო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს — არც იმისი, არც თავის მშობლიურ ენისა...

* „ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დამყავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ. შ. ერისთავმა ჩვენი პირმოუფერებელი სტატია, რა უყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენას, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამასკი ვიტყვი, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვინწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის

შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ...”

რამდენიმე პრინციპულ საკითხს გამოვყოფთ ამ გენიალური მსჯელობიდან (მკითხველს ვთხოვთ, მკრეხელობად არ ჩაგვეთვალოს ამ ფრაგმენტების გამორიდება... რატომ ესენი და არა სხვაცო, ნუ ვიტყვით; მართალი კი იქნებით, მაგრამ ამ საქმისთვის ესეც შეიძლება ვიკმაროთ (ეს საჭაშნიკოდ და სამსჯელოდ...): აი, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება; **რა გვასწავლა დიდმა ილიამ:**

1. მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ლიტერატურულ, ისე ენობრივ მხარეს;
 2. არ უნდა გადავუხვიოთ კლასიკოსთა მიერ დამკვიდრებული ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზიდან;
 3. დედაენისადმი უსიყვარულო დამოკიდებულება, „სრული უპატიობა და სიძულვილი“, „დაუდევრობა“ დაგვლუპავს ქართველებს...
 4. მხატვრულ ნაწარმოებში ყველა სიტყვას, ყველა ფრაზას ენის ბუნებრივი კანონის შესაბამისად თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს; მხატვრული ტექსტი არ უნდა ჰგავდეს სიტყვათა უთავბოლო გროვას...
 5. სალიტერატურო ენის სინმინდისათვის ბრძოლა ყველა ქართველის მამულიშვილური ვალდებულებაა...
 6. დედაენის მოვლა-პატრონობა მამა-პაპათა ანდერძის უმნიშვნელოვანესი ნაწილია; დედაენა ერთ-ერთია იმ სამი ღვთაებრივი საუნჯიდან (მამული, ენა, სარწმუნოება), რომელთა დაცვას ჩვენი ქართველობა გვავალებს.
 7. ვალდებული ვართ, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი „ცოდვებიც“ კი ავნონ-დავნონოთ დედაენის მიმართ და ვამხილოთ ქართული ენისადმი ყოველი უკეთური დამოკიდებულება. ეს ვალია მამულიშვილური.
- ეს ის ზოგადი პრინციპებია, რომლებსაც დაეფუძნა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა.
- გ. გ. — საყოველთაოდ ცნობილია, ილიას ამ წერილს და, ზოგადად ამ პოზიციას როგორ შეხვდა უფროსი თაობა...

თ. ბ. — ჩვენდა საბედნიეროდ და ქართული ენისა და მწერლობის სასიკეთოდ, ილია ჭავჭავაძე მარტო არ იყო ამ ბრძოლაში. სწორედ ამ თაობის სწორმა და პრინციპულმა პოზიციამ განსაზღვრა ქართული სამწერლობო ენის სწორი განვითარება, სიმტკიცე...

ორიოდე შემთხვევას მივაქცევ ყურადღებას: მხატვრული ნაწარმოების ენობრივ მხარეზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა; XIX საუკუნის ბოლოს საინტერესო პოლემიკაც შემოგვთავაზეს.

და კიდევ, ვაჟა-ფშაველას პოზიციას დიდად მნიშვნელოვანი: განსაკუთრებით ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან მწერლის დამოკიდებულების თვალსაზრისით.

გ. გ. — ილიასეული პრინციპების დაზუსტება, გავრცობა და გაფართოება სწორედ ვაჟამ ითავა... გავიხსენოთ მისი პუბლიცისტური წერილი „ნიჭიერი მწერალი“...

„მწერლის ნიჭის გარეგანი გამოხატულება არის ენა, შინაგანი ნიჭიერება, „შინაგანი ღირსება არის ის, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად“ და დიდოსტატური შერწყმა შინაგანი და გარეგანი ნიჭიერებისა ქმნის მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებს“...

თ. ბ. — ეს წიაღსვლა შევაჯამოთ მიხეილ ჯავახიშვილის შეგონებით; ფაქტობრივ, მან განაზოგადა და შემაჯამებელი დებულება შემოგვთავაზა:

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიხრება!...“

გ. გ. — ასე რომ, ენის მნიშვნელობა ყოველთვის იყო ჩვენს მწერლობაში გაცნობიერებული... თუმცა, რასაც კ. გამსახურდია უჩივის, ისაა, რომ ლიტერატურული კრიტიკა არ დგასო ჯეროვან სიმაღლეზე (იგულისხმება ენობრივი კრიტიკა)... შეფასება გადავდოთ გვერდზე და როგორ განვითარდა, რა მიმართულება მიიღო მხატვრული ნაწარმოების ენობრივმა ანალიზმა, ეს ვთქვათ.

- თ. ბ. — საენათმეცნიერო კვლევა-ძიების მიმართულება — მწერლის ენის ლინგვისტური ანალიზი — მეოცე საუკუნის პირმშოა.
- გ. გ. — ასეა, და ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება გემართებს იმიტომაც, რომ თითქოსდა მოდუნდა ყურადღება ენის მიმართ, ენობრივი ანალიზის მიმართ. როცა ვიხსენებ გასული საუკუნის 20-იან წლებს და მწერალთა აქტიურობას სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში, გული დაგეწვება, დღევანდლობის შემყურეს... ორიოდ წლის წინათ წერილიც გამოვაქვეყნე, „სად არიან მწერლები“... ასეთი ფაქტიც მახსენდება, თამაზ ჩვენი თაობის მწერალს რაღაც მეგობრული შენიშვნა „შეგბედე“ და ლიმილით მითხრა, მაგაზე თქვენ იფიქრეთ, ენათმეცნიერებმაო...
- თ. ბ. — მახსოვს ეს ფაქტი... მაგრამ აღარც ამას ამბობენ და აღარც ყურადღებას აქცევენ...
- გ. გ. — ჩვენი ეს ნოველა ბ. ჯორბენაძისეული შეფასებით დავინწყეთ. მის სიტყვას, აზრს რომ სხვა ფასი ჰქონდა, ამის საჩვენებლად კიდევ გავიხსენებთ რამდენიმე ფაქტს. უფრო სწორად, XIX საუკუნიდან წამოსულები ამოვალთ ბესარიონ ჯორბენაძის „ეტაპამდე“...
- თ. ბ. — XX საუკუნეში, როგორც ყველა ქართულ საქმეში, განუზომელია უნივერსიტეტის როლი იმ დარგის განვითარებაში, მწერლის ენის შესწავლა რომ ჰქვია...
- გ. გ. — ჩვენი უნივერსიტეტის წიაღში ამ საქმის სათავესთან იდგნენ აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია. XX ს-ის 30-იანი წლებიდან ამ მიმართულებას ვარლამ თოფურია ჩაუდგა სათავეში. მან რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომს უხელმძღვანელა. დაინერა რამდენიმე მონოგრაფია იმ პრინციპების შესაბამისად, ვ. თოფურიამ რომ შემოგვთავაზა:
- „მან ამ მიმართულებით კვლევა-ძიების მიზანი ასე განსაზღვრა:
- „1. დადგინდეს არსებითი სხვაობა მნიგნობრულიტერატურულსა და სასაუბრო-ლიტერატურულ ენებს შორის;

2. გამოვლინდეს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურის ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა;

3. გამოიყოს სხვადასხვა ჟანრის ნიშანდობლივი მოვლენები და,

4. რაც მთავარია, წარმოჩენილ იქნეს ამა თუ იმ მწერლის ენის გრამატიკულ-სტილისტური და ლექსიკური თავისებურებები, რომლებითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისაგან“.

თ. ბ. — სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა გარკვეული ტრადიცია მწერლის ენის ლინგვისტური ანალიზისა, ... რომელიც რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა.

გ. გ. — ამ პერიოდს პირობითად შეიძლება ეწოდოს „ვარლამ თოფურისა ეტაპი“. თუმცა აშკარად შეიმჩნეოდა, რომ კვლევა-ძიება ამ მიმართულებით დაიშტამპა... საჭირო გახდა ახლებური ხედვის შემოტანა... — ახლებური მიდგომა საკითხებისადმი... და ეს იტვირთა ბესარიონ ჯორბენაძემ; მან ფროთხილად, ობიექტურად შეაფასა არსებული ვითარება:

„მხატვრული ნაწარმოების ენა არ შეიძლება გატოლებულ იქნეს ამა თუ იმ ეროვნულ სალიტერატურო ენასთან.

ეს ნიშნავს, რომ მწერლის ენა არ შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ ორთოგრაფიული თუ სხვა ნორმების თვალსაზრისით.

მწერლის მიზანია, ხორცი შეასხას მხატვრულ სახეს, გაასაგნო ბრიოს გარკვეული აზრი, შექმნას შესაბამისი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიყენოს ენის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამიტომ არასწორია ის პოზიცია, რომელიც ნორმატიული სტანდარტიზებული ენის თვალსაზრისით ცდილობს მწერლის ენის შეფასებას“

და ბესარიონ ჯორბენაძე გვთავაზობს სრულიად ახლებურ პრინციპებს ქართულ მეცნიერებაში მწერლის ენის ანალიზის შესახებ. მისი აზრით, „მეცნიერების სამი დარგის ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და ენათმეცნიერების ერთობლივი ძალით გახდება შესაძლებელი მხატვრული თხზულების

წარმატებით შესწავლა“. დიახ, ეს ასე უნდა იყოსო... რეალურად? ორი მათგანის როლი უფრო გამოკვეთილი ეჩვენება მეცნიერს: „მხატვრული ტექსტის ანალიზი ძირითადად მეცნიერების ორი დარგის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ობიექტს წარმოადგენს“...

და იწყება ამ სფეროში — მხატვრული ნაწარმოების ანალიზის ბ. ჯორბენაძისეული ეტაპი.

როგორც ვთქვით, მან ჩამოაყალიბა პრინციპები (რამდენიმე ნაშრომში) და პრაქტიკულად ამ პრინციპების გამოყენებით (და ამ პრინციპების დასასაბუთებლად) გაანალიზა კლასიკოსთა შემოქმედება: დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექსანდრე ყაზბეგისა, მიხეილ ჯავახიშვილისა, კონსტანტინე გამსახურდიასი, გიორგი ლეონიძისა, გალაკტიონ ტაბიძისა... 1987 წელს გამოიცა თემატური კრებული „ბალავარი მწერლობისა“, ხოლო 1991 წელს დაიწერა „პოეზიის ენა“ (გალაკტიონის შესახებ)...

ვიმეორებთ: ეს ნაშრომები იყო დასაბუთება და კონკრეტული მაგალითები თეორიული კვლევისა.

და ბ. ჯორბენაძე ამ თემაზე მუშაობას აგრძელებს და 1991 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ იბეჭდება მისი წერილი „სიტყვის მადლი“... ეს წერილი იყო გაგრძელება ამ სერიით შექმნილი ნაშრომებისა; მიზანი: რა მნიშვნელობა აქვს მწერლის კავშირს ცოცხალ სასაუბრო ენასთან; რას აძლევს მწერალს ეს კავშირი და ნაწარმოების მხატვრულ დონეს რამდენად განსაზღვრავს ეს კავშირი...

წერილის განხილვის ობიექტი იყო მწერალ თამაზ ხმალაძის მოთხრობების ნიგნი „ორნი ღუმელთან“.

- თ. ხ. — ამდენი იმიტომ ვიარეთ, რომ აქამდე მოვსულიყავით?
- გ. გ. — ხუმრობა იქით იყოს და ჩემი ჩანაფიქრი ის იყო, რომ **მწერლის ენის ლინგვისტური ანალიზის ახალი ეტაპის შემქმნელი ბესარიონ ჯორბენაძე თავისი თეორიული პრინციპების გადმოსაცემად მაგალითად თამაზ ხმალაძის პროზას მოიშველიებს...** ამის თქმა მსურდა...

თ. ხ. — რა მეთქმის...

გ. გ. — თამაზ, გადავდოთ გვერდზე უხერხულობა და ვისაუბროთ ბ. ჯორბენაძის წერილზე, როგორც ლიტერატურულ ფაქტზე.

ასე დავიწყით: თავისი თეორიული შეხედულებების საფუძვლად, პოზიციის წარმოსადგენად ბ. ჯორბენაძემ გამოკვლევები მიუძღვნა დავით გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე ყაზბეგს, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს. ძირითადად ამ მწერალთა შემოქმედების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა თავისი პრინციპები და ამ მაგალითზე გვასწავლა, როგორ გავაანალიზოთ ლინგვისტურად მხატვრული ტექსტი...

და შეიძლება მოულოდნელიც იყო მკითხველისათვის 1991 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ნაშრომი ბ. ჯორბენაძის „სიტყვის მადლი“ (40, 1991)...

ეს არ იყო ჩვეულებრივი, რეცენზიისმაგვარი საგაზეთო წერილი... ეს იყო გაგრძელება სერიისა მწერლის ენის შესახებ, უფრო სწორად, იმ ნაშრომთა სერიისა, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა ბ. ჯორბენაძის პრინციპები...

ბ. ჯორბენაძემ შენს შემოქმედებაში მიაქცია ყურადღება შენს **დამოკიდებულებას ცოცხალი სასაუბრო ენისადმი**; რომ შენს ნაწერებში ქართული სალიტერატურო ენა საზრდოობს ამ შემთხვევაში იმ ცოცხალი სასაუბრო ენით, რომლის გარემოშიც მწერალი და მისი გმირები ცხოვრობენ.

სასაუბრო მეტყველების ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ზოგჯერ გრამატიკული ფორმებიც კი, როცა ის სჭირდება სტილისტური საჭიროებისათვის... ეს ყველაფერი არის ის, რასაც ბ. ჯორბენაძე უწოდებს „**ბავალო ოქროდ დაუნჯებულ სიმდიდრეს**“; ეს არის მეცნიერის შეფასება იმ ენობრივი ფაქტებისა (ნაირსახეობისა), რომლებითაც სარგებლობს (წერს) თამაზ ხმალაძე.

ეს რომ ასეა და არ ვაჭარბებ, ამის დასტურად რამდენიმე ფრაგმენტს მოვიყვან გამოქვეყნებული წერილიდან: უპირველესად ის აზრი გავიხსენოთ მეცნიერისა, ამ ნოველის დასაწყისში რომ

მოვიყვანეთ:

საქაშნიკოდ მოყვანილი მაგალითები შენი წიგნიდან არის („ორნი ლუმელთან“, 1991). ზემო წარმოდგენილ და მსგავს მსჯელობას მოსდევს საინტერესო ანალიზი შენი მოთხრობებისა; უფრო სწორად, მწერლის ენისა.

თამაზ, სანამ საუბარს გავაგრძელებ ამ წერილის შესახებ, ასეთ საკითხს მინდა შევეხოთ. მთავარი აქცენტი მეცნიერისა ცოცხალ სასაუბრო ენასთან კავშირზეა გაკეთებული, ხოლო, მოდი, ასე ვთქვათ: ცოცხალ სასაუბრო ენასთან მწერლის კავშირისა და ამ ენის მწერლობაში გამოყენების საუკეთესო მაგალითი არის ვაჟა-ფშაველა. როცა ვაჟა შემოვიდა ქართულ მწერლობაში, სწორედ მისი „მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა“ მოიტანა. მთებში გამოქედილი, გამონრთობილი და მთებში ჩამწყვდეული და ცოცხა იუცხოვა ქართულმა მწერლობამ სითამამე ახალგაზრდა მთიელისა.

თ. ხ — აქ შეიძლება გავიხსენოთ რაფიელ ერისთავი და მისი დამსახურება...

გ. გ. — აქეთ მივდივარ სწორედ. რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილ წერილში ამ ფაქტს „კანონი თანდათანობის“ უწოდა ვაჟამ და მადლობა გადაუხადა მსცოვან პოეტს, რომ მწერლობაში გზა მისცა მთის კილოკავისთვის დამახასიათებელ სიტყვა-ფორმებს. მანამდე ვერ ვბედავდი და რაფიელმა გზა გამიხსნაო... რაფიელი იყო ჩვენი გზამკვლევი. ეს გავლენა ან მიმართვა კი არ არის, არამედ ვილაცის დაწყებული საქმის გაგრძელება ლიტერატურაშიო.

თ. ხ. — კარგია, ძალიან ლამაზია...

გ. გ. — ეს ცნობილი ამბავი რატომ გავიხსენე: კითხვა მაქვს: შენს შემოქმედებაში თუ იჩინა თავი „კანონმა თანდათანობისამ?“ იყო ვინმე ისეთი, ვის შესახებაც შეიძლება მსგავსად გეთქვა?

თ. ხ. — თავიდან იმავე რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას მაგალითი შეიძლება მომეყვანა...

ხოლო ბესიკ ჯორბენაძის წერილამდე და წერილის შემდეგ თუ ვინმე გადახედავს ჩემს ნაწერებს, მოთხრობებს, დაინახავს,

მართლაც გაბედულება ამ თვალსაზრისით ბ. ჯორბენაძის წერილის შემდეგ სულ სხვანაირია.

- გ. გ. — ჩემთვის გასაგებია: თამაზ ხმაღაძე ლიტერატურულ წრეებში, მკითხველთა ფართო წრეში ჯერ კიდევ არ იყო ისე ცნობილი. და ამ დროს ისეთი ცნობილი ენათმეცნიერი, როგორც იყო ბესარიონ ჯორბენაძე (დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, ინსტიტუტის დირექტორი...), წერს საგანგებო წერილს და შენი სტილი, დამოკიდებულება ენასთან, სტილური ოსტატობა მაგალითად მოჰყავს სხვათათვის... არაა ეს პატარა საქმე...
- თ. ბ. — ამ პრობლემის შესახებ წერს იმ კლასიკოსებზე (რომლებიც ჩამოვთვალეთ) და იმათ გვერდით, იმათ შემდეგ თემას აგრძელებს თამაზ ხმაღაძით...
- გ. გ. — ჩვენი თაობის საკმაოდ მრავალრიცხოვან ავტორთა შორის შენ გამოგარჩია...
- თ. ბ. — ითქვა, რომ მწერლის მაღლიანი სიტყვა აქვსო... მან იცის სიტყვის ფასიო...
- გ. გ. — ისიც მესმის, ეს რამხელა მხარდაჭერა იყო და რამხელა სტიმული...
- თ. ბ. — არსებითი ის არის, რომ ბატონმა ბესიკმა ჩემი შემოქმედების იმ მხარეზე მიმაქცევინა ყურადღება, რომელიც ჩემი იყო...
- გ. გ. — რითაც თამაზ ხმაღაძე, როგორც მწერალი, განსხვავდება სხვათაგან...
- თ. ბ. — როგორც ვთქვი, ამან გამბედაობა შემმატა; გამათამაშა კიდევ... ხაზგასმით მიმითითა, რომ ეს არის შენი, ამას მიაქციე ყურადღება, ეს განავითარეო...
- გ. გ. — აი, ამითი ფასობს მწერალი თამაზ ხმაღაძეო...
- თ. ბ. — დიახ, ასე აღვიქვი ეს იმთავითვე: გზა, რომელიც შენ აირჩიე, სწორია; და ამ მიმართულებით თუ ივლის, თამაზ ხმაღაძე გამოჩნდება როგორც თვითმყოფადი მწერალიო... ქართული ენის მსახურება მოიწონა და ეს შტრიხი მიაჩნია წამყვანად ჩემს შემოქმედებაში...
- გ. გ. — ბესიკის მიერ გაკეთებულ ბევრ სასიკეთო საქმეთა შორის

თამაზ ხმალაძისადმი განეული ეს სამსახურიც უნდა ჩაითვალოს...

თ. ბ. — ცხადია... ისიც დიდი საქმეა ასეთი პიროვნება რომ გეტყვის სწორ გზას ადგახარ, მიდი, იარეო... სიცოცხლის ბოლომდე მაღლიერი ვიქნები ბესარიონ ჯორბენაძისა...

გ. გ. — ეს სიტყვიერი მაღლიერება გასაგებია, მაგრამ მე ისიც მინდა გავიხსენო, რომ შენ დიდი საქმე გაუკეთე ბესიკ ჯორბენაძეს — რადიოპროგრამაში „ენაჲ შემკული და კურთხეული“ გადაცემათა ციკლი რომ შესთავაზე — „ენა და კულტურა“... სწორედ ამ გადაცემათა ტექსტის გაშიფვრის შედეგად შეიქმნა დიდებული წიგნი — „ენა და კულტურა“ (წიგნად იქცა ბესიკის გარდაცვალების შემდეგ)...

ეს მცირე გადახვევა.

* * *

გ. გ. — ჩვენ შევთანხმდით თავიდან, რომ ამ ნოველაში არ ვისაუბრებთ თამაზ ხმალაძის „შინაგან ნიჭიერებაზე“, როგორც ვაჟა იტყოდა... ჩვენ მწერლის „გარეგანი ნიჭიერება“ გვანტერესებს... კითხვა: შენი საუნივერსიტეტო ლინგვისტური განათლება შეიძლება თუ არა ხელშემწყობად მივიჩნიოთ ამ საქმეში?

თ. ბ. — უსათუოდ. მაგრამ ჩემი ლინგვისტური განათლება (უფრო სწორად, დაინტერესება) განაპირობა იმან, რომ იქამდესაც დიდი იყო ცნობისწადილი ქართული სიტყვისადმი. ბავშვობიდან ასე იყო, ერთ სიტყვას შეიძლება ჩავყოლოდი ძირისძირამდე... ბავშვური ინტერესით სიტყვაში ვეძებდი რალაცას... ავიღებდი ერთ სიტყვას და ვეძებდი, რამდენი სიტყვა შეიძლება გაკეთებულიყო ამ ერთი სიტყვიდან... ვეძებდი იმასაც, რაც არ იყო შექმნილი და ვცდილობდი შემექმნა...

ეს უბრალოდ თამაში იყო...

გ. გ. — თამაში სიტყვებით და სიტყვებთან...

თ. ბ. — ზოგი რით და ზოგი რით თამაშობს და ჩემი ინტერესი ასეთი იყო... ამით ვერთობოდი... მერე ლინგვისტურმა განათლებამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს ინტერესი.

- გ. გ. — მე ვიცი, შენ ბავშვობიდან აგროვებდი იმ ლექსიკას, რომელიც ბაბოსაგან, დედასგან გესმოდა, უბანში გესმოდა და შენ შენი ლექსიკონი გქონდა... გიორგი შატბერაშვილის თვალადური ლექსიკონი მაგონდება...
- თ. ბ. — შეიძლება იმანაც მიბიძგა... საერთოდ ჩვენი კლასიკოსების დიდი მადლობელი ვარ ჩემი შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის. მწერლებმა, მეცნიერებმა... რაა, ჩვენ ერთმანეთზე არ ვიმოქმედეთ?
- გ. გ. — ფაქტობრივ, ჩვენ ვზრდიდით და ვაყალიბებდით ერთმანეთს. დავუბრუნდეთ შენს ლექსიკონს. არის ის, რაც იკარგება, კვდება ენაში. მუხრან მაჭავარიანს აქვს ერთი ჩანაწერი, რას განიცდის, როცა საბას ლექსიკონში დღეისათვის მკვდარ სიტყვებს ხედავს...
- თ. ბ. — როცა ასეთი მივიწყებული და მოძველებული სიტყვა შემოგაქვს, გგონია, რომ მკვდარი გააცოცხლე და ისევ ცხოვრებას დაუბრუნე...
- ისე სიტყვა ნაწერებში ძალით არ უნდა მოიყვანო, არ უნდა მოათრიო... სიტყვა წინადადებაში სტუმარივით არ უნდა იყოს, მასპინძელივით უნდა გრძნობდეს თავს, შინაურულად...
- გ. გ. — მინდოდა სანიმუშოდ, საჭაშნიკოდ, თქმულის დასტურად „მზით ნაფიცხი“ სიტყვები, ფრაზები, წინადადებები გამომერჩია და შემეთავაზებინა მკითხველისათვის; ავიღე თამაზ ხმალაძის „თხზულებათა“ პირველი ტომი (სასტამბოდ რომაა გამზადებული) გრანდიოზული პროექტის — „საგურამოს“ — პროგრამის ლაურეატების სერიით გათვალისწინებული და მოვინიშნე მსგავსი სიტყვა-ფორმები, წინადადებები, მაგრამ გამიჭირდა უკეთესის გამორჩევა...
- თ. ბ. — ერთი ცნობილი მწერალი წერდა თავისი რჩეულის წინასიტყვაში, გამომცემლობისათვის რჩეული უნდა შემედგინაო; ავიღე ორი საქალაღდე — „მონონებული“ და „დანუნებული“. ბოლოს დანუნებული „შემეცოდა“, მოვკიდე ხელი და ის ნავიღე გამომცემლობაშიო... ასე ხომ არ დაგემართა შენც?...
- გ. გ. — ჰოდა, ასე რომ არ მომსვლოდა, გადავწყვიტე, ბესიკ ჯორბე-

ნადის წერილიდან დამერთო ის ამონარიდები, „მზით ნაფიცხი ქართული სიტყვის“ ნიმუშად რომ ასახელებს მეცნიერი; „ბაჯალლო ოქროდ“ რომ მიაჩნია... ასე აჯობებს, ინტერესს ეს უფრო გაულვიძებს მკითხველს, ჩემო თამაზ...

თ. ბ. — მე მადლობის მეტი რა მეტქმის...

ფრაგმენტები ბ. ჯორბენადის წერილიდან „სიტყვის მაღლი“

* — „გული დამიცოტავდა“, „მარაგინი დღე“, „გაუბზარავი სიჩუმე“, „ძილი გაიხშირა“ და სხვა მრავალი, რომელი ერთი დავასახელოთ კიდევ და რამდენი ჩამოვთვალოთ! ჭაშნიკად ესეც კმარა. რომელი მწერლის სათქმელს არ დაამშვენებდა ეს გამოთქმები!

* — „თამაზ ხმალადის მოთხრობები უწინარეს ყოვლისა სწორედ იმით არის საცნაური, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ნაფიქრ-ნაგრძნობი მისივე ცხოვრების ყაიდით, მოქმედებით, ნათქვამით ვლინდება უმეტეს წილად და არა ავტორისეული განსჯა-მსჯელობით.

* — „აი, ერთი ნიმუში ამისა: „თქვენა, ჩემო შვილებო და ძმებო, ალბათ, იმასა ჰფიქრობთ, ეს რა ყბედი და ლაფშანდურა თამადა გამოგვადგა, რა მეჭიანურესავით გააბამს და აღარ დაამთავრებს ხოლმეო. მასპინძელი რომ არ იყო, იქნება სუფრიდან გაგეჰანღურებინეთ კიდევ, მაგრამ რათა, კარგებო, ჯერ ხომ ეხლა დაბინდდა, მაშ სხვანაირად როგორ გამოვუთხარო ძირი ამსიგრძე ზამთრის ღამეს. არადა, თქვენც რასა ჰკარგავთ, სად გეჩქარებათ ამაზე კარგ ალაგას, ერთი მითხარით. ვინ ოხერს ჩემდა თავად პურ-ღვინო ეზოგებოდეს — ვისხდეთ, ვისოლობოთლოთ, ვისიამტკბილოთ და ცოტცოტაობითა ვსვათ ეს მირონივით ვაზის წვენი. მოკლედ, მოდი, კიდევ ერთი სადღეგრძელო ვთქვათ და ისიც სხვებს მიემატება“ („სადღეგრძელო“).

* — „ვერავითარი ვრცელი აღწერა, ავტორისეული წიაღსვლებით გაღრმავებული ვერ წარმოგვისახავდა უფრო ცოცხლად, ხორცშესხმულად ამ ენაწყლიან თამადას, ვიდრე თვით მისივე გაგრძელებული, მაგრამ მაინც მოუწყინარი ნაამბობი.

* — „ხალხის წიაღში ტრიალებს და ალალ-მართალი კაცის სიტყვა-პასუხიც იქ შეუთვისებია: „ლაშფანდურა თამადა“, „როგორ გამოვუთხაროთ ძირი ამსიგრძე ზამთრის ღამეს“, „ვისოლბოითლოთ“ — ნასწავლი კი არა, შესისხლხორცებული სიტყვებია მისთვის და ამიტომაც ასე აზროვნებს, ასე ხედავს, ასე განიცდის ყველაფერს.

* — „ახლა მისივე სხვა მონაყოლ-ნათქვამიც მოვისმინოთ („სიცივემ თავისი ქნა და თანდათან სახლებში შეკრიფა სოფელი“, ან: „როგორ დამიცოტავდა გული, კაცო, ერთიბენვა რამეზე მეტირება“, „ძველი ქეიფ-ხადილობა დავინწყებას ეძლეოდა“, „შენს ნარცხის ნარცხს არ ენახოს ავი და შავი“, „მთავარია, კაცი არ გამოილიოს, საფლავზე მიმსვლელი არ განყდეს“ „მოდი, ბაკურის სულის მოსახსენებელი ვთქვათ, ჩვენ მადლად მოგვეცემა“) და ხორცშესხმულად წარმოგვიდგება დინჯი, სიკეთით უხვი, ლამაზი გრძნობის ლამაზად მთქმელი კახელი კაცი.

* — „შემოქმედს კი იმის უნარიც უნდა შესწევდეს, ძველ ნერგზე ახალიც, თავისეულიც დაამყნოს. ეგ ახალი შესაძლოა უკვე არსებულის თარგზე იყოს გამოჭრილი. ასეთი ფრაზებიც მრავლად არის გაბნეული თამაზ ხმალაძის მოთხრობებში: „ბევრ მტერს აუტირეს დედა, ბევრს გაუშალეს მიწის ლოგინი“, „ამქვეყნად ცოდვა მაინც არ დაიმალება, შემსწრე თუ არავინ გადარჩა, ნარი ამბავს წაიღებს“, „ლალო კისკისებს და კისკისებს. მთვარისფერი თმა მხრებზე ჩამოშლია და ქიშმიშზე ნაგდები კვიცივით გავსებულა“, „ბიჭების ხარხარი ავი ძალღივით მისდევს ფეხდაფეხ“ და სხვა მისთანანი.

„რამდენიმე ნიმუშით ვნახოთ, თუ როგორ ახერხებს იგი, რომ თითქოსდა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები თავისეული ხედვით წარმოგვიჩინოს: „ჭიშკრებს თანდათანობით ჭრიალი ჩაუდგებათ სახსრებში“, „კაცები ერთმანეთსაც გაეძრახებიან, შეეხუმრებიან, შეძლებიდაგვარად წაიოხუნჯებენ და გამოყოლილ ძილს ეზოებში ჩამობლერტავენ“, „ამასობაში ამოწითლდება, ამოლამაზდება ლეკიმთა“ (სავსე მთვარე).

* — „...ასტეხენ გნაისს ძაღლები, აყივლდებიან გაბოსაგან გამოღვიძებული მამლები, ცოლებს აუბუზლუნდებიან

ნამძინარევი გლეხები და ჭიშკრებს თანდათანობით ჭრიალი ჩაუდგებათ სახსრებში“ („სავსე მთვარე“).

* — „კონტრასტს კიდევ უფრო აძლიერებს მოთხრობის ფინალი: „სოფლის თავიდან ისევ ისმის დოლისა და ჟრიამულის ხმა. სოფლის ბოლოში ნალვლიანად ბლავის უპატრონოდ მიტოვებული ძროხა“. და, მიუხედავად ამისა, მაშინ, როცა „ძეძვის თაღმებიანი ორლობებით ლეკის ქურდევით უჩუმრა შემოიპარა ბინდი“, როცა „მთვარე ამთავრებს ვახშმობას და თეთრად აქათქათებს სოფელს“, ოჯახის ნაჯაფ დედას იმ იმედით ეძინება, რომ „სიაკვაცის ნატამალი აღარ დარჩენილა სამყაროში“.

* — „საგანგებო დაკვირვება არცაა საჭირო, ქალაქელი კაცის ფიქრებში საოცრად მოჭარბებულია ეს „რალაც“, თითქოს გაუცნობიერებელი, სახელუპოვარი, შორეული და ხორცშესხმული: „რალაც აწუხებს“, „ეძებს რალაც დაფარულს“, „რალაცას ფიქრობს“ — ყველაფერი უსახო, მიუწვდომელი, შეუცნობელია, ძიება უმისამართოა, ტკივილი — უმიზეზო.

* — „სოფლის სალაყბოზე ხალხი გნიასობს და ერთმანეთს ესიყვარულება, სადაც მარტოდარჩენილსაც არ აკლია იმედი და საზრუნავი, დასაფარავი და შესანიღბი არავის არაფერი აქვს, ყველა თავისი მეობით არის გამორჩეული. ამნაირი პერსონაჟების მთელი გალერეა არის გამოფენილი თამაზ ხმალაძის მოთხრობებში.

* — „ერთი უსაქმური და ხელთუპყარი კაცი იყო ნასყიდა. ხელობა არაფერი ჰქონდა, სხვის დაუხმარებლად ვირს ვერ მიაბამდა ბაგაზე, ლობიოს სარს ვერ შეუდგამდა, თხილის ყლორტიდან სახრეს ვერ გამოჭრიდა, მაგრამ ცხოვრება მაინც არ უჭირდა, ენა ჰქონდა, ნატვრისთვალში არ გაიცვლებოდა („ნასყიდას ვატერლოო“).

* — „ეზოში, თუთის ქვეშ, მოხუცი დედაკაცი ზის, ხონჩაზე დაფცქვნილი ლელვი უწყვია და საჩირე ჩხირებზე ასხამს. როგორც ჩანს, თავის ფიქრებშია ჩაძირული, საკუთარ საფიქრალს ჩაღრმავებია. შემთხვევით ჩამოვლილი მგზავრის ფეხის ხმაზე შეკრთება და გზისაკენ იყურება მომლოდინე მზერით („მოლოდინი“).

* — „რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ თამაზ ხმალადის ყველა მოთხრობა გააზრების ან მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით ერთნაირი სიძლიერისაა. ოღონდ ეგეც გასათვალისწინებელია: სხვისი ნაკლის შემჩნევას დიდი ჩხრეკაჩაძიება არ სჭირდება (რომც არ იყოს, თუ მოინდომებ, იპოვი, მე ასე მეჩვენებაო, თავსაც იმართლებ). არსებითი ისაა, ფასეულ მიგნებებზე მიაწინო ავტორს და იმის შესაქმნელად წააქეზო, რაც ემარჯვება და ხელიდან გამოსდის. ასეთი მიგნებები კი უთუოდ მრავლადაა თამაზ ხმალადის მოთხრობებში და მათი უფრო ფართოდ გამოყენებაც ხელეწიფება მას.

* — „ზამთრის გრძელი ღამე იდგა გარეთ. ყინავდა და კიპარისები მოთმინებით იდგნენ თოვლში. კიპარისებში ეძინათ ბელურებს და სიზმარში მკათათვეს ხედავდნენ („ბელურებს კიპარისებში ეძინათ“).

* — „სიმბოლური სახებაა, თამაზ ხმალადის მოთხრობათა თითქმის ყველა პერსონაჟისათვის განზოგადებული სახება: განთიადის მოლოდინით დამუხტული გრძელი ღამე...“

თ. ხ. — ძალიან ხომ არ გაგვიგრძელდა საუბარი? ხომ არ გავერთეთ ამონარიდების კითხვაში?...

გ. გ. — არა მგონია... ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა მწერლის დამოკიდებულება ცოცხალი ქართული ენისადმი... ბ. ჯორბენაძისეული შეფასებანი ამას უფრო კარგად შეძლებს... ის უფრო ნეიტრალური და ავტორიტეტული მოწმეა...

— და ბოლოს: თამაზ, მზით ნაფიცხი შენგან შეგროვილი სიტყვების ლექსიკონი რომ შევადგინო, რას დაარქმევ? — „ზედაშიანის ლექსიკონი“

თ. ხ. — ღმერთმანი, ვერაფერს დაუნუნებ, არ არის ურიგო სახელი „ზედაშიანური ლექსიკონი“...

„ამ რომ ყაყიბა მრჩეოდა...“

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ ხმალადის მხატვრული შემოქმედება სულ ერთი რომანი და რამდენიმე ათეული მოთხრობაა. პერსონაჟთა სამყაროც არაა ძალიან მდიდარი. მითუმეტეს, როცა ერთი და იგივე პერსონაჟი ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის (შიო; ნიკო, ლუკა, ლუარსაბი; ნასყიდა...)... მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი და სამახსოვრო სახეებია...

ამ სახეების შესახებ სხვამ იფიქროს... მე პერსონაჟთა სახელები მაინტერესებს.

თამაზ ხმალადი — ეს, ასე ვთქვათ, ლინგვისტური ინტერესია...

გ. გ. — იყოს ასე.

თამაზ, შენს რომანში ერთი პერსონაჟი გყავს, რომელსაც ასე ახასიათებ: „იშვიათად შეგხვდებოდათ ადამიანი, რომელსაც თავისი ნათლობის სახელი ასე შეჰყვარებოდა, როგორც „მას“ — ეს კოლა ძიაა... ამ კოლა ძიას ათქმევინა მწერალმა: „სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცისათვის... (...) **„სახელი კაცს ამშვენებს და კაცი — სახელსა“**... ეს ცხადია, მწერალ თამაზ ხმალადის პოზიციია.

თ. ხ. — რა თქმა უნდა... შეიძლება ამ შემთხვევაში ეს ვარიანტი მივიღოთ: **„სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟისათვის... სახელი პერსონაჟს ამშვენებს და პერსონაჟი — სახელს“**...

გ. გ. — ამ უკანასკნელს აუცილებლად შევეხები. პერსონაჟს რა მნიშვნელობა აქვს სახელისათვის, ოღონდ მოგვიანებით)... პირდაპირ კითხვაზე გადავალ:

— შენი პერსონაჟები თავიანთი სახელ-გვარებით მოდიან შენთან, თავად „ირქმევენ“ სახელებს, თუ შენ არქმევ მათი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე?

თ.ბ. — მართლაც ბევრია ამ თემაზე სალაპარაკო, მაგრამ ჩვენი დიალოგის ფორმატი ვრცლად საუბრის საშუალებას არ მოგვცემს.

სანამ წერას დავიწყებ, გმირების უმეტესობა თავისი სახელითა და გვართ მოდის და არ მანვალებს; მაგრამ როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებელია.

დიახ, გვარ-სახელი ტანსაცმელივით არის, შენი თქმისა არ იყოს: როგორც სოფლის მენახირეს ქულაჯით ვერ გაუშვებ ნახირში, ასევე სახელად ანდუყაფარს, ქაიხოსროს ან ამირინდოს ვერ დაარქმევ; ეს დამწყები პროზაიკოსისთვისაც საცნაურია. ჩემი მენახირეც ჯერ გაბობას ვერ გასცილებია („სავსე მთვარნე“), თუმცა ალბათ ნათლობის სახელი გაბრიელი ჰქვია. გემახსოვრება ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეივანი თოჯინა“ (რადგან სტუდენტობისას არა მხოლოდ მოცალეობის ჟამს ვკითხულობდით მას), თავის გმირს რომ შეუძახებს: „ადექი, ალე, იქვემეხე, იალექსანდრე!“ ვერა, ვერ იალექსანდრებს ალე...

გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მოსულმა მწერალთა უნიჭიერესმა თაობამ სხვა ბევრ სიახლესთან ერთად პერსონაჟთა ახალი სახელები შემოიტანა; ამ საქმეში ძველი ქართული მწერლობა დაიხმარეს და დიდი ხნით მივიწყებული გაუცვეთელი სახელები გააცოცხლეს (თარხუჯი, ვამეხი...). თვითონ არა, მაგრამ მათმა მომდევნო თაობამ ეს სახელები უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოიტანა და თავიანთ შვილებს დაარქვეს (თორნიკე, ვაჩე...).

გ. გ. — თუ ყოფილა შემთხვევა, პერსონაჟს „არ მოსწონებია“ თავისი სახელი და „მოუთხოვია“ შენთვის მისი გამოცვლა.

თ. ბ. — ამ თვალსაზრისით, მე, ჩემდა თავად, ყველაზე მეტად „დროის მკვლელების“ პროტაგონისტმა გამანვალა — ძველი რევოლუციელივით ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოიცვალა სახელი. მერე, როცა ამ რომანის ბოლო ვარიანტს ვკითხულობდი, თითქოს სხვის ნაწარმოებში მიმეკვლიოს და აღმომეჩინოს, მის საგარაუდო პაპას დიმიტრი (დემეტრე) რომ ჰქვია და ამანაც

სწორედ ამიტომ შეიშნოვა და დაიტოვა სახელი „დემნა“. არადა წერის დროს ამაზე არ დავფიქრებულვარ.

გ. გ. — ეს შემთხვევა იმდენად საინტერესოა ჩემთვის, რამდენადაც ზემოთ ჩვენგან ნაქები კოლა ძია დემნას სახელს დაუნუნებს:

„— დემნა! დემნა, დემნა... — ამ ხუთიოდე ბგერას ისე იგემოვნებდა პირში, თითქოს ღვინოს აჭაშნიკებსო, — ნწუ, არა, არ გამოდის! ნუ გენყინება, ძმისწულო და დემნა ვერ არის კარგი სახელი, — აგდებულად, გამომწვევ კილოზე ეუბნებოდა მერე.

— რაო, ვითომ რას ერჩი, რას უნუნებ? — არ ასდევდა დემნა.

— სუსტია, ძალადაკარგული.

— როგორი, როგორი?

— ვერ არის ძლიერი, უძვლოა, უძალო.

— ეგეთი რამე კი მართლა აღარ გამიგია!

— არა უშავს რა, რა ვუყოთ, თუ არ გაგიგია, ჯერ სადა ხარ, მაგისტანებს გაიგებ... სახელი, ჩემო ძმისწულო, აი, მე მქონდა და მაქვს მაგარი აქაც, ახლომახლო სოფლებშიცა და მცხეთაშიცა... მერე იქაც მაგარი მქონდა, — თავს იმნაირად გადაიქნევდა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ძალიან შორ ქვეყანას გულისხმობდა, მაგრამ მაინც ახსნიდა, დააკონკრეტებდა, ვაითუ მსმენელი ვერ მიმიხვდესო: — იმაზე გეუბნები, სადაც სხვებს ძალით აგზავნიდნენ, მე კი ჩემი ნებითა და წადილით წავედი, — და თითქოს იმდროინდელი თავგადასავლები ახსენებო, მცირე ხნით დაყუჩდებოდა და თვალებს სიამოვნებით წკურავდა, ინაბებოდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი ისევ ადრე დაწყებული საუბრის გორგალს ახვევდა: — ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ძმისწულო, სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცისათვის. აი, მაგალითად ჩემი სახელი აილე — ნიკოლოზი — მარტო ეგეთი ძლიერი სახელისაგან შეიძლება გაჩნდეს ასეთი პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელები: კოლა და ნიკო, კოკი და ნიკოლა, ნიკუშა და რამდენი კიდევ სხვა. როგორია, ჰა?! ეს ჩვენში და ახლა სხვაგან, სხვა ქვეყნებში? მაგრამ მარტო ეგეც არა კმარა, თან კაციც უნდა იყო. აკი

ამბობენ: სახელი კაცს ამშვენებს და კაცი სახელსაო. ზოგიერთ ეხლანდელს კი საქონელივით სახელი მარტო იმიტომ ჰქვია, რომ დაუძახონ და აქეთ-იქით მიახედ-მოახედონ, მიატრიალ-მოატრიალონ.

მე კი ამხანაგებიც ჩემსავით სახელიანები მყავდნენ“ („დროის მკვლევლები“).

- თ. ხ. — ეს კოლას აზრია... აქ ბევრ რამეში ვეთანხმები კოლას, მაგრამ „დემნას“ საკითხში, ნამდვილად ვერა...
- გ. გ. — არა მგონია, თამაზ, ისე დაგენეროს ეს ეპიზოდი, არ გეფიქრა ამის შესახებ...
- თ. ხ. — ყველას ერთი აზრი ხომ არ გვექნება. მე ვეძებე და დემნა დავარქვი; მგონი ქვეცნობიერში მოტივაციაც დევს... ჰქონდეს კოლას თავისი აზრი (ალბათ, მოტივაციაც), მაგრამ...
- გ. გ. — თამაზ, სანამ ამ ნოველების წერას დავიწყებდით, კიდეც ერთხელ გადავიკითხე შენი მხატვრული პროზა. ზაფხული ამისათვის კარგი პერიოდია...
- თ. ხ. — ზედმეტად რომ არ დამეტვირთე, დამელაღე, ამიტომ ვწერ ცოტას...
- გ. გ. — ეგ „თანმდევე ღიმილად“ „ჩავთვალთ“...

ჰოდა იმის თქმა მინდოდა, თვითონ პერსონაჟთა სახელების თვალსაზრისით საინტერესო სურათი იქმნება:

ზოგს არა აქვს **სახელი** („სადღეგრძელო“, „სისხლი“... ზოგის გვარი არ ვიცით („ჯაღალა, ნასყიდა, გაბო...“), ზოგის სახელ-გვარი ვიცით, მაგრამ... „პერსონაჟი“ მოქმედი პირი არაა (ვანო ჯალიაშვილი)...

მეტსახელი სახელის გვერდითაა, ზოგჯერ მეტი „ძალისა“...

და რაც საგანგებო ყურადღებას იქცევს, შენი ნაწარმოებების კითხვისას არ შეიძლება მკითხველს თვალში არ მოხვდეს ის, რომ პერსონაჟის სახელებსა თუ მეტსახელებს მკვეთრად **ხალხური ელფერი** დაჰკრავს. საერთოდ, ის ენობრივი სივრცე, რომელიც შენი პერსონაჟების სამყაროა, მდიდარია ამგვარი ლექსიკით (ზოგადად ამის შესახებ ვისაუბრეთ წინა ნოველაში). აი,

ამ კუთხით მინდა გავაგრძელოთ საუბარი:

თ. ხ. — ხალხური დიალექტურს გულისხმობს?

გ. გ. — აქ ტერმინოლოგიის პრობლემაა: დიალექტური სალიტერატუროს საპირისპირო ცნებაა...

ხალხური ჩემს საუბარში უფრო ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებულს გულისხმობს...

აი, იმ ბუნებრივ, ცოცხალ ქართულ გარემოში რომ ქართული ისმის, ისაა ჩემთვის ხალხური...

თ. ხ. — გასაგებია ხალხის ენასთან რომაა ახლოს, ბუნებრივი; ნიგნის ენის გავლენას რომაა გადარჩენილი...

გ. გ. — ასე ვთქვათ... ამიტომ მოდი ამ თემით განვაგრძოთ საუბარი — პიროვნება (პერსონაჟი) და სახელ-გვარი, მეტსახელი; მაგრამ... რალა შორს წავიდეთ, შენგან დავიწყეთ: თან ამ მხრივაც გავეცნოთ მკითხველს... თამაზ, შენ ორი სახელი გქვია: დოკუმენტეში — აკაკი, საზოგადოება უფრო იცნობს თამაზ ხმალადეს. შენს პიროვნებას (თუ გვარს) თამაზი უფრო შეეფერება?

თ. ხ. — ჩემი დასაწუნი არც ერთსა სჭირს რამე და არც მეორეს. ეს ერთი ჩვეულებრივი შემთხვევითობაა (თუმცა ამბობენ: ყველა შემთხვევითობა აუცილებლობით არის გამოწვეული). როცა დავბადებულვარ, ბებო წასულა საბჭოში, საკომლო წიგნში აკაკის სახელით მას გაუუტარებია. თამაზი ჩემს ძმას დაურქმევია. შინაც და სანათესაო-სამეზობლოში თამაზს მეძახდნენ, სკოლაში რომ შევედი (ხუთი წლისა), მაშინ გავიგე, რომ აკაკი ვყოფილვარ. მერე, სკოლის პერიოდში, როცა სიღნაღის რაიონულ გაზეთში ლექსების ბეჭდვა დავიწყე, რატომღაც ფსევდონიმი მოვინდომე და რალა შორს წავსულიყავი, ჩემივე არაოფიცალური სახელი ავიღე.

ისე, სწორი გითხრა, ორივეს ჩემი ზედმეტი სახელი — ლალა — მირჩევნია...

გ. გ. — ლალა? რატომ?

თ. ხ. — ალბათ იმიტომ, რომ ისეთი მინდა ვყოფილიყავ, როგორიც სხვათა თვალში ვჩანდი და რის გამოც ეს მეტსახელი „დავიმსახურე“, მაგრამ სინამდვილეში არ თუ ვერ ვიყავი ვერ

„ვილაღე“...

გ. გ. — იმ გარემოში, სადაც შენი გმირების უმეტესობა ცხოვრობს, მეტსახელების სისტემა სხვა კუთხეზე უკეთ არის განვითარებული. ხშირად გავუოცებებივარ... თუნდაც: გახსოვს, სიღნაღელმა ქალბატონმა, ჩემი მეუღლის დეიდამ, ჩემთან რომ გნახა, მკითხა, ეს „ქვეყნის დარდის“ შვილი არ არისო? მაშინ გავიგე, რომ მამაშენს სიღნაღელში ამ მეტსახელით იცნობდნენ (**გიორგი ხმაღაძე — „ქვეყნის დარდი“**)... რას იტყვი კონკრეტულად ამ მეტსახელზე და, საერთოდ, ამ თემაზე. ალბათ, გიფიქრია...

თ. ხ. — „ცოცხალ კაცს დარდს რა გამოუღევს, ჭკვათანყოფელს დარდი უღვევი აქვს“ რ. ამაშუკელი). მაგრამ დარდიც არის და დარდიც; ზოგის გულისთქმა იმის იქით არ მიდის: წინ რომ ჯამი მიდგას, რატომ პირთამდე სავსე არ არისო. კაცად კი მაშინ ხარ საქები, როცა მოყვასის სანუხარს საკუთარზე წინ დააყენებ, ქვეყნის დარდს შენს დარდად აქცევ და იმდენს შეძლებ, რომ ეს სხვებმაც დაინახონ და დაგიფასონ („ქვეყნის დარდი“ დაგიძახონ)... ამ ზედმეტმა სახელმა (ქვეყნის დარდი) გარკვეულწილად შემდგომში ჩემი ცხოვრების წესიც განაპირობა.

ეს რაც შეეხება კერძო შემთხვევას. ზოგადად კი: ჩემზე კარგად მოგეხსენება, ენათმეცნიერები ზედმეტ სახელებს ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ — საგნებელი და საგინებელი. დროთა განმავლობაში საგინებელი საგნებლად გადაიქცევა ხოლმე. ყოფილა შემთხვევა რომელიმე ბავშვისთვის მიკითხავს, ვისი ხარ-მეთქი და ისეთი სიამაყით უპასუხია: **ძალლიყბანთიო**, ანდა **ბრანძოანთიო**, თითქოს ბიზანტიის იმპერატორის ჩამომავალი ყოფილიყოს; რაც, რაღა დაგიმალო და, ძალიანაც მომწონებია. თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენო, საგინებელი სახელი ხშირად „საკომლო ბრენდად“ იქცევა ხოლმე...

გ. გ. — ალბათ ესაა: **ძალლიყბა** თუ **ბრანძო** კონკრეტულ პირს როცა მიემართებოდა, იმისთვის იყო „საგინებელი“... მერე კონკრეტულ მისამართს კარგავს და თითქოს განზოგადდება; აქ „დაიცვლება“ თითქოს „გინების“ სემანტიკიდან და „საკომლო ბრენდად“ გადაიქცევა...

როგორც ითქვა, ეს „მეტსახელების კულტურა“ ქიზიყურში

განსაკუთრებითაა განვითარებული. „ქვეყნის დარდი“ გნებავს თუ სხვა, ამის მაგალითია:

შენს მოთხრობაში „ტოპონიმოსი“ ასეთი ამბავია მოთხრობილი, ქუხილა ჰყვება (მე, სხვათა შორის ეს შენგან მქონდა ამბად მოსმენილი მანამდე...).

„— სახელი ოხერია, ჩემო ძმაო, რითაც გინდა გქონდეს ნაშოვნი, ძნელად დასათმობია. პეტრე, აი, სიღნაღელი პოეტი როა, ლერი ბეგიაშვილი, იცი?

პეტრემ თავი დაუქნია.

„ეგ ძირად ძველანაგელია. მაგის პაპა ძალიან შეძლებული კაცი ყოფილა, ბევრი ცხვრისა და ძროხის პატრონი. გამოცვლილ სახელად ბუქურაული უძახნიათ. რო მომკვდარა, სამი ვაჟიშვილი დარჩენია. გაუყვიათ ძმებს ქონება. გაყრისას ლერის მამას თავის წილ მემკვიდრეობაზე ხელი აუღია და უთქვამს: მე მამაჩემის სარჩო-საბადებლიდან მარტო იმისი სახელი გამაქვს, დღეიდან ზედმეტ სახელად ბუქურაულები მხოლოდ მე და ჩემს შთამომავლებს გვერქმევო. აეგეთი რამეა სახელი.

მაჰ!“

თ. ხ. — ეს სიღნაღში ნამდვილ ამბად არის ცნობილი.

გ. გ. — მთელი ნოველაა...

თ. ხ. — თავად ის ფაქტი, რომ ზედმეტ სახელს ბევრი სინონიმი აქვს (მეორე სახელი, გამოცვლილი სახელი, საალერსო სახელი, კნინობითი სახელი, ნართაული სახელი, მეტსახელი, უკანსაყივარი, თიკუნი...), იმაზე მიანიშნებს, რომ ამათი უმრავლესობა ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელით კი არა, შინაარსობრივადაც განსხვავდება; ამის გააზრებაც აუცილებელია...

ზოგი მეტსახელი თუ მარტივია და გამჭვირვალე (მაგ., ჯაგარა, მუქთარა, ჯანსალა...), ზოგი, მართლაც რომ, მხატვრული სახეა. ერთ კაცს „**ეზოს ლაზათს**“ ეძახდნენ. ეტყობა გარეგნობით კარგი შესახედავი იყო, მაგრამ სხვა არაფერით ექნა ღმერთს... ანდა: „**ლაფის კუკლა**“. „კუკლა“, მოგეხსენებათ, რუსული სიტყვაა და ქართულად „თოჯინა“ გვიქვია. სასაუბრო მეტყველებაში „კუკლა“ ლამაზის სინონიმად იყო ნაქცევი. ამ

ზედმეტი სახელის პატრონიც „კუკლასავით“ პიროვნება კია, მაგრამ ლაფისაა, ტალახისა და, რა გინდა რომ ქნა...

გ. გ. — თამაზ, ისევ შენს მოთხრობაში ჩავიხედოთ. ძალიან საინტერესო მაგალითი და მსჯელობაა მოთხრობაში „სადღეგრძელო“:

სოფლის სკოლაში გაანანილეს და ჩავიდა მასწავლებელი (პერსონაჟის სახელი არ ვიცით). სოფსაბჭოში უთხრეს, ჯალალასთან დაიდებ ბინასო და მიასწავლეს გზა. ახლა მოვუსმინოთ მწერალ თამაზ ხმალაძეს:

თ. ხ. — „ორმილასთან სანამ მიხვალ ჯალალას სახელი იკითხეო... (...) დალოცვილებმა ისიც კი არ მითხრეს, რომ ჯალალა გამოცვლილი სახელი იყო იმ კაცისა და სინამდვილეში ამირანი ერქვა“...

გ. გ. — მასწავლებელს შთაბეჭდილება რჩება, რომ ჯალალა უკანსაყივარია. და იტყვის მერე: „ჯალალაზე პატივსაცემი, დარბაისელი კაცი სოფელში ბევრი არავინ დადიოდა და არც ჩემგან და არც სხვისაგან უკანსაყივარის ძახება არ ეკადრებოდა, მაგრამ სხვა მხრიდან მოსულს ეს საიდან უნდა მცოდნოდა“. მსგავსი ანეკდოტი მრავლადაა, როცა მეტსახელს სახელად აღიქვამს და ამას უსიამოვნობა მოჰყვება, მაგრამ აქ, ამ მოთხრობაში საინტერესო კომენტარ-ახსნას გვთავაზობს მწერალი.

ვიმეორებ: ესაა მსჯელობა: რატომ და როგორ ერქმევა მეტსახელი, როგორია მეტსახელის მიმართება ნამდვილ სახელთან და როგორ ხდება ჩანაცვლება. კვლევის ტოლფასია ეს მსჯელობა ონომასტიკოსებისათვის...

თ. ხ. — ჯალალა რომ დავუძახე, ამით მაინც ბევრი არაფერი დაშავებულა. ერთი კარგი ჩვევა გვაქვს აქაურებს, საკუთარ სახელზე მეტად გამოცვლილ სახელს შეიტკობს და შეითვისებს ხოლმე ადამიანი, რადგან თვითონაც ხვდება, იმის შინაგნობასა და ხასიათს ის უფრო კარგად ესადაგება, ის უფრო ზუსტად გამოხატვს. მაგრამ ჩემი მასპინძლის ამბავი ცოტა სხვანაირად იყო, რაშიც დღესაც არა ვარ კარგად გარკვეული.

ჯალალას თუშები თურმე რაღაცა ყვავივით ფრინველს ეძახიან. თუშები აქაც ჩამოდოდნენ ხოლმე ყველისა და მატყლის გასაყიდად, ნათელმირონობა ჰქონდათ ჩვენს

სოფლებთან, მისვლა-მოსვლა, მიყოლ-მოყოლა... არავინ იცის, ჩემს მასპინძელს მართლა იმათ დაარქვეს ეს სახელი თუ სხვა ვინმემ, მაგრამ გაკვირვებული კი ძალიან ვიყავი. ფრინველს ის არა ჰგავდა და შავი ის არ იყო, მაშ რით მიამგვანეს ჯალალასა. ვითომ სიარულით? არ ვიცი, რა ვიცი...

კოჭლი იყო ჯალალა. კოჭლი კი იყო, მაგრამ ეგეთი თვალადი, ეგეთი აწყობილი სახის პატრონი არც იქამდე და არც მერე აღარავინ მინახავს. ცოლიც რომ თავისი შესაფერისი ჰყავდა? მე რომ ჩამოვედი, დარო ძალოს ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და უკვე განშიც წასულიყო, მაგრამ ძველი ეშხი და სილამაზე ჯერ კიდევ შემორჩენოდა — აივანზე რომ გადმოდგებოდა დიანბეგის ქალივითა და აათამაშებდა ბროლის თითებს, იმის ყურებას არაფერი სჯობდა. ეგ არის, რომ ამისათვის ძალიან იშვიათად იცლიდა ხოლმე.

გ. გ. — ერთი საგულისხმო დეტალიც: რატომ ამჯობინა მეტსახელი სახელს? ვინმემ რომ ის თქვას, ამირანი არ მოსწრებია და იმიტომაო, არ იქნება მართალი, იფიქრა ამაზე მწერალმა და შვილს დაარქმევინა ამირანი.

„ბიჭი ჰყავდათ ჩემზე ორი წლით უფროსი. ის რომ შესძენოდათ, მამას ამირანი დაერქმია და ამით თავისი ჯალალობისათვისაც სრულად დაეცა დასტური“.

საინტერესო მაგალითი მეტსახელის დარქმევადამკვიდრებისა...

თ. ს. — ვინმესთვის ზედმეტი სახელის შერქმევა და სამუდამოდ გაცოლიება, პერსონაჟი იქნება ის თუ რეალური პიროვნება, თუნდაც საქებარი ანდა საალერსო იყოს, იოლი არ არის. ამ თემაზე უფიქრიათ. მწერალმა როსტომ ჩხეიძემ წიგნიც უძღვნა („ჟარგონი თუ მეტსახელი“, 2016). უნდა მოვიხმოთ ეს დაკვირვება:

„ზედმეტი სახელის მორგებისას კი გამორიცხულია ყოველგვარი ცთომილება და, რა გასაკვირია, რომ ხშირად ხასიათის არსებით თვისებას მიგვანიშნებდეს, ბიოგრაფიული ეპიზოდიც შეიძლება იქცეს მეტსახელის ბიძგად, გარეგნობა ხომ თავისთავად... ისიც ჩვეულებრივი მოვლენაა, მეტსახელი მამიდან შვილზე რომ გადმოვიდეს, მერე შვილიშვილზეც, შვილთა-

შვილზეც და... გაგრძელდეს და გაგრძელდეს — გვარის ემბლემად განზოგადებული. და რალაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს გვარის ცხოვრებაში, მეტსახელი რომ შეიცვალოს.“

საერთოდ, მეტსახელი ბევრ საფიქრალს აჩენს; თუნდაც ის რად ღირს, როცა მშობლებს შვილები არა რჩებოდათ, ახალ-შობილს სხვადასხვანაირად უცნაურ სახელს არქმევდნენ, რომ სიკვდილისათვის გზა-კვალი აებნიათ, ბავშვისათვის ვერ მიეგნო..., მაგრამ ამჯერად გვეყოფა...

გ. გ. — თამაზ, მე შენი ერთი პერსონაჟის, ქუხილას, შესახებ მინდა გკითხო.

ხალხური ლექსის „სამი კაცი დუქანს არის ნიკო, ლუკა, ლუარსაბი“ პერსონაჟების შესახებ რამდენიმე მოთხრობა გვაქვს („სამი კაცი დუქანს არის“, „გუნება“, „ტოპონიმოსი“ და „რექვიემი ჭინკებისათვის“); მკვეთრად ინდივიდუალური ტიპები არიან. ნიკა, ლუკა და... ლუარსაბს ქუხილა დაარქვი... ჯერ ეს ვთქვათ, რატომ შეურჩიე მეტსახელი მხოლოდ ლუარსაბს და არა სხვებსაც? ლუარსაბი ცნობილი ქართველი პერსონაჟის (ლუარსაბ თათქარიძის) გამო ხომ არ შეუცვალე ქუხილათი? (ვითვლისწინებ იმას, რომ თავიდან ლუარსაბი შენ არ დაგირქმევია, ლექსშია)...

თ. ხ — არა, ლუარსაბ თათქარიძე აქ არაფერ შუაშია; ეს პერსონაჟი ისეთია, იმგვარი ბუნების, ქცევისა თუ ხასიათის, ლუარსაბ თათქარიძე არავის გახსენებია... რატომ დავარქვი ქუხილა? ხომ გახსოვს შეგონება: — ყველაფრის განმარტება არ ხერხდება, ამას „ის“ განსაზღვრავს...

გ. გ. — ეს ჯალალასაგან პრინციპულად განსხვავებული ვარიანტია: თავის თავს ლუარსაბს ეძახის, ასე არიან სხვებიც; მწერალი (მოთხრობელი) ეძახის ქუხილას... რატომ?

თ. ხ. — აქ ალბათ იმასაც აქვს მნიშვნელობა, როგორია მოტივაცია. ქუხილას დარქმევას გახსოვს, ორგვარად ხსნიან,

გ. გ. — რა დაგიმალო და, ესეც მომწონს: ამ მნიშვნელოვან თემაზე (მეტსახელი) როგორია მოტივაცია და რატომ არის ზოგი სახელი საამაყო პერსონაჟისათვის (მაგ. ჯალალა) და ზოგი — საჩოთირო...

- თ. ბ. — ასეთი შემთხვევებიც არაა იშვიათი, როცა მეტსახელის დარქმევის მოტივად ხალხი სხვას მიიჩნევს, პირი — სხვას. ამ შემთხვევაში პოპულარობას „ხალხური ვარიანტი“ უფრო იძენს და ეს პირის სახელის მიმართ მეტად თუ ნაკლებად უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს და... ქუხილას შემთხვევაში დაჟინებით ცდილობს „ხალხურის“ საწინააღმდეგო ვარიანტის დამკვიდრებას.
- გ. გ. — ეს ორიოდ ფრაგმენტიც გავიხსენოთ „ტოპონიმოსისგან“: ვიმეორებ, მე ამ შემთხვევაში უფრო ზოგად მნიშვნელობას ვხედავ — მწერალს სურს ამ ღირსსაცნობელი ტრადიციის არსის შეცნობა — გადმოცემა (საიდან ჩნდება მეტსახელი, როგორია მისადმი, ერთი მხრივ, პიროვნებისა და, მეორე მხრივ, საზოგადოების დამოკიდებულება)...

* * *

ქუხილა აცნობს თავის თავს ტოპონიმოსს პეტრეს:

„გინდა ლუარსაბი თქვი და გინდა ქუხილა, როგორია? მე ქუხილა მარტო ჩემი ხმის გამო კი არ დამარქვეს, ჩემი სახელი რომ გაჰქუხდა ამ სამ-ოთხ რაიონში, ჩემი ადგილიდან დამძვრელი და ბეჭებზე დამდები რო არავინ გამოჩნდა, იმიტო დამიძახეს.

— არა გრცხვენიან ამ სტუმარ კაცთან, ჯო? ეხლა შენი ტრაბახით უფრო ჰქუხხარ, ვიდრე გაკეთებულით, — პირზე მიაფრინდა ნიკა, — თავის მოჭრა არ არი, ორმოც მიტანებული კაცი ჭიდაობით რო დაინწყებს ბაქი-ბუქს?

— სახელი ოხერია, ჩემო ძმაო, რითაც გინდა გქონდეს ნაშვონი, ძნელად დასათმობია“.

ნიკა ვერ ეგუება ქუხილას გამუდმებულ ტრაბახს და აწყვეტინებს საუბარს:

„მივყვე და მეც ყველაფერი დავფქვა? ისიც შეგრჩეს, ხალხს რო ატყუებდი, ქუხილა ამიტომ დამარქვესო და მე ხმა არ ამოვიღე.

— რა უნდა გეთქვა, რო?...

— როგორ თუ რა უნდა მეთქვა, სიღნაღში პირველმანისობაზე რო იჭიდავე, მეც იქ არ ვიყავი?

— მერე?

— რალა მერე, ბოდბელმა ცალთვალამ რო დაგცა, ისეთი ქარი დაგძვრა და დააქუხე, ლაგოდესში გაიგონებდნენ. ჰოდა, ქუხილაც მაშინ დავარქვეს.

— ჰა, ჰა, ჰა, რას არ იტყვის კაცის ენა... მშურო, მშურო, ეგ საიდანლა მოიგონე?“

თ. ხ. — ხანგამოშვებით ქუხილა ამ ჭეშმარიტებასაც იტყვის (გავიმეორებ):

„სახელი ოხერია, ჩემო ძმაო, რითაც გინდა გქონდეს ნაშვონი, ძნელად დასათმობია“...

„ხოლო ვისაც ცოტაოდენი სახელი უშოვია, ის კიდევე უფრო ერიდება წუნკალი საქმის გაკეთებას, სახელის წახდენას უფროთხის, შთამომავლობაზე ფიქრობს“...

გ. გ. — და მომწონს აქ ავტორის მიერ შემოგდებული „თანმდევი ღიმილი“:

„სახელი რო არ გვიჭერდეს, სახელის გატეხვისა რო არ გვეშინოდეს, ჯოჯოხეთიდან კუპრის კონტრაბანდას დავინწყებდით და იმითაც ფულს გავაკეთებდით. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უმეტესობა სახელის გატეხვას უფროთხის“.

წიგნს ასე დავარქვით: „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“... ზემოთ ილია ჭავჭავაძე გავიხსენეთ არაერთგზის. თუ ვინმეზე ითქმის ერთმანეთს ამშვენებსო (სახელი და პერსონაჟი), ეს, ჩემი აზრით, უპირველესად ლუარსაბ თათქარიძეა. გვარს დავანებოთ თავი; ეს სახელი (ლუარსაბ) რატომ მოერგო ასე პერსონაჟს?

თ. ხ. — საოცრებაა, სამეფო სახელი; წმინდანი მეფის სახელი...

გ. გ. — დიახ, ჩვენს ანთროპონიმიკაში ეს ცალკე რიგია (მეფეთა სახელები) საკუთარი სახელებისა... მწერალმა აიღო, წამოიღო, დაარქვა თავის პერსონაჟს და... წარმოიდგინეთ, „მოკლა“ სახელი...

- თ. ბ. — „მოკლაო“ ალბათ იმას გულისხმობ, რომ ამ სახელს თითქმის აღარ არქმევენ...
- გ. გ. — დიახ, და ეს ლუარსაბ თათქარიძის „ბრალი“ ჩანს...
- თ. ბ. — ჰო, ყოველ შემთხვევაში მე დღეს არ ვიცნობ ადამიანს, ლუარსაბი რომ ერქვას... ეს სახელი იმდენად მოერგო „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟს, იმდენად „თავისი“ გახდა, რომ განზოგადდა კიდეც: „ლუარსაბობა“ — ლუარსაბ თათქარიძის მსგავსს, მისი თვისებების მქონეს გულისხმობს და არა „ლუარსაბ II-ის“ მსგავსებს...
- გ. გ. — რატომ მოერგო, რით მოერგო?... ზემოთ სოლომან მორბელაძე გავიხსენეთ, გვარმა სახელი მოათრიაო... აქაც ასეა ვითომ? გვარი გაჩნდა — თათქარიძე — და ამან „მოათრია“ სახელი?
- თ. ბ. — ერთი მონაფე მყავდა, აბიტურიენტი, „კაცია-ადამიანი?!“ რომ დამთავრდა და ლუარსაბი და დარეჯანი გარდაიცვალნენ, თვალები ცრემლებით ავესო: როგორი კარგები იყვნენო, არავისათვის არაფერი დაუშავებიათო, არაფერი ნაუხდენიათო... აქ მწერლის დამოკიდებულებას მივაქცევ ყურადღებას: ლუარსაბი იმიტომა უარყოფითი მწერლისათვის, რომ არაფერი გაუკეთებია... მკითხველისათვის იმიტომა კარგი, რომ არაფერი დაუშავებია...
- გ. გ. — ანუ: ერთი და იგივე პერსონაჟი „ცუდიცაა“ და „კარგიც“.
- თ. ბ. — ეს ასეც შეიძლება გავიაზროთ: იმ დროში, ვინც კარგს არ აკეთებდა, ცუდი კაცი იყო; დღეს — ცუდს თუ არ აკეთებს, კარგი კაცია!... ამან შეიძლება დროების შეფასებისათვისაც ივარგოს.
- გ. გ. — ისევ პერსონაჟთა ნათლობის პროცესს დავუბრუნდეთ... როგორც მწერალს გეკითხები: შეიძლებოდა თუ არა ამ პერსონაჟს, ლუარსაბს, **გიორგი** რქმეოდა? გავიხსენოთ — მის ძმას **დავითი** ჰქვია.
- თ. ბ. — გიორგი ალბათ ვერ დაერქმეოდა. სიტყვის ბგერითი შედგენილობაა ისეთი — ლუარსაბ — თითქოს გაბერილია... ბ — ბერ — ბერვა... თითქოს დაკავშირებულია პერსონაჟთან... **გიორგი**

ამ ასოციაციას ვერ შექმნიდა.

გ. გ. — საინტერესო საკითხი დასვი: სახელის (სიტყვის) ბგერითი შედგენილობა და პერსონაჟი...

ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაზე ვფიქრობდი. იქ დაისვა ეს საკითხი: ორი ძირითადი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს **თურმანი** და **თორელი** ჰქვია: არამჟღერი, არამკვეთრი თ და სონორები: რ, მ, ნ. ლ... მათ გვერდით ასეთი სახელებია: ხვედ-ია, ბინალა, სალთუფი, ბანჯურა, ჯათი, ბეასლამი... — ეს მამაკაცის სახელებია. ქალის სახელებიც თითქოსდა ფონეტიკურად გამორჩეულია (ნ მეორდება ხშირად):

თ. ბ. — არა, არა ჩანს შემთხვევითი... ძნელი სათქმელია, მწერალი ამაზე ფიქრობს, თუ როგორც შენ ამბობ („ჩოხა-ახალუხივით შემონკეპილი უნდა ჰქონდესო“ სახელ-გვარი...), ეს სახელი „მოერგო“ პერსონაჟს... მაგრამ აქ კიდევ ერთი რამეა გასათვალისწინებელი: მწერლობაშიც არის მოდა; დგება დრო მწერლობაშიც, როცა შემოდის მოდური სახელები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურაში იხმარება და ცხოვრებაში დამკვიდრება არ უნერია. თუ გადავხედავთ ბასილ მელიქიშვილის დროის მწერლობას, ასეთი სახელები იშვიათობა არ იქნება. ამ მხრივ განსაკუთრებით ლაღო კოტეტიშვილის შემოქმედება იპყრობს ყურადღებას.

გ. გ. — ფონეტიკურ მოტივაციასთან დაკავშირებით ჯალალა გამახსენდა... ერთ ამბავსაც მოვიგონებ: სტუდენტებთან საუბრისას ასეთი კითხვა დამისვამს: ვაჟას ერთ პოემაში ორი პერსონაჟი — გოგოთური და აფშინა. ერთი დადებითია, მეორე — უარყოფითი; რომელი რომელია (იგულისხმება პოემა არა აქვთ წაკითხული). პასუხი უცტომელია!...

თ. ბ. — ესეც იქიდანაა, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“...

გ. გ. — მაგრამ ეს არ ჩანს კანონზომიერება: ამ „პრინციპით“ ჯალალა უარყოფით წარმოდგენას შეგვიქმნის, მაგრამ არა ასე: ეს ის შემთხვევაა, პერსონაჟი რომ ამშვენებს სახელს... და ჯალალას ვინც იცნობს, მხოლოდ კარგის წარმოსახვა შეუძლია...

თ. ბ. — ამიტომ ვცადე, ცოტა მეტი ყურადღება დამეთმო მის გარეგნობაზეც და ხასიათზეც...

გ. გ. — პერსონაჟის გავლენაზე ერთი ასეთი მაგალითიც მახსენდება: ცნობილ ენათმეცნიერსა და მწერალს, გურამ ბედოშვილს ვსტუმრობდით ანანურში. ჩვენს მეგობარს, მურმან სუხიშვილს, სახელით რომ მივმართეთ, გურამის დედამ, მთიულმა ქალბატონმა, იუხერხულა, სტუმრის შეურაცხყოფად მიიჩნია და გვკითხა: „ასე კარგ ბიჭს მურმანს რატომ ეძახით“...

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებზე მიფიქრია ამ თვალსაზრისით. შეიძლება ფაქტები დავაზუსტოთ: დავითი ვარიანტებში პერსონაჟთა სახელ-გვარებს ცვლის. მაგალითად, „სამანიშვილის დედინაცვლის“ ადრეულ ვარიანტში **პლატონ სამანიშვილი არჩილ სანებლიძეა...** რატომ შეიცვალა, რა იყო მოტივაცია, ძნელი სათქმელია. „ქამუშაძის გაჭირვების“ ერთ-ერთ პერსონაჟს ჯერ **ეფემია** ერქვა, მერე — **ბარბარე**, ბოლოს — **ეკვირინე...**

თ. ბ. — მხოლოდ ქართულ მწერლობაში ხომ არ გვაქვს ასეთი მაგალითები. ამბობენ, არტურ კონან დოილს მთელი გვერდი ჰონდა გადავსებული გვარ-სახელებით, როცა თავისი მოთხრობების მთავარი გმირისათვის სახელს არჩევდა და ბოლოს, როგორც იქნა, შერლოკ ჰოლმსს მიაგნო; ასევე იწვალა მისი მენცვილის, ექიმ უისტონის, გვარის გამოსაჩხრეკადაც...

გ. გ. — ალბათ ბევრი მწერალი ამას თავადაც ვერ ახსნის.

თ. ბ. — ჰო, არის რალაც ისეთი, რაც ავტორს ამას აკეთებინებს, ჩვენ გაგვიჭირდება ამოცნობა... ეს შეეფერება და გათავდა... აი, მოფერებითი სახელები (პარალელურ სახელებს რომ ეტყვიან) რომ არის, მაგალითად გიორგი — გია, გოგი, გიო... ყველას ვერ აკადრებ, არ შეეფერება... ტარიელ ჭანტურიას აქვს ერთი შესანიშნავი რითმა: „ნოსტელ გიას — ნოსტალგია...“ შინაარსობრივადაც რა კარგია — ნოსტალგია გიორგი სააკაძისა. მაგრამ ვერავინ ვერ მიიღო ეს რითმა; არ ასახელებენ კარგ რითმათა ჩამონათვალში: გიორგი სააკაძეს გიას ვერ აკადრებენ... დიდი მოურავი გია არ შეიძლება იყოს... — მარტო გიორგი...

გ. გ. — ასეთი ფაქტი გამახსენდა: პარალელური სახელი ბავშვობიდან **გოგი** მქვია. ქართულის მასწავლებელი მყავდა გიორგი გაბრიძე; იმასაც გოგის ეძახდნენ. V თუ VI კლასში თანაკლასელმა

გოგია დამიძახა. გაუჯავრდა გიორგი მასწავლებელი — გოგია რა, მენისქვილეო?... ეს ისე... **ნოსტალგიამ** გამახსენა: აქ მწერლის ფაქტორიც ხომ არ შემოდის? — დიდოსტატს კონსტანტინე ჰქვია და უტა დაუძახა...

- თ. ბ. — აი, აქ მოვუახლოვდით მწერლის დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ. უყვარს ავტორს, იხსენებს მის ბავშვობის სახელს და როცა ასე მოიხსენიებს, თითქოს ეფერება, ეალერსება.
- გ. გ. — დიდოსტატის სახელთან დაკავშირებით ერთი კითხვაც ჩნდება. ვერ ვიხსენებ შემთხვევას ქართულ ლიტერატურაში, მთავარ პერსონაჟს ავტორის სახელი რომ ერქვას, მისი სეხნია რომ იყოს... კონსტანტინე გამსახურდიას ორი რომანის გმირი კონსტანტინეა — კონსტანტინე სავარსამიძე და კონსტანტინე არსაკიძე... როგორ განმარტავ ამ ფაქტს?
- თ. ბ. — ეტყობა, ავტორს თავისი სახელიც მოსწონს, უყვარს კიდეც და ორი მთავარი რომანის პროტაგონისტებს საკუთარი სახელი დაარქვა. თუმცა „დიონისოს ლიმილის“ დასასრულისას იმასაც ამბობს: ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო...
- გ. გ. — თამაზ, ჩვენს დროს სკოლაშიც ისწავლებოდა ნიკო ლომოურის მშვენიერი მოთხრობა „ქაჯანა“. გახსოვს?
- თ. ბ. — რა თქმა უნდა.
- გ. გ. — აბა, გაიხსენე: ქაჯანა პერსონაჟთაგან დას ჰქვია თუ ძმას?
- თ. ბ. — დას.
- გ. გ. — არა!... ძმას ჰქვია. და-ძმა არის, კატო და ქაჯანა... ნიგნში ჩავიხედოთ. მოთხრობის პირველი წინადადებაა: „პატარა ქაჯანა გახლავთ მეტი სახელი სოფლელი პატარა ბიჭისა“... და მერე: „საშინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს კატო“... აი, ეს არის პერსონაჟთათვის სახელების არასწორად შერჩევა.
- თ. ბ. — ვისაც ახსოვს ეს მოთხრობა, ყველა იტყვის ალბათ, რომ ქაჯანა გოგოა, დიახ, თავისი ქცევით: ცელქი ბუნებით, მოქმედებით. სხვათა შორის, ეტიმოლოგიურადაც ქალის სახელია „ქა“ (შემოკლებული ქალო) და „ჯან“... ძველ-სპარსული „სულო“ (აქ მეგრული „ჯანსულოც“ ამოტივტივდა გონებაში...).

- გ. გ. — ესაა ის, რასაც ვამბობდით: არასწორად შერჩეული სახელი პერსონაჟისა... სხვათა შორის, ნ. ლომოური განმარტავს, რატომ დაერქვა ამ პერსონაჟს ქაჯანა: ლაპარაკში ხშირად უყვარდა „ქაჯანას“ ხმარებაო...
- თ. ბ. — ეჰ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის გვარსახელს, მაგრამ უპირველესი მაინც სხვა რამეა: დაარქვი სახელი და ნაწარმოები თუ ივარგებს, ეს პერსონაჟი თავსაც დაიმკვიდრებს და სახელსაც მოირგებს...
- ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია, მოვლენაა, როგორც ჩანს. ამასაც განსაზღვრავს ის, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“.
- გ. გ. — ხშირად პროტოტიპი კი ჰყავს პერსონაჟს, მაგრამ ამ პროტოტიპის სახელი იშვიათად თუ გადაჰყვება ნაწარმოებში. რეზო ინანიშვილს ესტუმრობდით უჯარმაში. აი, იმ სახლში ცხოვრობდაო **ბიბო** (ცნობილი საბავშვო მოთხრობის პერსონაჟი), დაგვანახა. ბადრი ერქვაო და გვიამბო, როგორი ბიჭი იყო... სახელი მაინც სხვა მოერგო — ბიბო... ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიული მოთხრობების შესავალში გვაფრთხილებს, რომ აქ ყველაფერი სინამდვილეა, მაგრამ ნამდვილს „შეთხზულ სახელს არქმევს“, რადგან მიაჩნია, რომ „ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი“...
- თ. ბ. — პერსონაჟის სახელის დარქმევა ასეთივე პროცესი ჩანს და არა მხოლოდ სახელი...
- გ. გ. — ლუარსაბზე რომ ვსაუბრობდით, ვთქვი, დავანებოთ-მეთქი თავი გვარს, მაგრამ, ეტყობა, პერსონაჟის გვარს მაინც ვერ ავუვლით გვერდს... ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან გრძელაძე... ფაქტია, თათქარიძე არ არის რეალური გვარი; მაგრამ არც ისეთი გამჭვირვალეა, როგორც ე. ნინოშვილისა და გ. წერეთლის პერსონაჟთა გვარები, თუმცა ეტყობა რაღაც სემანტიკური დატვირთვა მაინც აქვს...
- თ. ბ. — საერთოდ ილია ჭავჭავაძის პროზაში ეს საკითხი საგულისხმო მეჩვენება. აბა, დავფიქრდეთ: მოთხრობებში „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“ მთავარი პერსონაჟების გვარი არ ვიცით; არ მიიჩნია საჭიროდ

მწერალმა... „კაცია ადამიანში“ სხვა ვითარებაა: თათქარიძე და გრძელაძე...

- გ. გ. — საგანგებოდ მოვიძიე ცნობარებში და ეს ვარიანტი — გრძელაძე — არ ჩანს, გრძელიძე — კი (ასევე რ სონორის გარეშე — გძელიძე არის, გძელაძე — არა). ანუ: რეალური გვარისგან ფონეტიკურ ვარიანტს აკეთებს: ი ხმოვანს ჩაანაცვლებს ა ხმოვნით...
- თ. ბ. — მსგავსი ვითარება დ. კლდიაშვილთანაც იყო: მორბედაძე მორბელაძედ გადააკეთა... იქ თითქოს მოტივირებული ჩანდა: გვარი რბოლა-რბენას დაუახლოვდა ფონეტიკურად... გრძელაძის შემთხვევაში რა ვიფიქროთ?
- გ. გ. — ი/ა შენაცვლებით ირონია შემოაქვს, დასცინის, სიტყვას საპირისპირო მნიშვნელობას აძლევს. ნიგნში ჩავიხედოთ: ლუარსაბის გარეგნობა გვახსოვს; დარეჯანზე იტყვის: „ფერი ერთი ჰქონდათო“; „ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული (...) გორგალსავით დაგორავდა...“ და გრძელაძეო... ეს ა სუფიქსის გამოყენების ის შემთხვევა ჩანს, სიტყვას კნინობითობის (უქონლობის) შინაარსს რომ აძლევს: კუდა უკუდოს ნიშნავს..
- თ. ბ. — ასეთი შემთხვევები ხშირად არის კახურ მეტსახელებში: უყუროს შეიძლება ყურა დაარქვან, მოკლევცხვირიანს — ცხვირა, დაბალსა და ჩამრგვალებულს — გრძელა... ასეთი თიკუნი პერსონაჟს კიდევ უფრო სასაცილო ელფერს ანიჭებს; აქ ალბათ გაუცხოების ეფექტიც არის გასათვალისწინებელი... მაგრამ თათქარიძე როგორ მოერგო ლუარსაბს, არა? თან სათავადო გვარიო... შეიძლება ჩვენ ვერ ვხვდებით, თორემ უმოტივაციოდ არც ეს გვარები უნდა იყოს შემოტანილი.
- გ. გ. — აქ „სცენებიდან“ გლახა ჭრიაშვილის გახსენებაც გვმართებს. ორსიტყვიანი სინტაგმა იქცა სახელ-გვარად: გლახა ჭრიაშვილი — გლახად (კუდად) ჭრიალებს, გლახად ჭრის... ანუ გაუჩერებლად, გაუთავებლად, უაზროდ მრავალსიტყვაობს და იკარგება აზრი... (აქ საინტერესო ისიცაა, რადგან სინტაგმური წარმოშობისაა ეს სახელ-გვარი, ცალკე „გლახას“ არ ვხმარობთ საუბრისას, **გლახა ჭრიაშვილს** ვამბობთ განსხვავებით

ლუარსაბისაგან...) იმდენად ზუსტად და საინტერესოდ არქმევს პერსონაჟს გვარ-სახელს, იმდენად საინტერესო პერსონაჟებს ხატავს, რომ თათქარიძეც და ჭრიაშვილიც განზოგადდა... უნდა ვიფიქროთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში მოტივირებული სახელ-გვარები სათავეს ილიასთან იღებს...

თ. ბ. — ილიას სხვა მოთხრობებში რა ხდება? ოთარაანთ ქვრივს, გიორგის, არჩილს, გაბრიელს, პეპიას, დათიკოს, პეტრეს გვარი არა აქვთ... არ სჭირდებათ?... ალბათ, არა... ეტყობა, ილიასთან „გვარიანობაც“ და „უგვარობაც“ მოტივირებულია...

ხომ გახსოვს, ზემოთ კლდიაშვილის ნათქვამი რომ დავიმონმეთ — „გვარმა სახელი მოათრიაო“? ჯერ იყო და ავტორმა რეალურ გვარს ფონეტიკური სახე შეუცვალა, მერე „მოათრია“ მორბელაძემ სოლომანი და მოთხრობაც იოლად დაინერა... ამ შემთხვევაში გვარს ეძლევა უპირატესობა... მორბელაძეს რომ მიაგნო, მერე გაეხსნა გზა მოთხრობას...

გ. გ. — ძალიან საინტერესოა ის, რომ დავითი ვარიანტებში გვარსაც უცვლის პერსონაჟს და სახელსაც: არჩილ სანებლიძე პლატონ სამანიშვილი გახდა („სამანიშვილის დედინაცვალი“), ოტია ქამუშაშვილი — ქამუშაძე („ქამუშაძის გაჭირვება“), ბაბო სარალიძე — გარაყანიძე („წრფელი გული“)... რეალური გვარი იცვლება რეალური გვარით, „ძეზე“ დაბოლოებული „შვილზე“ დაბოლოებულით და პირიქით... მოტივაცია თითქოს არ ჩანს...

თ. ბ. — ცხადია, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თორემ...

გ. გ. — პერსონაჟის გვართან დაკავშირებით დ. კლდიაშვილთან ესეც საინტერესოა: პიესაში „დარისპანის გასაჭირი“ ყველა პერსონაჟს გვარი აქვს (მართა ქვიტირიძისა, პელაგია საბელაშვილისა, დარისპან ქარსიძე, ონისიმე მათარაძე, ოსიკო ხარაბაძე...), ხოლო პიესაში „უბედურება“ არცერთ პერსონაჟს გვარი არა აქვს.... ან ერთგან რა დატვირთვა აქვს „გვარიანობას“, ან მეორეგან — „უგვარობას“, ალბათ მხოლოდ დავითმა იცის...

თ. ბ. — არადა რომ აქვს ეს დატვირთვა, ფაქტია: როგორც ითქვა, „სოლომან მორბელაძე“ ვერ დაინერა, სანამ პერსონაჟის გვარს არ მიაგნო...

გ. გ. — აქ ესეც საინტერესოა: ვარიანტებში შეიცვალა გვარი,

შეიცვალა ნანარმოების სათაურიც: სანებლიძე გადაკეთდა სამანიშვილად და სათაური „ძილი მოსვენება“ იქცა „სამანიშვილის დედინაცვლად“... ქამუშაშვილი ქამუშაძედ შეიცვალა და შესაბამისად „გამოსაცვლელი ცხოვრება“ — „ქამუშაძის გაჭირვებად“... არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი...

თ. ბ. — კლდიაშვილისნაირ მწერლებთან შემთხვევითი არაფერია... მაგრამ რა ხდება, რატომ და რა მიზნით, ეს ალბათ მხოლოდ ავტორმა იცის... ან იმან, ვინც ან „რაიც ავტორს შთაგონებით ნყალობს“... გახსოვს, ამაზე მე არ მიფიქრიაო, ვწერდი, როგორც იწერებოდაო...

გ. გ. — ამ თვალსაზრისით მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე თუ გივი შადური, ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია ძალზე საინტერესოა..

შეგვიტყუა ამ თემამ. არაა ეს ერთი და ორი საუბრის თემა... გვაპატიოს სხვა პერსონაჟებმა, ვის სახელსაც ვერ შევვხვით, ვერ შევაფასეთ და ვერ დავაფასეთ... ვერ მოვეფერეთ... მე ისევ თამაზ ხმალადის შემოქმედებას მინდა დავუბრუნდე.

საკუთარი სახელი, საკუთარი სახელისა თუ მეტსახელის ვარიაციები მწერლის მსჯელობის საგანი არაერთგზის ყოფილა. მიმიხვდება მკითხველი — ამით იმას გაცხაზავ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი საკუთარ სახელს (ოფიციალური იქნება ის, პარალელური სახელი თუ მეტსახელი).

ამ ნოველის დასასრულისკენ წავედით და ერთი სახასიათო ეპიზოდი გავიხსენოთ მოთხრობიდან „ნასყიდას ვატერლოო“. როგორ ხალისობს („ლადაობს“) ნასყიდა და ართობს მსმენელს ამ „ხერხით“... აქ ისიცაა გასაშუქებელი, თუ როგორი მახინჯი ჩვევა იყო იმ დროს ე. წ. „საგანმანათლებლო“ „მოგზაურობანი“ სოფელში:

თ. ბ. — ნასყიდას სოფელში ჩამოდის ლექტორი საზოგადოება „ცოდნიდან“.

„ლექციის შემდეგ, როცა ყველანი კლუბის ეზოში გამოიშალნენ და თავმჯდომარეშეშეშე რაღაც საქმის გამო რამდენიმე წუთით მიატოვა სტუმარი, ნასყიდამ დრო იხელთა:

- თუ უკაცრავად არ ვიყო, ბატონო, ერთი შეკითხვა შეიძლება?
- მკითხეთ, ამხანაგო, მკითხეთ. — დარბაისელი მოხუცის ასეთი მოკრძალება ესიამოვნა ლექტორს.
- თქვენი სახელი მაინტერესებს, პატივცემულო!
- კიტა, — გაელემა სტუმარს, — კიტა სევასტის ძე. — უცებ დასერიოზულდა მერე.
- კიტა თუ ქიტა, კაცო? — ყურთან ხელი მიიტანა ნასყიდამ.
- კიტა! არა ქიტა, არამედ კიტა. — დაუმარცვლა თავისი სახელი ლექტორმა.
- ტა-ტა-ტა-ტა-ტა, აფსუსი არ არის, კაცო, აფსუსი არ არის! შორიანხლოს მომდგარ სოფლებს შეკავებული სიცილი ციყვებივით უხტოდათ თვალებში.
- რატომ ამბობ მაგას, ამხანაგო, — გაცუებით გამალა ხელე-ბი სევასტის ძემ, — ჯერ ჩემთვის სახელი არავის დაუნუნებია!
- დაუნუნება-არდაუნუნებაში არ არის საქმე, თქვენისთანა ნას-ნავლ კაცს ბასა უნდა ერქვას, მიხა ან თუნდაც ქიტა.
- რაო, ვითომ, რატომ, ეგ საიდან მოიტანეთ. — გაბრაზება დაეტყო ლექტორს.
- იმიტომ რომ ესენი დიდხანსა სძლებენ.
- რას შვრებიან?
- დიდხანსა სძლებენ-მეთქი, ვისაც ეგეთი სახელები ჰქვიათ, დიდხანს ცოცხლობენ.
- კარგით ერთი, როგორ არა გრცხვენიათ, განათლებული კაცი ჩანხართ და რალაც დრომოჭმულ ცრურწმენებს კი აპყოლი-ხართ, არ გეკადრებათ, ნამდვილად არ გეკადრებათ! ეგ რომ ასე იყოს, როგორ გგონიათ, მეცნიერებისათვის უცნობი იქნებოდა აქამდე? — შეარცხვინა ნასყიდა კიტა სევასტის ძემ.
- ცრურწმენა რა შუაშია, ძველებს უფრო არ დაეჯერებათ?! აი, თუნდაც მე, რამდენი წლისა ვიქნები თქვენი აზრით?

— თქვენ... დაახლოებით სამოცდახუთის...

— სამოცდათექვსმეტიც ნუ გშურს, მაგრამ მე რომ აბრია ან ყაყიტა მრქვეოდა, ათი წლით ახალგაზრდა მაინც ვიქნებოდი. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ჩემნაირ სანყალ კაცს რა სახელი ერქმევა და რამდენ ხანს გასძლებს, მთავარია, თქვენისთანა ჭკვიანი ადამიანი, ეგეთ სასარგებლო საქმეს რომ ემსახურება, ისა ცოცხლობდეს დიდხანს. რა იცი, იქნება არც ეხლაა გვიან, ქალაქში რომ ჩახვალთ, სახელი გამოიცვალეთ, ან თუნდაც მეტსახელი დაირქვით რამე.

კიტა გაოგნებული შეჰყურებდა. ვერ მიმხვდარიყო, ვისთან ჰქონდა საქმე, რა უნდოდა ამ მოხუცს, რალაც აბდაუბდით რომ უბნევედა თავგზას. ამ დროს გაუჩინარებული თავმჯდომარეც დაბრუნდა, ნასყიდას მკაცრად დაუბრიალა თვალები და ლექტორი ხელკავით წაიყვანა ჭიშკართან გაჩერებული მანქანისაკენ.

— უღვაში ნუ შემირცხვენია, მართლა აფსუსია, მართლა მეთანაღრება გული. — მათ გასაგონად ჩაილაპარაკა ნასყიდამ და ხალხისაკენ მობრუნდა.

— რაშია საქმე, ნასყიდ, — საიდანღაც კაკაანთ ოთარა გამოტყვრა. ფეხზე ძლივს იდგა, დღესაც სადღაც გაღეშილიყო. — ხომ არავინ განყენინა, თუ გინდა, იმ შენ ლექტორს ერთი გემრიელად მიგიმყავებ. ხომ იცი, მე ცოტა მიწერია, თავმჯდომარისა კი არ მეშინიან.“

გ. გ. — ჩემო თამაზ, მოვიხმოთ სიბრძნე წერტილის დასმის ხელოვნებისა, დავსვათ წერტილი ამ ხალხიან ნოტზე...

თ. ხ. — და ბოდიში მოვუხადოთ იმ პერსონაჟებს, ვინც ნამდვილად ღირსნი იყვნენ ამ საუბარში შემოსვლისა, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევძელით...

თანამდავი ღიმილი

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, შენი მოთხრობა „სადღეგრძელო“, ასე ვთქვათ, „სერიოზული“ ნაწარმოებია; ფინალი ტრაგიკული აქვს... და ამ ტრაგიკულ ფინალურ ეპიზოდში (ჯალალა კვდება) ასეთი პასაჟი შემოგაქვს: „ერთ-ორი სადღეგრძელოს მერე ჯალალამ ბოლო-კი ამოაძვრინა, ამ დაძმარებულსა და დანალვლიანებულ ადამიანს კინალამ ხარხარი ამივარდა.“ ამ ბოლოკის ამოძვრენამ არ შეიძლება ღიმილი არ მოჰგვაროს მკითხველს, რომელსაც ნაკითხული აქვს ეს ნაწარმოები...

ხვდები, ცხადია, იუმორის თემაზე მინდა ვისაუბრო. რამდენიმე „ღიმილიან“ ფრაგმენტს ჩავიკითხავ შენი მოთხრობებიდან და მერე განვაგრძოთ საუბარი...

* * *

„ვერც წელს ჩაირიცხა შენი გოგო, ნასყიდ? — ჰკითხა ვილაცამ.

— ჩაირიცხა არა, ჯანდაბა! ვინ ჩაირიცხავდა, კაცო, შეკითხვებზე ისეთ პასუხებს აძლევდა, გამომცდელები მელაანამდე ქვის სროლით მოგვეყვინენ, ცოცხლებმა ძლივ გამოვასწარიო“ („ნასყიდას ვატერლოო“)...

სხვა: „ვინც იცოდა ელეფთრეს ამბავი (ნასყიდამ ელეფთრე დაარქვა მამალს), ეზოში უჯოხოდ შესვლას ვერა ბედავდა, დასაკორტნად თავი არ ემეტებოდა. ნასყიდას რომ მამალი ჰყავს, ცხენიან კაცს ძირს დასცემსო, ამბობდნენ სოფელში, ჰე, ჯერ მარტო ხმა რად ღირდა ელეფთრესი, ომანიანი, ვაჟკაცური, აქ რომ დაიყვილებდა, ყვარლისა და ლაგოდებისაკენ დედლებს მუხლებში აჟრჟოლებდათ“ („რიკულებიან

აივანზე“).

სხვა: (ქუხილა) ჰყვება სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის ამბავს:

„იქ იგეთი მეტოქე დამხვდა, დანახვაზეც გული შეგიწუხებოდა. თავიდან მაინც არ შევეპუე, ჩემი ვცადე: ჩავავლე ხელი და შევაჯუნჯულუხე. შეჯუნჯულუხება ეგრე არ უნდაო, გაბრაზდა იაპონელი. წამაქცია და დამიწყო ხელ-ფეხის ტრიალი. ვაი შენს ლუარსაბსა! რა გინდა, შე ოხერო, ხო წამაქციე, მაშ ალარ დამეხსნები-მეთქი, ვფიქრობ გუნებაში, მაგრამ არა, მჭმუჭნის, მგრეხამს, კაცო, სიკვდილი სანატრელი გამიხდა. ახ ერთი ამის მაგივრად ჩვენი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მომცა-მეთქი, ვნატრობ, მაგრამ სად არი? თურმე დაარტყი ხელი ხალიჩას და მორჩება ყველაფერი, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი. არადა, მკლავს ეს ოჯახქორი! ამომიბრუნა ხელ-ფეხი, კაცო, დამგრინა, თავი საითა მაქვს და ბოლო — საით, ველარ გამიგია. სანამ მთავარი სული ამომივიდოდა, თვალი ერთხელაც გავახილე და ცხვირწინ უკანალი დავინახე. მოვიკრიბე უკანასკნელი ილაჯი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავკბიჩე... ჩავკბიჩე და ისე გავმწარდი, ჩემმა ღრიალმა იქურობა შესძრა...“

— ეგ რაღად, ბატონო ლუარსაბ? — გაიოცა პეტრემ.

— ჩემი გამოდგა!“ („ტოპონიმოსი“)

გ. გ. — ეს, ასე ვთქვათ, „სახალისო“ პასაჟები; ამჯერად ვიკმაროთ.

თამაზ, შენ არ გქვია იუმორისტი მწერალი; შენს მოთხრობებზე ვერ ვიტყვი, რომ ეს არის იუმორისტული ნაწარმოები...

თ. ხ. — ფაქტია... მიზანი უნდა იყოს მწერლისა იუმორისტული ნაწარმოების შექმნა; არ არის ასე...

გ. გ. — ჰო, ამ მიზნით არ იწერება მოთხრობა... მაგრამ შენს ნაწარმოებებს რომ ვკითხულობ, ეს ხაზი (ვთქვათ ასე), **იუმორისტული ხაზი, მკვეთრადაა გამოხატული.**

აქ მოყვანილ მეორე მაგალითში მამლისათვის სახელის დარქმევიდან (ელეფთრე) ღიმილი გდევს თან... ეს სახელიც

ახალისებს მკითხველს...

თ. ბ. — მართალი ხარ... ახლა რომ ვფიქრობ, ამ სახელებშიც არის რა-ღაც სახუმარო...

გ. გ. — „ნასყიდას ვატერლოოში“ ქალაქელ ლექტორთან დიალოგი (წინა ნოველაში რომ ვისაუბრეთ მასზე) მთლიანად საკუთარ სახელთა ვარიანტების თამაშზეა აგებული... ესეც შენი „სამყაროა“, მაგრამ აქ სხვა რამ მაინტერესებს: მთელი ეპიზოდის განმავლობაში მკითხველს ღიმილი თან სდევს...

— იხალისა ნასყიდამ („ილადავა“).

ასეთი პასაჟები სანთლით საძებნი არ არის შენთან, თამაზ. ზოგ მოთხრობაზე შეიძლება ითქვას, შინაარსობრივად სახალისო მოთხრობებია... ამიტომ ასეთ ნაწარმოებებში თითქოს ბუნებრივია იუმორი, მაგრამ „სადღეგრძელო“? ამ უდავოდ საინტერესო, „სერიოზული“ ამბის თხრობას თან სდევს ღიმილი, ლამაზი იუმორი... **ლამაზი, ჯანსაღი, ლალი** იუმორი... ეს არის ჩემთვის ამგვარი პასაჟები...

შენთვის რა არის, თამაზ, ეს?

თ. ბ. — მხატვრული ხერხი... **საშუალება მკითხველთან ურთიერთობისათვის...** ეს იმისათვის, რომ მკითხველი არ „გამექცეს“... არ მოსწყინდეს მკითხველს „ჩემთან ყოფნა“, არ მოვბეზრდე...

გ. გ. — მწერალი ფიქრობს, გაახალისოს მკითხველი და შეიყოლიოს — მკითხველს აინტერესებს, კიდევ რას იტყვის „ეს კაცი“ ამნაირსო...

თ. ბ. — იუმორი მეხმარება იმაშიც, რომ ჩემი სათქმელი, მოთხრობაში რაც უნდა ვთქვა, იოლად მივიტანო მკითხველის გონებამდე... ვიმეორებ, შენ რომ მწერალი ხარ, შენთან ყოფნა არ უნდა მოსწყინდეს მკითხველს...

გ. გ. — ასე ვთქვათ, გზადაგზა ჩაგდებული ასეთი პასაჟები ახალისებს, ართობს და ასვენებს მკითხველს... განაწყობს მწერალთან ხანგრძლივი ურთიერთობისათვის. ასეა?

და რაც მთავარია, ეს ძალზე ბუნებრივად ხდება; თხრობს ამბავს, მიჰყვება სიუჟეტურ ხაზს და თუ შეატყობს მოწყენას, დალლას მკითხველს, „ჩააგდებს“ ღიმილს... **„თანმდევი ღიმი-**

ილი“ დავარქვი ამას...

თ. ხ. — ჰო, ასეა... იუმორისტულ ნაწარმოებში მიზანი უნდა იყოს მწერლისა იუმორისტული, შედეგი უნდა იყოს იუმორისტული...

* * *

გ. გ. — თამაზ, ნასყიდას შემთხვევაში (მოყვანილი სამივე მაგალითი ნასყიდასია სხვადასხვა მოთხრობიდან...) ლალი იუმორი, თვითირონია, შვილის გამათრახებაც და ამით მსმენელთა გახალისება, კახური იუმორი მგონია მე...

სანამ საუბარს განვაგრძობ, რამდენიმე „ლიმილიან“ პასაჟს გავახსენებ მკითხველს შენი ნაწარმოებებიდან:

„— რა ვერ გაიგე, ჯო? სახელი რო არ გვიჭერდეს, სახელის გატყვისა რო არ გვეშინოდეს, ჯოჯოხეთიდან კუპრის კონტრბანდას დავინწყებდით და იმითაც ფულს გავაკეთებდით“ („ტოპონიმოსი“).

„ლამე ფეხისადგილში არ გავა, რა არის, შარდმა შემანუხოს, ადრე გამაღვიძოს და სხვებზე მეტი საქმის გაკეთება მოვასწორო“ („რიკულებიან აივანზე“).

„— რაო, ბიჭო, შენი უფროსი შენც ხომ არ გიპირებს შემცირებას?...“

— ისე როგორ შემამცირებს, რომ ამხელა კაცი იმისი ტოლი მაინც აღარ დავრჩე?“ („დროის მკვლელები“)...

„ენა ჰქონდა, ნატვრისთვალში არ გაიცვლებოდა. ოჯახს ის ანახვინებდა, იმით ხნავდა და თიბავდა, და ბარისა და თოხის მაგივრობასაც ის უწევდა“ („ნასყიდას ვატერლოო“).

და მისთანანი

დიახ, კახური იუმორი მგონია, მე...

საერთოდ მიფიქრია ამ თემაზე: მე იმერელი ვარ, ოკრიბაში გავიზარდე; ვფიქრობ, კარგად ვიცნობ კახეთსაც და იმაზეც ჩავფიქრებულვარ, რომ იმერული და კახური იუმორი განსხვავდება ერთმანეთისაგან... იმერლები ცოტა „წინაკას“ ურევენ იუ-

მორში, ცოტა მწარეა იმერული იუმორი... კახურის შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვი...

- თ. ბ. — მე ასე ვხედავ ამ პროცესს: ოდესღაც ხომ ჩაისახა და განვითარდა იუმორი... აი, ამ განსხვავებაში ჩანს, რომელ მხარეს, რომელ კუთხეში რა მიმართულებით განვითარდა, რა მიმართულებით წავიდა...
- გ. გ. — იუმორის მიხედვით შეიძლება კუთხე დახასიათდეს... ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა ეთნო-ფსიქოლოგიური ხასიათი იკვეთება შესაბამისი კუთხის იუმორში...
- თ. ბ. — ეგ საინტერესო ფაქტია — იუმორში ამა თუ იმ კუთხის ეთნო-ფსიქოლოგიური ხასიათი ჩანსო, რომ შენიშნე... მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ხშირად ერთი კუთხისთვის დამახასიათებელ იუმორისტულ ამბავს რომ მივანეროთ მეორეს, ეს მიზანს უკარგავს, ხიბლს ართმევს, ამახინჯებს იუმორს... ამის მაგალითების მოყვანაც შეგვიძლია...
- გ. გ. — სხვადასხვა კუთხეში იუმორის მოხმობის მიზანდასახულებაც განსხვავებული ჩანს... თითქოს იმერელს სურს, არა მხოლოდ გაიღიმოს, გაკენწლოს, უკბინოს, ცოტა გაამწაროს კიდეც... აკაკი წერეთლის მაგალითი გავიხსენოთ. ცნობილი ამბავია: ღვანკეთელმა ვარდენმა რომ ლექსი გაუგზავნა პოეტს:

„შენ საჩხერის არწივი ხარ,
მე ღვანკითის შავარდენი,
შენც პოეტი, მეც პოეტი,
შენ აკაკი, მე ვარდენი“...

ვარდენმა შებედა შეხუმრება აკაკისთან (თუ ხუმრობს ვარდენი!...), მაგრამ აკაკის პასუხი გახსოვს?

„წერე, წერე, ჩემო ვარდენ,
მტერს დაასვე ისარიო,
თუ პოეტი არ გამოხვალ,
წერას მაინც ისწავლიო“...

არ „აპატიო“ აკაკიმ ასეთი სითამამე ღვანკითელ „კოლეგას“ და

მწარედ გაკენწლა, „დასაჯა“... ესაა იმერული იუმორი...

თ. ბ. — როცა ხუმრობაზე ვსაუბრობთ და ამასთან დაკავშირებით სიტყვა „გესლი“ წამოტივტივდება, როგორი გულითაც არ უნდა იყოს თქმული, ძნელად რომ კაცს მოეწონოს...

— ერთს კიდევ გავიხსენებ „იმერულ“ ხუმრობას აკაკისას: კოკი აბაშიძე იგონებს — „აკაკის მეტად მწარე ენა ჰქონდა, გესლიანი... (...) ეს გესლიანი სიტყვა, გონებამახვილი რეპლიკა ბოროტი გულით არ იყო თქმული“...

გ. გ. — და ერთ ასეთ ამბავს მოაყოლებს კოკი აბაშიძე ამ მსჯელობას: ერთ წვეულებაზე „სომხის პოპულარული პოეტი და საზოგადო მოღვაწე არწრუნიც ყოფილა.

არწრუნი სხვათა შორის მახინჯი იყო, კუზიანი. აკაკისათვის უთქვამს არწრუნს, ძალიან კარგი პოეტი ხარ, მაგრამ ერთი ნაკლი გაქვს — ძალზე შოვინისტი ხარო: ქართველი ხალხის გარდა გძულს სხვა ერიო.

აკაკიმ ღიმილით (!) მაშინვე გასცა პასუხი:

— შენზე უფრო შოვინისტი ვინც იყოს, ღმერთმა შეაჩვენოსო, არარატი ზურგით დაგაქვსო“...

„უხუმრია“ აკაკის; ეს „იმერული“ ხუმრობა იყო...

იქ ვარდენს „უხუმრა“, აქ — არწრუნს...

თ. ბ. — ძალიან მკაცრად მოექცა; ძალიან მწარედ — ერთსაც და მეორესაც... მოკლა კაცი...

გ. გ. — რა თქმა უნდა, ეს მაგალითები არ ჰქონდა მხედველობაში შენს პერსონაჟს, როცა ამბობს: „ენამახვილობაში თუ ღვარძლი სჭარბობს, იმას ენამახვილობა ველარ დაერქმევა“ („დროის მკვლელები“)... ეს კახური იუმორის „პრინციპია“... იქ კონკრეტულმა „ხუმრობამ“ ათქმევინა დემნას...

თ. ბ. — ცხადია. იმ სუფრაზე შექმნილი ვითარების გამო ამბობს ოთარი: „აბა, ეგ რა ხუმრობაა? ვთქვათ და იხუმრა კიდევ, ვინც ეგრე ხუმრობს, რას ფიქრობ, კაცად ჩასაგდება?“ („დროის მკვლელები“)...

ეს მსჯელობა ცუდად არ მიებას აკაკის ოხუნჯობას. ის სხვა

ფენომენია...

გ. გ. — აკაკის ხუმრობასთან ალბათ ახლოსაა იმავე ოთარის „ხუმრობა“. ამგვარ კომენტარს რომ უკეთებს:

„ოღონდ თავის გარშემო მყოფი გოგონები გაემხიარულებინა, თავისი ენამზეობა დაემტკიცებინა და საკუთარ თავგოდორა ძმასაც არ ინდობდა, ბუნებრივ ნაკლს ლამის დანაშაულად უთვლიდა და წამდაუნუმ წამოსძახებდა ხოლმე: მადლობა ღმერთს, რომ პაატა ჭკუასელი ხარ და არა პაატა სააკაძე, თორემ შენს თავს რა ჩამოგვატანინებდა ისპაჰანიდანო.

თ. ბ. — ჰო, ეს, ასე ვთქვათ, იმერული იუმორია... შავად რომ ითვლება...

გ. გ. — ცოტა გადაუხზვიეთ, მე მგონი... დავუბრუნდეთ ისევ აკაკის ოხუნჯობებს.

— შეიძლება ვიფიქროთ, ზემომოყვანილ მაგალითებში ხასიათი იუმორისა (ცოტა სიმწარე) იმან განსაზღვრა, რომ აკაკი გაანაწყენეს: ვარდენმა თავი გაუტოლა, არწრუნმა შოვინისტობა დასწამა... მაგრამ არაა ასე, ეს ხასიათია აკაკისა. ერთი ასეთ ეპიზოდსაც იხსენებენ:

აკაკი სტუმრად იყო; მის სასთუმალთან გაზეთი „ივერია“ ედო. სანთლისაგან ცეცხლი წაეკიდაო. სასწრაფოდ ჩააქრეს. აკაკიმ იხუმრა: რა კარგია, ამ გაზეთში ბევრი წყალი რომ არის, თორემ ხანძარს ვერ გადავურჩებოდით“... — ამ ხუმრობით აკაკიმ ილიას „ივერიაზე“ გულდანყვეტილ მასპინძელს ასიამოვნა... ილიას „ივერია“ კი განწირა“...

თ. ბ. — ჰო, ესაა „იმერული“ იუმორი, მაგრამ არა ქუთაისური, ქუთაისური თავისუფალია ამ „გესლისაგან“, უფრო დახვეწილია... ადრე პრესაში იბეჭდებოდა „ბალისკიდის დიალოგები“, მახსოვს, კრებულადაც გამოვიდა... აკა მორჩილაძე გახაზავდა ამ ფაქტს: „ქუთაისური ხუმრობა დღეს ოდნავ ნაძალადევი... სერგიაზე და სხვათა კლასიკაზე აწყობილი; ოთარ მამფორიაზე, რა თქმა უნდა“.

გ. გ. — ისევ ვიმეორებ: ღიმილი, ხუმრობა, ოხუნჯობა, რომელიც ხშირად გვხვდება შენს ნაწერებში (თანმდევი), „გარემოს კარნახი“

ჩანს...

- თ. ბ. — შეიძლება ასე ვთქვათ. არ მიფიქრია ეგრე ამაზე...
- გ. გ. — ცხოვრებისეული მაგალითი მახსენდება ჩემს კახელ მეუღლეს ზოგჯერ ცრემლიც წამოსვლია ჩემს „იმერულ ხუმრობაზე“... დაუწყევლია ჩემი ენაც; მაშინ შემიხსენებია, რომ ამ წყევლით ოჯახს საარსებო საშუალებას უსპობდა... ესეც იმერულ ხუმრობად ჩამეთვალა.
- თ. ბ. — ეტყობა, მსგავსი შემთხვევები ათქმევინებს დემნას. „ეგებ ოხუნჯობდა რალაცას, ბიჭო, ერთმანეთის ყოველ ნათქვამს თუ გამოვეკიდეთ, სად წაგვიყვანს“ („დროის მკვლელები“)...
- გ. გ. — მოდი, ისევ შენს იუმორს დავუბრუნდეთ, თამაზ...
- თ. ბ. — კახურ იუმორზე ვისაუბროთ... ჩემზე მერე, თუ ამის საჭიროებას დავინახავთ...
- გ. გ. — თამაზ, ვამბობ „შენს იუმორს“, რადგან ვგულისხმობ, რომ ტიპობრივი კახური იუმორი ეგაა. ჩემი საქმიანობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია, ძალიან ახლოს გავეცანი კახეთს, კახელებს, კახურ მეტყველებას (იუმორსაც, ცხადია)...
- ჩემი დაკვირვებით, კახური იუმორი იმისათვის კი არაა, რომ გაგაცინონ, გაგახალისონ, გაგართონ (მითუმეტეს, გაგამწაროს)... იუმორით (ღიმილით) სურთ, შეგაგონონ, გასწავლონ, სიტუაცია „გაარკვიონ“; მაგალითია რალაცისა, გაკვეთილი... ასე არ გეჩვენება, თამაზ?
- თ. ბ. — მეჩვენება კი არა, ასეა. კახური ანეკდოტების უმრავლესობა (იმავე იუმორზე ვსაუბრობ) არაკია, იგავია. ოღონდ იუმორით მოთხრობილი არაკი, შეგონება — თავისი დასკვნით; მითქვამს, არაკი დაწურული რომანია. თავისთავად შეგიძლია ეს არაკი გაშალო და ააგო ნაწარმოები...
- გ. გ. — ზემოთ იმერულ იუმორზე რომ ვსაუბრობდით, აკაკი გავიხსენეთ...ერთი ამბავი გამახსენდა: ილიასა და აკაკის ურთიერთობაზე ბევრი რამ ითქმოდა. წერენ, მათ დაპირისპირებასაც კი ცდილობდნენო. ილია ზურაბაშვილის მოგონებიდან:
- ანტონ ფურცელაძეს უთქვამს ილიასათვის: რა არის, კაცო,

შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი სულ ტყუილად გთხროსო...
ამაზე ილიას უპასუხია: შეიძლება ორივენი ვცდებოდეთო...

ესეც იუმორია, მაგრამ როგორი იუმორია?! ილიას რომ ეკადრება!... არც ერთს გაკიცხავს, არც — მეორეს, „სიმწარეზე“ ხომ საუბარი არ შეიძლება;

აკაკიმაც იხუმრა ზემომოყვანილ მაგალითში, მაგრამ „იმერულად“...

- თ. ბ. — ისე მწყობრად ჩამოაყალიბე, თითქოს ნაღდი კანონია... ჰო, თითქოს ასეა, მაგრამ ვერ ვიტყვი იმას, რომ წესი უგამონაკლისო არ არის, ერთია — კახური იუმორი ძირითადად კაცს არ გაანაწყენებს, კაცის ტალახად ქცევას არ ცდილობს... კაცს მიუთითებს ნაკლისაკენ და ცდილობს, რომ ეს ნაკლი დაანახოს და გამოასწორებინოს... გაალიმოს, ხასიათზე მოიყვანოს... ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ჩემი კახელი პერსონაჟები...
- გ. გ. — შეგვიყოლია... მიმზიდველი თემაა, მაცდური... მაგრამ აქ ვერ შევჩერდებით... გახსოვს, მიხეილ ჯავახიშვილი რას ამბობს? — სიცილი უმთავრესი ადამიანური თვისებაა, ის განასხვავებსო ადამიანს პირუტყვისაგან: „ადამიანი ტირის და იცინის, პირუტყვიც ტირის, მაგრამ არ იცინისო“...
- თ. ბ. — ამიტომაც ღირს ალბათ ამ თემაზე საუბარი...
- გ. გ. — კახური იუმორის შესახებ რომ მიფიქრია, ეს აზრი გამჩენია: ზოგჯერ იუმორი არის „დიპლომატიური“ ხერხი სიტუაციიდან თავის დაღწევისა, ვითარების დასაწყნარებლად, დასადაგებლად; მდგომარეობის გასარკვევად. ერთ ასეთ ამბავს ვყვები ხოლმე კახური იუმორის „დიპლომატიურობის“ დასტურად... იუმორის „პრაქტიკულ“ დანიშნულებაზე... როგორც მწვავე სიტუაციის განმუხტვის საშუალებაზე:

ჩვენი თელაველი მეგობრის შვილი სკოლის დამთავრების ბანკეტიდან გაიპარა (გათხოვდა)... არ მივიდა შინ ბავშვი, ერთი ღამე უდედოდ რომ არ ჰქონდა გათეული... ჩვენი მეგობარი თანამდებობის პირია, ავტორიტეტული და ცნობილი პირი რეგიონში... ფეხზე დადგა ნათესაობა... მესამე დღეს პანკისის

ხეობაში მიაგნეს „გაპარულებს“; სასიძოს მეგობრის ოჯახში... შევიდნენ ეზოში... ჩვენს მეგობარს ყველა იცნობს... პატივით გამოეგებნენ... მოშორებით გამოჩნდა გოგო-ბიჭი, ხელჩაკიდებული... თავდახრილი... მიხვდა მეგობარი, რომ ნებითაა გოგო წამოსული... ახლა რა ქნას? ამოქმედდა გონება... უკან დახვევა ღირსების საქმეა... ჩხუბი — რა საკადრისია, გოგო-ბიჭი ბედნიერები ჩანან...

ამ დროს სახლიდან გამოდის „გაფითქინებული“ ქისტის ქალი და მიმართავს ჩვენს მეგობარს: შინ მობრძანდით, ბატონო..., არაფერზე ინერვიულოთ: ნუხელ თქვენი გოგო მთელი ღამე მე მყავდა ჩახუტებულიო... „განათდა გონება“:

— ყმანვილო, მოდი აქ! — მრისხანედ მიმართა სასიძამრომ სასიძოს...

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სასიძო და დადგა ცოტა მოშორებით. ირგვლივ სიჩუმეა... არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს... მრისხანებს სასიძამრო:

— შე კაცო, თუ ამის ჩასახუტებლად გინდოდა, მე ვერ წამომიყვანეო?!

სიცილი, ხარხარი... მოიხსნა დაძაბულობა...

ესეც კახური იუმორის ძალა...

თ. ს. — ესაა ის იუმორი, რომელმაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში ვითარება განმუხტა, გამოსავალი მოაძებნინა რთულ სიტუაციაში ჩავარდნილ კახელებს... დიპლომატია...

გ. გ. — „დიპლომატიურობა“ კი მიმანდა კახური იუმორის მახასიათებლად, მაგრამ ახლა გამახსენდა ეს ამბავი (ამასწინათ მიაბზეს) და ეს მაფიქრებინებს, რომ ქართული იუმორის მახასიათებელია, როგორც ჩანს. ერთ მაგალითს ვიტყვი და ვიკმაროთ... ედუარდ შევარდნაძეზე ჰყვებიან: ამერიკაში საგარეო საქმეთა მინისტრი მეუღლესთან ერთად პირველად რომ ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით, აეროპორტშივე ქნანულის ყურნალისტები შემოეხვივნენ... ბ-მა ედუარდმა იფიქრა, არაფერი წამოაცდენინონო, მივიდა, გადახვია ხელი გამორიდების მიზნით. უთქვამს, მე ქართველი ვარ და ვერ

შევეგუები, უცხო მამაკაცები რომ ეხვევიან ჩემს მეუღლეს გარსო... და გამოუყვანია ჟურნალისტების წრიდან... ატყდა სიცილიო...

თ. ბ. — ზოგადად იუმორი ჩვენი ყოფის გალამაზებაა... ჩვენი ყოველდღიური არცთუ იოლი და დალხინებული ცხოვრების შემამსუბუქებელი...

რაც არ უნდა ბედნიერი ყოფა გქონდეს, იუმორის გარეშე ვერ იქნები სრულყოფილად ბედნიერი. ღმერთმა როცა ქვეყანა შექმნა, იუმორიც დაუშვა ცხოვრების გასალამაზებლად. ნანარმოებიც ცხოვრებაა და არ შეიძლება იუმორის გარეშე...

გ. გ. — იუმორი არის ის, მძიმე რამეს მსუბუქად რომ გადაგატანინებს... ადამიანური ყოფის უმთავრესი თანმხლები... **მიხეილ ჯავახიშვილი** რომ დავიმონწოთ... ანუ: სიცილია უმთავრესი ადამიანური თვისებაო; იუმორია იმ სიცილის გამომწვევი, მომყვანი, თანმხლები... და თუ ეს ასეა, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, რაც არ უნდა „სერიოზული“ იყოს, იუმორისტული პასაჟების გარეშე ამ ბუნებრივი ყოფის ამსახველი ვერ იქნება. ასე ვხედავ მე თამაზ ხმალადის პროზაში არცთუ იშვიათ იუმორისტულ პასაჟებს... თანაც რა თემაც არ უნდა იყოს, ყველგან არის ჩაგდებული ეს მარცვლები და, რაც მთავარია, ზომიერებაა დაცული. არ ყვირის, რაც მე ძალიან მომწონს ეს მწერლური ხერხი... ვერ იტყვი ზედმეტიო, მისი ხელოვნურად ამოკვეთა ნაკლებს გახდის ნაწარმოებს...

თ. ბ. — იუმორის გარეშე, რაც სათქმელი გაქვს, ძალიან დამთრგუნველი იქნებოდა. მკითხველს ჩემივე სათქმელის სიმძიმე რომ შევემსუბუქო, ამას ემსახურება ეს იუმორი. მკითხველმა რომ არ მითხრას, ჩემი ყოფა არ მეყოფა მე, შენ კიდევ რომ არ დამიმძიმო? თუ რაიმე სათქმელი გაქვს, ისე მითხარი, რომ ჩემამდე მოვიდეს მსუბუქად და განვსაჯოო...

გ. გ. — თანაც ისეთი იუმორისტული პასაჟებია, რომ ზოგჯერ ანეკდოტად შეიძლება „გამოიყენო“... იმ ამბის გარეშე, რომლის „შესამსუბუქებლადაც“ მოყვე... თემაც ჩნდება ასეთი — „იუმორისტული პასაჟები თამაზ ხმალადის პროზაში“... ეს ისე,

ნახევრად ღიმილით... საერთოდ კი, რაც შენი პროზის სტილზე ვსაუბრობ და ქიზიყური მეტყველების შესახებ ვაკეთებ აქცენტს, ეს ხალხური იუმორი (უფრო სწორად კახური პრინციპი იუმორისა) არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა...

* * *

- გ. გ. — თამაზ, თანამდევ იუმორზე საუბრისას ყურადღება გავამახვილე იუმორისტულ სიტუაციებზე, ანექდოტურ პასაჟებზე... ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა შენს მოთხრობებში ამ მიზნით (თანამდები ღიმილი) ანდაზების გამოყენება...
- თ. ბ. — ანდაზა ხალხური შემოქმედების უნივერსალური ნიმუშია; ლა-კონიური, მკვრივი გამონათქვამი — სიბრძნის მატარებელი... ჯუჯა ვარსკვლავის სიმკვრივე აქვს...
- გ. გ. — აქ მწერლური ოსტატობის ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას... ერთი შეხედვით თითქოს ჭარბად შემოტანილი ანდაზები (მოთხრობაში „სამი კაცი დუქანს არი“), ისე ბუნებრივად, მაღალმხატვრულად არის ჩანწული მსჯელობაში, ვერ გრძნობ ზედმეტობას...
- თ. ბ. — დიალექტისადმი ჩემი „ერთგულება“ ანდაზებისადმი პატივისცემას მავალდებულებს. ანდაზები ყველაზე კარგად ინახავს ენობრივ ფაქტებს, იუმორსაც და სხვა...
- გ. გ. — ესეც არაა ვინრო თემა... საკითხის დასმისთვის კმარა. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: „ნიკო ლუკას ქალს ურიგებს“... ამისთვის სჭირდება ანდაზა — დაარწმუნოს ლუკა... აი რამდენიმე პასაჟი დიალოგიდან:
- „რას ამბობ, ვერან! მოსაციქვლეს დაჰხედე და საქციელზე უარი ისე უთხარიო, არ გაგიგია?“
- „უძილოდ სიზმარი ვის უნახავს? ჯერ ითხოვე, ძმაო, და თუ არ მოგეწონება, მერე გამამტყუნე“.
- „შე მამაცხონებულო, ვირის მადევარი იმის ტლინკებსაც უნდა უძლებდეს“.
- „ვირსა სჭედავდნენ და ის კიდევ ტლინკებს ისროდაო“.

„ბიჭო, მაშ არ იცი, რომ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო?“

დიალოგი სანახევროდ ანდაზებით არის აგებული, ამას იუმორიც შემოაქვს და რაც პროცესს მეტ ინტერესსა და ხალისს მატებს, მსჯელობასაც „დამაჯერებლობა“ ემატება.

* * *

გ. გ. — საუბრის დასაწყისში ნასყიდა შვილის გამოცდაზე რომ საუბრობს, თვითირონია ვახსენე. ნასყიდა გონიერია: მისაღები გამოცდების ამბავი რომ წამოაძახა „ჭორფლიან ბიჭს“, იქვე თავისი გოგოს ამბავიც მოაყოლა — დაცინვა არ გამომივიდესო არ ვანყენინოთო: „შენ ეგ წიგნები წესიერად რო გეკითხნა, მეორედ კი არ გამოგაპანლურებდნენ მისაღები გამოცდებიდან, ჩემი გოგოსი არ იყოს!...“

თ. ხ. — თვითირონია საინტერესო მხატვრული ხერხია... განსაკუთრებით კაფიაში იჩენს თავს თვითირონია. ფშაური კაფიიდან არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ქალთა კაფია, გარდა იმისა, რომ ვილაცხას ალექსებს, თვითირონიის კარგი მაგალითია; იშვიათი ნიმუშები:

დედუკას ძროხამ დამჩხვერა

ვერ დამიჭირა ყორემა.

აგრე უთხარით დედუკას

ძროხა დააბას თორემა,

მავკლავ და აღარას მივცემ

აგრ იცის თავმომწონემა...

დაუჩხვერია ძროხას ყორის უკან დამალული და კიდევ იქაღნება და მუქარას უთვლის, მოვკლავ იცოდე, მაგ ძროხას, ეგრე იცის თავმომწონემაო. რა თავმომწონებაზეა საუბარი... სხვაც შეიძლება...

გ. გ. — ლიტერატურაშიც არაა იშვიათი...

თ. ხ. — თვითირონიაში ნაღველსა ვხედავ. კი დასცინის საკუთარ თავს, მაგრამ ნაღველიანად დასცინის. ენანება საკუთარი თავი

იმ ყოფისათვის...

როგორი სევდიანია ეს თვითირონია ლიტერატურაში... იეთიმ გურჯის ერთი ლექსი:

შე სანყალო ჩემო თავო რა იქენ
ქვეყანაზე სასაცილო შაიქენ,
საითაც გაიქეც, იქით წაიქეც
ამ ბოლო დროს ბედოვლათი შაიქენ.

- გ. გ. — თვითირონიის კლასიკური მაგალითია დავით კლდიაშვილის პერსონაჟი რომ ამბობს — სოლომან მორბელაძე (მევალეს ეხუმრება ვითომ):
- „ჩემს შვილს, ჩემო პლატონ, უშველვებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენივრად ურტყამს მინას, რომ მოგეწონება“.
- თ. ხ. — ესაა ის, რომ ვთქვი; დასცინის საკუთარ თავს, მაგრამ ენანება ამ ყოფისათვის თავი...
- გ. გ. — ოტია იოსელიანს ჰქონდა თვითირონიული დამოკიდებულება საჯარო გამოსვლებში... მე ხომ ჭკუა არ მომეკითხება, მე ქართული რა ვიცი...
- თ. ხ. — ცხადია, აქ იუმორია... გაზვიადება (გადაჭარბება). მე უფრო მგონია, რომ ეს თვითდაცვაა... დაასწროს სხვას ამ თემაზე საუბარი და ამით დაიცვას თავი სხვისი კრიტიკისაგან... ცხადია, სხვას ამგვარი დამოკიდებულების უფლება არა აქვს...
- გ. გ. — ასე რომ, ამგვარი გაშარჟებით ნასყიდამ თავი დაიცვა სხვათა გახუმრებისაგან...
- მწერალს სურს, რაღაც თვისება, ხასიათი, ფაქტი გამოკვეთოს პერსონაჟისა, მაგრამ სხვას რომ ათქმევინოს, ამან შეიძლება კონფლიქტური სიტუაცია შექმნას... იუმორგარევით თვითონ პერსონაჟს ათქმევინებს... საინტერესო მხატვრული ხერხია...

* * *

- გ. გ. — თამაზ, იუმორზე ვისაუბროთ და გურული არ ვახსენოთ, არ იქნება.

- თ. ბ. — ზემოთ ვთქვი, იუმორი ჩაისახა და მერე სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად განვითარდა-მეთქი; მე მგონი, ყველაზე ფართო ასპარეზი ქართულ იუმორს გურიაში მიეცა... გურიაში იუმორი განიადაგებულია.
- გ. გ. — ზოგჯერ ამიტომ კარგავს სიმძაფრესაც და...
- თ. ბ. — განიადაგებული რადგან არის, თითქოს იუმორის ძალა სუსტდება... განიადაგებული თუ არის, იუმორი იქნება თუ სხვა რამ, რაც არ უნდა იყოს, იქ ხარისხი დაბლდება. ჩვენც შეგვხვედრია მეგობრებში, ყველაფერზე რომ ცდილობენ გახუმრებას და ბევრიდან ცოტა თუ გამოსვლიათ „მაღალი ხარისხის“...
- გურული იუმორის კლასიკური მაგალითია ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“... თითქმის ყველა ეპიზოდში, მონოლოგსა თუ დიალოგში იუმორია... (ნოდარ დუმბაძის ნიჭის წყალობით, ხალასი იუმორი...). ანუ: გურული იუმორის კლასიკური ლიტერატურული ვარიანტი...
- თ. ბ. — კი, აქაც განიადაგებულია იუმორი, მაგრამ ნოდარ დუმბაძის ნიჭის წყალობით იუმორის ხარისხი არ იკარგება...
- ქართულ იუმორზე საუბრისას ნუ დავივიწყებთ ფშაურ კაფიას, ქართული იუმორის ამ უნიკალურ სახეს. იუმორის ამ მიმართულებით განვითარებამ სკაბრეზი მოითხოვა...
- გ. გ. — მაგრამ ის სკაბრეზი იქ, კონკრეტულ სიტუაციაში არ ჭრის ყურს...
- თ. ბ. — გასაგებია, იმიტომ რომ კაფიისათვის ის არის დამახასიათებელი და თითქმის „აუცილებელი“ ელემენტი.
- გ. გ. — თითქოს იუმორის ფორმაა სხვა: პაექრობას გულისხმობს და მიზანი ჩანს განსხვავებული...
- თ. ბ. — იქ სკაბრეზი თვითმიზანი არ არის; ის ემსახურება სხვა რაღაცას, „დამხმარე საშუალებაა“ მოპაექრეთა წარმატებისათვის...
- გ. გ. — კი, ასეა... რადგან პაექრობაა, მიზანი გამარჯვება ხდება და სკაბრეზი „იარაღია“ ამ გამარჯვებისათვის...
- თ. ბ. — კაფიაობის დროს სკაბრეზზე არ ხდება აქცენტის გაჩენა — ის რატომ თქვი და ეს როგორ მაკადრეო... თითქოს სკაბრეზი

„სამიზნეს ასწორებს“...

- გ. გ. — სკაბრეზი კაფიაში იუმორს აძლიერებს... ის, რაც ფშაურ კაფიაში შეიძლება ითქვას, კახეთში ან იმერეთში რომ ვთქვათ, ანდა სულაც ფშავში, ოღონდ ჩვეულებრივ სიტუაციაში (საუბარში), ღმერთმა დაიფაროს და, კაცმა კაცი შეიძლება მოკლას...
- თ. ბ. — ასეა. კაფიაში სიტყვა უნდა მოუჭრას და ამისთვის იყენებს სკაბრეზს...
- თ. ბ. — „არაფშაური კაფიის სიტუაციაში“ სკაბრეზი უხამსობაში გადადის (შევნიშნავ: ლექსიკონები კი განმარტავენ, სკაბრეზი უხამსობას ნიშნავსო, მაგრამ მკვეთრად უნდა განასხვაოს. უხამსობა სხვა რამეა და ყველგან დასაგმობია)...
- გ. გ. — სფერო, გარემო არ უნდა ავრიოთ... იყო ასეთი შემთხვევა: ცნობილი მწერალი ტრაგიკულ სიტუაციას აღწერდა; მიძიმედ დაშავებულ პერსონაჟზე მსუბუქად იხუმრა მწერალმა... უადგილო ადგილზე ჩაგდებული იუმორისტული ფრაზის გამო მკაცრად გააკრიტიკეს და, ალბათ, სამართლიანადაც...
- თ. ბ. — ძალიან რომ არ გაგვიგრძელდა საუბარი?
- გ. გ. — შენ გაჩუმდი!... („ღვინის ქურდები“ ხომ გაიხსენე), მე ვილაპარაკებ...

თანმდევი ღიმილის თემას ისე ვერ დავასრულებ, „გარემოს კანონს“ თუ არ ვახსენებ...

ისევ თამაზ ხმალადის პროზასთან მოვედით. ესეც მისი ენობრივი სტილის დამახასიათებელია: **დიალექტს, დიალექტურ ფორმებს როგორ იყენებს** „ღიმილიანი სიტუაციის“ შესაქმნელად.

ნალფარიანთ დედაბერი და ახტაჯანა ელიკო შეყვებიან ერთმანეთს: „რანაირად შენ იქცევი, ან აქამდე როგორ არ გახდი ავად; **ამაიცმევ** პანანკინა ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მიდიი, ზევით და ქვევით... დაჭფრიალებ ეგრე შიშლიკანა“...

ამავე დიალოგში: ელიკო მიმართავს ნალფარიანთ დედაბერს (გრიპი არ გადამდოო...):

„შენა, ქა, ხო ატყობ, ველარც გრიპი გერევა და ველარც მიქელ-გაბრიელი“ („ორი ზოლი“).

ერთი ფრაგმენტიც დიალოგების გამოყენებისა არ დამავიწყდეს. ისე „თან უამბობს“ ნასყიდას: „აი, ეგ კი ვერ მასვლიათ კარგი საქმე, რასაკვირველია, როგორ დაემართათ...“

— შენ მაიმუნობას თავი დაანებე, გაიგე? — განყრა ნასყიდა“ („რიკულებიან აივანზე“).

* * *

როცა იუმორის საჭიროებაზე ვაკეთებთ აქცენტს და მიხეილ ჯავახიშვილის აზრს მოვიშველიებთ, ერთი რაიმეც უნდა გავიხსენოთ: ძალიან რომ გაჭირდა ცხოვრება, დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ჩვენში, მაშინ წამოვიდა იუმორისტული გამოცემები — გაზეთები, ჟურნალები, „სერიოზულ გამოცემებში“ იუმორისტული გვერდები, კუთხეები...

და, როგორც წესი, განიადაგებული რადგან იყო, ხარისხმა იკლო, თითქმის ყველა ტელევიზიაში გაჩნდა იუმორისტული გადაცემები... აი, აქ მოიკიდა ფეხი სკაბრეზმა, იუმორი ჩანაცვლა ბილწსიტყვაობამ...

სფეროები აირია; ვთქვით ერთგან — მუჟანახევარას მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ამან იუმორიც გააუფერულა...

იუმორი ფაქიზი საშუალება უნდა იყოს მიზნის მიღწევისა.

თ. ხ. — თითქოსდა გამოგკვეთეთ კიდეც მიზანი, მაგრამ ამას წინათ ასეთ ინფორმაციას გავეცანი:

იაპონიის პრეფექტურის იაგამატაის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ადგილობრივებს მოუწოდებს, დღეში სულ მცირე ერთხელ მაინც გაიცინონ. ადგილობრივი უნივერსიტეტის კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანებში, რომლებიც ხშირად იცინიან, ნაადრევი სიკვდილისა და გულსისხლძარღვთა დაავადების რისკი ნაკლებია.

ამასთან მთავრობამ ყოველი თვის 8 რიცხვი სიცილის მეშვეობით ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის განმტკიც-

ცების დღედ გამოაცხადა და ადგილობრივ ბიზნესმენებს „სი-
ცილით საესე სამუშაო გარემოს“ შექმნისაკენ მოუწოდეს...

- გ. გ. — მოვიშველიებ ამ კვლევას, დავუჯერებ იაპონელებს და ასე
შევაფასებ თანმდევი იუმორის თემას: მწერალი ცდილობს, არა
მარტო ესაუბროს სხვადასხვა პრობლემაზე, არამედ ზრუნავს
მათ ჯანმრთელობაზე ზომიერი და გემოვნებიანი იუმორის
მოშველიებით...

ტყუილი თუ ფანტაზია

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ამ თემაზე ბევრი გვიფიქრია, გვი-საუბრია, გვიდავია, გვიკამათია... მერე შევეთანხმებულვართ, შევეჯე-რებულვართ სადავო საკითხებზე; საბოლოო ვერსიაც თითქოს გაგვი-აზრებია... მოდი, ახლა აღვიდგინოთ ნაფიქრ-ნაუბარი; დავალაგოთ სათქმელი და სხვათათვისაც გავხადოთ ხელმისაწვდომი; ვნახოთ, დაგვეთანხმებიან თუ არა...

თამაზ ხმალაძე — ამ თემაზე საუბარი აკაკი წერეთლით დავიწყოთ. თემას აკაკი გავეუძღვაროთ წინ...

ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „აკაკი წერეთელს ქუთაისში ბინა ნი-კო ნიკოლაძის დებთან — კატოსთან და ანიკოსთან — ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ. (...) აკაკი აქ, როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს; ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინა-ური დამოკიდებულება. **აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი** იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: **„ტყუილია, ტყუილიო“**... მაგრამ აკაკი ამაში არც თავის შეურაცხყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა. სუყველაფერი სიცილით თავდებოდა“;

გ. გ. — სხვაგან ექვთიმე თაყაიშვილი ასეთ რამეს იგონებს:

„აკაკიმ გადანყვიტა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგ-როვება და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მი-მართა, მონაშობა მომეცით, რომ მე თქვენი საზოგადოება „მაგ-ზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებადო“.

ექვთიმემ იუხერხულა თურმე: „შენ მთელი საქართველო გიცნ-ობს და უგვირგვინო მეფეს გეძახიან. ექვთიმე თაყაიშვილმა უნ-და მოგცეს მონაშობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია, მე ხომ სა-საცილოდ ამიგდებენ?!... აკაკიმ მიპასუხაო, — იგონებს ექვ-თიმე, — ჩემი ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის

მეტი არაფერი იცისო; შენ სერიოზული კაცი ხარ და შენს მონ-
მობას გამოვიყენებო“...

თ. ბ. — პოეტის თანამედროვეთა მოგონებებში არაერთგან არის საუ-
ბარი აკაკის ამ თვისებაზე, ხასიათზე... იონა მეუნარგია იგონ-
ებს: „აკაკი **მახვილსიტყვაობისთვის** ზოგჯერ ჭეშმარიტებასაც
ღალატობს... თვითონ ამბობს „ტყუილასა, ბზუილასა“... **ტყუი-
ლას ხმარობ დაუგდეს**, იყო დრო, მართალსაც არ უჯერებდნენ.
განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაუჯერა რაღაც იყო
აკაკის, დანაძლევდნენ და, რომ აკაკი მართალი გამოდგა, ლე-
ჟავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის სახლში... „თამარ
ცბიერი“ რომ გამოვიდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად,
მას უნდოდა რიცხვიც მიენერა, მაგრამ რომ მოაგონდა, პირვე-
ლი აპრილი იყო, კალამი ხელიდან გააგდო, არ დამიჯერებე-
ნო“...

გ. გ. — „ტყუილი, ტყუილი“... „ტყუილასა, ბზუილასა...“ „ტყუილის
ხმა“... „აკაკის ეს არ ადარდებდა“... — — საინტერესო კომენ-
ტარებია!

თ. ბ. — აკაკის არ ადარდებდაო, მაგრამ ვინც ამას ჰყვება, იმას ადარ-
დებს აკაკის შესახებ ამგვარი საუბარი, ამიტომაც ჩაურთავენ
მოგონებებში მცირე კომენტარებსაც, თითქოს „გამართლებ-
ას“ უძებნიან:

ერთი „**პოეტურად შეთხზულ ბაასს უწოდებს**“, მეორე — „**მახ-
ვილსიტყვაობისათვის ჭეშმარიტების ღალატს**“...

გ. გ. — ეს თემა საგანგებო მსჯელობის საგნად გრიგოლ რობაქიძემ აქ-
ცია. მან „ახსნაც“ სცადა აკაკის ამ თვისებისა — სახელის დარ-
ქმევა მოისურვა... მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს გრიგოლ
რობაქიძის ესედან („ფანტაზია თუ ფანტასტიკა“), რომელიც
არა მხოლოდ აკაკის ამგვარი ბუნების, არამედ საერთოდ ამ
მოვლენის გასაღებად გვეჩვენება...

გრიგოლ რობაქიძე აკაკი წერეთელთან შეხვედრას მოიგონებს:
„მახსოვს: ჩამოვარდა ლაპარაკი რუსთაველზე.“

— ჩემი წერილი ხომ ნაგვიტხავს რუსთაველზე? (აკაკი

ამბობდა — „რუსთველი“, ყოველთვის).

მეკითხება იგი.

— როგორ არა?!

ვაძლევ პასუხს. პაუზა.

— ალბათ ილიას გარჩევაც გექნება წაკითხული, ჩემი წერილის გარჩევა!

— წაკითხული მაქვს.

პაუზა.

— მერე იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე.

— სადაა პასუხი?

— წარმოიდგინე: ილიამ გაიგო ეს, მოვიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა — ილია მდიდარი იყო — და ცეცხლს მისცა.

მე გაშტერებით ვუცქეროდი (აბა, „გაშტერების“ გარდა სხვა რა არგუმენტი „მოგივიდოდა“ ამ წამს?!).

ეს კიდევ არაფერი.

ეს შეთხზული ამბავი მან სიტყვა-სიტყვით საჩხერეში გაიმეორა. იქაც გაშტერებული ვუცქეროდი“.

თ. ბ. — იცის გ. რობაქიძემ, რომ უცნაურ მოგონებას გვთავაზობს და კომენტარიც ისეთი გაუკეთა, ილიას, აკაკის და თვით გ. რობაქიძეს რომ ეკადრებოდა:

„ეგ ამბავი ორივეჯერ ისე მოჰყვა, რომ არც ერთხელ არც ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს. ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო: ისე „გათამაშებული“, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც სჯეროდა“.

გ. გ. — გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: ეს მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო „ისე გათამაშებული... თვითონაც სჯეროდა“...

თ. ბ. — ამ თემაზე საუბარს გრიგოლ რობაქიძე ასე დაასათაურებს:

„ფანტაზია თუ ფანტასტიკა“... სათაურშივე ჩანს შეფასება აკაკი წერეთლის ამ თვისებისა...

გ. გ. — ამ მოგონებას მოსდევს რობაქიძისეული დასკვნა, სადაც სწორედ „ტყუილისა“ და „ფანტაზიის“ გამიჯვნის მცდელობაა...

„აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე ტყუილი იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რალაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე, თითქო ჰსურდა ესამოგონებინა მობაასე. უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა. ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო...

თ. ბ. — ასე რომ, ილიამ გაზეთის ნომერი შეიძინა და ცეცხლს მისცაო, „აკაკური“ ფანტაზია ჩანს (ტერმინისათვის: აკაკი თავად წერს ერთგან — „აკაკურად ვწერო“).

გ. გ. — ეტყობა აკაკის ფანტაზიის უნარს გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როცა უთქვამს: „დონკიხოტი რომ ქართულად დაწერილიყო, მისი ავტორი აკაკი წერეთელი იქნებოდაო“ (არტურ ლისტის მემუარებიდან).

რადგან ილია ჭავჭავაძე დავიმონმე, იაკობ გოგებაშვილიც გავისხენოთ.

თ. ბ. — ეტყობა, იაკობ გოგებაშვილსაც, მიუხედავად აკაკისადმი უდიდესი პატივისცემისა („აკაკი პატარა საქართველო“, „აკაკი განხორციელებული მამულიშვილობა“...), ვერ აღუქვამს უწყინარ ფანტაზიად აკაკისეული ოხუნჯობა. შიო მღვიმელი იგონებდა: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში ვიყავით თუ აკაკი, ანტონ ფურცელაძე და სხვებიო. შემოვიდა იაკობი. ანტონი მივარდა მას და უსაყვედურა, რაები გილაპარაკია ჩემზედაო, აკაკიმ მითხრაო... იაკობმა უსმინა ანტონს და გაბრაზებული მიუბრუნდა აკაკის; ჭორიკანა და მატყუარა უძახაო. აკაკის პასუხი არ გაუცია და რომ წავიდნენ იაკობი და ანტონი, „აკაკიმ ჩაიღიმა თავისებურად და სთქვა: ერთი კოჭლი, მეორე გიჟიო, აბა რა უნდა ველაპარაკო მაგათო და დაინყო სხვა რამეებზე ოხუნჯობა“... ის, რაც ქართლელმა იაკობმა ტყუილად და ჭორიკანობად შეაფასა, აკაკისთვის ოხუნჯობაა...

გ. გ. — და იმერელმა გრიგოლ რობაქიძემ ზემონარმოდგენილ მსჯელობაში სცადა სწორად აეხსნა აკაკის ეს ხასიათი... ვთქვი, იმერელმა რობაქიძემ-მეთქი, რადგან მიმაჩნდა, რომ ასეთი „ფანტაზიორობა“ იმერლისათვის დამახასიათებელი ეთნოფსიქოლოგიური თვისება იყო... იმასაც ვიტყვი ბარემ, რატომ ვფიქრობ ასე; მქონდა მსჯელობა სხვაგანც ამის თაობაზე.

ამგვარი რამ რომ „იმერული ფანტაზიაა“ (და არა ტყუილი), კარგად ხედავს **დავით კლდიაშვილიც**; გავისხენოთ ეპიზოდი „სამანიშვილის დედინაცვლიდან“: პლატონი სთხოვს მამამისს, გადაიფიქროს ცოლის მოყვანა. ამ საუბარში ბეკინა პლატონს სიამაყით ეუბნება: „ღმერთმა იცის და ყველაც ხედავს, რომ არა გიჭირთრა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა; წყალ-იც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც...“ არადა მოთხრობის პირველ წინადადებაშივე გვეუბნება მწერალი: „ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბი“... ბეკინასთვის ამგვარი თავმონონება ჩვეულებრივი „ამბავი“ იყო: „როცა შინაურობაშიაც ლაპარაკს გააბამდა ბეკინა თავის გამოუღეველ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე, მისი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა **ტრაბახობად** მიაჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არ ეუბნებოდა სანინაალმდეგოს და მხოლოდ პირჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლმე:

— ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობ, უფალო!“

კლასიკოსი მწერლის მიერ გენიალურად დახატული შემთხვევა: ბეკინამ იცის, რომ, რასაც ამბობს, არ არის სინამდვილე. ისიც უწყის, პლატონმა იცის, რომ ბეკინა არ ამბობს სიმართლეს... პლატონი იმასაც ხვდება, რომ ბეკინამ იცის, პლატონს არ სჯერა ამ მონათხრობისა და — ერთი მაინც ჰყვება, მეორე მაინც უსმენს... მწერალი? — მწერალი ამ ამბავს „ტყუილს“ მაინც არ უწოდებს: „ეს კი **მეტისმეტი** წამოცდა ბეკინასო“ — იტყვის მწერალი („მეტისმეტია“, „ტრაბახობაა“... „მემუარებში“ ამგვარ შემთხვევისათვის გამოიყენებს „გადაჭარბებას“, „ფანტაზიას“, „ფანტაზიორს“... და არა „სიცრუეს“, „ტყუილს“... „მატყუარას“, „ცრუს“)...

დავით კლდიაშვილი ფაქტობრივ „ტყუილსა“ და „ფანტაზიას“ ადარებს, აპირისპირებს. გავიხსენოთ „სოლომან მორბელაძის“ ფინალი: მოტყუებული, სასონარკვეთილი სოლომანის მონოლოგი:

„ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! — თავისთვის ლაპარაკობდა სასონარკვეთილებში მყოფი უიღბლო მაშვალი. — ღმერთმა დასწევლოს ამნაირი გადაღლებული ცხოვრებაც!... მშვიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც და ვინწყებული აქვს და სვინდისიც! ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგლლიტა, წაგაფცქენა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყორიფელი და ვინწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით! დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გადაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდეც! საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! — სასონარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა“.

ესაა დ. კლდიაშვილის გაგებით ტყუილი, რომელიც აუბედურებს, ანადგურებს, ლუპავს ადამიანს...

ხოლო, ის, რასაც ბეკინა ამბობს „მეტისმეტია“ („გადაჭარბება“, „ტრაბახობა“, „ფანტაზია“) — პლატონის გასამხნეველად თქმული... ბეკინა არ ამბობს სიმართლეს, — დიახ, ბეკინა, როგორც გ. რობაქიძე იტყოდა, „ტყუოდა“ ისე: სურდა მობაასე ესიამოვნებინა... ესაა „ფანტაზია“... ამიტომ აკაკის შესახებ საუბრისას დაასკვნის გ. რობაქიძე — „აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა“...

თ. ბ. — გავხაზოთ, რომ ამგვარი ეპითეტი — „მატყუარა“, „ცრუ“ — ბეკინა ნაწარმოებში არ მოიხსენიება... არც ლიტერატურათმცოდნეობაში შეუფასებია ვინმეს ასე... და იმასაც მივაქციოთ ყურადღება, როგორ განიცდის სოლომანი იმას, რომ თავისი

შვილის მოტყუება მოუხდება...

- გ. გ. — „იმერული“ ხასიათი ვახსენე... ორ საინტერესო პერსონაჟს გავისხენებ: სერგო კლდიაშვილის კიმოთე ლახუნდარელსა და რეზო ჭყიშვილის შალიკო ხვინგიაძეს.
- თ. ხ. — „ლახუნდარელის თავგადასავალი“ სერგო კლდიაშვილის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია; ჩემი ბავშვობისდროინდელ საყვარელ ნაწარმოებს ახლაც სიამოვნებით გადავავლებ ხოლმე თვალს...
- გ. გ. — ვითარება ნაცნობია: ბაბუა სპირიდონის მეგობარი კიმოთე ლახუნდარელი ჰყვება ამბავს — ფანტასტიკურს... დიდი ინეტერესითა და ხალისით ისმენენ ბაბუ, სპირიდონიც და სხვებიც და „იჯერებენ“... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მოყოლილი ამბავი სჯერა თავად კიმოთესაც... და ასეა მთელ მოთხრობაში — პირველი „ამბიდან“ (ციცინათელების ეპიზოდიდან) ბოლომდე.

პირველივე ამბავი გავიხსენოთ... არ დავივიწყოთ, გვიანი შემოდგომაა (ციცინათელების სეზონი ჩავლილია):

„— მართლაც ბოროტი ღამეა! — დაუდასტურა კიმოთემ. — სოფელში შემოსული არ ვიყავი, როცა დაღამდა. მას აქეთ ბნელში მოვდივარ. განსაკუთრებით ორღობეში გამიჭირდა. კიდევ კარგი, ასე ბევრი ციცინათელა იცის ამ სოფელში. სადაც კი შემხვდა, ყველგან შემოვიმატე და აღარსად გავუშვი. ათას ციცინათელას თავი დაეუყარე, ხელში გრძელი შოლტი დავიკავე, ციცინათელები წინ გამოვირეკე და გამოვნიე. ასე რომ ამ მექნა, ვინ იცის, ბნელში რამდენ ხანს ვიბორიალებდი. ციცინათელების დახმარებით მოვალწიე შენს ეზომდე. ისე მინათებდნენ, მთვარიანი ღმე გეგონებოდა. აქ კი გავრეკე ყველა, რალა საჭირო იყვნენ!

— ეგ კარგი მოგისაზრებია! — მოუწონა სპირიდონმა“.

ბოლო ეპიზოდზე სპირიდონს ცრემლებიც კი გადმოსცვივდა. „ამ სურათის წარმოდგენაზე ბაბუა სპირიდონს ცრემლები მოერიდა, გადაეხვია მეგობარს, ეამბორა და მკერდზე მიიკრა.

კიმოთე, ლახუნდარელმაც მოწინებით აკოცა მხარზე და ალერსიანად უთხრა:

— მაგრამ რა შეედრება იმ სიხარულს, რომ ასე მშვიდობით და ჯანსაღად დამხვდა შენი თავი!“

თ. ბ. — და ერთიც ვთქვათ: ფანტასტიკურ ამბავთა მთელი კორიანტელია რეზო ჭეიშვილის მოთხრობაში „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“.

ამბავს ამბავზე ჰყვება შალიკო თავისი უკიდევანო ფანტაზიით; მსმენელის მცირე ეჭვიც კი აბრაზებს... თუ ვინმეს დაეჭვებას შეატყობს, წყვეტს საუბარს:

„— რა გაცინებს, შე ნამხდარო?!“

— სიმწარით მეცინება, შალიკო ბიძია, სიმწარით მეცინება, — ხაოდა წელში გახრილი ავთანდილი (...). თამაზი თავს ველარ იკავებდა და თვალეზე ცრემლებმომდგარი იფუდებოდა“

ანდა „—ამნაირი ტყუილი არ გამიგია მე... — არ ცხრებოდა ვარლამი...“

— ამან ზედმეტი ხომ არ დალია? — თამაზს შეეკითხა შალიკო“... და სხვანი...

გ. გ. — დიახ, ასე: ფანტასტიკის სფეროში გვატარებენ აკაკი წერეთელიც და გრიგოლ რობაქიძეც, დავით და სერგო კლდიაშვილებიც, აგერ ახლახან რეზო ჭეიშვილიც (მიზანდასახულება სხვადასხვაა, ამჯერად ეს საკითხი გვერდზე გადავდოთ...)...

ეს იმერეთია და მეგონა, როცა ამ თემაზე დავფიქრდი, ეს თვისება — ფანტაზიორობა (მოგონილსა და გამოგონილს თვითონვე რომ იჯერებს, იმერული ხასიათია... იმერული ფანტაზიაა...

თ. ბ. — და არა ტყუილი, სიცრუე...

გ. გ. — და აი, მოვედით თამაზ ხმალადის შემოქმედებამდე. შემიცვალა აზრი შენმა პროზამ: არ ყოფილა ეს მხოლოდ იმერული ხასიათი?... ნასყიდათი დავინყოთ:

შენი ნაწარმოების პერსონაჟთაგან ნასყიდა ერთ-ერთი საინტერესო, გამორჩეული ტიპია: სრულყოფილი, ორიგინალური,

საინტერესო სახე. ეს შესანიშნავად არის დახატული ორ მოთხრობაში („ნასყიდას ვატერლოო“, „რიკულებიან აივანზე“). შენც გამოგირჩევია იგი სხვათაგან საუბარში... მე მინდა ნასყიდას ერთ თვისებაზე (ხასიათზე) ვისაუბროთ.

ნასყიდას ბევრი ლაპარაკი უყვარს. და მის ნაუბარში დიდია არარეალური, გამოგონილი (ნუ დავარქმევთ ჯერჯერობით ტყუილს)...

თ. ბ. — კი, აჯობებს, ტყუილ-მართლის შეფასებაზე მერე ვისაუბროთ...

გ. გ. — ეს ამონარიდი მოვისმინოთ:

„უცნაური ამბების უღვევი მარაგი ჰქონდა ნასყიდას: ძველი თუ ახალი, გაგონილი თუ გამოგონილია, ვითომ სხვების სატყუარად ხომ და მოყოლისთანავე თვითონ მათზე მეტად რომ იჯერებდა... ოდნავადაც არ ეჩოთირებოდა, თუ ზოგჯერ უმოწყალოდ აურევდა ერთმანეთში მოქმედების ადგილებს ან დროს, იცოდა, მაინც არავინ შეედავებოდა“...

თ. ბ. — ასეთი საუბრის შესაძლებლობას მას განსაკუთრებით ნაპოლეონი აძლევდა; მოგეხსენებათ, ნაპოლეონი გამორჩევით უყვარდა ნასყიდას.

გ. გ. — ისევ ფრაგმენტი მოთხრობიდან:

„როცა ნაპოლეონზე ლაპარაკობდა, მეტი დამაჯერებლობისათვის მნიგნობრულ სიტყვებს გამოურევდა ხოლმე, მაღალფარდოვნებას ეტანებოდა **სულ არ ენაღვლებოდა, უჯერებდნენ თუ არა;** მთავარი ის იყო, რომ არავინ ეკამათებოდა, ყველანი ღიმილით უქნევდნენ თავს...“

თითქოსდა კომიკური სიტუაციაა: ჰყვება ნასყიდა ამბავს. ცხადია, იცის, რომ არაა სიმართლე და მაინც ჰყვება; ისიც უწყის ნასყიდამ, რომ მისმა მსმენელმა იცის ამ ამბის სიმართლისა და მაინც ჰყვება; იცის მსმენელმა, რომ ეს ნასყიდას გამოგონილი ამბავია, მაგრამ მაინც ისმენს ღიმილით და ა. შ.

თ. ბ. — არც ნასყიდას ენაღვლება ეს და არც მსმენელს...

აქ საგულისხმო ის არის, რომ ნასყიდას მიზანი არ არის ვინმეს

მოტყუება... ამას უნდა მიექცეს ყურადღება: **მაშ, რა არის მწერლის მიზანი? ვიღებთ თუ არა შედეგს?...**

- გ. გ. — ამას მწერალი ამბობს, რომ ნასყიდა არ იტყუება, არ ცრუობს...
- თ. ბ. — ვნერ ერთგან: „ნასყიდას ფანტაზიის კაცს განათლება რომ ჰქონოდა, ვინ იცის, სადამდე მიელწია-მეთქი“...
- გ. გ. — ჩემთვის ისაა ღირსსადაცნობელი, ნასყიდამ ეს ფიქრი, ტყუილი თუ ფანტაზია იმერეთს გააცილა, ქიზიყში გადაიტანა... მითუმეტეს აქ თუ სხვა მოთხრობების „გმირს“ ქუხილას შემოვიყვანთ.
- თ. ბ. — ჩემს ლუარსაბს...
- გ. გ. — ჰო, ქუხილა დაფუძახოთ, ლუარსაბ თათქარიძეს შემოყვანაც მოგვინვეს მსჯელობაში და ასე სჯობს...
- თ. ბ. — არ აგვერიოს რაიმე...
ქუხილაც ჩვეულებრივი ტრაბახაა, ცრუპენტელაა...
- გ. გ. — ქუხილას შემთხვევა („ტოპონიმოსი“) იმით არის საინტერესო, რომ მისი ტრაბახით გაბრაზებული ნიკა ერთხელაც აუმხედრდება: „ფუი, შენი... ეს ვარიანტი ჯერ არ მოუყოლიაო... — ქუხილამ მუდარით შეხედა... აგრძელებს ამბის თხრობას და ისევ ნიკას პროტესტი: „სულ სხვადასხვანაირად ხო არ უნდა გვატყუებდეთ“...
- თ. ბ. — ქუხილას ფანტაზიას ტყუილი დაარქვა ნიკამ...
- გ. გ. — აქ მე ქუხილას პასუხი და შენი კომენტარი მომწონს, თამაზ, თუმცა ეს სულ ბოლოსთვის მოვიტოვოთ... მსჯელობის ბოლოსთვის...
— შენს ლუარსაბს რომ თავი დავანებოთ, სხვაზე ადრე ჩვენს მწერლობაში ასეთი ფანტაზიორობა ილიას ლუარსაბმა სცადა...
- თ. ბ. — იმერელთან შეჯიბრის ამბავს რომ ჰყვება...
- გ. გ. — დიახ, ოღონდ ჯერ ეს ვთქვათ, მაგრამ ცრუ და მატყუარა ლუარსაბ თათქარიძისათვის ამის გამო ჯერ არავის უსაყვედურია... ლუარსაბ თათქარიძე ნასყიდას და ქუხილას არცთუ

შორეული წინაპარია... ბეკინას და შალიკო ხვინგიაძის კახელი კოლეგა... ლუარსაბის შესაძლებლობის ფარგლები შესანიშნავი ფანტაზიაა. გავიხსენოთ:

— „ვენაცვალე კახეთსა“, — ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, — ვენაცვალე, ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რალა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინლა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დაღვეს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის, რომ არ ვიცოდა! სიმღერა ღვინოს ანელებინებს-და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“ ვარო? „პოვერნია“ კი არა, — შენც არ მამიკვდე, — ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემო. ახლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციც ვარ, იმიტომ „პოვერნია“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვენხაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თვითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყდევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლეო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამაპაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრადა გვრჩებოდა და იმერეთი რალად მინდოდა?

თ. ბ. — ესეც ისაა, უვნებელი „ტყუილი“ — თავის ჭიას რომ იხარებს კაცი... ვერ გაიგებ, ამ შემთხვევაში დარეჯანს სჯერა თუ თავს იტყუებს, მაგრამ ფაქტია: ბეკინაც, ლახუნდარელიც: შალიკო ხვინგიაძეც და ლუარსაბ თათქარიძეც „ფანტაზიორები“

არიან, როგორც გ. რობაქიძე იტყვის...

- გ. გ. — და ამათ რიგში დგებიან შენი ნასყიდაც და ქუხილაც... მე არ ვიცი, ფიქრობდი თუ არა ამის შესახებ, მაგრამ ნიკას შეძახილმა, ნიკას პროტესტმა ქუხილას მიმართ, ქუხილას დაცვა გადაგანყვეტინა და შესანიშნავად განმარტავ ქუხილას ქმედებას.

რამდენიმე ფრაგმენტი ამ დიალოგიდან:

„— ბრაზობს ნიკა: სულ სხვადასხვანაირად ხო არ უნდა გვატყუებდე ერთსა და იმავე ამბავს?“

და ქუხილას განმარტება: — „ეჰ ნიკავ, ნიკავ, რო იცოდე, ერთი და იგივე ამბავი რამდენნაირად შეიძლებოდა მომხდარიყო და ვერ მოხდა, გული გაგისკდება კაცსა“.

- გ. გ. — ეს კომენტარი, ვფიქრობ, საინტერესო ახსნაა; განმარტებაა, **რა არის ფანტაზიის წყარო, მიზანი...** შესაძლებელ ვარიანტთა შორის უკეთესის არჩევა და იმის მიჩნევა რეალურ ფაქტად... ხომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო...

დიახ, შეიძლებოდა ბეკინაც ყოფილიყო მქონებელი იმისა, რასაც ფანტაზიორობს... და სხვაც...

და მიუხვდა შენი ნიკა ქუხილას ფანტაზიორობის მიზანს: „შენ გინდა, უფრო ლამაზი იყოს ეს წყარო — ველი“... — ფანტაზია ამაში გვეხმარებაო...

— ქუხილაც განმარტავს: „იქნება მართლაც არ იყო ასე ზუსტად, ეგრე, როგორცა ვყვები, მაგრამ მაინც არ არის ტყუილი. ხო შეიძლება ეგრეც მომხდარიყო? ჰოდა, **რაც შეიძლება მომხდარიყო, იმას ტყუილი არ ჰქვია**“...

ანდა მეორეგან განმარტავს: „რაც მართლა მოხდა, თუ იმას მოვყვები, ოღონდ ცოტა უკეთესად, შელამაზებულად, მაგი გამო უნდა დამმარხო?“

- გ. გ. — მართალია ქუხილა. ტყუილი სხვა რამეს ჰქვია... რას? ვთქვით ზემოთ, სოლომან მორბელაძის მონოლოგი რომ მოვიყვანეთ...

ტყუილი ბოროტებაა; საქმეს რომ წაახდენს, ტყუილი ისაა — საქვეყნო საქმე იქნება თუ პირადული... თუ არ გააფუჭებს საქმეს, „ილაპარაკოს, რა გინდა, ნისკარტი მოუცვდება თუ

რა?!“ (გ. ლეონიძე)...

ყველა ასეთი ამბავი (ფანტაზია) ზღაპარია; ზღაპარს მიმგვა-
ნებულები ამბავია... ზღაპარი კი... თამაზ, ერთი პასაჟი გავისე-
ნოთ შენი რომანიდან („დროის მკვლევლები“): „ზღაპარი ცხოვ-
რებისგან დალლილმა ადამიანმა მცირე ხნით თავის მოსატყუე-
ბლად, ხორციელი ყოფის გასალამაზებლად, წუთისოფლის
ამაოებისაგან სულის მოსათქმელად გამოიგონა“...

თ. ბ. — „სიბრძნე-სიცრუისა“ არ დაგვაგინყდეს. სიცრუეში ჩადებული
სიბრძნე... სიცრუით ნათქვამი სიბრძნე... თუ გამოგონილ ამ-
ბავში „სიბრძნე“ არ ურევია, მიზანი არ არის რაიმე „სიბრძნით“
განათებული, იგი ტყუილია...

გ. გ. — სულხან-საბა აქაც ბრძენი მეგზურია...

თ. ბ. — არაკი აქვს საბას ასეთი: ორი ძმა იყო; ერთი მეფის კარზე მსა-
ხურობდა. ხელობდა ჰქონდა გამოგონილი ამბების მოყოლა, ამ-
ით ირჩენდა თავს და არჩენდა ოჯახსაც. მეორე ძმამაც მოინ-
დომა ამგვარი ამბების თხრობით ფულის შოვნა არ შეისმინა
ძმის რჩევა და მიადგა მეფეს. მეც გაგართობ გამოგონილი ამბ-
ებითო... დაიწყო ერთი: ციდან ძაღლის ყეფა ისმოდაო... — გან-
რისხდა მეფე, ასეთი უაზრო ტყუილი როგორ შეიძლება, დასა-
ჯეთ და გააგდეთო... მიეშველა მეორე ძმა: არწივს ლეკვი მოუ-
ტაცია და იმის ყეფა ისმოდაო...

ისევ მოათხრობინა ამბავი: სანადიროდ ვიყავი, ირემს ვესრო-
ლე და ყური და ფეხის ჩლიქი წავაცალეო... ისევ განრისხდა მე-
ფე — ერთი გასროლით ყური და ჩლიქი როგორ დაუზიანეო...
ისევ მოითხოვა მთხრობლის დასჯა და გაგდება... ისევ ჩაერია
ძმა: ირემი თურმე ჩლიქით ყურს იფხანდაო... ისევ გადაარჩინა
ძმა...

გ. გ. — შენი ქუხილა რომ ამბობს — ტყუილი ისეთი უნდა იყოს, ნამ-
დვილს ჰგავდესო... ხომ შეიძლება მომხდარიყო...

თ. ბ. — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფანტაზიას და ტყუილს შორის არს-
ებობს ზღვარი, თუ ეს ზღვარი მართალია, არ არის დიდი, მაგ-
რამ ზღვარი ზღვარია...

გ. გ. — ნიჭია ეს ფანტაზიორობა. ძალიანაც რომ მოინდომო, მე

შევთხზავ ზღაპარსო, არ გამოვა, თუ ნიჭი არა გვაქვს ამისი...
და იქნება ტყუილი...

თ. ხ. — ერთმა ნიჭიერმა ძმამ ძმის ტყუილი აქცია ფანტაზიად, მიამს-
გავსა ნამდვილს...

არსებობს ასეთი ტერმინი — ცოცხალი ტყუილი... ეს ალბათ
უფრო ისეთი ტყუილია, ნამდვილს რომ ჰგავს... გამოგონილმა,
არანამდვილმა, ფანტაზიამ ცხოვრება უნდა გაალამაზოს, წუ-
თისოფლის ამოებისაგან დაღლილს შვება უნდა მოჰგვაროს,
სული მოათქმევინოს, ხორციელი ყოფა გაუადვილოს...

გ. გ. — ეს იყო საფიქრალი აკაკი წერეთლისაც, დავით კლდიაშვილის,
სერგო კლდიაშვილისაც, რეზო ქვიშვილისაც და ყველა იმ მწე-
რლებისა, ვისი პერსონაჟებიც ფანტაზიორობენ, ზომიერად,
ლამაზად, ნიჭიერად...

ამათ შორის არიან თამაზ ხმალაძის პერსონაჟებიც...

თ. ხ. — ნეტამც ეგრე იყოს...

კითხვები... კითხვების კორიანტელი...

პასუხები?!

* * *

„ტყე დიდია და თვალშეუდგამი, დამთრგუნველი და გამაოგნებელი თავისი უნაპირობით... ჟამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა... როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი.

აქედან ვერ გააღწევ, გზას ვერსად ნახავ... არა, სხვისი იმედიც ნუ გექნება, მხარნაქცევს ხელს არავინ გამოგინვდის, სწორ კვალზე არავინ დაგაყენებს. მარტო პირველყოფილი ალლო თუ გიშველის გზის გასაგნებად...

— უნდა ვიაროთ, — სცადა მხნედ ეთქვა და რაც შეეძლო, ნელში გასწორდა კაცი...

— ჰო, მაგრამ საით? — შეაკანკალა ქალს!

— აქეთ, — ხელი უმისამართოდ გაიშვირა კაცმა სიბნელეში“...

* * *

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ეს არის რამდენიმე ფრაგმენტი შენი რომანის („დროის მკვლელები“) შესავლიდან. ამ ნოველაში შენს რომანზე მინდა ვისაუბროთ. სურვილი მაქვს, „დროის მკვლელების“ გაცნობის მსურველს მივანიშნო, რომ საინტერესო სამყაროში მოუწევს შესვლა...

თამაზ ხმალაძე — ხომ არ დავაფრთხოთ მკითხველს, ხომ არ შევაშინებთ?... ალბათ ორიოდელა შემომრჩა და ისინიც არ დამაკარგვინო...

გ. გ. — არა მგონია, ეს ალბათ გაფრთხილებაა: ვინც ამ რომანის გაცნობას გადაწყვეტს, ბევრ კითხვის ნიშანს გადააწყდება; ბევრი რამ ჩააფიქრებს და პასუხების ძიებას დაიწყებს ცნობისნადილის დასაკმაყოფილებლად... ჩემგან დასმული კითხვები და ავტორისეული პასუხები გარკვეულწილად გზამკვლევი უნდა იყოს მკითხველისათვის, მკითხველის ფიქრი უნდა დააკვალიანოს...

თ. ხ. — გიორგი, ისიც შევახსენოთ მკითხველს, რომ ჩვენ არ შევეცდებით რომანის იდეურ-მხატვრულ ანალიზს...

გ. გ. — და ისიც ვთქვათ, რომ ამ ნოველაში არანაირი სურვილი არა გვაქვს და არც პრეტენზია, ამოვწუროთ კითხვები... ამას ვერც შევძლებთ... მაშ, ასე:

მოდით, ამ კითხვით დავიწყოთ: არის რომანში ასეთი ფაქტი: თაობათა დაპირისპირება: ერთ მხარეზე მიხეილ ჭკუასელია და მეორეზე — მიხეილის შვილი ოთარ ჭკუასელი და მისი მეგობრები ლევანი და დემნა. ამონარიდი:

„მამა-შვილი ხშირად ველარ რიგდებოდა ერთმანეთში — საკმაოდ ანგარიშგასანევმა კონფლიქტებმა იჩინა თავი — ძველი შეხედულებები გაიყო და ცხოვრებამ ახალიც ბევრი რამ მოიტანა სადავო. კამათი უფრო მწვავედებოდა, თუ სხვებიც შეესწრებოდნენ მათ პაექრობას, მაშინ ორნივე თავგამოდებით ცდილობდნენ თავიანთი წილი სიმართლის დაცვას. ეს განსაკუთრებით უმცროს ჭკუასელზე ითქმოდა: ისეთი გზებით, ისეთი ალტკინებით შეებმებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, თითქოს იგი მამა კი არა, ასტრახეთული თათარი ყოფილიყოს და ყოველად უსაფუძვლოდ ღორის თავს შეცილებოდა. მისი აზარტი, მისი ყინი გამარჯვებისა, დამსწრეთაც ისე გადაედებოდათ, ისე აიტაცებდათ, რომ ხშირად ვერც ისინი იკავებდნენ თავს, არ ჩაბმულიყვნენ მათ დავაში და ზოგჯერ ლამის მამა-შვილზე მეტად შეჯახებოდნენ ერთმანეთს. ორთაბრძოლაში კი უმეტესწილად უფროსი ჭკუასელი იწვევდა, ხელთათმანს პირველი ის ისროდა ხოლმე“.

თ. ხ. — ჰო, ინიციატორი ყოველთვის მამაა.

გ. გ. — და აი, მიხეილმა საპოლემიკო თემა შემოიტანა — მეტად მტკივნეული და აქტიუალური:

„— რას ვიზამთ, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ **ოდესმე ქართულად აღარავინ ილაპარაკებს**, საჭირო აღარ იქნება და იმიტომ. არა, ეს იძულებით და ძალდატანებით კი არ მოხდება, ასეთი რამე ჩვენს სინამდვილეში გამორიცხებულია, თანდათანობით ცხოვრებისეული აუცილებლობა თვითონ მოიტანს ამას.“

როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილის „ინიციატივას“ დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ეტყობა, ელოდა ამას მიხეილი...

თამაზ, რატომ შემოაქვს მიხეილს საკამათოდ ეს თემა?

თ. ბ. — იმ პერიოდში, იმ ეპოქაში, როცა ეს რომანი იწერებოდა, ეს საკითხი მეტად აქტუალური იყო. „ზევით“, „ძალიან ზევით“ (კრემლის კაბინეტებში) იგეგმებოდა და წყდებოდა ასეთი საკითხები... აქტუალური იყო დაბალ სახელისუფლო წრეებშიც...

ქართველი ბავშვებით გაივსო რუსული სკოლები...

გ. გ. — რუსული სკოლები გაიხსნა ისეთ ქალაქებშიც, ერთი ოჯახიც რომ არ ყოფილა რუსული...

თ. ბ. — იმ „მოჩვენებით დემოკრატიულ სამყაროში“ თითქოს ეს ნებაყოფლობითი პროცესი იყო, არავინ აძალებდა ვინმეს, შვილი შეეყვანა რუსულ სკოლაში...

გ. გ. — მაგრამ პირობა შეუქმნეს ისეთი საზოგადოებას...

თ. ბ. — თუ რუსული არ გეცოდინებოდა, შორს ვერ ნახვიდოდი... შვილის ბედზე „მზრუნველი“ მშობელი „თადარიგს იჭერდა“ და...

გ. გ. — ეს ძალიან მძიმე პერიოდი, 70-იანი წლების დასაწყისი...

თ. ბ. — 1978 წლის აპრილი ჯერ კიდევ შორსაა, კონსტიტუციური საფრთხე ქართულ ენას ჯერ არ ემუქრებოდა...

გ. გ. — ამ თემის აქტუალობა იმდროისათვის იმანაც განსაზღვრა, რომ „იქ“, „მაღლა“, კარგა ხნის დანყებული იყო საუბარი ერებისა და ენების შერწყმაზე; ეს უმაღლეს პარტიულ დოკუმენტშიც („სკკპ პროგრამაშიც“) აისახა...

თ. ბ. — ისიც ვთქვათ, გიორგი, ეს საკითხი რუსული იმპერიული ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო.

- გ. გ. — არ არის შემთხვევითი მიხეილის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „ცხოვრებისეული აუცილებლობა თვითონ მოიტანს ამას“.
- თ. ბ. — მიხეილი ისტორიკოსია და მან იცის ჩვენი მეზობელი ალბანეთის (კავკასიის ალბანეთის) ისტორია: X საუკუნის შემდეგ ამ სახელმწიფოს ხსენება აღარ არის; არადა ქრისტიანული ქვეყანა იყო, დამწერლობის მქონე... თურქ-სელჩუკთა ტალღამ ჩაყლაპა... ალბანელების გენეტიკური შთამომავლები დღესაც არსებობენ, უბრალოდ ენა დაკარგეს და გაქრა ხალხისა და ქვეყნის სახსენებელი...
- გ. გ. — სხვა მაგალითების მოშველიებაც შეიძლება... ეს აზრი (მიხეილმა რომ საკამათოდ „შემოაგდო“) ახლა არ დაბადებულა... წინა საუკუნეებიდან გადმოყოლილი აზრია...
- ცხადია, იცნობენ ამ პრობლემას რომანის პერსონაჟები. ჩვენს მკითხველს გიორგი მუხრან-ბატონი შევასხენოთ. მისი ინიციატივა და პოზიცია...
- თ. ბ. — გიორგი მუხრან-ბატონი (1821-1877) ცარიზმის მოხელე იყო; მისი მტკიცებით:
- „— კაცობრიობის პროგრესი გულისხმობდა მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებასა და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზაციების“ შექმნის აუცილებლობას. პატარა ხალხები, მუხრანბატონის აზრით, განწირული იყვნენ, მათ არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა, ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. პატარა ხალხისათვის დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება-შერწყმა ნიშნავდა საკუთარი ენის დაკარგვას. მცირე ხალხების მისწრაფება ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებისაკენ მუხრან-ბატონს არა მარტო უიმედოდ, არამედ მავნედაც მიაჩნდა“.
- გ. გ. — ეს ცნობილი პოლემიკაა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე და სხვები მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ მაშინ...
- თ. ბ. — გიორგი მუხრანელის პოზიცია შეფასდა, როგორც მოღალატეობრივი პოზიცია...

თუმცა მგონია, რომ მას ეს ქართული ენისა და ქარველი ხალხის სიძულვილით არ მოსვლია... ეს შეიძლება სწორედ ენისა და ერის სიყვარულმა ათქმევინა, არა, გიორგი ვერ გაგწირავ... ის შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ ეს სიმართლე იყო, ასე მოხდებოდა; გარდაუვალი იყო და წინააღმდეგობა და სისხლისღვრა ამო იქნებოდა.... შეიძლება ჯობდეს, რომ ენის გარეშე გადავრჩეთო...

გ. გ. — თამაზ, ეტყობა აქ ჩვენი აზრები გაიყოფა. რომც სწამდეს ასე, ჩემთვის არ არის ეს გამართლება... ენის გარეშე ერის გადარჩენისა თუ სჯეროდა, ეს უკვე ცუდია...

თ. ბ. — ჰო, ეგ ძალიან ცუდია და ესეცაა ჩვენი რომანის გმირების საფიქრალ-სადარღებელი.

გ. გ. — მაგრამ მაინც, სჯობს ჩვენ შორიდან ვუყუროთ ამ კამათს... ნუ ჩავერევით... ამ პრობლემის სიმწვავეს ბიჭები გრძნობენ და ოთარს დაუდგენენ გვერდით:

„— რას ამბობ, მიშა ბიძია, მაშინ ხომ აღარც ქართველები ვიქნებით და აღარც საქართველო იარსებებს? სხვებისა რა გითხრათ და ჩვენი, ქართველების, მეობის უმთავრეს ნიშანს ხომ ენა წარმოადგენს“.

— ეს დემნაა... ეს კი — ლევანი:

„— თუ მართლა გჯერა, რომ აღარ იქნება ქართული ენა, აღარ ვიქნებით ქართველები, საქართველო, და ამის მერე მაინც გაინდა სიცოცხლე?“

თ. ბ. — როგორც ჩანს, გიორგი მუხრან-ბატონისთვისაც ეს უნდა ვთქვათ... უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კითხვა გიორგი მუხრან-ბატონისადმიც იყოს მიმართული...

გ. გ. — უთხრეს ეს ილიამ, გაბრიელ ეპისკოპოსმა, მაგრამ რწმენა ჰქონდა გიორგის ასეთი და ვერ შეუცვალეს...

თამაზ, აქ ერთი საკითხიც დგება, ესეც საინტერესო კითხვაა: მიხეილი ეუბნება ბიჭებს, რომ თქვენს ასაკში მეც ასე ვფიქრობდიო... თუ ასე ფიქრობდა, მერე რამ შეუცვალა აზრი?

თ. ბ. — მეამბოხე, როგორც წესი, ახალგაზრდაა, ცხოვრებაგამოვლილი და ცხოვრებანანახი კაცი — ნაკლებად. და კიდევ ეს

ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ — შიში...

გავიხსენოთ: მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად დიდი მემამბოხეა ალექსანდრე ორბელიანი, როცა ახალ თაობას ელაპარაკება, „კარი დახურეთ, ფანჯრები დახურეთ, არავინ გაიგონოსო, არავინ გაგვიგოსო...“ — შიში აქვს...

მიხეილი საინტერესო პიროვნებაა; ეს მხარე მისი ბუნებისაა უნდა იყოს მსჯელობის საგანი. აი, ეს აზრი:

„— თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ლევან, იქნება მეც თქვენსავით ვფიქრობდი, იქნება არა. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე უფროსებს თქვენსავით ხმამაღლა არასოდეს შევდავებივარ, არც ისინი ჩამიყენებია უხერხულ მდგომარეობაში და არც მე ჩავმდგარვარ. ჰო, ვფიქრობდი, როგორ არა ვფიქრობდი, მაგრამ მერე გავიდა წლები... ერთი სიტყვით, რაც თქვენა გჭირთ, ახალგაზრდული დაავადებაა, საყმანვილოა, მოიხდით და გაგივლით“.

გ. გ. — ესეც უცნაური და საინტერესო კითხვა: ისე საყვედურობს, რად მაყენებთ ამ უხერხულ მდგომარეობაში, თითქოს თვითონ არ წამოეწყოს პოლემიკა...

ვითომ ასეა, თამაზ? იქნება მას რომ გამოეთქვა ის თავისი თვალსაზრისი და ამ ყმანვილებივით დისკუსიები გაემართა, შეიძლება მისულიყო ის თაობა იმ აზრამდე, როგორი აზრიც ამ ბიჭებს აქვთ! თუ არ გამოვიდოდა ასე? რომ ამბობს, ამ საკითხზე უფროსებს არასოდეს შევდავებივართო, კარგია ეს თუ ცუდი?

თ. ბ. — არ ედავებოდა, მაგრამ რატომ არ ედავებოდა? ეგ ხომ ის თაობაა, შიშში რომ გაიზარდა; შიშმა გაზარდა... შიში არ აძლევდა უფლებას, შეედავებოდა უფროსებს და არა მათდამი პატივისცემა-უპატივცემულობა...

გ. გ. — შენ ამბობ, რომ ეს ბიჭები, რომლებიც მიხეილს ეპაექრებოდნენ...

თ. ბ. — სხვა დროის შვილები არიან...

გ. გ. — კიდევ ერთ ამონარიდს ჩავიკითხავ:

„— თუკი ხვალ ან ზეგ ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ უარი საკუთარ არსებობაზე, ნებაყოფლობით უნდა შევეგუოთ

გადაშენებას, გულზე ხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ, როდის შეათრთოლებს ჰაერს უკანასკნელი ქართული სიტყვა, გამოდის, რომ სიძულვილის მეტი აღარა დამრჩენია რა იმ საამაყო და საფიცარი წინაპრების მიმართ, ვინც მამულის სიყვარულისა და პატრიოტიზმის სახელით ათასობით ქართველი შეანყვიტა მომხვდურებს. რისთვის ებრძოდნენ შემოსეულ მტრებს? რისთვის დაღვარეს ამდენი სისხლი? რა მნიშვნელობა აქვს ხუთი ათასი, ორი ათასი ან ათასი წლის წინ ავითქვიფებოდით უცხო თესლში, თუ ოცდამეერთე საუკუნეში დავკარგავდით თვითმყოფადობას, აღარ გვექნებოდა მამული, ენა, სარწმუნოება... თავდადებულ შვილებს იმ მტარვალთაგან, მაშ, იმიტომ გადაურჩენიათ სამშობლო, რომ სულ სხვა მტარვალის ნუგბარ ლუკმად შემოენახათ“...

ეს ლევანი იყო.

— რა არის მიზანი მიხეილისა? რისთვის წამოიწყებს ამ პოლემიკას? მან ხომ იცოდა მისი შვილისა და იმისი მეგობრების აზრი? გადარწმუნება უნდა? თუ...

თ. ბ. — აი, ეს ადგილი გავიხსენოთ რომანიდან: „ბიჭები იწრთობოდნენ, კაჟდებოდნენ მიხეილთან კამათში; სწავლობდნენ სიტყვებით პაექრობის ხერხებსა და იღეთებს“... ჩანს, ესაა მიხეილის მიზანი. იქნებ ეს დააკლდა თავად მიხეილს? ალბათ იმ შიშის, ვითარების გამო...

და იტივრთა მამამ შვლისა და მისი თაობის **წვრთნა...**

გ. გ. — მიხეილი განათლებული კაცია, ისტორიკოსია და მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ რიტორიკას ჩვენში დიდი ტრადიცია აქვს. გელათის აკადემიაში სამი სახის რიტორიკა ისწავლებოდა: თანამზრახველობითი, მეპაექრობითი და სადღესასწაულო... ვითომ, ეს ტრადიცია გაითვალისწინა მიხეილმა და „მეპაექრობით“ რიტორიკაში მეცადინეობას უტარებს, წვრთნის ბიჭებს?...

თ. ბ. — მათ ასაკში მიხეილს რომ ეგრე ეკამათა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ციმბირს უკან დაატოვებინებდნენ...

გ. გ. — კიდევ ერთი ასპექტი: ოთარი და ლევანი ჰო, მაგრამ დემნა? რომანში ვკითხულობთ:

„— დემნა კამათში იშვიათად ჩაერეოდა ხოლმე. ჩვევად არა ჰქონდა, მრავალთა თანდასწრებით აზრი გამოეთქვა სამშობლოს ანმეოსა და მომავალზე. წარსულზე ჰო, ბატონი ბრძანდები, მაგრამ არა ანმეოსა და მომავალზე. დედამისმა ბავშვობიდანვე რა არ იღონა, რა არ გააკეთა — დაშინება იქნებოდა ეს, აკრძალვა თუ შთაგონება — რომ მის შვილს ყველანაირი სურვილი დაჰკარგოდა პოლიტიკისადმი (ყოველგვარი პოლიტიკა მისთვის დღესაც სამშობლოს კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან იყო გაიგივებული და ამიტომაც ეშინოდა, ამიტომაც უფრთხოდა ეგრე ძალიან)“.

თ. ხ. — ეს არ ნიშნავს იმას, რომ დედა დემნას სამშობლოს სიყვარულს „უკრძალავდა“, არა. აბა, გაიხსენე:

„— თუკი სამშობლოს სიყვარული მაინცდამაინც აუცილებელი გახლდათ და არ მოასვენებდა, კი ბატონო, ჰყვარებოდა თავისთვის ჩუმიად, უხმაუროდ. რა საჭირო იყო ყველას დასანახად გულში მუშტების ბრაგუნე და ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგების გადაძახილი. ასეთმა ქმედებამ, თუნდაც უახლოეს წარსულში, რა სარგებლობა მოუტანა გინდა საქართველოსა და გინდა თვითონ მამბრაგუნებელს? ან მომავალში რისი იმედი უნდა გვქონოდა? სხვებმა თუ არ იცოდნენ, თვითონ დემნას დედას ხომ კარგად ახსოვდა თავისი წარსული“.

გ. გ. — ისევ შიშის ფაქტორი... ისევ შიშში გაზრდილი თაობა...

თ. ხ. — მიხეილსაც და დემნას დედასაც ერთი გზა აქვთ ცხოვრებისა გავლილი. გავიხსენოთ, დემნას დედა როგორ ოჯახშია გაზრდილი: მამა ეპოქას ეწირება (ცულით თავგაპოპილი მოუსვენეს სახლში...), ძმა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, მეტრფე — შეყვარებული, სავარაუდოდ დემნას მამა, ესეც სამშობლოს შეეწირა იმუამად; თვითონ დედაქალაქში ცხოვრების უფლება არა აქვს: რომელიღაც არალეგალური ორგანიზაციის წევრი ყოფილა და ამიტომაც... ერთი ოჯახიდან ამდენი მსხვერპლი საკმარისია, რომ დედას ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა დემნასადმი... არა, შვილს აღარ გაიმეტებს...

გ. გ. — სიტყვაძვირი და უთქმელი ლევანიც კი ალაპარაკდა:

„— თუკი ხვალ ან ზეგ ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ უარი სა-

კუთარ არსებობაზე, ნებაყოფლობით უნდა შევეგუოთ გადამენებას, გულზე ხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ, როდის შეათრთოლებს ჰაერს უკანასკნელი ქართული სიტყვა, გამოდის, რომ სიძულვილის მეტი აღარა დამრჩენია რა იმ საამაყო და საფიცარი წინაპრების მიმართ, ვინც მამულის სიყვარულისა და პატრიოტიზმის სახელით ათასობით ქართველი შეანყვია მომხვედურებს. რისთვის ებრძოდნენ შემოსეულ მტრებს? რისთვის დაღვარეს ამდენი სისხლი? რა მნიშვნელობა აქვს ხუთი ათასი, ორი ათასი ან ათასი წლის წინ ავითქვიფებოდით უცხო თესლში, თუ ოცდამეერთე საუკუნეში დაკვარგავდით თვითმყოფადობას, აღარ გვექნებოდა მამული, ენა, სარწმუნოება“...

თ. ბ. — აი, სწორედ ეს კითხვები ჩნდება: თუკი ენა უნდა დავთმოთ, რაც ქართველობის დათმობაა, მაშინ ისინი რისთვის იკლავდნენ თავს, რისთვის ღვრიდნენ სისხლს?

მიხეილს თითქოს ამ კითხვის პასუხი აქვს, მაგრამ ეს პასუხი აკმაყოფილებს თაობას?

„— გვინდა თუ არა, — განაგრძობდა მიხეილი, — ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. უნდა ფაქტების ერთობლიობას დაუკვირდეთ, შეაჯამოთ და დასკვნა ისე გამოიტანოთ. რომ აგიკვირებიათ: ანმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიაო, ვერ ატყობთ, **მომავალს ანმყოდ ქცევა არ უწერია?** მომავალი ყოველთვის მომავალშია, ანმყო კი ყოველთვის — ანმყოში. თქვენივე თქმით, ანმყო არასოდეს იქნება ჩვენი მწყალობელი, მომავალი კი გინდა გვწყალობდეს და გინდა არა, თუ გათენება არ უწერია“.

გ. გ. — აი, ამ მსჯელობამ, პრობლემის ამ კუთხით დანახვამ (და არა მხოლოდ) გააჩინა ურთულესი კითხვა, რომელიც, თამაზ, შენს შემოქმედებაში სხვადასხვა რაკურსით არაერთგზის დაისვა: მომავალი არსებობს? თუ ისიც ანმყოა, ხვალინდელი ანმყო?

თ. ბ. — ხვალინდელი ანმყო და შორეული ანმყო (წარსულს რომ ვეძახით)...

გ. გ. — შენი სქემის მიხედვით შეიძლება ასეთი გააზრება: რაც იყო, ვინც იყვნენ, ისინი და ჩვენ ერთი ქართული საზოგადოების წევრები ვართ, ისინი რისთვისაც იბრძოდნენ, ესტაფეტა ჩვენ

მივიღეთ და ჩვენც იმ ფიქრით უნდა ვიცხოვროთ...

თ. ბ. — ისინიც ჩემთან არიან და ხვალაც ვინც იომებს ამ საქართველოსთვის, ისინიც ჩვენთან არიან.

გ. გ. — და ამიტომ ვართ ყველანი ანმყოში; გუშინდელი ანმყო, დღევანდელი ანმყო და ხვალინდელი ანმყო... ანმყოა ყველა და ყველანი ერთად ვართ ამ ანმყოში...

აი, ამ მდგომარეობაში მყოფი შენი პერსონაჟები ყოველთვის ეძებენ რალაცას, სვამენ კითხვებს ან მივყავართ კითხვებამდე და ჩვენ ვსვამთ, რომელ კითხვებზე პასუხიც არა ჩანს და ალბათ არც იქნება...

თ. ბ. — თუმცა არის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას ვცდილობთ, მაგრამ ეს პასუხები არის კი სწორი... ანდა, დღეს რომ სწორი გვგონია, ხვალ შეიძლება აღარ იყოს სწორი... არის რალაცა, რასაც არ სჭირდება ხელახლა გადააზრება... მაგრამ არის კითხვები, რომელთაც, სამწუხაროდ, ვერ გაეცემა პასუხები...

გ. გ. — საიდან ჩნდება ასეთი კითხვები, როდიდან?

თ. ბ. — კითხვების დასმა იწყება იმ დროიდან, როცა ადამმა ევასაგან მინოდებული ვაშლი შეჭამა — ცნობადის ხის ნაყოფი. პირველი კითხვა: რა უნდა მომხდარიყო, ამას რომ შეჭამდა?

გ. გ. — ესაა პირველი კითხვა? ეს კითხვა ადამს უჩნდება?

თ. ბ. — ჰო, უნდა გაცნობიერებოდა პასუხები და საერთოდ დიდი ცოდნა უნდა მიეღო ადამს და შემეცნებული ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ამ ხის ნაყოფს იმის უნარი არ ჰქონდა, რომ ცნობადობა მიენიჭებინა ადამისათვის.

გ. გ. — და ამას ისევ მოსდევს უპასუხო კითხვათა წყება:

„აბა რა ვისწავლეთ ცნობადის ხის ნაყოფისაგან უპასუხო კითხვების დასმის მეტი? ჰო, ცარიელი დაფის წინ მდგარი ბავშვის მსგავსად სულ პატარა ცოდნის ნატეხი კი მოგვაჩერეს ხელში ცარცივით, მაგრამ ამით რას დავაკლებთ ჩვენ წინ პიტალო კლდესავით აღმართულ კითხვებს:

რისთვის მოვიდვართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

აზრი, აზრი გამაგებინეთ სიცოცხლისა!

კვლავ უპასუხო ძახილი ისმის“.

„და მაინც:

მომეცი, მომეცი ვაშლი... ჯანდაბას, უკვე მერამდენედ დავხუ-
ჭავ თვალებს და ვეცდები, ვიცდუნო თავი. ოღონდ არ დაირ-
ღვეს ძველი ადათ-წესი, ოღონდ მწამდეს, ოღონდ ეს ერთი
მაინც მჯეროდეს, რომ ვაშლი შენი ხელისგულიდან ავიღე, ევა
(ნაია)!“

ერთსა და იმავე კითხვებს იმეორებ...

თ. ბ. — ჰო, ჰო, ესეც იმავეს გაიმეორებს — პროტაგონისტი ამ რომა-
ნისა. და ჩვენ ყველანი ამას გავიმეორებთ...

ისევე ვიღებთ ევას ხელისგულზე დადებულ ვაშლს და ვჭამთ...
მაგრამ ის დიდი ცოდნა, რაც უნდა მიგველო, არ მიგვიღია, შეი-
ძლება... ან მივიღეთ და მერე უკვე, როცა ედემიდან გამოვე-
დით და უკან-უკან წავედით, დავკარგეთ...

გ. გ. — და მაინც, რისთვის მოვდივართ?... რისთვის ვართ? რისთვის
მივდივართ?

თ. ბ. — ქათამი რომ ქათამია, ძროხა რომ ძროხაა, რისთვის არსებო-
ბენ, ვიცით: ქათამმა უნდა კვერცხი მოგვცეს, ძროხამ რძე უნ-
და მოგვცეს, ხორცი მოგვცეს ორივემ... ჩვენ ვისთვის რა სარ-
გებელი გვაქვს? ვინა ვართ? რა ვართ?...

გ. გ. — ასეთი პასუხი რომ მივიღოთ: მოვედით იმისათვის, რომ ვაკე-
თოთ სიკეთე...

თ. ბ. — კი ბატონო, ვაკეთოთ სიკეთე, მაგრამ ვისთვის და რისთვის?
სად წავიღოთ ეს სიკეთე? სად გროვდება? რისთვის
გროვდება? რატომ გროვდება?...

გ. გ. — იმისთვის, რომ სძლიოს ბოროტს...

თ. ბ. — სად არის ეს ბოროტი? რა ბოროტია...

* * *

- გ. გ. — თამაზ, მოდი უფრო კონკრეტულად: კიდეც ერთი პრობლემა, რომელიც ერის გადარჩენასთან, ერის სიცოცხლესთან არის კავშირში...
- თ. ბ. — უფრო სწორად, ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა ერის არსებობისა...
- გ. გ. — ეს თემაც მიხეილის „ჩაგდებულია“, მიხეილმა წამოიწყო ეს კამათიც:
- „— აი, გუმბელიოვი მშვენივრად ამტკიცებს: ერის გამრავლება საარსებო სივრცეზეა დამოკიდებულიო. მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში რუსები და ქართველები რიცხოვნობრივად დაახლოებით თანაბარნი იყვნენო, მაგრამ მერე ქართველები დაცოტავდნენ, შემცირდნენ, რადგან საარსებო სივრცე თანდათან შეეზღუდათ, რუსები კი გამრავლდნენ, მათი საარსებო სივრცე ხომ ლამის უსაზღვრო იყო“.
- თ. ბ. — იმას თუ ვიტყვით, რომ ეს არ არის პოეტი გუმბელიოვი, რას შეცვლის? არაფერს... მაგრამ აქ დასმულ კითხვას მოექცნება ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი? აი, ამ კითხვას დასვამს (ოთარი):
- „ის ამიხსენი, შენ და ეგ შენი გუმბელიოვი თუ მართლები ხართ, იმავე საქართველოში, იმავე შეზღუდულ საარსებო სივრცეში სხვებს რომ არ უჭირთ გამრავლება, ჩვენ რაღა ღმერთი გვინყრება?“
- გ. გ. — ამ კითხვას პასუხი კი აქვს, მაგრამ ეს პასუხიც ზოგადია, კიდეც უფრო გააღრმავებს და გაამრავლებს კითხვებს...
- თ. ბ. — გულისხმობ იმას, რომ სივრცე მარტო გეოგრაფიული არ არის, სივრცე შეიძლება სოციალურიც, კულტურულიც... ჩვენთვის ქართველისთვის ალბათ ზოგადი სივრცის ყველა კომპონენტს აქვს მნიშვნელობა...
- გ. გ. — ცხადია, ყველა კითხვას ვერ დავსვამთ ამ ჩვენს ნოველაში, მითუმეტეს, ვერ ვუპასუხებთ. მაგრამ ამ კითხვის გარეშე მაინც არ გამოგვივა საუბარი: ვინ არის მიხეილ ჭკუასელი? დადებითი პერსონაჟია თუ უარყოფითი. ასე ხომ არ სჯობს კი-

თხვის შებრუნება: დეიდა დინარას რომელ ყუთში მოხვდებოდა მიხეილი?

თ. ბ. — მკითხველს ჯერ დეიდა დინარა გავახსენოთ; დინარა დემნას მეზობელია ქალაქში და თავის საიდუმლოს (ჩურჩულით) გაანდობს დემნას:

„იცით, დემნა, მე შინ ორი დიდი ყუთი მაქვს — ორი საგანძურ-რი... ერთს აწერია: „კარგი ადამიანები“, მეორეს — „ცუდი ადამიანები“. უკვე რამდენი წელია, ვჭრი გაზეთებიდან შესაბამის მასალებს, კომენტარს ვუკეთებ და სათანადო ყუთებში ვანყობ. ბევრი დაგროვდა. ვერ წარმოიდგენთ, რა საინტერესოა. საინტერესოც არის და, რა გინდ დაუჯერებელიც უნდა მოგეჩვენოთ, საჭიროც“.

გ. გ. — და რომელ ყუთში მოხვდებოდა მიხეილი?

თ. ბ. — რა გითხრა... მოხვდებოდა „ცუდი ადამიანების“ ყუთში — ცოდვა იქნებოდა; არაა მიხეილი ასე გასამეტებელი კაცი...

გ. გ. — თუ მოხვდებოდა „კარგი ადამიანების“ ყუთში, იმ აზრებს რა ვუყოთ? საკითხი ასე ხომ არ უნდა დაისვას: არის კი საკმარისი ორი ყუთი — კარგი და ცუდი? თუ მესამეცაა საჭირო... ასე ერთმნიშვნელოვნად პიროვნების დახასიათება ყოველთვის არ მოხერხდება...

თ. ბ. — მესამე ყუთი ალბათ საჭიროა... თუ ეყოფა... ეგეც სათქმელია...

იმ დისკუსიებიდან, ერთი შეხედვით, თითქოს უარყოფითი პერსონაჟია... არ არის ასე. ვთქვათ, რატომ წამოიწყებს დისკუსიას (და სხვა მსგავს კამათს)?

საერთოდ მინდა გითხრა, რომ ვერ მიხერხდება უარყოფითი პერსონაჟის დახატვა; ვერ ვაკეთებ; ვერ ვხატავ... რა ვიცი, რატომ ვერ ვახერხებ... არ ვიცი, ვერ ვიტყვი...

სადაც არის პროტაგონისტი, იქ ანტაგონისტიც უნდა იყოს. აქ ანტაგონისტი არა ჩანს... ჩემი არცერთი პერსონაჟი არ არის ასეთი...

გ. გ. — რატომ, თამაზ, უარყოფითი პერსონაჟები არ არიან ცხოვრებაში?

თ. ბ. — „აღმოვაჩინე“ რომ ანტაგონისტი ნუთისოფელია; ყველაფერში დამნაშავე ნუთისოფელია... ყოველგვარი უმსგავსობა და უვარგისობა ნუთისოფელს მივანერე... ყველაფერზე ნუთისოფელს შევასოცე ხელი... თუმცა შეიძლება მთლად ყველაფერში დამნაშავე არც ნუთისოფელია...

გ. გ. — მინდოდა კითხვა დამესვა, დემნა „დინარა დეიდას“ რომელ ყუთში მოხდება-მეთქი, მაგრამ შენი ამ საუბრის შემდეგ (ანტაგონისტს ვგულისხმობ) გადავიფიქრე... ამას კი გკითხავ, დემნას თუ ასე ძალიან უყვარს სამშობლო, რით არის ეს გამობატული, რანაირად? აკეთებს კი რაიმეს მთელი რომანის განმავლობაში?

თ. ბ. — ალბათ, აუცილებელია გავითვალისწინოთ, ეს თაობა რა თაობაა, რომელი თაობაა.

ჩვენ ვისაუბრეთ მშობლების თაობაზე და „შიშში გაზრდილი თაობა“ ვუნოდეთ მათ. განა შვილები ნაკლებად არიან შეშინებული. ესენი ომის შემდგომი თაობაა. 10-15 წელია გასული იმ დიდი რეპრესიებიდან და კიდევ უფრო ცოტა — დიდი ომის დამთავრებიდან.

გ. გ. — შიშისა და რეპრესიების სუსხი ამათაც საკმაოდ მოსდევთ... ოტია იოსელიანის რომანის — „ვარსკვლავების“ პროლოგი მახსენდება: ომი ჩვენც ვნახეთ და საკმაოდ მწარედ დაგვახსოვდაო... დემნას თაობისათვის 1956 წელიც მწარე გაკვეთილი იყო.

თ. ბ. — სწორედ ამ დროს იწყებს ეს თაობა ცხოვრების აღქმას. და შემოდინა შემდეგ არცთუ დალხენილ ცხოვრებაში... თუმცა, როგორც წესი, დრო ცხოვრების სიმძაფრეს ანელებს. მშობლებისათვის უკვე განელეულებია. ამასთანავე ისინი ასაკოვანი არიან და პასუხისმგებლობას გრძნობენ შვილების თაობის მიმართ. შვილები ასეთ პასუხისმგებლობას ვერ იგრძნობენ; მათთვის უცხოა ეს, მათი მომავალი თაობა ჯერ არ არსებობს.

გ. გ. — მერე, როცა ეს პასუხისმგებლობა გაუჩნდებათ, თანდათანობით თავიანთ დედ-მამას დაემსგავსებიან ალბათ...

მოდით, კითხვა ასე დავსვათ: კი უყვარს სამშობლო დემნას, მაგრამ ამ სიყვარულისათვის რას აკეთებს, რას სწირავს ამ სიყვარულს?

- თ. ბ. — ასე წარმომიდგენია: ის შინაგანი პროტესტი რომ არ ჩაუქრეს, არ მოესპოს შინაგანი პროტესტის გრძნობა არსებული ვითარების მიმართ, აპირებს, მისთვის ყველაზე ძვირფასი რამ შესწიროს სამშობლოს — ნაიას სიყვარული...
- გ. გ. — ეს აუცილებელია? რატომაა საჭირო ასეთი მსხვერპლი?
- თ. ბ. — იმიტომ რომ ნაიას და დემნას საოჯახო კლანები სხვადასხვაგვარად აზროვნებენ. დემნამ ან ნაია უნდა ამოგლიჯოს თავისი კლანიდან და თავისთან გადაიყვანოს; ან თავისი თავი მოსპოს და სხვანაირი გახდეს (იმათნაირი გახდეს)... ამას არ აკეთებს... ამას თუ არ გააკეთებს, გამოდის, რომ ყველაზე ძვირფასი რაც აქვს (ნაიას სიყვარული), იმას შესწირავს... ესეც შეწირვაა (სამშობლოსათვის)... მართალია, ძალიან უაზრო, ძალიან უსუსური, ერთი შეხედვით გაუმართლებელი, მაგრამ მაინც შინაგანი პროტესტია და ამის გათვალისწინება აუცილებელი იქნება, რომ გავუგოთ დემნას...
- გ. გ. — როგორც ეტყობა, კითხვა კითხვას შობს და პასუხები მაინც არაა მთლად ნათელი და დამაკმაყოფილებელი... ვთქვათ და, დემნა მზადაა სიცოცხლეს განიროს სამშობლოსათვის, მაგრამ ხომ არსებობს ხალხი, რომელიც ეგუება ამ ვითარებას, დგება იმათ გვერდით, ვისი პოზიციაც მისთვის მიუღებელი იყო და ბევრ სასიკეთო საქმესაც აკეთებს იმათივე პოზიციიდან... ესეც ერთი ძნელად პასუხგასაცემი კითხვაა, ანდა პასუხგაუცემელი... მოკლედ, რომელია სწორი: ვინც არ ღალატობს პოზიციას, ეწირება, მაგრამ სამშობლოს ვერას სძენს... თუ ის, ვინც თმობს თავის პრინციპებს, ჩადგება საპირისპირო მოაზროვნეთა რიგებში და რაიმეს გააკეთებს თქვენთვის, ერისთვის?
- თ. ბ. — ალბათ, ძნელია ამაზე პასუხის გაცემა... ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემაა ძნელი... ისინი რომ არ იყვნენ, ვინც დაუნანებლად სწირავენ თავს სამშობლოსთვის, მეორენი აღარ იქნებოდნენ საჭირონი...
- გ. გ. — თამაზ, პროტაგონისტი დემნა უაღრესად საინტერესო პერსონაჟია, კითხვებსაც მრავლად აღძრავს. სანამ დემნას შესახებ დავსვამ კითხვას, ჩვენი ერთერთი წინა დიალოგიდან

ერთ საინტერესო კითხვას გავიმეორებ:

„მე — სიტყვამ მოიტანა და — პერსონაჟი კვდება და ავტორი გლოვობს, პერსონაჟს უყვარს ავტორი, ეფერება მას... ის თუ შეიძლება, მწერალს თავისი პერსონაჟი შეუყვარდეს, გაუმიჯნურდეს?

შენ — განა არის ამქვეყნად ისეთი რამე, რაზეც შეიძლება ითქვას: არ შეიძლებაო? მაგალითისთვის რალა შორს წავიდეთ, ეგეთი ამბავი მეც გადამხდა თავს, „დროის მკვლელების“ წერისას ნაია შემიყვარდა... უნდა გვევარაუდნა, რომ ამას სასიკეთო შედეგი მოჰყვებოდა. რა გასაკვირია, როცა გიყვარს ადამიანი, რეალურ ცხოვრებაში იქნება თუ ვირტუალურში, უფრო მშვენიერად, უზადოდ და სრულქმნილად მიიჩნიო იგი. მაგრამ პირიქით კი მოხდა, ეს პერსონაჟი იმასთან შედარებით ბევრად უფერული გამოვიდა, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ბევრი რამე დავაკელი გარეგნულადაც და ხასიათის მხრივაც. ვერ გეტყვი, რა იყო მიზეზი, ვითომ მკითხველზე ვიქვიანე? რა ვიცი, ცხოვრებაში ექვიანი არა ვარ და აქ რა ღმერთი გამიწყვებოდა? ფაქტი ის არის, რომ მისი ბევრი საუკეთესო თვისება დავმალე, არ გავამჟღავნე... რომ გითხრა, ბოლომდე გამიარა-მეთქი მისადმი გრძნობამ, ტყუილი იქნება; მისი სახელის ხსენება ახლაც სასიამოვნოდ ელამუნება გულს... სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც გეტყვი, რომ, საერთოდ, მწერალი ხშირად შეგნებულად და ზოგჯერ უნებურად ყველაფერს არ უმხელს მკითხველს, რალაცას საიდუმლოდ ინახავს და მის ალლოს ენდობა ამ საიდუმლოს ამოსაცნობად. თავში ვთქვით, ყველა ხელობის ადამიანს არსთაგამრიგესაგან ევალება თავისებური შემოქმედი იყოსო. „მკითხველობაც“ პროფესიაა; მისი „შემოქმედობა“ კი იმით მჟღავნდება, რამდენად შეუძლია მწერლის მიერ საიდუმლოდ გადანახულის ამოცნობა“...

გ. გ. — ეს იყო ფრაგმენტი ძველი დიალოგიდან. განვაგრძოთ საუბარი.

აი, ეს კითხვა: დემნას ხასიათი და ბუნება გაძლევს იმის იმედს,

რომ ასეთი კარგი გოგოს ცხოვრება ბედნიერი იქნება?

- თ. ბ. — აბა რა გითხრა, ბოლოკეთილი ზღაპარია. ამას რომანშიც ვამბობ.
- გ. გ. — შენ რომ მინიშნებები იცი, ქვეტექსტებს რომ გვთავაზობ (გვექონდა ამის შესახებ საუბარი ერთ-ერთ ნოველაში), დიმიტრისა და ელენეს რომ ელაპარაკება დემნა ნაიას შესახებ, წერილების მოლოდინი, მონატრება და ა. შ. კეთილი დასასრულისაკენ მიმავალ მინიშნებად ხომ არ გავიგოთ?
- თ. ბ. — არ არის ბოლო კეთილი? როცა ეგეთი დიდი სიყვარულით უყვარს დემნას ნაია და ნაიას დემნა, არ არის ეს ბოლოკეთილი? ასეთი დიდი სიყვარულის არსებობა ცხოვრებაში უკვე ბედნიერებაა... სასურველი კი არის, ამათ შექმნან ოჯახი, შვილი ეყოლოთ, მაგრამ ამნაირი ოჯახის შექმნა არის კი აუცილებელი?
- გ. გ. — ერთგან ავტორი წერს, რომ დემნას უნდოდა ნაია ისევ თავის ნეკნად ექციაო... ეს არ იყო მიზანი?
- თ. ბ. — ვიმეორებ: საკმარისი არ არის ამ წუთისოფელში, რომ ასეთი დიდი სიყვარული არსებობს? ყველა ზღაპარში, ყველა თქმულებაში საინტერესოა, როგორ ნვალობენ გმირები ერთმანეთის საპოვნელად, პრინცი და პრინცესა იქნება თუ ქაჩალმებატე და მეფის ასული; ვინც არ უნდა იყოს — მთელი ნაწარმოები აგებულია იმაზე, იპოვიან თუ არა ერთმანეთს... იპოვიან თუ არა, დამთავრდა... არავის აინტერესებს, როგორ გააგრძელებენ ცხოვრებას, ეყოლებათ თუ არა შვილები და უყვარდათ იმათ მშობლები და აფასებდნენ თუ არა მათ... და ა. შ. ქაიხოსროს „ომანიანის“ („ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება) შემთხვევა გაიხსნე: ნესტანისა და ტარიელის შვილს (სარიდანს) ავთანდილისა და თინათინის შვილი შეუყვარდა, დაქორწინდნენ. ვაჟი შეეძინათ — ომანიანი... და ა. შ.

რა მოგვცა ამან? არაფერი.

ექებდნენ ერთმანეთს, იპოვეს, ჩაჰკიდეს ხელი და... მერე ალარაა საინტერესო...

- გ. გ. — მიზანი რა არის სიყვარულისა?

თ. ბ. — მიზანი... იქიდან, ძალიან შორიდან უნდა დავიწყო...

გ. გ. — არა, არა... მოკლედ ვთქვათ.

თ. ბ. — სიყვარულის მიზანი სიცოცხლის გაგრძელებაა...

გ. გ. — ეგ არის... თუ არ მივედით სიცოცხლის გაგრძელებამდე?...

თ. ბ. — სიყვარულის მისია უკვე შესრულებულია — იწყება ახალი სიცოცხლე...

ესეც გავითვალისწინოთ: მკითხველი სხვადასხვანაირად მოაზროვნეა. ერთი რომ ასე ფიქრობს, ხვალ აუცილებლად ერთად იქნებიანო, მეორისთვის კი ეს სამწუხაროა. ისინი ვერ იქნებიან ერთად. გაიხსენე ეს მაგალითი: ჭიქაში წყალი ნახევრამდე რომ არის, ზოგი ამბობს ნახევრადსავსეაო, ზოგიც — ნახევრადცარიელიაო...

ყველაფერი რომ ბოლომდე აიხსნას, არ ივარგებს, ალბათ ეგ რომანი რომანად ვერ ჩაითვლება... ვერ მიიჩნევა...

გ. გ. — ძალიან შეგვიყოლია კითხვა-პასუხმა. იმ მთავარ კითხვასაც გავიხსენებ, რომელიც თან გვდევს მთელი რომანის განმავლობაში:

„— რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

აზრი, აზრი გამაგებინეთ სიცოცხლისა!

კვლავ უპასუხო ძახილი ისმის.

და მაინც:

მომეცი, მომეცი ვაშლი... ჯანდაბას, უკვე მერამდენედ დავხუჭავ თვალებს და ვეცდები, ვიცდუნო თვალი. ოღონდ არ დაირღვეს ძველი ადათ-წესი, ოღონდ მწამდეს, ოღონდ ეს ერთი მაინც მჯეროდეს, რომ ვაშლი შენი ხელისგულიდან ავიღე, ევა (ნაია)!“

თ. ბ.. — ეს მარადიული კითხვებია, რომელსაც პასუხი არა აქვს. ეს ძირითადი ხაზი არის რომანის...

საერთოდ, მინდოდა, რომ მრავალპლანიანი რომანი ყოფილიყო; ერთ-ერთი მიზანი ამ კითხვებზე პასუხის ძიებაა. გარდა იმისა, სიუჟეტური ხაზი რომ მოდის, პარალელურად სხვა ხაზებიც შემოდის... ერთ-ერთი ხაზი კითხვებია, რომლის პასუხებსაც ვეძებთ მთელი რომანის მანძილზე... პასუხი იძებნება და იმით მთავრდება, რომ პასუხი არ არსებობს...

* * *

გ. გ. — თამაშ, მოდი კითხვა სხვა მიმართულებით დავსვათ (ეს კითხვაც მიემატოს სხვა მრავალს...): შენი გმირები ძირითადად სოფელ ზედაშიანში ცხოვრობენ, ზედაშიანში, სილნალსა და თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობებშიც ასეა, ასეთ მინიშნებას მხოლოდ რომანში აკეთებ: „კარგი სოფელია ზედაშიანი, დიდი, ღონიერი, თითქმის გადაბმულია სილნალზე“, — ამას პროფესორ ალექსი გომელაურს ათქმევინებ...

ამგვარი შეთხზული, გამოგონილი ტოპონიმის ტრადიცია ჩვენს ლიტერატურაში არაა ახალი. თუნდაც „ოთარანთ ქვრივი“ გავისენოთ: „იმ ვეებერთველა სოფელს, რომელსაც თუნდა „ნაზლიანს“ დავარქმევ“, — წერს ილია ჭავჭავაძე...

თ. ბ. — ეს სხვა მწერალთანაც გვხვდება; ოტია იოსელიანი საგანგებოდ მიანიშნებს ამის თაობაზე. ნამდვილი სახელები შევცვალებ გამოგონილით, იმიტომ, რომ ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელიო...

გ. გ. — ჩემი კითხვა ესაა: რატომ **ზედაშიანი?** „ზედაშე“ — ამ სიტყვის მნიშვნელობა ტრადიციებთან, ადათ-წესებთან მიგვიყვანს... „ზედაშეს“ სალექსიკონო განმარტება ასეთია: ესაა წითელი ღვინო, რომელიც იხმარება რელიგიური რიტუალების შესრულების დროს. ძირითადად ჯვრისწერისა და ზიარებისას...

თ. ბ. — დიახ, ეს არის **ზედაშეს** მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში. მოგეხსენება, არის შემთხვევები, როცა სიტყვის მნიშვნელობა დიალექტში (დიალექტებში) სხვაობს სალიტერატურო გაგებისაგან. ასეა ამ შემთხვევაშიც. ქიზიყურ მეტყველებაში „ზედაშე“ ქვევრია, ეს არის ღვთის ზედაშე; საკრალური ქვევრია; მას საგანგებოდ უვლიან, პატივს მიაგებენ მაშინაც, როცა

ღვინო არ არის მასში... ამ ქვევრის ამოღება და სხვა ადგილზე გადატანა საგანგებო ღვთისმსახურების რიტუალის შემდეგ შეიძლება... თუ კაცი სახლკარს გაყიდის, ზედაშე ძველი პატრონისა რჩება და მას აქვს უფლება, მივიდეს და მოემსახუროს, გამოიყენოს იგი... ეს დიდი და წმინდა ტრადიციაა...

გ. გ. — ენციკლოპედიურ ცნობიერებაში უფრო ღვინოზეა აქცენტი გაკეთებული: „ზედაშე ღვინის დაყენების ტრადიცია უეჭველია, რომ წარმართული ეპოქიდან იღებს სათავეს“.

თ. ბ. — ვფიქრობ, ზედაშე ძველი, ქრისტიანობამდელი ღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო...

გ. გ. — ესეც რთული და ვრცელი თემაა ქართული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულების სფეროდან... კითხვის დასმა ამას გულისხმობდა: ამ სიტყვიდან სოფლის სახელი შეიქმნა, გმირები რომ „ზედაშიანელები“ არიან, სწორედ ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ერთგულებაზე ხომ არ არის მინიშნება?

თ. ბ. — მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ფაქტია, ასე გამოვიდა...

გ. გ. — ამიტომაცაა, რომ შენს შემოქმედებაში ტრადიციები, ადათ-წესები ეთნოგრაფიული სიზუსტითაა წარმოდგენილი. თითქოსდა მიზანი ამ ტრადიციათა ასრულების გაღვივებაა, შემონახვაა, დავინწყებულის აღდგენაა...

თ. ბ. — ალბათ.

გ. გ. — ჩვენი ნოველების ერთი ნაწილი სწორედ ამ ტრადიციათა შესახებაა; როგორ აისახა ეს ყოველივე თამაზ ხმალადის შემოქმედებაში...

თ. ბ. — ესეც ვთქვათ, გიორგი.

ეს რომანი დიდხანს იწერებოდა. სხვათა შორის, ფინალის დაწერა გამიჭირდა და ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებს“ ვკითხულობდი (მიყვარს ეს მოთხრობები, ხშირად ვუბრუნდებოდი ხოლმე)... არაფერი საერთო ჩემი რომანის ფინალსა და იმ მოთხრობებს შორის არაა, მაგრამ უნებურად ამ მოთხრობების კითხვის დროს ინსპირაცია მომეცა და იმის მაღლობელი ვარ, რომ ფინალი ასეთი დაინერა...

„ბუნება მბრძანებელია“...

(მითების ნამსხვრევები)

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ჩვენ იმ თაობის წარმომადგენლები ვართ, სკოლაში დაბეჭდვით რომ გვასწავლიდნენ ი. მიჩურინისა და ტ. ლისენკოს მოძღვრებებს „დატოტვილი კარტოფილისა“ (მინაში კარტოფილი რომ იყო და მიწის ზევით — პომიდორი) თუ „მიჩურინის ვაშლის“ შესახებ... გვაზეპირებინებდნენ მიჩურინის შეგონებას: „ნუ დაველოდებით ბუნებისაგან წყალობას, ჩვენი ვალია, გამოვსტაცოთ იგი მას“... გვიან ვაცნობიერებდით, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა ეს „მოძღვრება“ ბუნების კანონებს... ქართველი კაცის ტრადიციული დამოკიდებულება ბუნებისადმი დიდმა ვაჟამ ასე ჩამოაყალიბა:

„ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“...

პატივისცემა, ნდობა, რწმენა ბუნებისადმი, მისი კანონზომიერების ამოცნობა და შეცნობა, დაჯერება და გამოყენება...

თამაზ ხმალაძე — ადამიანებს ვაფასებთ და ტრადიციებს მივყვებით. საუკუნეების გამოცდილებით დგინდება, თუ არ გინდა, რომ სიცოცხლე გაიმწარო და ჭირვარამი გაიმრავლო, ასე უნდა მოიქცე...

გ. გ. — შენი პერსონაჟის, მოსე პაპას, შეგონებანი გახდა საფუძველი, სტიმული ამ თემაზე საუბრის წამოწყებისა (მოთხრობიდან „ღრწუ“):

მოსე პაპა:

— მიიხედ-მოიხედე, რასაც თვალი შეამჩნევს ისიც და ისიც — რასაც ვერ შეამჩნევს, განგების ნებით გაჩენილა და განგებისავე ნებას ემორჩილება. დასაბამიდან ერთხელ და სამუდამოდ

დადგენილ წესრიგს არც სულიერი არღვევს და არც უსულო. აბა დააკვირდი, თუ ეგრე არ არის! ერთი მარტო ადამიანია, ამ კანონს რომ არ ეპუება, ათასნაირ ჭირსა და დოზანას იგონებს, არც თვითონ ისვენებს და სხვასაც არ აძლევს და არ აძლევს მოსვენებას. თუ არ გინდა, რომ სიცოცხლე გაიმწარო და ჭირვარამი გაიმრავლო, ცხოველების საქციელს დააკვირდი, იმათგან შეითვისე სიბრძნე არსებობისა. ხომ გაგიგონია: განიცადენით მფრინველნი ცათანო...

— **„დასაბამიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს არც სულიერი არღვევს და არც უსულო“.** ეს წესრიგი წესრიგად რჩება, უბრალოდ ჩვენ, ადამიანები, ვივინყვებთ ამ წესრიგს და უწესრიგობად ვაქცევთ. ერთი, როგორც ჩანს, იმდროინდელი პროპაგანდა ხშირად ასეთი „წესრიგი“ ცრურწმენად აღიქმებოდა... ბავშვობიდან ერთი ასეთი მოგონება ამოტივტივდა, ბუნდოვნად მახსოვს: იმერეთში ჩემი სახლიდან პირდაპირ მოჩანს ხვამლი (ჩვენ კიდემოტეხილას ვეძახით). იქ რომ ჩამოთოვდა, ზამთარი კარს იყო მომდგარი. ორ დღეში ჩვენთანაც მოთოვდა. ბებია იტყოდა, ჭინკები ჩამოვიდნენო, თუ ავდარი იყო, მათი წასვლისას დარი იქნებაო (მგონი ორი კვირის შემდეგ)... „ავდრით მოსული დრით წავლენო; დრით მოსული — ავდრით“... კალენდარულად არ მახსოვს რომელი რიცხვები იყო... არადა უტყუარი დაკვირვება იყო... ჭინკებს ჰბრაღდებოდა... რამდენი რამ დაფარა დროის ფერფლმა...

თ. ბ. — ეგეთი დაკვირვებები ჩემი ბავშვობიდანაც მრავლად მახსოვს. კავკასიონზე პირველად რომ ჩამოთოვდა, იტყოდნენ, მეხუთედ რომ ჩამოთოვს იქ, ჩვენთანაც მოვაო თოვლი... ანდა ბზობას თუ იწვიმებს, აღდგომა მზიანი იქნება და პირიქით...

გ. გ. — თამაზ, გულწრფელად მომწონს: როგორ აცოცხლებ მოთხრობებში ამ გადმოცემებს, მითოლოგიურ წარმოდგენებს და ამის საშუალებით ცდილობ გმირის დახატვას, მისი ბუნებისა და ხასიათის წარმოჩენას. აი, ერთი ფრაგმენტი ამ მოთხრობიდან; პერსონაჟი მოსე პაპა შესანიშნავად შემოგყავს ამ მოთხრობაში. ესეც მისი შეგონებაა მოთხრობის მთავარი პერსონაჟის — დავითის — ფიქრიდან:

„კატის ცქერამ ფიქრი შორს გაიყოლია — არაფრით ჰგავდნენ,

მაგრამ მაინც მგლები გამახსენა, უფრო სწორედ, მოსე პაპას ნაამბობი მგლებზე: ესეც მოხდება ხოლმე, რომ მეცხვარის ყოჩალი ქოფაკი წაასწრებს სადმე ახურებულ ძუ მგელსა და დაამაკებს, მაგრამ მგლები ოხრები არიან — იციან, რომ ეგეთი რამეც შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში და თადარიგსაც იმთავითვე იჭერენ. მოიზრდებიან თუ არა ლეკვები, რომელი ძუსიც არ უნდა იყვნენ, წყალზე ჩაიყვანენ — თუ მგელივით თქლაფათქლუფით დაიწყო სმა, ხომ კარგი და, თუ ძალღივით ენით დაიწყო სვლეპა, მორჩა, იქვე გაგუდავენ... — მოსე პაპა წვრილი, ჭროლა თვალებით მისცივებოდა დავითს, თითქოს აფრთხილებდა: გამაგრდი, ეცადე, შენი ძაღლობა არავინ შეიტყოსო“ („ღრჯუ“).

თ. ხ. — ეს მითოლოგიური პასაჟი ძველი მითების ნამსხვრევებიდანაა...

გ. გ. — ეს თავისთავად ძალიან საინტერესო პასაჟია... მე აქ მის ლიტერატურულ-მხატვრულ შეფასებას არ ვაპირებ... ამჟამად ამ კუთხით შევხედოთ, თუმცა მე ქიზიყური ქართულის, ქიზიყური მეტყველების, ქიზიყური თხრობის კულტურის კუთხითაც მინდა დავინახო ეს თემა...

თ. ხ. — მეც მაინტერესებს...

გ. გ. — მცირე გადახვევა: ამ უცნაურ ნოველებში შეხებები, გადაკვეთები გვექნება; ამ ფრაგმენტმა მოთხრობიდან „ღრჯუ“ ჩვენი ერთ-ერთი წინანდელი დიალოგი გამახსენა... ქიზიყური მეტყველების ერთი საინტერესო თავისებურების შესახებ რომ ვსაუბრობდით... ორიგინალური თხრობის კულტურის საკითხი რომ დავსვით. გავიხსენოთ:

„— ასე რომ ვთქვათ, მაგალითად, დაგვიჯერებენ? — ენათა ზებუნებრივი შემოქმედი ქართული ენის დიალექტებად დაყოფისას ალბათ ექსპერიმენტს აკვირდებოდა: **ერთი დიალექტი სასიმღეროდ შექმნა** — ამ კუთხის მცხოვრებნი არა მხოლოდ შესანიშნავად მღერიან, ჩვეულებრივი საუბრისასაც კი წამღერებით საუბრობენ, თითქოს გალობენ... **მეორენი ლექსებით ატყობინებენ ერთმანეთს** თავიანთ სათქმელს. **ქიზიყური კი თხრობის კულტურით გამოირჩევა — თავისი მხატვრულობით,**

ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ორიგინალური შედარებებითა და ეპითეტებით; მდიდარი ლექსიკით, შეკრული ფრაზებით“...

მითოლოგიაც ამ ჩამონათვალში შევა? ერთ ადგილსაც გავიხსენებ ჩვენი იმ დიალოგიდან:

„ქიზიყში ოდესღაც არსებული დიდი თქმულებებისა თუ მითების ნამსხვრევებმა ჩემს ბავშვობამდეც მოაღწია, რომლის ფიქსაცია, როგორც ვიცი, სამწუხაროდ, არავის უცდია და ბევრი რამ უკვე დაიკარგა“.

გ. გ. — თხრობა ამგვარი ამბებისა თავისებურ სტილისტიკას მოითხოვს, ლექსიკას, ფრაზეოლოგიას... ამ მითების გახსენება, შემონახვა ამ დიალექტური სტილის შენარჩუნებასა და გაცოცხლებას ნიშნავს... ამ დანიშნულებასაც ვხედავ მე შენს შემოქმედებაში ამგვარი ნამსხვრევებისა თუ ამბების პასაჟებად შემოტანისას...

თ. ბ. — ვფიქრობ, შეიძლება საკითხის ამგვარად დასმა...

გ. გ. — არათუ შეიძლება, საჭიროც არის და ძალიანაც მომწონს...

თხრობის კულტურაზე სხვაგანაც ვისაუბრებთ... ვაგრძელებ თემას — დასაბამიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგზე... ჩვენ, ადამიანები, რომ დაუნდობლად ვექცევით...

თ. ბ. — ამიტომაც საჭირო ამ წესრიგის დაცვა, დაკარგულის, მივინყებულის აღდგენა, „მითოლოგიური ნამსხვრევების“ შეგროვება...

გ. გ. — როცა ამ „ნამსხვრევებს“ იხსენებ, ასე ვფიქრობ, შენი მიზანი მხოლოდ მათი შეგროვება და შემონახვა არაა; შენ ეს გჭირდება მოთხრობაში გმირის სახის დასახატად, მისი ხასიათის გასახსნელად... თუმცა ირიბი მიზანი ამ მითების ნამსხვრევების შეგროვებაცაა...

თ. ბ. — ჰოდა ეს საჭიროება ხდება ბიძგი ამგვარი ნამსხვრევების ჩემს გონებაში წარმოჩენისა, ბავშვობისას დალექილის გაცოცხლებებისა... მახსოვრობის ჯურღმულებში რომ ჩაკარგულა და დროის ფერფლი ფარავს...

გ. გ. — და როცა შემოქმედებითი აუცილებლობა მოითხოვს, მაშინ გადაეყრება დავინწყების ფერფლი....

თ. ბ. — ჰო, იქნება ამით გადარჩეს...

გ. გ. — მოსე პაპას მიერ ზემოთ მოთხრობილი ამბავი მგლებლისა ბევრი რამითაა საგულისხმო. ბუნებას თავისი საოცარი კანონი აქვს; ეს მგლებმა იციან... ცდილობენ თავიანთი ჯიშის, გვარის გადარჩენას... ამ მაგალითმა, მითად ქცეულმა მაგალითმა კითხვა გააჩინა... მოსე პაპა რომ ამბობს:

„მეცხვარის ყოჩაღი ქოფაკი წაასწრებს სადმე ახურებულ ძუ მგელსა და დაამაკებსო“, აქ მარტო წაასწრებაზე არ უნდა იყოს საქმე... ბუნების ამ ორ თავისებურ არსებას შორის მხოლოდ მტრობა არ უნდა ყოფილიყო... „ურთიერთგაგების“ გარეშე ეს ამბავი არ უნდა მომხდარიყო ალბათ...

თ. ბ. — გიორგი, ამ კითხვის პასუხად ერთ ამბავსაც გიამბობ:

ბავშვი ვიყავი. ღამით ფანჯრიდან ვიყურებოდი. პირდაპირ ეზოში ეზოს დიდი ძაღლი პატარა ძაღლს ეთამაშებოდა... კარგად რომ დავაკვირდი, მივხვდი, არ იყო ძაღლი... მელია იყო... მელია ელაქუცებოდა ძაღლს; გაუგორდებოდა ქვეშ; თანაც ვატიყობდი, რომ ნელ-ნელა საქათმისკენ მიგორავდა. საქათმე მოშორებით იყო, ჩემი ფანჯრიდან არ ჩანდა. ასე თამაშ-თამაშით მიეფარნენ თვალს...

მეორე დღეს ნიკა პაპას ვუამბე, რაც ვნახე... არ გაჰკვირვებია — ეტყობა დედალი მელია იყო... ძაღლმა იცნო და იმიტომ ექცეოდა ისეო...

გ. გ. — „რაინდულად?“

თ. ბ. — სხვათა შორის, ეს ფიქრიც ამედევნა: ძაღლს მდებდრთან „გართობამ“ თავისი მოვალეობა ხომ არ დაავინწყა და მელია საქათმეში ხომ არ შეეპარა-მეთქი... მაგრამ ეტყობა, ვერ მიაღწია მიზანს მელიამ თავისი ლაქუცით, აფერისტობით... არ უთქვამს პაპას, რომ იმ ღამეს ქათამი დაკარგა...

გ. გ. — ანუ, გართობამ ძაღლს თავისი საქმე არ დაავინწყა...

- თ. ბ. — მამრულ სანყისსა და მოვალეობას შორის ნონასწორობა დაიცვა...
- გ. გ. — მამრული თუ მდედრული სანყისის ფაქტორი მგლების ამბავშიც იჩენს თავს უთუოდ...
- თ. ბ. — ამგვარი ფაქტები ხდება შემდგომ საფუძველი მითების გაჩენისა...
- გ. გ. — ეს მწერალ თამაზ ხმალადისათვის მასალაა მხატვრული იდეის განსახორციელებლად, სახის შესაქმნელად... და მე მგონი დამეთანხმება ჩვენი მკითხველი, რომ მარჯვედაც გამოსდის. ბუნების უნიკალური მაგალითებით ადამიანური ყოფის ქუმმარიტების ასახვა... ანალოგიები... ძმები კამათობენ — უშვილო დავითი და მრავალშვილიანობის მოსურნე ლევანი:
„რომელმა ჭკუათმყოფელმა არ იცის, რომ მელიის ათ ლეკვს ვეფხვის ერთი ბოკვერი სჯობს.
— ჰოდა, ვეფხვიც რომ შენსავით ფიქრობს, იმიტომაც არის ნითელ წიგნში შეტანილი და თუ ადამიანი არ მიეხმარა და ხელი არ წააშველა, დღეს ან ხვალე გადაშენდება. მელიებს კი დღე და ღამე დასდევენ — ზოგი თოფით და ზოგი გათლილი შვინდის ძირითა და მაინც ვერაფერი დააკლეს. მაგ შენი შეგონებებით თუ ვიცხოვრეთ, მალე მელიებს დარჩება დედამინა“ („ღრჯუ“).
- გ. გ. — მწარე მაგალითია...
- თ. ბ. — ცხოველების საქციელს დააკვირდი, იმათგან შეითვისე სიბრძნე არსებობისაო, მოსე პაპა გვასწავლის და ახალ-ახალ მაგალითებს მოიგონებს თუ გამოიგინებს... ბუნების მწარეზეა მოსე პაპა და ცდილობს ადამიანთა მოდგმას შეაგნებინოს:
მწერალს დასჭირდა და ეთიოპური თქმულებაც მოიშველია; ცხოველთა სამყაროსთან ანალოგია:
თურმე ეთიოპელები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ გორილას ადამიანისვით ლაპარაკი შეუძლია, მაგრამ მალავს, რადგან შიშობს, ადამიანმა თუ შემიტყო, ათასგვარი დავალებებით სულს ამომართმევსო..., გორილასოდენა გონებაც არ აღმოაჩნდა დავითს — ცოლს თავისი ნამდვილი სახე ვერ დაუმალა.

- გ. გ. — ეს თემა მაცდური თემაა, უსასრულო, დაუმთავრებელი... მოთხრობაში „ღრჯუ“ ახერხებს ავტორი საუკუნეობით განმტკიცებული უზარმაზარი ცოდნის გამოყენებას და წარმოდგენასაც გვიქმნის იმ ცოდნაზე. ეს ცოდნა არის საშუალება მიზნის მისაღწევად; მიზანი დავითის ცხოვრების ასახვაა, მისი სახის ჩვენება... ამ მიზნით შემოდის მოთხრობაში ამგვარი მითოლოგიური წარმოდგენები...
- თ. ბ. — ხშირად ამგვარი მითოლოგიური წარმოდგენები აძლევენ სტიმულს დღევანდელ მხატვრულ მეტყველებას... ეტყობა, ასეთი პასაჟები არაერთ მნიშვნელოვან კითხვასაც დასვამს:
- გ. გ. — თამაზ, კი გაგვიგრძელდა, მაგრამ ჩვენ ამ თემას (დასაბამიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს) საგანგებოდ აღარ მივუბრუნდებით... საუბარმა მოიტანა და არ მინდა ამ კითხვას გვერდი ავუაროთ, გიფიქრია ამაზე: ამგვარ მითოლოგიურ წარმოდგენებს რეალური ამბავი ედება საფუძვლად თუ გამონაგონი...
- და ის ერთი ამბავიც გავისხენოთ, ერთი ნამსხვრევიც ვნახოთ მითისა... არა ამ მოთხრობიდან, არამედ ჩვენს ერთ-ერთ დიალოგში რომ მოჰყვევი... მითოლოგიური წარმოდგენა ღორის შესახებ...
- თ. ბ. — „მაშინ ჯერ სკოლაში არ დავდიოდი, სოფელში ვცხოვრობდით და საქონელიცა გვყავდა; ეზოს გარეთ, ჩვენს გასადევარზე, გვება ხოლმე ღორი. ზოგჯერ, როცა მშვენიერი ამინდი იდგა და ავდრისა არც მინასა და არც ცას არაფერი ეტყობოდა, ღორი უცებ ატეხავდა ჭყვივოს, შინისაკენ იწვედა, პალოს მოგლეჯას უპირებდა. დედაჩემი დამიძახებდა და მთხოვდა: ნადი, აუშვი, ცოდოა, მალე ალბათ ქარი ამოვარდებაო. ღორი არასდროს ცდებოდა. გაცელებული ვეკითხებოდი დედას: რა იცის ღორმა, რანაირად იგებს, ქარი რომ იქნება-მეთქი. შვილო, ქარს წინ ეშმაკი მოუძღვის, ის აძლევს მიმართულებას, სად რა მოსპოს და წაახდინოს. ეშმაკი გაუძლისად საშინელი შესახედავია. სანამ ქარი ჩვენამდე მოაღწევს, ღორი წინ მომქროლავ ეშმაკს ხედავს და ვერ უძლებს შეხედვას, ცდილობს, სადმე შეძვრეს და დაიმალოსო. ღორი თუ ხედავს, ჩვენ რატომ ვერ ვამჩნევთ, მიკვირდა მე. იმიტომ რომ ღორი ღორის რძით არის გაზრდი-

ლი. ვინც გაბედავს და ღორის რძეს დაღვევს, ეშმაკსაც დაინახავს, ეცოდინება, როგორია, მაგრამ გაუძღვებს ამ ცოდნას? არა მგონია.

მე ვერ გავბედე, გოგი, ღორის რძის დაღვევა“...

- გ. გ. — მიზანი სხვა იყო, მაგრამ მაინც დავსვათ ეს კითხვა: რეალური ამბავი ედება საფუძვლად მითებს თუ გამონაგონი... მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ნაყოფია თუ ნამდვილი ამბის „გაზღაპრების“, მითაღქცევის შემთხვევა?...
- თ. ბ. — გოგი, როცა მითებზე არის საუბარი, ორი ვარაუდი იჩენს თავს: ან რეალურად იყო ეს ამბები, მითებში რომ არის წარმოდგენილი, ან ადამიანის ფანტაზიაა უსაზღვრო. ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ეს მითები, თქმულებები...
- გ. გ. — ე. ი. რეალური ამბავი იქცა მითად, ან ადამიანის ფანტაზიამ შექმნა მითი...
- თ. ბ. — მაგრამ ღორზე მოთხრობილს რა ვუყოთ, ქარის ქროლვაზე ისევ რომ რეაგირებს ღორი? მე თავად ვარ მოწმე, როგორ გრძნობს ღორი მოახლოებულ სტიქიურ მოვლენას (ქარიშხალს)... ეს ხომ ფაქტია...
- ეს სინამდვილეში ხდებოდა. ადამიანმა მერე გაალამაზა, აქცია მითად...
- გ. გ. — ახსნა არის საინტერესო — ღორის რძე აკეთებს ამასო...
- თ. ბ. — მოკლედ, რაც შეგვრჩა, შეგვრჩა... ბევრი რეალურად არ შემოგვრჩენია...
- გ. გ. — გზადაგზა, როცა მოთხრობაში გამოიყენებ, ამით ახალ სიცოცხლეს ანიჭებ მათ. ეს გადარჩენის გზაა... არადა შენ კი იყენებ მსატვრული დანიშნულებით, მაგრამ ამ ამბებს, ამ მითებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორის, მითოლოგიის, ეთნიკურ-ეთნოგრაფიული თუ სხვა თვალსაზრისითაც... ესეც მნიშვნელოვანი მგონია მე... ასე რომ, თამაზ ხმალაძის მოთხრობები ამ კუთხით მრავალმხრივ საინტერესოა...
- თ. ბ. — ნუ დავამთავრებთ ასე... ჯერჯერობით ვერ შევძელი ამ ამბის სადმე ჩართვა... არადა ხვალ შეიძლება აღარც ახსოვდეს ვინმეს... ესეც მოსე პაპას შეგონებათა სამყაროდანაა: „თუ არ

გინდა, რომ სიცოცხლე გაიმწარო და ჭირ-ვარამი გაიმრავლო, ცხოველების საქციელს დააკვირდით“... აქ ვთქვით ესეც:

ქიზიყს ისტორიულად რომ კამბეჩოვანი ერქვა, იცი, ვთქვით მგელზე, მელიაზე, ღორზე, ძაღლზე... მაგრამ არაფერი გვითქვამს კამბეჩზე...

გ. გ. — ქიზიყს კამბეჩოვანი რატომ დაერქვა?... იქნება ამის განმარტებაც არის მითოლოგიაში...

თ. ბ. — ცხადია, არ შეიძლება კამბეჩზე არ ყოფილიყო რაიმე თქმულება; თუნდაც რატომ დაერქვა ის სახელი...

გ. გ. — სახელდება უსაფუძვლოდ არ მოხდება ხოლმე...

თ. ბ. — უეჭველად იქნებოდა და ამგვარმა ნამსხვრევმაც ჩვენამდე მოაღწია.

ასეა: ყველა ერს, ყველა ხალხს, ყველა კუთხეს თავისი „არარატი“ აქვს.

ქიზიყელების წარმოდგენით, ნოე თავისი კიდობნით ჭოტორის მთაზე გაჩერდა. ჭოტორის მთა სიღნაღის თავზეა.

ჭოტორი არის დასასრული (დაბოლოება) გომბორის ქედისა, განშტოება კავკასიონისა. მაგრამ იქ კავკასიონი და გომბორის ქედი პირისპირ დგანან.

დაბლა ალაზნის ველია.

როცა ნოეს კიდობანი გაჩერდა ჭოტორში და გადმოვიდნენ, ალაზნის ველი, რა თქმა უნდა, მთლიანად წყლით იყო დაფარული; გაღმა კავკასიონი ჩანდა...

ნოე და მისი ოჯახი კამეჩის რძით ნაყრდებოდნენ. კამეჩს თავისი ზაქიც ჰყავდა...

აქ, ჭოტორში, რომ არ ეყო კამეჩს საჭმელი, გადაცურავდა ხოლმე ალაზნის დატბორილ ველს; კავკასიონის ნოყიერი ბაღებით ამოივსებდა ფერდებს და უკან ჭოპორტზე ბრუნდებოდა.

ზაქი რომ ჰყავდა დატოვებული, კამეჩს ძალიან ადარდებდა, ამიტომ ნოეს ხშირ-ხშირად გამოსძახებდა — ნოეეე, ნოეეე... ზაქს მიმიხედო... ასე გადაარჩინა კამეჩმა ნოეს ოჯახი...

მოგესხენება, კამერის ყოყინი ხმოვანებით ნოესა ჰგავს... ამ თქმულების მიხედვით, ამიტომ ჰქვიაო კამბერიანი და ამიტომ ეძახის ნოეს კამერი...

- გ. გ. — ეს ლამაზი თქმულება, ეტყობა, არ „გეკარნახა“ წერის დროს, არ დაისაჭიროვა სათქმელობა; ახლა წამოატივტივა მითოლოგიური ნამსხვრევების თემაზე საუბარმა; დიალოგიურმა ნოველამ... ალბათ, რამდენი ასეთი „ნამსხვრევია“ მიძინებული“...
- თ. ხ. — მაღლობა იმისთვის, ახლა რომ „მეკარნახა“ და ეს ლამაზი თქმულება დარჩება ჩვენს წიგნში...

მამის მკერდით საიმედო კავკასიონი

გიორგი გოგოლაშვილი — წინა ნოველაში დიდებული ვაჟა გავის-სენეთ: „ბუნება მბრძანებელიაო“... შენს შემოქმედებაზე საუბრისას ამ თემას ასე იოლად ვერ მოვრჩებით...

თამაზ, ეს ფინალია შენი რომანისა:

— „სიღნაღი სინათლეებით ეკიდა ცაში. ქვეშ ველი ჰქონდა გაშლილი. შორს, ველის გაღმა ვეებერთელა, ჩაშავებული მთები იდგნენ მდუმარედ.

— რისთვის მოვდივართ? რისთვისა ვართ? რისთვის მივდივართ? — იყვირა, თუ მხოლოდ მოეჩვენა, რომ იყვირა დემნამ. თავისი ძახილი თვითონაც ვერ გაიგონა — სივრცემ ღრუბელივით შეიწოვა, შეისრუტა.

პასუხის ღირსს ვინ გახდიდა, როცა გაღმა აყუდებულ მთებს — **მამის მკერდით საიმედო კავკასიონს**, რომელსაც **მისი დაჭრილ-დასახიჩრებული სამშობლო ზურგით მიყრდნობოდა და ხმლის ნატეხით ცდილობდა სისხლდახარბებული ყვავ-ყორნების მოგერიებას** — ექოც კი არ დაუბრუნებიათ უკან.

ექო ქართული სიტყვა არ გახლავთ, მშობლიურად უპუ გვიქვიაო, ეგრე გვასწავლიან ძველები“ („დროის მკვლელები“).

გ. გ. — კავკასიონი შენს მოთხრობებშიც ხშირად შეგვხვდება... კიდევ ერთ მაგალითსაც მოვიყვან:

თ. ხ. — „შუადღე დიდი ხნის გადასული არ იქნებოდა, უცაბედად რომ ჩამოხნელდა და გომბორიდან წამოსულმა შავფაშვჩამოშვებულმა, ჩახვეულმა ღრუბელმა ერთიანად დაფარა სივრცე, ჩაიყლაპა, გაქრა, რაც რამე თვალგასახარი მეგულებოდა. აღარც

დაბლა გულაღმა განოლილი მდედრი — ალაზნის ველი ჩანდა და არც იმ თმაშვეერცხილილი მამრის — კავკასიონის — ციცაბო ფერდობები“.

გ. გ. — კავკასიონისადმი შენი პერსონაჟების დამოკიდებულება (ჯობია ვთქვა, შენი დამოკიდებულება) გამორჩეულია...

კავკასიონი — მამის მკერდით საიშვარო...

კავკასიონი — თმაშვეერცხილილი მამრი... და სხვა...

მაგალითები სხვაც შეიძლება:

— „საიდანაც ალაზნის ველი ფარდაგვივით გაქვს ფეხქვეშ გამოლილი და თუ ძალიან მოინადინებ და მოაჯირს კარგად გადაეყუდები, შეიძლება კავკასიონსაც მიანვდინო ხელი“...

„ლამის ჩემი წილი კავკასიონი შემაძულოს“ და სხვა...

გ. გ. — კავკასიონის თემაზე საუბრისას რეალური ფაქტი მინდა გავიხსენო თელავური მოგონებებიდან (ნოველის ბოლოს მკითხველი მიხვდება, რატომ ვიხსენებ ამ ამბავს):

თელავში, უნივერსიტეტში საინტერესო ამბავი მიაშვს პროფესორ **ლეილა შალვაშვილის** შესახებ:

ქ-ნი ლეილა შალვაშვილი თელავის რაიალმასკომში ბინის რიგში იდგა. ჩვენი თაობის ადამიანებმა იციან, რა პრობლემა იყო ეს საბჭოთა პერიოდში. ათეული წლები უხდებოდათ ლოდინი და ლეილა შალვაშვილმა მიიღო ბინა...

დატრიალდნენ მისი გახარებული მეგობრები, მოუწესრიგეს ბინა და მოუწყვეს მუშობარაქი.

მეორე დღეს ქ-ნი ლეილა მიადგა რაიალმასკომის თავმჯდომარეს, მართვა განცხადება — ჩაიბარე თქვენგან ბოძებული ბინა... თან ბინის გასაღებიც დაუდო მაგიდაზე. სანამ განცხადებას ჩაიკითხავდა აღმასკომის თავმჯდომარე, დაბნეულმა შეხედა ქ-ნ ლეილას... თუმცა დაბნევა და გაკვივრება მერე გენახათ, როცა განცხადება ჩაიკითხა:

— ჩემი ბინიდან კავკასიონი არ ჩანს, ამიტომ დაიბრუნეთ ბინა...

ეს ამბავი თელავში ანეკდოტად დატრიალდა... ახირებულობასა და უცნაურობაში ჩამოერთვა ეს ქ-ნ ლეილას...

მერე ეტყობა, მისცეს ისეთი ბინა, კავკასიონს რომ გასცქეროდა, მაგრამ ისევ ანეკდოტად იქცა „მორიგი ახირება“:

შინისაკენ მიმავალი ქ-ნი ლეილა აღმართს რომ შეუყვებოდა, გზადაგზა შეჩერდებოდა, შემობრუნდებოდა და ბოდიშს უხდიდა კავკასიონს...

თ. ხ. — ებოდიშებოდა, ზურგი შეგაქციეო...

გ. გ. — ესეც ახირებად მიიჩნის, ქ-ნი ლეილას უცნაურობად...

თამაზ, რა არის ეს? რა ხდება? ქ-ნი ლეილა ქიზიყელია... ამონარიდს მოვიყვან ჩვენი ადრინდელი დიალოგიდან:

„პროფესორი ლეილა შალვაშვილი, ცნობილი ენათმეცნიერი, შენც კარგად გახსოვს, ჩვენი ახლო ნათესავი იყო. ჩემს ბავშვობაში საათობით უჯდა დედაჩემს და მის ნაუბარს ინერდა. თავიდან ეს მალიზიანებდა, დედაჩემის ნათქვამ შეცდომებს ინუსხავს-მეთქი. მაგრამ მერე ამ საქმიანობამ მეც გამიიტაცა და ჩემი ლექსიკონის შედგენა დავიწყე. ესლაც ბევრი იმდროინდელი სიტყვა შემომრჩა ჩანერილი, რომელსაც ვერცერთ და ვერანაირ ლექსიკონში ვერ იპოვი, თუმცა საჭირო და საინტერესო კი მგონია“.

თ. ხ. — ლეილა შალვაშვილი ჩემი უახლოესი ადამიანი იყო. ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ ის და მამაჩემი. ნუკრიანში ჩვენი სახლები 30-40 მეტრის დაშორებით იდგა.

გ. გ. — მახსოვს, თამაზ, არაერთგზის გამოგიხატავს მადლიერება მის მიმართ.

თ. ხ. — ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტა ვინმე შემხვედრია ისეთი, რომ ჩემთვის ხელი წაემველებინა, იმ გზაზე დავეყენებინე, რასაც მწერლობა ჰქვია. ლეილა იყო ასეთი.

ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. მამა ომში დაეღუპა: დედას დარჩა ორი პატარა გოგო... ეკონომიურად ძალიან უჭირდათ... მაინც ცდილობდა, ჩემთვისაც შეეძინა საინტერესო წიგნები. ასე მომიტანა რეზო ინანიშვილის მოთხრობების პირველი კრებული. მითხრა, ძალიან საინტერესო მოთხრობებია და მიაქციე

ყურადღებო...

თბილისში რომ ჩამოდოდა, ჩვენთან რჩებოდა ხოლმე. სტუდენტობის დროინდელი ჩანანერები ჰქონდა — სოფელ-სოფელ რომ იწერდა დიალექტურ ტექსტებსა თუ ქიზიყურ ლექსიკას. მე გადმომცა ეს ჩანანერები... ძვირფასი მასალაა...

გ. გ. — ქ-ნი ლეილა მე კავკასიონის თემატიკასთან დაკავშირებით გავიხსენე... როგორც ვთქვი, მისი დამოკიდებულება კავკასიონისადმი დღემდე ახირებად და უცნაურობად მიაჩნიათ და გასახალისებლად იხსენებენ. მე კავკასიონისადმი დამოკიდებულებაში ქ-ნ ლეილასა და მწერალ თამაზ ხმალაძეს შორის (ვითვალისწინებ შენს შემოქმედებას) მსგავსებას ვხედავ...

თ. ბ. — ალბათ ასეა...

გ. გ. — თუ ასეა, ქ-ნ ლეილას „ახირებულობისა“ თუ „უცნაურობის“ საკითხი გავარკვიოთ, ანდა თამაზ ხმალაძეც ისეთივე ახირებულად უნდა მივიჩნიოთ...

თ. ბ. — ლეილას ქმედებაში მე ახირებულს ვერაფერს ვხედავ...

გ. გ. — ვერც მე და, აი, რატომ:

გავიხსენოთ, ვინ იყო ქ-ნი ლეილა შალვაშვილი; გვაქვს თუ არა უფლება მისი პიროვნების გათვალისწინებით ვისაუბროთ „უცნაურობაზე“, „ახირებაზე“?

თ. ბ. — მე მირჩევნია შენ მოგისმინო, მიკერძოებულობაში რომ არ ჩამეთვალოს...

გ. გ. — პირადად მე მის გაკვეთილს არ დავსწრებივარ და მისი ლექცია არ მომისმენია, მაგრამ სხვათა აზრი ვიცი...

მე ვიცნობ მის მეცნიერულ საქმიანობას, მომისმენია არაერთი მოხსენება... დავსწრებივარ მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვას... დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ლეილა შალვაშვილი ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო...

იგი პედაგოგის შეუდარებელი ნიჭით იყო დაჯილდოებული...

თ. ბ. — უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, ლეილა ლაგოდეხის სოფელ ლელიანში იწყებს მასწავლებლობას... ქართულს ასწავლის... ყოველდღიურად ნუკრიანიდან დადიოდა ლელიანში... თბილისი-

ლელიანის ავტობუსი ჩვენს სოფელზე გამოივლიდა და ლეილაც ყოველდღიური მგზავრი იყო მისი...

გ. გ. — თამაზ, შენ იცი ჩემი ინტერესი იაკობის „დედაენის“ მიმართ. მე გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა ლეილამ თელავის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში პირველი კლასი აიყვანა და იაკობის 1912 წელს გამოცემული „დედაენით“ ასწავლიდა, მერე უნივერსიტეტში მოიყვანა თავისი მოწაფეები და „სპექტაკლი“ მოგვიჩვენო...

როგორი სიყვარულით, საქმის ცოდნით, ენთუზიზმით საუბრობდნენ პირველკლასელები 1912 წლის „დედაენაზე“ — როგორ განმარტავდნენ მოძველებულ ლექსიკურ ერთეულებს, იმ დროის გრამატიკულ ფორმებსა თუ სხვა...

თ. ხ. — ეს „სპექტაკლი“ მეც ვნახე და დღემდე მომყვება ის აღტაცება...

გ. გ. — მერე გავეცანი სერგო კლდიაშვილის მოგონებას დავით კლდიაშვილის შესახებ. ვფიქრობ, ეს ქ-ნი ლეილას, როგორც პედაგოგის, მიმართ იგივე ითქმის. ცოტა ვრცელია, მაგრამ მოვიყვან მაგალითად (და არა მხოლოდ ამ შემთხვევისათვის, არამედ ზოგადი შეგონებისათვის):

„დავითს ერთი თვისება ახასიათებდა: მას ჰქონდა ნიჭი, გრძნობა და გონება გაელვიძებია იმ ადამიანში, ვინც, სხვათა აზრით, მოკლებული იყო ამ კაცურ ღირსებას. მე ვგრძნობ, რომ ვერ ვამბობ იმას, რაც მინდა ვთქვა. იქნებ ჩემი სათქმელი ამ ამბავმა უკეთ ახსნას:

ჩვენ გვყავდა ერთი მოჯამაგირე, ერქვა იესე. ხნიერი იყო. სადღაც, ოდესღაც სახლი და მამული ჰქონია. შემდეგ გაპარტახებულა. ამაზე თვითონ ლაპარაკი არ უყვარდა. მეზობლები გვირჩევდნენ: ნუ დაიყენებთ, მანანწალა კაცია, საქმის გამკეთებელი არაა, ზედმეტი ტვირთი იქნება ოჯახისათვის, მეტი არაფერი. დედამ მაინც დაიქირავა. იესეს საქმეზე უფრო მეტად ლაპარაკი უყვარდა. დედას იესე მალე მობეზრდა. სამაგიეროდ მამას შეუყვარდა. სოფელში მოწყენილმა დავითმა საუბრის დიდი მოყვარული კაცი იშოვა. დავითს ეს ერჩია ყანისა და ვენახის მოვლას.

ერთხელ ასეთ სურათს შევესწარი: მამა და იესე ბუხართან სხედან, მამა ელაპარაკება ამერიკელი რომანისტის, ტეოდორ დრაიზერის წიგნის „ნიუ-იორკის სახეების“ შესახებ. ეს წიგნი ძალიან მოსწონდა დავითს და რამდენიმეჯერ ჰქონდა წაკითხული. მამა ისე ელაპარაკებოდა იესეს, როგორც თანასწორს. მე გავკვირდი, როცა იესეს სახე დავინახე. ის დაკვივრებით უსმენდა. მისი თვალები, აქამდე თითქოს უგონო, ახლა აზრიანი მეჩვენა. შევხედე და დავრწმუნდი, რომ დავითის ნათქვამი კარგად ესმოდა.

და უეცრად იესე ასეთ შენიშვნას იძლევა:

— ბოროტი ქალაქი ყოფილა, ბატონო. ხე იმას არ ჰქონია და მინა. კაცი ქვაზე ვერ გეიხარებს!...

ამ დღიდან მე ვირწმუნე — **ყველასათვის ყველაფერი გასაგებია, თუკი სიყვარულით მიხვალ მასთან“.**

თუ რას ნიშნავს, „ყველასათვის ყველაფერი გასაგები იქნება, თუ სიყვარულით მიხვალ მასთან“, ამის ცოცხალი მაგალითი იყო სასწავლო წლის ბოლოს პირველკლასელთა მიერ ნაჩვენები „სპექტაკლი“...

თ. ბ. — ლეილას ნამდვილად „ჰქონდა ნიჭი იმისა, რომ გრძნობა და გონება გაეღვიძებია იმ ადამიანში, ვინც სხვათა აზრით მოკლებული იყო ამ კაცურ ღირსებას“...

გ. გ. — მაგრამ **ვერ შეძლო, კავკასიონი ისე დაენახებინა სხვებისთვისაც**, როგორც თვითონ ხედავდა... როგორც თამაზ ხმალაძე ხედავს...

როგორ გავიგოთ, თამაზ: იმ გარემოში, ქიზიყში, ასეთი იყო აღქმა კავკასიონისა?

თ. ბ. — რა გითხრა... ვიმეორებ, მე ახირებასა და უცნაურს ვერ ვხედავ-მეთქი... პირიქით, კავკასიონისადმი ლეილას დამოკიდებულებაში მე მის მაღალ პოეტურ ბუნებას ვხედავ. იცი, რა თქმა უნდა, რომ ლეილა ლექსებსაც წერდა...

გ. გ. — ასე ვთქვათ, შენ მიერ დანახული კავკასიონის გასააზრებლად და აღსაქმელად ქ-ნი ლეილასეული ხედვა გვეხმარება...

- თ. ბ. — თუ ახირებაა და უცნაურობა, მეც ასეთი ვარ... თუმცა არ არის ასე...
- გ. გ. — თმაშევერცხლილი, გოროზი კავკასიონი (მამრი) ამაცად დაჰყურებს ალაზნის ველს (მდედრს)...
- თ. ბ. — არა მარტო დაჰყურებს: ანაყოფიერებს კიდეც: კავკასიონის ფერდობებიდან ჩამონადენ მდინარეებს ჩამოაქვთ ნაყოფიერება...
- გ. გ. — ესა შენი და ქ-ნი ლეილას ხედვა...
- თ. ბ. — არა მხოლოდ ჩვენი, ბევრის, ძალიან ბევრის...
- გ. გ. — სალოცავია...
- თ. ბ. — ნამდვილად, ჩვენი სალოცავი არის... მინდოდა, ასეთი დამეხატა; კარგია თუ შეეძელი...
- კავკასიონი საოცრება არის. წარმოდგენაც საოცრებაა...
- არ არსებობს კავკასიონი დღის სხვადასხვა მონაკვეთში ერთნაირი იყოს...
- არ არსებობს კავკასიონი, დღეს და ხვალ რომ არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან...
- არ არსებობს დრო წელიწადისა, რომ კავკასიონი ერთნაირი იყოს, არ განსხვავდებოდეს საკუთარი თავისაგან...
- ესაა დასანახი და აღსაქმელი — **მრავალფეროვნება კავკასიონისა...**
- გ. გ. — ამას ხედავენ და გრძნობენ ქ-ნი ლეილა შალვაშვილი და თამაზ ხმალაძე...
- თ. ბ. — კავკასიონზე ვინც ცხოვრობს, ეტყობა, იმისთვის სხვაა... ჩვეულებრივი ყოფაა... მას არ შეუძლია ჩვენსავით შეადაროს კავკასიონი ალაზნის ველს, ან ივრის ზეგანს, ან გომბორის ქედს... ის კავკასიონის მეტს ვერაფერს ხედავს; ყოველდღიურობა არ აძლევს ამის საშუალებას...
- გ. გ. — თამაზ, ერთი შენი პერსონაჟი (შოი) ამბობს, „ჩემი წილი კავკასიონიო“... ეს როგორ გავიგოთ?

- თ. ბ. — ყველას საკუთარი კავკასიონი გვაქვს... ჩვენია, ქართულია...
- გ. გ. — და იგივე შიო მეორე პერსონაჟის (კიაზოს) შესახებ ამბობს: „ისეთი მყარი მზერა მიუბრჯენია კავკასიონისათვის, მეჩვენება ზედ კაცი იოლად გაივლის“ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“). ამ პასაჟში ამგვარად კავკასიონის ძალმოსილებათა გამოხატული თუ კიაზოს ბუნება?
- თ. ბ. — მე როცა გავიგე, რომ კავკასიონი თურმე სხვაგანაც იყო, არა მარტო საქართველოში, რა დაგიმალო და, პატარაობისას ძალიან განვიცადე... და ეს განცდა კიდე უფრო ძლიერი იყო, როცა გავიგე, რომ კახეთის კავკასიონს ლეკის მთას ეძახდნენ...
- გ. გ. — იმ მთის გადაღმა (კავკასიონის გადაღმა) დაღესტანია, ლეკები ცხოვრობენ...
- თ. ბ. — კავკასიონი იმათიცაა, იმათაც ისევე უყვართ, ალბათ, როგორც ჩვენ...
- ესეც მიფიქრია: რადგან საერთო გვაქვს კავკასიონი, ჩვენ და ლეკებს არ უნდა გაგვჭირვებოდა საერთო ენის გამონახვა...
- გ. გ. — არადა გაგვიჭირდა... „ლეკიანობა“ ჩვენი ისტორიის მძიმე მოგონებაა... იმათი კავკასიონი სხვაგვარი გამოდგა, სხვა რამ ისწავლეს კავკასიონისაგან...
- თ. ბ. — ამ კუთხით ნულარ გავაგრძელებთ საუბარს!...
- ის გავიხსენოთ, მთელი ჩვენი ისტორია, წარმოდგენები, მითოლოგია კავკასიონის ირგვლივ ტრიალებს.
- გ. გ. — მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის თქმულება რად ღირს...
- თ. ბ. — ისე მაინც საოცრება მგონია, ჩემო გიორგი, ხალხებს კავკასიონი ჰქონდეს საერთო და მისწრაფებები და ინტერესები სხვადასხვა...
- გ. გ. — შენ ამას ამბობ: ჩვენთვის თუა კავკასიონი „მამის მკერდით საიმიდო“, მათთვის რატომ არ უნდა იყოს, არა?...

სადღებრძელოს სადღებრძელო

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, ქართული მწერლობისათვის სუფრა, სადღებრძელო, თამადა არ არის უცხო თემა... მარტო გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“ რად ღირს... მინდა ამ თემაზე ვისაუბროთ, უფრო სწორად, იმ საკითხებზე, შენი მოთხრობა „სადღებრძელო“ რომ აღძრავს.

ეს მოთხრობა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ნოველაში არაერთგზის გავიხსენეთ; მაგრამ რჩება რამდენიმე საინტერესო კითხვა; ავტორისეული პასუხი ამ კითხვებზე არ უნდა იყოს უინტერესო სხვა მკითხველისთვისაც — ეს, ჩემი აზრით, მწერლის ჩანაფიქრის შეცნობას გააადვილებს... და მოთხრობაში დასმულ პრობლემას მეტ ნათელს მოჰფენს...

თამაზ ხმალაძე — კეთილი, ეს თემა ჩემთვის მნიშვნელოვანია.

გ. გ. — სანამ მთავარ კითხვას დავსვამთ, შევეცდები, მკითხველს შევახსენო ეს მოთხრობა:

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა **მასწავლებელი** სოფლის სკოლაში გაანაწილეს. ჩავიდა სოფელში. სოფლსაბჭომ ბინა **ჯალალსთან** (მეტსახელია) მიუჩინა. მასპინძელს მასწავლებელზე ორი წლით უფროსი ვაჟი ჰყავდა — ამირანი; კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს... მასწავლებელი „ოჯახის წევრად“ მიიღეს... ყველას თავისი საქმე ჰქონდა, მთელი დღე გარეთ იყვნენ... გვიან შემოდგომაზე სიცვიემ თავისი ქნა და სახლებში შეკრიფა სოფელი... გაუჭირდა მასწავლებელს ეგრე გაძლება... მიუხვდა ჯალალა და როგორც მასწავლებელი იტყვის: „თავის მარანში ჩამიჩვიაო“...

თითქმის მთელი ზამთარი ყოველდღიურად მეორდებოდა ერთი და იგივე: სალამოს, ვახშმის შემდეგ, ვითომდა დიასახლისი-

საგან მალულად ჩადიან მარანში სამნი: ჯალალა, მასწავლებელი და ამირანი... იმართება „ლხინი“... დიდებულად აღწერილი ეპიზოდი... „სუფრას“ ჯალალა თამადობს. სადღეგრძელოს თქმის უფლებას აძლევს თანამეინახეებს და მასწავლებელი იტყვის თავისას...

ახლა ვრცელი ამონარიდის მოყვანა სჯობს...

და გვიყვება ამბავს პროტაგონისტი: „მიუხედავად ყოველდღიური გამეორებისა, მაინც შემკრთალი ავიღებდი ხოლმე ხელში ჭიქას, დარცხვენილი. მალლა, გამჭვარტლულ კოჭებზე მზერამიციებული გაუბედავად ვინყებდი:

გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ელოსა?
როგორ დაეცნენ ლეკები
ბაკურის ციხე-ეზოსა?

მამა-შვილი გაფაციცებული შემომცქეროდნენ და წერტილმძიმესაც არსადა ჰკარგავდნენ, თვალებითა მჭამდნენ, სუნთქვითაც კი აღარა სუნთქავდნენ, თითქოს დღეს პირველად ესმოდათ ეს ლექსი.

მე ნელნელა ვდგებოდი ფეხზე და თანდათან ხმასაც ვუმალლებდი:

...„ვაჰ, დედას მტრისას!“ – ესა სთქვა,
ხელი გაისვა ხმალზედა:
„ისევ მე დაგხოცთ!“ — და ცოლ-შვილს
თავები დასჭრა ნამზედა...

იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი ოდნავ უკანა მქონდა განეული, მალლა შემართულ მარჯვენას მოწყვეტით დავიქნე-ვდი ხოლმე და უკვე მთელი ხმით ვქუხდი:

...გაუხტა ხმალმოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო:
თორმეტი მოკლა ციხის კარს,

ერთურთზე დაანვინაო.

ვეფხვსაც დააცვდა კლანჭები:

ბაკურმაც დაიძინაო.

ჯალალას თვალებიდან წამოსული კურცხლები დიდ თეთრ ულვაშებში იკარგებოდნენ.

– როგორ დამიცოტავდა გული, კაცო, ერთი ბენვა რამეზე მეტირება, – ბოდიშობდა თავის გულსუსტობას. მე და ამირანიც ჩუმად ვინმენდდით ცრემლებს. ბოლოს წვალე-წვალეებით, წვერმოტეხილი ენით, როგორც იყო, სადღეგრძელოსაც ვიტიყოდი:

– ბაკურს ცოლ-შვილი აღარ დარჩა და ნაშიერი, მომგონი აღარავინა ჰყავს, ჰოდა, მოდი, ჩვენა ვთქვათ იმისი სულის მოსახსენებელი...”

(მერე იყო და ეს სადღეგრძელო სიკვდილის წინ ინატრა ჯალალამ, მოისმინა და მშვიდად წავიდა იმქვეყნად...)

* * *

გ. გ. — რა ხდება, თამაზ? ყოველდღე, მთელი ზამთრის განმავლობაში, ერთი და იგივე „სუფრა“, ერთი და იგივე „თანამეინახენი“... ერთი და იგივე განწყობა, ერთი და იგივე სადღეგრძელო ერთნაირი ემოციით წარმოთქმული, ერთი და იგივე ღიმილი, ცრემლი და მადლიერება...

არ გეჩვენება, რომ არარეალურ სიტუაციას ჩამოჰგავს? დაგიჯერებს მკითხველი?

თ. ბ. — ჩემო გოგი, ვისთვისაც სუფრა, ლხინი, თამადა და სადღეგრძელო ბუნებრივი მოვლენაა, მისთვის აქ ხელოვნური არაფერი არ უნდა იყოს...

გ. გ. — კი, მეც ასე ვფიქრობ... აი, როგორც მკითხველი, როცა ამ სადღეგრძელოს „თამადის“ ემოციებს ავყვები, რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, მეც იგივე განცდა მეუფლება... მაგრამ ეს ჩვენი შემთხვევა კერძო შემთხვევა ხომ არ არის? ვიმეორებ: დაგიჯერებს ფართო მკითხველი საზოგადოება? არის ეს ის,

რაიც ოდითგანვე გვხიბლავდა მწერლობაში: „სინამდვილე, მხოლოდ სინამდვილე“?

თ. ბ. — გოგი, რეალურ ცხოვრებაშიც არ გვინახავს ჩვენ ამგვარი შემთხვევა? გავისხენოთ დიდებულის ალექსი ჭინჭარაულისაგან თქმული „უსახელო ქართველების“ სადღებრძელო; რამდენჯერ მოგვისმენია? და რამდენჯერ გვინატრია მისი მოსმენა?

გ. გ. — თამაზ, მოდი, მაშინ ეს სადღებრძელოც მოვისმინოთ და მერე უფრო გაგვიოლდება მსჯელობა... „უსახელო ქართველების“ სადღებრძელოს დავიმონმებ ჩემი მოგონებიდან ალექსი ჭინჭარაულის შესახებ (ნიგნიდან „მეც წუთისოფლის სტუმარი ვიყავ“, **წ**, შეხვედრები, 2024). ამონარიდს მოვიყვან:

„ბატონ ალექსი ჭინჭარაულს „უსახელო ქართველების“ („გმირების“) სადღებრძელო უყვარდა. ჰყვებოდა ტყვეობიდან სამშობლოსაკენ მომავალი ქართველის ამბავს. სტამბოლის ბაზარში ვილაც სომეხი ორ ქართულ ხელნაწერს ჰყიდდაო (ეს ამბავი იმ ხელნაწერის მინაწერიდან იცოდა). შევაჭრებია ტყვედყოფილი, რომ დაეხსნა ეს ხელნაწერები გადამყიდველის „ტყვეობიდან“. ერთი დაუხსნია, მეორის გამოსასყიდლად თანხა არ მყოფო და აუტანია ხელნაწერი სინას მთაზე. მინაწერში წერდა: „მატებითა და მატებითა“ დავისხენი ერთი ხელნაწერიო. ღმერთი გაუწყრეს იმას, ვინც შეძლოს იმ მეორე ხელნაწერის დახსნა და არ ამოიტანოს აქ, საიდანაც წაიღესო, სინას მთას გულისხმობს... ეს კაცი თავის სახელს არც ახსენებსო...“

და ამას მოაყოლებდა: ტყვეობიდან შინ მომავალმა დაიხსნა ეს უძვიფრასესი განძი, აიტანა სინას მთაზე და ისიც არ ვიცით, ჩამოვიდა სამშობლოში თუ არაო... „უსახელო გმირების“, „უსახელო ქართველების“ გახსენება, მათი შესანდობარის თქმა სავალდებულოდ მიაჩნდა... ერთსა და იმავე ამბავს თხრობდა, მაგრამ ორიგინალური სტილი ჰქონდა ამბის მოყოლისა, თითქოს პირველად ისმენდი...“ ცრემლიც ჩამოუგორდებოდა ღანვზე...

თ. ბ. — ვთხოვდით ბატონ ალექსის, ვაყოლებდით ერთსა და იმავე ამბავს, ვამბობდით ერთსა და იმავე სადღებრძელოს და მასთან ერთად განვიცდიდით ჩვენც...

- გ. გ. — და აღმოვჩნდებოდით ჩვენც შენი ჯალალას დღეში... ჰოდა, ეს ვიკითხე, ბუნებრივია ასეთი ვითარება? რა ხდება?
- თ. ბ. — ჩემო გიორგი, სადღეგრძელო კინო არ არის, „ნანახი მაქვსო“, რომ თქვა...

სადღეგრძელო ლოცვა!

ერთსა და იმავე ლოცვას, ვთქვათ „მამაო ჩვენოს“, ყოველდღე რომ ვიმეორებთ, გიფიქრია ოდესმე, ეს ხომ ვთქვიო გუშინ?

- გ. გ. — „ადღეგრძელო“ და „დალოცე“ სინონიმებია...
- თ. ბ. — დიახ, ასეა: **სადღეგრძელო ლოცვაა ღვინიანი ჭიქით ხელში...**
- გ. გ. — კი, ასეა, გეთანხმები!.. თუ ხელში ღვინიანი ჭიქა არ გიჭირავს, სადღეგრძელოს ვერ იტყვი... ღვინიანი სასმისის გარეშე სადღეგრძელოსმაგვარი ტექსტი ჩვეულებრივი ხოტბაა, შექებაა, ლაპარაკია რაღაცის ან ვიღაცის შესახებ და არა სადღეგრძელო... შეიძლება არ შესვა, მაგრამ ღვინოსთან ერთად უნდა ითქვას სადღეგრძელო...

— თამაზ, ჩვენმა საუბარმა საინტერესო მიმართულება მიიღო: ღვინის კულტურა ჩვენი ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია... ღვინის კულტურა ფართო ცნებაა: სუფრა, სადღეგრძელო, თამადა — ამ კულტურის ნაწილია. სწორედ ასეთი გააზრება უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ ამ კულტურას (ღვინო, სუფრა, სადღეგრძელო, თამადა) შენს შემოქმედებაში საკმაო ადგილი ეთმობა...

- თ. ბ. — ქართული ყოფის, ქართული რეალობის ნაწილია, განუყოფელი ნაწილი...
- გ. გ. — და ეს არ არის მხოლოდ ჩვენეული გააზრება. მსოფლიო საკაცობრიო კულტურის ისტორია ქართულმა კულტურამ სწორედ ღვინის კულტურით გაამდიდრა...
- თ. ბ. — რადგან ჩვენი მიზანი სადღეგრძელოს, სუფრისა და თამადის კულტურის წარმოჩენა და დაფასებაა, ეს საკითხი უფრო დეტალურად შევახსენოთ მკითხველს... მართო ჩვენ კი არ ვფიქრობთ ასე, იუნესკოც ასე აღიარებს!...

- გ. გ. — იუნესკო ვახსენეთ. იუნესკო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაა. იგი ორი სახის კულტურულ მემკვიდრეობას აღიარებს: „მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ (მკმ) და „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ (აკმ). ამ ორგანიზაციამ 2003 წელს მიიღო კონვენცია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის“ შესახებ. საქართველო ამ კონვენციას 2007 წელს მიუერთდა. დღესდღეობით იუნესკოს მიერ აღიარებულია და **საკაცობრიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი ნუსხაში** არის შეტანილი სამი ნომინაცია:
1. ქართული პოლიფონიური სიმღერა (2008 წ.);
 2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2013 წ.);
 3. ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა (2016 წ.).
- თ. ბ. — დიახ, მსოფლიოს არამატერიალური კულტურული სამყარო ქართულმა ტრადიციულმა კულტურამ ამ სამი სახეობით გაამდიდრა (ალბათ, უნდა ვთქვათ, ჯერჯერობით, რადგან, რამდენადაც ვიცი, სხვა ნომინაციებიცაა წარდგენილი იუნესკოში აღიარებისთვის). ეს იმის აღიარებაცაა, რომ ღვინის კულტურა ქართულია...
- გ. გ. — ის ფაქტი, რომ **ღვინო** — სიტყვა, ტერმინი — ევროპულ ენებში ქართულიდან შესულად ივარაუდება; არქეოლოგია ათასეული წლების წინანდელ კვალს პოულობენ ღვინის კულტურისას — ამის დასტურია...
- თ. ბ. — სწორედ ამიტომ ღვინის კულტურა (ქართულ სიმღერასა და ქართულ დამწერლობასთან ერთად) საკაცობრიო კულტურულ სივრცეში განსაზღვრავს ჩვენს კუთვნილ ღირსეულ ადგილს...
- გ. გ. — ამ კულტურულ ტრადიციას შეფასება და დაფასება სჭირდება, შემონახვა და გადაცემა თაობიდან თაობაზე... ყოველივე ამის გასაზრებლად, პატივსაცემად და შესანარჩუნებლად შენ მშვენიერი „სადღებრივი“ შემოგვთავაზე... საერთოდ შენს შემოქმედებაში ეს კულტურა შესანიშნავად არის წარმოდგენილი (სადღებრივი, თამადა...); ეთნოგრაფიული სიზუსტითაა

გადმოცემული დეტალები... მე ჩვეულებრივ ვერიდები პირში ქებას (მითუმეტეს მეგობრისას), მაგრამ ეს რომ არ ვთქვა, არ შემიძლია...

თ. ბ. — ეს თემატური გადახვევა საინტერესო იყო, მაგრამ დავუბრუნდეთ დანყებულ საუბარს; ჯალალას სუფრას დავენვიოთ...

გ. გ. — მამ ასე: **სადლეგრძელო ლოცვაა ღვინიანი სასმისით ხელში...**

და იმ „ჭურჭელსაც“ სასმისის სახეს და ძალას ღვინო აძლევს.

მართალს ამბობს შენი პერსონაჟი: „კონკრეტული ნივთი შეიძლება სხვა მხრიდან სულ სხვანაირი გამოჩენილიყო და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობა, ზოგჯერ სრულიად სანინალმდებო მნიშვნელობაც კი ჰქონოდა. შორს წასვლა არ დასჭირდებოდა: აი, კანთიელი მაგალითი: სახელად ყველას რქა ერქვა, მაგრამ განა შეიძლება ერთი და იგივე ყოფილიყო მაცილის გიშრისფრად აელვარებული რქა და კახურით სავსე ყანნი?“ („ღრჯუ“)...

თ. ბ. — ღვინიან სასმისს რომ იღებ ხელში, თითქოს **გზა ეხსნება ფანტაზიას, ბუნებრივი და ნაღდი ხდება „ლოცვა“ ...**

გ. გ. — როცა ღვინიანი სასმისი გიჭირავს ხელში, თითქოს ვიღაცისგან თუ რალაცისგან „ნება გეძლევა“ სადლეგრძელოს თქმისა; სადლეგრძელო, როგორც რეზო იტყოდა, ინანიშვილი, თითქოს **„გეკარნახება“ ...** ღვინის ქვეყანაში სხვაგვარი გააზრება არც შეიძლება იყოს...

თ. ბ. — რეზო ინანიშვილის გახსენებაზე: ღვინის კულტურის დაფასება და პატივისცემა მის შემოქმედებაში მკვეთრად აისახება. თუნდაც ეს ლოცვა-სადლეგრძელო, ერთ მოთხრობას რომ წარუშეძლვარა ეპიგრაფად: „ეს ჩემ ცოლს გაუმარჯოს, ჩემი ოჯახის დედაბოძს!“...

გ. გ. — მე ეს ჩამრჩა გონებაში (და ეს ცხოვრებაც ხშირად შემახსენებს): „მოხუცი გლეხი ლოცავს ჩემს მეუღლეს — თვალმშრალი დედა, გამყოფოს შვილო“... ამ ლოცვა-სადლეგრძელოს აზრი განსაკუთრებით მაშინ გავაცნობიერე, ქალბატონი როზა ინანიშვილი „თვალსველი დედა“ რომ გახდა...

თ. ბ. — სადლეგრძელოში მთავარია ბუნებრიობა, გულწრფელობა,

სიმართლე, პირდაპირობა, უშუალობა... ამგვარი სადღებრძელოები ტრადიციად იქცევა; ავტორობასაც არ ვუკარგავთ, თუნდაც „გოგლაურა“: „აკვნები დავლოცოთ, საქართველო დაილოცება“...

- გ. გ. — ამიტომაცაა, რამდენჯერაც უნდა მოისმინო ჭეშმარიტი სადღებრძელო, ლოცვის დარი სადღებრძელო, გულწრფელი, ვთქვათ, „უსახელო ქართველებისა“ თუ იმათი, „ვისაც მომგონი არ დარჩა“, არ მოგწყინდება... ეს სხვაა... ცხადია, ყველა სადღებრძელოს არ ეთქმის ასე... როგორ არ მოგვისმენია გაზეპირებული სადღებრძელოები, ტრაფარეტული, ხელოვნური, უინტერესო, დაცლილი ხიბლისაგან... ეს ისეთი შემთხვევაა, შენს რომანში რომ ამბობს დემნა: „დასვამს სუფრის თავში ბიძამის და უსმინე იმის ბრტყელ-ბრტყელ სადღებრძელოებს. რა გაუძლებს“...
- თ. ბ. — ქართული სუფრა აკადემიააო — ეს მთარული გამოთქმაა. აკადემია — სიბრძნის, ცოდნის წყაროდ მოიაზრება ამ გამოთქმაში...
- გ. გ. — არცთუ შორეულ წარსულში **სუფრაზე სადღებრძელოდ თქმული მჭევრმეტყველებისა და სიბრძნის ნიმუშად მიიჩნევა დღესაც**. თუნდაც ილია ჭავჭავაძის მიერ **სოხუმში** ხალხმრავალ წვეულებაზე თქმული სადღებრძელო, საბედისწერო გაფრთხილებადასავით რომ ჟღერდა მაშინ: „აქომამდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და, ასე თუ ისე, შევინახეთ კიდევ... (...) ღმერთმა ქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარა ფულისაგან და შევინარჩუნოთ ეს ქართულის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღებრძელოთ“... ამ გაფრთხილებას მეტ ძალას ის მატებდა, სადღებრძელოს ფორმით რომ ითქვა...
- თ. ბ. — თუნდაც აკაკის ცნობილი სადღებრძელოები თელავში თქმული...
- გ. გ. — აქაც, ამ შემთხვევაშიც, აკაკის ამ ცნობილ სიტყვას სხვა ძალა შესძინა ფორმამ — სადღებრძელოდ რომ ითქვა, სუფრაზე, ღვინიანი ჭიქით ხელში რომ ითქვა...

- თ. ბ. — სადღეგრძელოს კულტურა უდიდესი და უძვირფასესი ნაწილია ქართული კულტურისა.
- გ. გ. — როგორც სალოცავში ხატის წინაშე იფიცებდა ქართველი, ისეა სადღეგრძელოც... ამიტომ აქვს სხვა ძალა სადღეგრძელოს...
- გ. გ. — სუფრაზე თქმული სიტყვა-სადღეგრძელოები შესასწავლია ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისითაც. სუფრის გარემო, ფორმა განსაზღვრავს სტილს სადღეგრძელოს „ტიქესტისას“, ლაკონიურობასა და მხატვრულობას (დავარქვათ ნათელი სტილი — თავისუფალი ქვეტიქესტებისაგან)... სადღეგრძელო არ შეიძლება იყოს ლექციის ტიპისა... ამის უნიკალური ნიმუშია, როგორც ითქვა, აკაკის სადღეგრძელოები, თელავში თქმული... მარტივად აღსაქმელი და გასაგები. და შემდეგ თანამეინახეთა „დასტური“: „ილიას გაუმარჯოს“... (ლოცვისას „ამინს“ რომ ვიტყვით, იმასა ჰგავს)...
- თ. ბ. — დიახ, რიგიანი სუფრის წესი ეს არის: თამადა ამბობს სადღეგრძელოს („ლოცვას“), სუფრა ეთანხმება... ერთი მაგალითიც მოვიყვანოთ გ. ლეონიძის „ღვინჯუადან“: „მამა-პაპის ძვლების ნაცარს გაუმარჯოსო! ასწია თამადამ ყანწი. ახორხორდნენ გლეხები, — გაუმარჯოსო!“
- გ. გ. — ლაკონიურობაზე როცა ვსაუბრობთ, ერთ ფაქტსაც მინდა მივაქციოთ ყურადღება. შენს მოთხრობაში ის სადღეგრძელო თითქმის მთელი მოთხრობაა... ვსაუბრობთ ლაკონიურობაზე, მაგრამ ზოგჯერ სადღეგრძელოს სჭირდება წინავითარების აღწერა; ეს აქ მაგალითად მოყვანილმა ორივე სადღეგრძელომ („უხახელო ქართველებისა“ თუ იმათი, „ვისაც მომგონი არ დარჩა“) დაისაჭიროვა; „გოგლაურას“ ეს არ სჭირდება...
- თ. ბ. — სადღეგრძელო ბოლომდე ნათელი უნდა იყოს... თანამეინახეს კითხვა არ უნდა გაუჩნდეს, რა თქვა თამადამ, რა იგულისხმა... ამიტომაც ვინ არის მსმენელი თამადისა, ეს განსაზღვრავს სადღეგრძელოს შინაარსსაც... ფორმასაც...

სადღებრძელოს თავისი კომპოზიცია აქვს, სტრუქტურა: დასაწყისი, კულმინაცია და ფინალი...

გ. გ. — საუბრის დასაწყისში ორი კონკრეტული სადღებრძელო მოვიყვანეთ ნიმუშად... სადღებრძელოს თამადის ლოგიკური მსჯელობა, გულწრფელობა, დამაჯერებლობა, სიმართლე, ვითარების სწორი ანალიზი და სწორი აქცენტები აქცევს კარგ სადღებრძელოდ თქმულს...

თ. ბ. — სწორედ, ესაა ის, რაც ხიბლავს მსმენელს.

გ. გ. — ახლა, შენს შემოქმედებაზე როცა ვფიქრობ, თამაზ, მეჩვენება რომ ეს შტრიხი — სუფრა, სადღებრძელო, თამადა — საკმაოდ გამოკვეთილია... მე და შენ ამ თემაზე საუბარიც არ მოგვწყინდება... აი, ეს პასაჟის შენი მოთხრობიდან ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელ სუფრებს მაგონებს: „მეგობრულ სუფრებზე შეყრილები გრძელ-გრძელ სადღებრძელოებში ერთიმეორის ქებით ცდილობდნენ დანაკარგის (დროის დანაკარგის — გ. გ.) შევსებას“...

თუნდაც ერთი, რიგითი ჩვეულებრივი სადღებრძელო ქუხილას ნათქვამი:

„ლუკავ, შენც მომხედე და დამიგდე ყური, თვალებს რას აცეცებ აქეთ-იქით, მოდი, იცი, ვის გაუმარჯოს? ვინც ამ დუქანში ყოფილა, სამშობლოს სადღებრძელო უთქვამს, ღვინო დაუღვავია, უმღერია, უცეკვავია და გადასულან. დღეს აღარ არიან“...

თ. ბ. — ამ სადღებრძელოში ქუხილას ხასიათიც ჩანს, ლუკასადმი დამოკიდებულებაც, სამშობლოს სიყვარულიცა და წინაპართა პატივისცემაც... თითქოს და მარტივი და უბრალო სადღებრძელოა...

გ. გ. — სურვილი მიჩნდება შენს ნაწარმოებებში გაბნეული რამდენიმე სადღებრძელო გავისხენო; თუ ეს ნოველა გაკვეთილია, ასე აჯობებს:

– „ამ ჭიქით აემ ბაღლების სადღებრძელო მინდა დავლიო. ამათ გაუმარჯოს, ჩვენს იმედსა და სიხარულსა. ჩვენზე ბედნი-

ერები ამყოფოს ღმერთმა, ომი და გაჭირვება არ ანახოთ. ამათი მეთავეობით კიდევ რაც ქვეყანაზე ბავშვებია, სუყველასი კარგად ყოფნა იყოს. – ყოველდღიურად დაზეპირებული სიტყვების თქმა არ გაჭირვებია დათიკო ძიას.

– ...ეს იმისი გამარჯვებისა იყოს, ვისაც ეხლა ყველაზე ძალიან უჭირს. იმას ულხინოს ღმერთმა, ვინც ყველაზე დაჩაგრულია. იმას მოუფონოს ტკივილები, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება. ის გააძლოს, ვისაც ყველაზე მეტად შია. ის გაათბოს, ვისაც ყველაზე მეტად სცივა.

– ეხლა ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი. იცით, რაა, ბიჭებო? ამ ჭიქით იმ უბედურ კაცს გაუმარჯოს, ჩვენს შორის ყველაზე დიდხანს რომ იცოცხლებს და ბოლო მოკვდება. ვაი, იმის მარტობას, ვაი, იმის ყოფას. იმაზე საცოდავი ხომ არავინ იქნება ქვეყანაზე“.

- თ. ბ. — ესეც ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელია. ამ სადღეგრძელოს იმასაც მივაყოლებდით, კაცი თაობას ძალიან არ უნდა ჩამორჩესო...
- გ. გ. — ეს სადღეგრძელოც და ეს შეგონებაც დღეს უფრო მეტ ფასს იძენს ჩემთვის... ყოველივე ეს კი მწერლის სტილის თავისებურება მგონია მე...
- გ. გ. — დავუბრუნდეთ ისევ სადღეგრძელოებს. ანა კალანდაძეს აქვს მინიატურა „გულს ხედავს უფალი“; ბავშვმა იკითხა, თუ შეიძლება ლოცვა გულში ვთქვაო და დედა დაეთანხმა, „გულს ხედავს უფალი“... ასე რომ, მარტოკაცი ღვინოს რომ სვამს საჭაშნიკოდ თუ „ყელის გასასველებლად“, გულშიც შეიძლება სადღეგრძელო თქვას...
- თ. ბ. — მამა გაბრიელს უთქვამს, პირჯვარს რომ გარდაისახავთ, ლოცვა გულში მაინც უნდა თქვათო... სადღეგრძელოც ხომ ლოცვაა... გულს ხედავს უფალი... ამიტომ გულსგარეთ ნათქვამი სადღეგრძელო არაა სადღეგრძელო...
- გ. გ. — სადღეგრძელო ლოცვააო, ღვინო — ხატი სალოცავი...
- თ. ბ. — ჰოდა, როცა ხატთან მიდიხარ, ლოცვას იმიტომ ხომ არ ამ-

ბობ, სხვამ ისმინოსო... ასეა...

გ. გ. — მე არ მიკვირს მწერალ თამაზ ხმალადის ასეთი პასუხი... ეს მისთვისაც ცხოვრებისეული წესია... და თუ ჭიქას მიმჭახუნებელი ჰყავს, ხომ კარგი... სადღებრძელოს როცა მსმენელი ჰყავს, სხვა ძალა ეძლევა... შთამბეჭდავია ეს ადგილი შენი რომანიდან: „ჩამოდი შენს გახარებას, ამ კვირაძალზე ჩემი მშობლების შესანდობარს მარტო ნუ მათქმევინებ... სიტყვები თანდათან აღარ გაირჩეოდა, მერე კარიც გაჯახუნდა, ეტყობა, მარანში შევიდა და დემნასთან სათქმელს ეხლა ქვევრებს ეუბნებოდა.“

თ. ს. — მიჭახუნების თემაზე: თუ არავინაა სუფრასთან, ღვინიანი ბოთლი ხომ არის?

გ. გ. — მოდი, ერთი სახასიათო ამბავს მოვუყვები მკითხველს, თამაზ, და ამით დავასრულოთ „სადღებრძელოს სადღებრძელო“: ზაფხულში თამაზ ხმალადეს შვილიშვილი გიორგი ჰყავდა სიღნაღში... სადილად ჭიქას აწევდა პაპა, გიორგის ადღებრძელებდა: შენ ხარ ჩემი იმედიო, შენ უნდა ანოო ჩემი კუბო, შენ უნდა დამმარხო და მიმაყარო მიწაო...

— არაო, — უარობდა გიორგი, — პაპა, მე შენ არ დავმარხავ, არ დავაყრი მიწასო...

თამაზი ხალისობდა, ასე განმეორდა რამდენჯერმე... აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდნენ მშობლები; გიორგი ქალაქში უნდა წაეყვანათ... არ უნდა გიორგის ქალაქში. პაპა თუ მიშველისო, იფიქრა... ვერ უშველა პაპამ:

— არა, უნდა წახვიდე ქალაქშიო... — გადაჭრით უთხრა პაპამ...

შეცბა გიორგი, იფიქრა პაპას მაშინ ვანყენინე, უარი რომ ვუთხარიო და შეეხვეწა:

— პაპა, გაგიტხრი სამარეს, დავმარხავ, დავაყრი მიწას, ოღონდ არ გამიშვა ქალაქშიო...

თ. ბ. — ამ ამბის მორალი ესაა, ჩემო გიორგი: სუფრის წესისა და რიგის სწავლებისას ასაკი უნდა გავითვალისწინოთ!... პატარა იყო გიორგი სუფრის წესრიგის შესაცნობად...

გ. გ. — ასაკობრივი ფაქტორის შემოტანაც საინტერესოა... მოზარდმა შეიძლება შეგნებულად ვერ აღიქვას და გაიაზროს სუფრა, მისი წესი და რიგი, მაგრამ მის გონებაში პატარაობიდანვე ილექება ნანახ-გაგონილი და ოდესმე იჩინს თავს...

ამან გამახსენა: ჩემი შვილიშვილი იოანე სამშობიაროდან რომ მოვიყვანეთ შინ, საოჯახო სუფრაზე დავლოცეთ. უფროს შვილიშვილს, გიორგისაც, მივეცი ჭიქა, დალოცე-მეთქი. გიორგი 5 წლის იყო. ჭიქა აწია და ადღეგრძელა: „ენამზიანი და უღალატო კაცი ყოფილიყოსო“... მომეწონა. არ ვიცი, სად გაიგონა (ჩემი სტილი არ არის)... საიდანღაც დალექილი ამოვიდა და ლამაზ სადღეგრძელოდ იქცა...

თ. ბ. — დასასრულისათვის კი ისევ ჩემს „სადღეგრძელოს“ დავუბრუნდეთ: ცხრამეტი სექტემბერი, ჩემო გიორგი, მიქაელ მთავარანგელოზის დღეა. ამ დღეს თავისი ფრთებით ჯოჯოხეთიდან სამოთხეში ამოჰყავს განწმენდილთა სულელები.

— გთხოვ, მეც წამიყვანე შენთანო, — უთხოვია ერთ სულს.

— ერთ კაცს მაინც თუ დამისახელებ, ვინც დედამინაზე შენთვის ლოცულობს, უეჭველად ჩემთან იქნებო, — უთქვამს ზეციურ ძალთა მხედართმთავარს.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სადღეგრძელო ლოცვაა ღვინიანი ჭიქით ხელში. ჰოდა, ხშირად ვთქვათ იმათი შესანდობარი, ვისაც მომგონი არავინ დარჩენია; ღვინო ჩვენა და შენდობა იმათ!

შევსვათ, ჩვენ მაღლად მოგვეცემა!

„თამადა სუფრის ჯავარია...“

გიორგი გოგოლაშვილი — თამაზ, „ღვინის ტრადიციის“ ერთ კომპონენტზე (**სადღეგრძელოზე**) ვისაუბრეთ წინა ნოველაში. განვაგრძოთ საუბარი ამ ტრადიციის კიდევ ერთ მთავარ კომპონენტზე — **თამადაზე**.

შენი მოთხრობა „სადღეგრძელო“ ასე იწყება: „თქვენა, ჩემო შვილებო და ძმებო, ალბათ იმასა ჰფიქრობთ, ეს რა ყბედი და ლაშფანდურა თამადა გამოგვადგაო“... როგორ განმარტავ სიტყვას „ლაშფანდურა“; ეს შენი სიტყვათშემოქმედებაა თუ...

თამაზ ხმალაძე — თავად განმარტავს თამადა — „ყბედი და ლაშფანდურაო“... სინონიმებია... ეს ის თამადაა, უსაგნოდ რომ მრავალსიტყვაობს, თითქოსდა დროის გასაყვანად... სათქმელს რომ სადღეგრძელოს თემასთან არა აქვს კავშირი... ესაა ლაშფანდურა...

გ. გ. — ყბედი და ლაშფანდურა... ტერმინად მომწონს ლაშფანდურა... თამადა არ მომწონს ასეთი... „ლაშფანდურა თამადის“ ანტონიმია „კარგი თამადა“?

თ. ხ. — „თამადას“ შეიძლება ეპითეტი არც სჭირდებოდეს — თამადა!

გ. გ. — ლაშფანდურები რომ მომრავლდნენ, ეტყობა ამიტომ დაისაჭიროვა თამადამ ეპითეტი... ილია ხომ გახსოვს, კაცს კაცურის დამატება არ უნდა დასჭირვებოდაო, კაცობა რომ არ გაუფასურებულყო...

თ. ხ. — ჩვენც თამადაზე ვისაუბროთ, ტრადიციულ თამადაზე, ნაღდ თამადაზედ...

გ. გ. — ტრადიციულად არსებობს სუფრის თამადა და სადღეგრძელოს თამადა. ფრაგმენტი მოთხრობიდან: „მეორე ხელადას რომ დავინწყებდით, ჯალალა დიდის ამბით გამოაცხადებდა: თუ

ვინმეს სადღეგრძელო გაქვთ სათქმელი, მე ჩემდათავად ნება მომიციაო და მოლოდინით შემომხედავდა“. სუფრის თამადა (ჯალალა) სუფრის წევრს (მორიგი სადღეგრძელოს თამადას) შესთავაზებს, თქვას ახალი სადღეგრძელო...

ხაზგასმა თამადის როლსა და მნიშვნელობაზე სხვაგანაც ჩანს. ფრაგმენტი მოთხრობიდან „ტოპონიმოსი“:

„მეექვსე დღე იყო, ესენი, ეს ერთმანეთის სადღეგრძელოებშე-ბეზრებული ღვინისმტეები პეტრეს ირჩევდნენ თამადად და პეტრეც გულმოდგინედ ცდილობდა თავი მოეწონებინა. ისინი კი ისე შესციცივნებდნენ თვალეში, როგორც პაპუასები მიკ-ლუხონაკლას — შენ ჩვენთვის ღვთის ნაბოძები წყალობა ხარო, ციდან მოვლენილი საჩუქარიო — თავს ევლებოდნენ. ეს კიდევ უფრო თოთხარდებოდა — იქით ადგილსახელები ექაჩებოდნენ, აქეთ — ეშხიანად ნათქვამი სადღეგრძელოთი თავმოწონება. მეექვსე დღე იყო, სადღეგრძელო სძალავდა, სადღეგრძელო სჯალდავდა საკეთებელ საქმეს“... აქაც სუფრა, თამადა, სადღეგრძელო... ტრადიცია და ერთგულება ამ ტრადიციისა... მე მგონი, ამის თქმა გასურს...

თ. ხ. — თამადობის ტრადიცია უნიკალურია. თქმულა — „**სუფრა ღვინო და თამადააო**“.

გ. გ. — მომწონს ფორმულირება: — „**სუფრა ღვინო და თამადააო**“.

თ. ხ. — ეგ ჩვენეული დაზუსტებაა დიმიტრი პაპასეული შეგონებისა: (დემნას მიმართავს) — „დაიმახსოვრე, სუფრაზე სასმელია მთავარი“ („დროის მკვლელები“)...

რაც შეეხება თამადას, გიორგი ლეონიძეს დაუფუჯვროთ: მისი შეგონებანი მოვიშველიოთ:

„კარგი თამადა სახლს პატივად შეემატება!“

„თუ თამადა კარგია, მასპინძელიც გულდადებულია“.

„კაცის სიმაღლე თამადაობა არისო“...

„თამადა ხომ სუფრის ჯავარია!“

ანდა: „კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს; ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი

უნდა იყოს... ბორჯღლიან გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერიდებოდეს“.

გ. გ. — ეს მარტივი ქეშმარიტებაა: კარგი ღვინო და რიგიანი თამადა სუფრას სამახსოვროდ აქცევს... იშვიათად შემხვედრია კაცი, საჭმელ-კერძების სიმრავლისა თუ გემორიელობის მიხედვით შეეფასებინოს სუფრა...

თ. ბ. — ლაშფანდურობა, უაზრო მრავალსიტყვაობა, ფუჭსიტყვაობა დროის გასაყვანად სიტყვათა ტრიალი (რაც არცთუ იშვიათია ქართულ სუფრაზე) მოსაწყენსა და უინტერესოს ხდის ლხინს... წინა ნოველაშიც გავიხსენეთ: დარდობენ ბიჭები — „დასვამს სუფრის თავში ბიძამისს და უსმინე იმის ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებსო“...

გ. გ. — ასეთი თამადა ლხინს აუბრალოებს, ხალისს უკარგავს, უინტერესოს ხდის... ასეთ სუფრას შევესწარი, როგორ გაეხუმრა სუფრის შემოსწრებული ნევრი ამგვარ თამადას:

მერამდენე სადღეგრძელოაო, — იკითხა. ვილაცამ გულწრფელად უპასუხა, მეოთხეო; შემოსწრებულმა ჭიქა ასწია და თქვა; დედმამიშვილებს გაუმარჯოსო.... ვერ გეტყვით, არ მიმიქცევია ყურადღება, თამადამ გაიცინა თუ არა...

თ. ბ. — კარგი თამადა? აი, გიორგი ლეონიძისეული შეფასება: „თამადა ღვინჯუამ იმედები გაამართლა. პირდაპირ ოქრო სცვიოდა, სიტყვით ზღვა გადააყენა, ზღვაზე ხიდი გადო; ცაზე კიბე მიიდგა, მზესთან ადიოდ-ჩამოდიოდა, მართლაც სწორუპოვარი თამადა იყო, უტოლუმბაშესი! სუფრაზე ვარდ-მანანა წვიმდა“...

გ. გ. — თამადის ხელში სუფრის მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ალავერდია... გიორგი ლეონიძემ ალავერდის მნიშვნელობასა და ფორმაზეც ისაუბრა: „ალავერდი სუფრას ამაგრებს, აძლიერებს“... თამადა ასახელებს თანამეინახეს, თამადის შემდეგ ვინც უნდა თქვას სადღეგრძელო; მეალავერდეს არჩევას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს: ალავერდს მასთან გა-

დადიან, ვინც უკეთ იცნობს მას, ვისი ან რისი სადღეგრძელოცაა; ანდა ვის სიტყვასაც ამ სფეროში მეტი წონა აქვს... ალავერდის გადასვლას თავისი წესი აქვს:

„იყავ ჩემი ნებისა!

ვარ შენი ნებისა!“ (გ. ლეონიძე).

თ. ბ. — ღვინჯუა თაყას ირჩევს მეალავერდედ; თავის მხრივ, თაყა სხვასთან გადადის ალავერდსა და სუფრას ამაგრებდა, აძლიერებდა...

გ. გ. — საქართველოში, ღვინის ქვეყანაში, სუფრის მაღალი კულტურის ქვეყანაში, თამადობის ინსტიტუტი კარგად ჩამოყალიბებული და განვითარებული რეალობაა.

თ. ბ. — თამადობა არაა იოლი საქმე, მარტივი პროცესი: დაინიშნა და დაინყო... არაა ასე... თუ როგორ აენყობა სუფრა, თამადობა, დამოკიდებულია საერთო განწყობაზე, გარემოზე, თანამეინახეებზე... როგორც კი მოთხრობაში საჭიროება მოიტანდა, ვცდილობდი ეს ტრადიცია სწორად ამესახა, სამკაცრიანი იქნებოდა ეს სუფრა („სადღეგრძელო“), ოთხკაციანი („ტოპონიმოსი“) მრავალკაციანი (რომანის ეპიზოდები)...

გახსოვს ფილმი („ღვინის ქურდები“): კარგმა თამადობამ და კარგმა სადღეგრძელომ ელიბოს რეალობა გადაავიწყა ...

ყველაფერია გასათვალისწინებელი... არაერთი ცნობილი თამადა ვიცი, კონკრეტულ შემთხვევაში თამადობა რომ არ წასვლია...

გ. გ. — ამის მაგალითის მოყვანა შეგვიძლია: გიორგი ლეონიძე ცნობილი თამადა იყო... სადღეგრძელოც კი შემოგვრჩა „გოგლაურა“ ... აი, რა გვიამბო ალექსი ჭინჭარაულმა:

გიორგი ლეონიძემ ოჯახში მიმიპატიჟა. დიდი სუფრა იყო გაშლილი. ბატონი გიორგი სუფრის თავში დაჯდა თამადად. მეც ახლოს დამისვაო... სუფრის ბოლოს ერთ ვილაცას მოჰკრა თვალი. შეცბა, ამას აქ რა უნდა, როგორ გაბედა მოსვლაო... ნაუხდა ხასიათი... გოგლას თამადობა ადრეც მენახა, მერე შევიტყვეო, ჰყვებოდა ბ-ნი ალექსი, კახეთის გზაზე ავარია მომხდარა.

ამ კაცს გაუვლია თავისი მანქანით და უარი უთქვამს დაშავებულის მანქანით გადაყვანაზე (მანქანა დაისვრებაო)... ეს გაუგია ბ-ნ გიორგის და ამის გამო იყო აღშფოთებული... ასეთმა კაცმა ჩემს ოჯახში მოსვლა ვერ უნდა გაბედოსო...

ამგვარ მოთხრობებს (გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“, შიო არაგვისპირელის „ღვინის ქურდები“, თ. ხმალაძის „სადღეგრძელო“, „ტოპონიმოსი“ თუ სხვა...) ჩემთვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ეს ტრადიცია პირველყოფილი სინმინდით შემოვიწახოთ...

თ. ბ. — გული დაგწყდება კაცს, სუფრის ასეთი ტრადიციის ქვეყანაში ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ მახინჯ წესს რომ გაიაზრებ — „დაქირავებული თამადა“: ქორწილში ნეფე-დედოფლისა და მათი მშობლების სახელებსაც კი „შპარგალკიდან“ რომ კითხულობს...

გ. გ. — ვთქვათ ესეც: „დიდი მსმელობა“ (როგორც ლუარსაბ თათქარიძეს ათქმევენებს ილია ჭავჭავაძე) თუ „გოლიათი მსმელობა“ (როგორც ლადო ასათიანი იტყვის) იყო კი აუცილებელი მახასიათებელი თამადისა?

თ. ბ. — არადა, არაერთხელ გვინახავს ამ ნიშნით შერჩეული თამადა: „დაცლა ბოლომდე“... „ვინც არ დალიოს“... „მაგას როგორ ვაპატიებ მაგ სტაქანს“ (დ. კლდიაშვილი).

გ. გ. — თამადობის ასეთი გააზრების ირონიული შეფასება მგონია ლადო ასათიანის ლექსი „გულბაათი ჭავჭავაძე“. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი ფაქტი აქცია პოეტმა განსჯის თემად. გავიხსენოთ ლადოს ეს პოეტური შედეგრი:

ჩათავდა რთველი: ლხინია კახეთში.

„და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად.

დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა“...

და დაინყო „ლხინი თავადთა“... „სვეს უმონყალოდ“. „და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა“ (ფხიზელი), „გოლიათი“ თამადა „გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე“...

მოახსენეს, მხოლოდ ამ სასმისით არ შეგისვამსო...

და ქვევრების მნთქმელ გოლიათ თამადას წვრილი ჭინჭილა მოერია... თამადა „აზრდაკარგული გაიშხვართა შუალამეში“...

თ. ბ. — ლექსად ლექსი შესანიშნავია, მაგრამ ამბად ის არის თქმული, რომ „უმონყალოდ სმა“ ქართული სუფრის ტრადიცია არ არის... ლექსის ბოლო სტრიქონებიც ამის დასტური ჩანს:

„გაჩაღებულა მალვალაკი თვალი კახურში

და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი...“

გ. გ. — „მსმელი თამადის“ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ივანე (ვანო) როსტომაშვილის (1852-1924), ქალიშვილის — ანასტასიას — მოგონება. ტასო ერთ ლხინს მოიგონებს: დიდი სუფრა იყო. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ალექსანდრე ყაზბეგი და ძმები რაზიკაშვილები. „სიმხიარულე, სიცილი, ცეკვა, სიმღერა, ღვინის სმა... აქაც ვანო იყო თამადა, სიფხიზლის მომხრე ვანო. ძალიან ნაკლებად სვამდა, სხვათაც არ აძალებდა; ასე რომ, მისი თამადობით მიმდინარე ლხინი **ლხინსა ჰგავდა და არა მუცელობასა**“...

თ. ბ. — თუნდაც ეს ბოლო ფრაზა იმის ხაზგასმამა, რომ „მუცელობაც“ (ანუ „უმონყალო სმაც“) არ იყო უცხო, თუმცა ის ლხინი არაა...

გ. გ. — სწორედ ამიტომ მოგონების ავტორი ამ ეპიზოდის აღწერისას საჭიროდ მიიჩნევს, სქოლიოში ხაზგასმით განმარტოს: „უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველგან, თუმც ვანო ღვინოს სულ არა სვამდა, თამადათ იყო არჩეული დიდ თუ პატარა ღვინოსმისანიშნავ წვეულებებზე“ (ჟურნალი „საგურამო“, 19, 2024).

* * *

თ. ბ. — ესეც ვთქვათ, გიორგი: თამადის თქმული განსჯას არ ექვემდებარება. ეს ეხება როგორც სადღეგრძელოს თემას, სუფრაზე სადღეგრძელოთა იერარქიას, ისე სადღეგრძელოში ჩამოყალიბებულ აზრს.

საინტერესო მინიშნებას აკეთებს ამის შესახებ გიორგი ლეონიძე:

„ორბთ ხელმწიფის შვილს გაუმარჯოს! - ასწია თამადამ, თუმცა არავინ იცოდა ვინ იყო ორბთ ხელმწიფის შვილი ან რატომ სვამდნენ მის სადღეგრძელოს...“

გ. გ. — თამადობა საუკუნეობით განმტკიცებულ ტრადიციაა, ქართული ტრადიცია... სწორედ ამას გულისხმობს ცნობილი გამოთქმა: „**Тамада сказал, Бог сказал**“. ქართული სუფრის წესა და რიგს, თამადობის ტრადიციას განუმარტავენ მას, ვისთვისაც უცხოა ამგვარი რამ...

თამადა ერთპიროვნული წინამძღოლია სუფრისა, არავითარი დემოკრატია! დიქტატურა!...

ეს ასპექტიც კარგად არის დაჭერილი შენს რომანში; დამაჯერებლადაა გადმოცემული, როგორ „შებედა“ სუფრის წევრმა თამადას „კრიტიკა“ (თუ ამას კრიტიკა ეთქმოდა), რასაც განევ-გამონევა მოჰყვა...

„შავგვრემანი, სქელკისერა ბიჭი — მშობელი ბუნების მიერ თავიდანვე თამადად ჩაფიქრებული — ამაოდ ცდილობდა სუფრის დაწყვეტილი მთლიანობის აღდგენას, მთელი ხმით ამბობდა მორიგ სადღეგრძელოს:

— ...და ასე თაობიდან თაობას უწყვეტად და დაუსრულებლად გადაეცემა ჯიში და გენი ჩვენი მოდგმისა. არავის არაფერი შეეშალოს! კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

— კარგი იყო, ის მაინც გცოდნოდა, ალგეთი სად არის და რა ლეკვები იზრდებიან იქ... — თვითონაც არ მოელოდა დემნა, ისე გამოუფრინდა ეს ფრაზა ბაგეებიდან. უბოროტოდ, გულუბრყვილოდ, თითქოს ოთართან საუბარს აგრძელებსო შინაურულად.

გადაირია სქელკისერა, ველარავინ გააჩერა.

— გამოვიდეს გარეთ, ორ სიტყვას დაველაპარაკები ერთიერთზე, მეტი არაფერი!

დემნა უკვე ნანობდა ამ როყიოდ და დაუფიქრებლად წამოსროლილ წინადადებას...“

დემნა ალბათ, მართალი იყო, მაგრამ დაირღვა სუფრის ტრადიცია...

თ. ბ. — ქართველებისთვის ძვირფასი ტრადიციაა ეს... საუკუნეობით განმტკიცებული ტრადიცია... იცის ჩვენმა მკითხველმა: ვანში ქანდაკება იპოვეს არქეოლოგებმა, ყანნი რომ უჭირავს ხელში, თამადა დაარქვეს - ამ ტრადიციის ნყალობით...

გ. გ. — თამადობის ტრადიციასთან დაკავშირებით ის საინტერესო ამბავი გავიხსენოთ, თელაველმა კოლეგებმა რომ გვიამბეს:

XIX საუკუნის ბოლოს თელავში იყო ცნობილი თამადა, რომელიც ამ ტრადიციის შემონახვისათვის, დაცვისათვის, ღირსეული გაგრძელებისათვის ზრუნავდა. გარდა იმისა, რომ ხშირად უწევდა ამ თავისი კურთხეული ნიჭის გამოვლენა თელავურ სუფრებზე, მას „სათამადო საკვირაო სკოლა“ ჰქონდა გამართული



(სახელწოდება პირობითია და ჩვენია — გ.გ; თ.ხ.). მშობლებს მოჰყავდათ ყმანვილები (ახლომახლო სოფლებიდანაც კი), მოჰქონდათ ხელადა ღვინო, გუდის ყველი, დედას პური და „მასწავლებელი-თამადა“ „მსმენელებს“ უტარებდა გაკვეთილს თამადაობაში...

ჩვენი თელაველი მეგობრის, პროფესორ **გიორგი ჯავახიშვილის** ცნობით, ეს კაცი **კოტე ბახუტაშვილი** იყო. ამ პიროვნების შესახებ საინტერესო ინფორმაცია და ფოტომასალა მოგვანოდა პროფესორმა **თენგიზ სიმაშვილმა**: ფოტოზე ასეთი წარწერაა:

„კოტე ბახუტაშვილი — ცნობილი თამადა



გადაღებულია თელავში; ცენტრში ზის: კოტე ბახუტაშვილი; ვერსოზე: ფოტოატელიეს შტამპი და მიწანერი: „კოტე ბახუტაშვილის თამადაობის იუბილის გადახდის გამო (25 წლის). ნადიკვრის დაბლა „ბეკორის“ ეზოში კაკლის ხის ქვეშ. აქ არიან თელავის თითქმის ყველა უწყების მოსამსახურენი...”

თელავის საზოგადოებას კოტე ბახუტაშვილისათვის 1908 წელს თამადაობის 25 წლის იუბილე გადაუხდიათ! ფოტოზე 50-ადე კაცია — იმდროინდელი თელავის საზოგადოება...



- თ. ბ. — დიდებული ფაქტია. მარტო იმას რომ წარმოიდგენ კაცი, ქალაქი უხდის „სათამადაო მოღვაწეობის“ იუბილეს (აქ არიან თელავის ყველა უწყების წარმომადგენელი — თელავის საპატრიო საზოგადოება), გაიხარებს ჩვენნაირი კაცი — თამადაობა პროფესიის დონეზეა აყვანილი... დაფასება და პატივისცემა ღირსეული ტრადიციისა...
- გ. გ. — აი, ეს კოტე ბახუტაშვილი ასწავლიდა ყმანვილებს თამადაობას...
- თ. ბ. — ეტყობა, რა სახის (მიზანდასახულობის) სუფრაზე სადღეგრძელოები რა რიგით უნდა თქმულიყო; ცალკეულ სადღეგრძელოში რას უნდა მისცემოდა მნიშვნელობა და ა. შ.
- გ. გ. — თელაველი თამადის შემთხვევა არ ჩანს ერთადერთი და გამონაკლისი. მე ჩემი ბავშვობა მახსენდება. ოკრიბაში, ტყიბულის რაიონში, ვიზრდებოდი. დედუღეთიც ოკრიბაში მქონდა. ზაფხულობით ბებიასთან ვიყრიდით თავს ბიძაშვილმამიდაშვილები. ექვსი ბიჭი ვიყავით, ორი-სამი წლით განსხვავ-

ვებული ერთმანეთისაგან. ბიძაჩემი გიორგი ჩვენთვის პატარა ჭურში აყენებდა ღვინოს.

რომ შევიყრიდით თავს, მოგვიხდიდა ჭურს, ტაბლას გაიტანდა ჭურისთავზე, ბიცოლა სუფრას გაგვიწყობდა და პატარა ქამრიანი ჭიქებით „ვექიფობდით“... მორიგეობით გვათამაშებდა; გვასწავლიდა, რა რიგით უნდა გვეთქვა სადღეგრძელოები და როგორ...

და ეს ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე განმეორდებოდა... ცხადია, ყველას ერთნაირად არ გამოგვდიოდა... ბარემ ამასაც ვიტყვი: ბავშვობაში მეკვლედ გვინვევდნენ მეზობლები ახალ წელს. დილაადრიან შინიდან რომ გამიშვებდნენ, მშობლები გვასწავლიდნენ, როგორ უნდა შეესულიყავით ოჯახში, რა უნდა გვეთქვა; საახალწლო სუფრასთან რა სადღეგრძელო უნდა შეგვესვა და როგორ... ესეც წვრთნა იყო...

- თ. ბ. — ეს მტკიცე ქართული ტრადიცია ჩანს. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, ჩვენმა მეგობარმა, ამ წიგნის დიზაინერმა ირაკლი ავალიანმა თავისი სიყმაწვილე გაიხსენა. აქ, თბილისში, ვეძი-სში, ბავშვები თავს რომ მოვიყრიდით ბიძასთან, სუფრას გაგვიწყობდა, პატარა ჭიქებს ჩამოგვირიგებდა და რიგ-რიგობით სადღეგრძელოს გვათქმევინებდაო... ქართულია ეს ტრადიცია...
- გ. გ. — ქართული კულტურის ნაწილია; ღვინის კულტურის შემადგენელი ელემენტია თამადა... ამიტომაც წვრთნიდნენ ბავშვობიდანვე... დიახ, ესეც წვრთნაა...
- თ. ბ. — წვრთნა კი, მაგრამ მარტო წვრთნა ვერ უშველის... ხომ ვთქვით, თამადობა ნიჭია...
- გ. გ. — ჰოდა, ქეთევან მაღალაშვილს სცოდნია თქმა: ვის დაეცემა ციდან ნიჭი, არავინ იცისო...
- თ. ბ. — ისიც ნიჭია თამადისა, არ გადაღალოს სუფრა, არ გააბეზროს თანამეინახეები... ცნობილი თამადა მუხრან მაჭავარიანი რომ ამბობს ხომ გახსოვს: — „ნიჭის საზომი წერტილია; სად და როდის დასვამ წერტილს, ესაა ნიჭის გამოვლენა!“ (ზოგადი შეგონებაა ეს)...
- გ. გ. — ჰოდა, დავსვათ ჩვენც წერტილი... ისე მაინც მიხდა ვთქვა: ეს

ტრადიციაც ისეთი სიზუსტითაა შენს ნაწერებში, ეთნოგრაფს
შეშურდება... ამ ტრადიციის შემონახვასა და განმტკიცებაში
შენი წვლილიც იქნება, თამაზ...

თ. ხ. — და ალბათ ამ წიგნის წვლილიც...

მზით ნაფიცხი სიტყვების კვალდაკვალ (ლინგვისტიკისა და ლიტერატურის შესაყარზე)

ცოტა არ იყოს, მოწყინდებოდათ გიორგი გოგოლაშვილსა და თამაზ ხმალაძეს ლიტერატურული დიალოგები.

გამონოლოგებული დიალოგებიც მოწყინდებოდათ.

საუბარი კი არა ერთმანეთთან - რამდენიც უნდა ილაპარაკონ, სალაპარაკო სულ რომ დარჩებათ და დარჩებათ, - არამედ მხატვრული ფორმა აღარ დააკმაყოფილებდათ, რაღაც ახალი მოუნდებოდათ:

თან დიალოგური აღნაგობაც რომ შენარჩუნებულიყო და თან უკვე ნაცადი ჩარჩოს იქითაც გასულიყვნენ.

მოუნდებოდათ და მიაგნებდნენ.

მიაგნებდნენ და კიდევ ერთ წიგნად აქცევდნენ:

„პერსონაჟს სახელი ამშვენებს“.

ჟანრობრივად კი ასე განსაზღვრავდნენ:

დიალოგური ნოველებიო.

ლევან ბრეგაძეს კრიტიკულ-ესთეტიკურ აზროვნებაში შემოეტანა ცალკე ნაკადად ფორმისმიერი თავისებურება და ერთი რკალი თავისი კრიტიკული ესეებისა ასეც დაესათაურებინა:

„მოთხრობები ლიტერატურაზე“.

გიორგი გოგოლაშვილი და თამაზ ხმალაძე ლიტერატურულ მსჯელობას საყრდენად და საწყისად, სარჩულად და საფანელად დაუდებდნენ ენათმეცნიერულ ძიებებს და კიდევ ამით განასხვავებდნენ იმ ნაკადისაგან, ახალ მიმართულებას რომ ჩაუდგებოდნენ სათავეში:

თან მკვეთრი ლინგვისტური განსჯა და თან ნოველური ჩარჩო, დიალოგურ სტრუქტურაზე აგებული.

მასალად უმთავრესად თამაზ ხმალაძის რომანს - „ღროლის მკვლელები“ - და მოთხრობებს გამოიყენებდნენ, თუმც მსჯელობისას შორს გაცდებოდნენ ამ ორწიგნეულს - უამრავი პარალელით, გადაძახილით, მაგალითით დახუნძლავდნენ ნოველათა ამ რკალს, ჩვენი კლასიკური მწერლობა უხვ საზრდოს რომ მიაწვდიდათ საამისოდ, და მოხდენილადაც გაშლიდნენ საგულისხმო დაკვირვებებსა თუ მიგნებებს.

თამაზ ხმალაძის შემოქმედება უანრობრივი თვალსაზრისითაც აღმოჩნდებოდა ჩინებული მასალა საკვლევსაძიებოდ, გიორგი გოგოლაშვილს ის შთაბეჭდილებაც რომ დარჩებოდა:

ამ ორტომეულის კვალობაზე მშვენიერი ლექსიკოლოგიური ნაშრომიც რომ შეიძლებოდა მომზადებულიყო, სახელწოდებით:

„ზედაშიანური ლექსიკონი“.

ზედაშიანი, როგორც ტოპონიმი, უცხო რომ არის ქართული გეოგრაფიული სივრცისათვის, განსხვავებით თვალადისაგან, რომლის ცოცხალი მეტყველებიდანაც უნდა ამოზრდილიყო „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ გიორგი შატბერაშვილისა?

სამაგიეროდ თამაზ ხმალაძის მხატვრულ ტოპონიმიკაში მიეჩინებოდა თავისი ადგილი, როგორც მარჯვედ გამოგონილ სახელწოდებას იმ გარემოსი, სიღნაღს რომ უნდა მიჰკვროდა ზედ და მის გაგრძელებად წარმომდგარიყო.

ხვავრიელად შევიდოდა თამაზ ხმალაძის მხატვრულ თხზულებებში ქიზიყური მეტყველების ნაკადი, არაერთი დავიწყებული სიტყვა ხელმეორე სიცოცხლეს ჰპოვებდა მისი თხრობისას, ყოველი სიტყვა განსაკუთრებით რომ აღელვებდა სიყმაწვილიდანვე, უკიროვითებდა, უტრიალვებდა, მათ ეტიმოლოგიურ საწყისს ეძიებდა, მათ სურნელსა

და ფერს შეიგრძნობდა, მერედამერე შესაფერის კონტექსტსაც რომ მოუნახავდა თვითუელს, რათა ადვილი ამოსაცნობი ყოფილიყო მკითხველისათვის.

და „ზედაშიანურ ლექსიკონშიც“ თუ გადმოინაცვლებდნენ თავიანთი ნიუანსებითაც, ამ საქმეს აღწე თუ გვიან ვინმე როგორ არ აქცევს რეალობად, - თედო სახოკიას ბუნებისა და ცნობისწადილის მკვლევარი, სულ ლექსიკონის შესადგენად რომ გაურზოდა ხელი.

ჯერ მართო „ზედაშე“ დაისაჭიროებს განმარტებას, უფრო ზუსტად - შევსებას.

აქამდე ასე გვეცოდინებოდა მისი შინაარსი:

საღვთო, სარიტუალო ღვინოს რომ ნიშნავს.

მაგრამ ქიზიყში ღვინოს კი არ იხსენიებენ ასე, არამედ თვითონ იმ ქვევრს, სადაც ეს სარიტუალო ღვინო უნდა დადგეს.

ასეთი განსხვავებული განმარტება თუ ნიუანსი კიდევ სხვა არაერთ სიტყვასაც შეიძლება აღმოაჩნდეს, ჩვენს თვალსაწიერს უფრო რომ გაზრდის ქართული ლექსიკის ისედაც მდიდარ სივრცეში; და რა გასაკვირი იქნება თამაზ ხმალაძის სიტყვიერების შესწავლა ამ კუთხით, მესარიონ ჯორბენაძეს ამ მწერლის თხრობა სულაც მზით ნათესი სიტყვების ელვარებად რომ წარმოუდგებოდა.

უთუოდ ეს წიგნიც - „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ - შეაგულიანებს ამათუიმ ლინგვისტს მზით ნათესი ქართული სიტყვარის ანუ ზედაშიანური ლექსიკონის შესადგენად.

შემაგულიანებლად სხვა არაერთი მსჯელობაც რომ უზიდავს ამ მრავალფეროვანი თემატიკის დიალოგურ ნოველებში:

თხრობის მანერის თავისებურება, მკითხველის ნდობა თუ მწერლის, მთხრობელისა და პერსონაჟის ურთიერთმიმართება;

თუნდ იმ დეტალსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ

მიენიჭებოდა, მწერალი უშუალოდ რომ იჭრება თხრობაში.

საამისოდ გვახსოვს ილია ჭავჭავაძისა თუ მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებიდან - „კაცია-ადამიანი?!“ იქნება, „კვაჭი კვაჭანტიჩაძე“ თუ „გივი შადური“ - შესაბამისი პასაჟები, თამაზ ხმალაძეს ამგვარი სტილური ხერხისათვის ვაჟა-ფშაველას პოემებშიც რომ უნდა მიეკვლია და შეევსო გიორგი გოგოლაშვილისეული განსჯა.

ნიუანსობრივი სიახლით უნდა გაეაზრებინათ დიალოგის მონაწილეებს:

დიალექტის დანიშნულება სამწერლობო ენისათვის; ჟანგონისა და მეტსახელის შესწავლა-წარმოჩენის მნიშვნელობა; ტყუილისა და ფანტაზიის შედარება-შეპირისპირების ხვეულები საერთოდაც და განსხვავება ამ მხრივ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კუთხეების მეტყველებას შორის; მითების ნამსხვრევთა მოძიებისა და გადარჩენის აუცილებლობა და საშურობა, რათა ეს ნამსყვეები ხელიდან არ გაგვიქრეს; სადღეგრძელოსა და თამადის კოლორიტულობა თუ კავკასიონის, როგორც მძლავრი პეიზაჟური ფონის მნიშვნელობა ჩვენი წარმოსახვისათვის, ბუნების მზრძანებლობას მოხდენილად რომ ჩაწვნია და პლასტიკურადაც წარმოაჩენს.

გიორგი გოგოლაშვილს ყურადღება უნდა მიექცია იმ ღიმილისთვისაც, დროდადრო რომ ამოანათებს ხოლმე „დროის მკვლელების“ ავტორის თხრობაში და შესაფერის თემასაც მოიფიქრებდა მკვლევარებისათვის:

„იუმორისტული პასაჟები თამაზ ხმალაძის შემოქმედებაში“.

ერთი შეხედვით ამგვარი პასაჟები მიბინარებული რომ არის დრამატული თხრობის ფონზე, თუმც საკმაოდ კი მოიკრიბება და გულშიჩამწვდომი ღიმილით ამსუბუქებს თუ ანედლებს დრამატიზმს.

ფორმას ახალს კი მოუნახვდნენ გიორგი გოგოლაშვი-

ლი და თამაზ ხმალაძე თავიანთ საუბრებს, ოღონდ შენარჩუნებით შეინარჩუნებდნენ იმ მთავარს, რითაც გვხიზლავდა მათი ლიტერატურული თუ გამონოლოგებულის დიალოგები:

სიღრმესთან შეზავებული სიმახვილით, სიცინცხალითა და დინამიურობით, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით მოსაწყენი თემებიც - მითუმეტეს: ბოლომდე ჩაკირკიტებით - სახალისო საკითხავად იქცეს.

და კიდევ:

ღიაობით, რაც ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი უნდა იყოს ყოველგვარი მსჯელობისა, დიალოგურობა მისი შინაგანი აღნაგობა იქნება თუ გარეგნულადაც ხელშესახები.

და კიდევ:

მაძიებლობის დაუმცხრალი ჟინით, თორემ სხვაგვარად რატომ უნდა მოენდომებინათ, გასცილებოდნენ ნაცად, შეჩვეულ ფორმას და... დიალოგური ნოველის უცნობ სამყაროში გადაჭრილიყვნენ, საბოლოოდ ასე მარჯვედ რომ მოიხრებდნენ და:

„პერსონაჟს ამშვენებს სახელით“ ასერიგად დაამშვენებდნენ ჩვენი ლიტერატურის მდინარეებს.

როსტომ ჩხეიძე

შინაარსი



ჩვენი ბედისწერა!... (ორთაბიოგრაფიული წინათქმა)	3
თხრობის სტილი, თხრობის მანერა	10
ნდობა მკითხველისა	20
მწერალი, მთხრობელი, პერსონაჟი	28
დრო და დიალექტი	36
„ბაჯალლო ოქროდ დაუნჯებული...“	55
„მე რომ ყაყიტა მრქემოდა...“...“	74
თანმდევი ღიმილი	96
ტყუილი თუ ფანტაზია	114
კითხვები... კითხვების კორიანტელი... პასუხები?!	128
„ბუნება მბრძანებელია“ (მითების ნამსხვრევები)	148
მამის მკერდივით საიმედო კავკასიონი	158
სადღეგრძელოს სადღეგრძელო	166
„თამადა სუფრის ჯავარია...“	179
როსტომ ჩხეიძე	
მზით ნაფიცხი სიტყვების კვალდაკვალ	191